

# დათო ტურკაშვილი

## ტყეაუბის გაფა

ლეონიდა  
დავით აღმაშენებელი

<https://www.fb.com/groups/ELLIB>

## სანამ ფილმს გადაიღებენ

ჩვენი სურვილია, მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ იმ კინოსცენარის ლიტერატურული ტექსტი, რომლის მიხედვითაც, ალბათ ოდესმე, შეიქმნება კიდევ მხატვრული ფილმი დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. დასაწყისშივე სიტყვა `ალბათ` იმიტომ ვიხმარეთ, რომ ამ ფილმის იდეის ავტორი, პროდიუსერი ლევან კორინთელი, უკვე გარდაიცვალა და მისი შემცვლელის ვინაობაც კი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ამიტომაც, ჯერადანიშნული კინოგადაღებების დაწყებამდე, სცენარის ავტორებს გვსურს, წიგნის სახით შევთავაზოთ ეს ტექსტი მომავალი ფილმის მომავალ მაცურებელს.

თუმცა ჩვენი ეს გადაწყვეტილება, უპირველესად, განაპირობა ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის დაინტერესებამ ამ იდეით და სანამ ეს პროექტი განხორციელდება, მომავალი ფილმის რეჟისორს გვსურს, დასაწყისშივე შევახსენოთ მითი, რომელიც იბერიელი ქართველების უძველეს ღვთაებას უკავშირდება და ეს ლეგენდა დღემდე არსებობს საქართველოს მთის მოსახლეობაში. ეპოქალური თვალსაზრისით, მითი ღვთაება ნანას შესახებ დაკავშირებულია პოსტატლანტიდური, იბერიული ცივილიზაციის წარმოშობის ხანასთან, როცა იბერიული მოდგმის ხალხები დაიფანტნენ სხვადასხვა მიწაზე და მათი შეკრება მოხდა სწორედ დავით მეფის დროს, მითოლოგიური წინასწარმეტყველების თანახმად, საერთო მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წინ.

რაც შეეხება ლეგენდის შინაარსს, იბერიული მოდგმის ხალხებისთვის იგი ოდითგანვე ცნობილია – ქალღმერთ ნანას მოჰყავს თერთმეტი მგლის ლეკვი და ადამიანებს უტოვებს აღსაზრდელად. მგლის ლეკვები სხვადასხვა იბერიულ ქვეყანაში გაიფანტებიან იმ დრომდე, სანამ მათ არ ეუწყებათ შეკრების ჟამი გადამწყვეტ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

ეს გადამწყვეტი ბრძოლა კი არის დიდგორის ომი, სადაც ქართველებთან ერთად სხვა იბერიელებიც შეიკრიბნენ დავითის მთავარსარდლობით. ამიტომაც ფილმის დასაწყისშივე ევრაზიის რუკაზე ფოკუსირდება საქართველო, რაც საშუალებას აძლევს მაცურებელს, ვიზუალურად და წარმოსახვით, ზუსტად მიაგნოს იმ ქვეყანას, რომლის შესახებაც ფილმი უნდა ნახოს. რუკაზე ასევე აღნიშნულია საქართველოს დედაქალაქი თბილისი და მის მახლობლად – გადამწყვეტი ბრძოლის ადგილი და თარიღი – დიდგორი, თბილისის მისადგომები, 1121 წლის 12 აგვისტო.

ფილმის პირველივე კადრები მაცურებელში უნდა ბადებდეს იმის გარანტიას, რომ იგი ნახავს დრამატიზმით აღსავსე თავგადასავალსა და სიუჟეტს. სწორედ იმას, რაც მას ყველაზე მეტად უყვარს და ელოდება. ზემოთქმულის საფუძველი კი სწორედ პირველივე კადრებშია: ერთმანეთის პირისპირ დგანან საომრად გამზადებული ჯარები და ქართული ლაშქრის მეომრებს შორის სამარისებური სიჩუმეა. ხმაური და ყიჟინა (როგორც ეს მათთვის იყო დამახასიათებელი), მხოლოდ სელჩუკების

მხრიდან ისმის. სელჩუკური არმიის მეომრებს აღმოსავლური სამოსი და ისლამური დროშები ვიზუალურადაც დიდად განასხვავებს ქართველი მებრძოლებისაგან, რომლებსაც სამოსსა და დროშებზე (მოწინააღმდეგებისაგან განსხვავებით) ჯვრები და ქრისტიანული სიმბოლოები აქვთ გამოსახული.

სელჩუკების არმიის სილაღე და მხიარული განწყობილება მუსლიმ მოლაშქრეებს შორის გასაგებია – ისინი დარწმუნებულები არიან გამარჯვებაში, რადგან ქართველებს რიცხოვნობად საგრძნობლად აღემატებიან.

ქართველები კი გაუძნრევლად დგანან სწორედ იმის გააზრებით, რომ ეს ბრძოლა მათთვის გადამწყვეტია და ამ ბრძო-ლის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა სახეებზეც ეტყობათ. ამ სახეებს მაყურებელი ახლო, მსხვილი რაკურსით ხედავს და გრძნობს, რომ აქ ყველაზე სასტიკი და დაუნდობელი შეტაკება უნდა დაიწყოს. მაგრამ ბრძოლის დაწყებამდე, მეფის ნიშანზე, ქართველების ჯარის სიღრმიდან ორასამდე ბერულად შემოსილი ადამიანი გამოვა და მტრის შუაგულისაკენ დაიდრება. ისინი ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით მიუახლოვდებიან მოწინააღმდეგის მთავარ ბანაკს, სადაც მტრის მთავარსარდლები ეგულებათ და მტერსაც კიდევ ერთხელ გაუმტკიცდება რწმენა იმისა, რომ ქართველებიც მიხვდნენ თავიანთი მარცხის გარდაუვალობას და მტერთან მოსალაპარაკებლად უიარაღო ბერები გაგზავნეს. როცა ქართველ ბერებსა და სელჩუკური არმიის მეწინავეებს შორის მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი რჩება, ფილმი წყდება და ეკრანი ტიტრებს ეთმობა. ტიტრები ჩნდება მაშინ, როცა მაყურებელი აღმოაჩენს, რომ ბრძოლისათვის უკვე განეწყო, მაგრამ ფილმი სწორედ იმის შესახებაა, თუ როგორ მივიდა მეფე დავითი და საქართველო ამ ბრძოლამდე, ამ გამარჯვებამდე და ამიტომაც ტიტრების შემდეგ ჩნდება თარიღი – `1087 წელი~ და მაყურებელი დროში უკან ბრუნდება – დანგრეულ და განადგურებულ საქართველოში.

თუმცა, სანამ მკითხველთან ერთად ჩვენც დავბრუნდებით 1087 წლის საქართველოში, გვსურს, კომენტარი გავუკეთოთ სცენარის ტექსტს ფილმის დასაწყისშივე და განვუმარტოთ მკითხველს, რა პრინციპით ვმუშაობდით ამ სცენარის შესაქმნელად და რატომ მივიჩნევთ აუცილებლად კინორომანისათვის კომენტარების გაკეთებას.

საბედნიეროდ, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ისტორიულ წყაროებში არცთუ მცირე მასალაა დავით აღმაშენებლისა და მისი ეპოქის შესახებ, რაც უპირველესად განპირობებულია იმდროინდელი ჯვაროსნული ომებითა და მაშინდელი ევროპელების განსაკუთრებული ყურადღებით საქართველოსა და ჩვენი მეზობელი ქვეყნების მიმართ, სადაც საბრძოლო მოქმედებები წარმოებდა. ევროპელ ავტორთა გარდა, გასაგები მიზეზების გამო, დავით აღმაშენებელი, როგორც მეფე და პიროვნება, ცხოველ ინტერესს იწვევდა აღმოსავლეთის ისტორიკოსებს შორისაც და იშვიათია იმ ეპოქის ჟამთააღმწერელი, რომელსაც გაკვრით მაინც არ ჰყავს ნახსენები

ქართველი მეფე. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ავტორები აღწერენ დავითის მიერ გადახდილი ომების პერიპეტეიებსაც და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჩვენთვის უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან დეტალებსაც კი.

ჩვენც უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობითა და მონდომებით, გულდასმითა და ყურადღებით ვეცნობოდით ისტორიულ წყაროებს და ვიღებდით კონსულტაციებს როგორც ისტორიკოსებისაგან, ასევე იმ მკვლევარ-მეცნიერებისგან, ვისაც შეეძლო, მაქსიმალურად დაგვხმარებოდა ჩვენთვის სასურველი ეპოქის აღდგენაში მრავალი მნიშვნელოვანი დეტალის გათვალისწინებით.

ჩვენ გავითვალისწინეთ ქართველ ხალხში არსებული სტერეოტიპიც ისტორიული მეხსიერებისა და შევეცადეთ, გავთავისუფლებულიყავით დოგმატური დამოკიდებულებისაგან, როგორც ზოგადად ჩვენი წარსულის, ასევე კონკრეტული ისტორიული პირების მიმართ და ამიტომაც გადავწყვიტეთ, შეგვექმნა სცენარი დავით აღმაშენებლის, არამხოლოდ როგორც მეფისა და წმინდანის, არამედ ადამიანის შესახებ, რომელიც გმირი გახდა. ჩვენთვის საინტერესო იყო სწორედ პროცესი, რომელიც წინ უსწრებდა სტერეოტიპის შექმნას, გვსურდა იმ დავით მეფის ცხოვრების აღწერა, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოებში არ ისწავლება. თუმცა ჩვენ ბავშვობიდან გვასწავლიდნენ, რომ აღმაშენებელზე ძლიერი და სახელოვანი, ბრძენი და წარმატებული მეფე საქართველოს არ ჰყოლია, მაგრამ მაინც გვინდოდა, მკითხველსა და მომავალ მაყურებელთან ერთად სწორედ ის გზა გაგვევლო, რომელიც დავით მეფემ განვლო დანგრეული მემკვიდრეობიდან ისეთ საქართველომდე, რომელიც უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ – წარმატებული ქვეყანა. ასეთი წარმატება, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, საქართველოში აღარ განმეორებულა და ჩვენი მომავალი ფილმის იდეაც, უპირველესად, სწორედ ზემოთქმულმა განაპირობა, რადგან ჩვენი ღრმა რწმენით (ოპონენტებისაგან განსხვავებით), მიგვაჩნია, რომ ამ ფილმის გადაღება სწორედ დღევანდელი საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი და სწორედ ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება ჩვენი ისტორიის საუკეთესო გაკვეთილები საუკეთესო სახელმწიფოს შესაქმნელად. ჩვენი აზრით, საკუთარი ისტორიის საუკეთესო და საამაყო ფურცლებს უნდა ვეცნობოდეთ არა როგორც მუზეუმის ექსპონატებს, არამედ როგორც გამოცდილებას, რომელიც სახელმძღვანელო უნდა იყოს ძლიერი სახელმწიფოს ფორმირების გზაზე. ასეთი გამოცდილება კი საქართველოში ნამდვილად არსებობდა სწორედ იმ ფასეულობებზე დაფუძნებული, რომელიც თანამედროვე და ცივილიზებულ საზოგადოებათა მთავარ საყრდენს წარმოადგენს. დღევანდელი ძლიერი სახელმწიფოები ამაყობენ მეოცე საუკუნეში მიღწეული წარმატებებით, ჩვენ კი ასეთი სახელმწიფოს შექმნა რამდენიმე საუკუნით ადრე შევძელით და შემდეგ კი, სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, სახელმწიფოსათვის საჭირო, აუცილებელი ნიშან-თვისებებიც კი დავკარგეთ. დავკარგეთ უნარ-ჩვევებიც, რომელთა გარეშე ძალიან ძნელია სახელმწიფოებრივ წარმატებაზე ოცნებაც კი, და

იძულებულები ვართ, სხვებისაგან ვისწავლოთ ის, რაც მათზე გაცილებით ადრე ვიცოდით. ჩვენ გვქონდა გამოცდილება, რომელმაც განაპირობა ქართული სახელმწიფოს ოქროს ხანა, მაგრამ ამ ეპოქის შექმნას წინ უძღოდა არამხოლოდ შრომა და ცოდნა, არამედ ბრძოლაც, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, და აღმაშენებლის სახელის გაიგივებაც დიდგორის ომთან შემთხვევითი სულაც არ არის. ვისაც ჩვენი ისტორიის ფურცლები გულდასმით წაუკითხავს, მათთვის ცნობილია, რომ ჩვენი ისტორიის მთავარი გამარჯვების მთავარი შემოქმედი დავით მეფე, ხოლო დიდგორის ბრძოლა ქართული მხედრობის სიმამაცისა და აზროვნების გვირგვინია. ჩვენი ფილმიც სწორედ ამ ბრძოლით იწყება და, რასაკვირველია, ასეთი დასაწყისიც არ არის შემთხვევითი, რადგან როცა ქართული და სელჩუკური ჯარები 1121 წლის აგვისტოში დიდგორის ველზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, შეტაკების დაწყებამდე არავინ იცოდა, თუ როგორ გასრულდებოდა ეს ომი – ომი, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ბედი და არსებობა გადაწყვიტა. ყოფნა-არყოფნის და გადარჩენა-განადგურების საკითხი ამ ბრძოლის წინ იმდენად მძაფრი და საგრძნობი იყო, რომ დიდგორთან დაბანაკდნენ არამხოლოდ ისინი, ვისაც უნდა ებრძოლა, არამედ ისინიც, ვინც მაშინდელ ისტორიას წერდნენ, ამიტომაც არსებობს დიდგორის ომის რამდენიმე წყარო, რომლებშიც ამ ბრძოლის უმნიშვნელო დეტალებიც კი, სხვადასხვა ავტორის მიერ აღწერილი, ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ არის მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც განსხვავებულად ჰყვებიან ჟამთააღმწერლები.

ყველა მემატიაზე ადასტურებს, რომ ომის დაწყებამდე ქართველების ლაშქარს გამოეყო დაახლოებით ორასამდე ადამიანი, რომლებიც მოწინააღმდეგის მთავარი ბანაკის მიმართულებით დაიძრნენ; მტერთან მიახლოებისთანავე ისე-თი მოულოდნელი თავდასხმითი შეტევა განახორციელეს, რომ სელჩუკების უზარმაზარ ლაშქარში საშინელი პანიკა და არეულობა გამოიწვიეს; ამ თავგანწირულმა დასაწყისმა განაპირობა კიდევ დიდგორის ომში ქართველების გამარჯვება. მაგრამ მემატიაზეებში აზრთა სხვადასხვაობაა იმ თავგანწირული ადამიანების ვინაობასთან დაკავშირებით, რომლებიც ქართველების ლაშქარს გამოეყვნენ და ისინი ისე ახლოს მიუშვეს სელჩუკებმა, რომ მათ შეძლეს კოალიციური არმიის მთავარსარდლის, ილღაზის დაჭრაც კი. ევროპელი ავტორები (გასაგები მიზეზების გამო) წერენ, რომ ისინი იყვნენ ევროპელი ჯვაროსნები, მაგრამ დაუჯერებელი და გაუგებარია, სელჩუკებს ასე ახლოს მიეშვათ ჯვაროსნები, რომლებთანაც დაუნდობელ და სასტიკ ბრძოლაში ჩაბმულიყო თითქმის მთელი მუსლიმური სამყარო. ან რატომ დაიჯერებდნენ სელჩუკები, რომ ბრძოლის წინ ჯვაროსნებმა უცებ გადაწყვიტეს დაუძინებელი მტრების მხარეს გადასვლა, ან რატომ გაუშვებდა მთავარი და გადამწყვეტი იერიშის მისატანად დავით აღმაშენებელი ჯვაროსნებს, რომლებიც სელჩუკების სახელოვან სარდალ ილღაზს რამდენჯერმე ისე სასტიკად ჰყავდა დამარცხებული, რომ ორასი ჯვაროსნის გამოჩენა დიდგორის ველზე პანიკასა და არეულობას ნამდვილად არ გამოიწვევდა ასეულ ათასობით სელჩუკს შორის. არსებობს ვერსია, რომ ის მეწინავე ორასი ქვეითი იმიტომ მიუშვეს სელჩუკებმა ასე

ახლოს, რომ ისინი იყვნენ თრიალეთელები, ანუ ლიპარიტ ბაღვაშის ყოფილი მოლაშქრეები, რომელთაც გადაწყვიტეს სელჩუკების მხარეს გადასვლა იმის გამო, რომ მათი ყოფილი ბატონი დავით მეფემ საქართველოდან გაძევებით დასაჯა. ცოტა რთული და აბსურდულია იმის დაჯერება, რომ დანარჩენი ქართველებივით ჩაცმულ-აღკაზმული, მსგავსი იერისა და გარეგნობის მქონე ადამიანები, რომლებიც ქართველებს გამოეყვნენ და მტრებისკენ გაემართნენ, ამ უკანასკნელთ ავარაუდებინებდა, რომ ისინი მოწინააღმდეგეების მხარეს აპირებდნენ გადასვლას.

არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც ის ორასი მეწინავე მოლაშქრე ყივჩაყური მოდგმისა იყო და ამიტომაც ეგონათ სელჩუკებს, რომ ისინი ქართველებს ღალატობდნენ, რაც ასევე საეჭვოა რამდენიმე მიზეზის გამო, უპირველესად კი ზემოთქმულს თავად ქართველი მეფის გადაწყვეტილებაც ადასტურებს: დავით აღმაშენებელს ამ დროისათვის საქართველოში ჩამოსახლებული ჰყავდა ორმოცი ათასი ყივჩაყი მეომარი, მაგრამ დიდგორზე საბრძოლველად გამოიყვანა მხოლოდ მათი ნაწილი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ დიდგორის ომში გამარჯვებას სჭირდებოდა მისი მნიშვნელობის ზუსტი და ბოლომდე გაცნობიერება, რაც დაქირავებულ მეომარს, გასაგები მიზეზების გამო, უბრალოდ არ შეეძლო. ამიტომაც მთავარი აქცენტი გაკეთდა სწორედ ქართველებზე, რომლებსაც უკან დასახევი გზა (ყივჩაყებისაგან განსხვავებით) არ ჰქონდათ, რადგან ეს იქნებოდა მათი უკანასკნელი ბრძოლა, თუ ისინი დამარცხდებოდნენ და არსებობს კიდევ ერთი უბრალო მიზეზიც, რომელიც ჩვენი ვერსიის სისწორეში გვარწმუნებს. მიუხედავად იმისა, რომ ყივჩაყები, ისევე, როგორც სელჩუკები, ოღუზები და სხვა თურქმანული მოდგმის ტომები, კავკასიასა და ანატოლიაში შუა აზიიდან მოვიდნენ, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, მათ შორის იყო ეთნიკური და რასობრივი სხვადასხვაობა და ისტორიული წყაროებიც ყივჩაყებს აღწერენ როგორც არატიპური მონღოლოიდური რასის წარმომადგენლებს. სწორედ ამის საფუძველზე არსებობს ვარაუდი (სამეცნიერო წრეებში) მათი უნგრო-ფინური ეთნოჯგუფის ანალოგიური წარმოშობის შესახებ. ასეც რომ არ იყოს, ჩვენი ვერსია, გარდა ისტორიული წყაროებისა, ეყრდნობა ლოგიკასა და კინოსპეციფიკის საფუძველს, რომელმაც გვიკარნახა გადაწყვეტილება და ჩვენს მომავალ ფილმში ორასი თავგანწირული ადამიანი, რომლებიც უყოყმანოდ შეეწირნენ დიდგორის გამარჯვებას, ქართველი ბერები არიან. ისინი იყვნენ ბერები, მაგრამ იყვნენ ფიცის ბერები – ქართული საბრძოლო ილეთების უზადოდ მცოდნე მეომრები, რომლებიც მშვიდობიანობის დროს მშვიდად აღასრულებდნენ საბერო მოვალეობებს იმ მონასტერში, რომელზეც პირადად ზრუნავდა დავით აღმაშენებელი. სწორედ დავით მეფის სურვილითა და ბრძანებით, მონასტერში არსებობდა სკოლა, სადაც ამზადდებდნენ ბერებს სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისიების შესასრულებლად. დიდგორის ომშიც ყველაზე მნიშვნელოვანი მისიის შესრულება დავით აღმაშენებელმა ქართველ ბერებს მიანდო და მისი არჩევანი და გადაწყვეტილება ყველაზე ოპტიმალური და ზუსტი აღმოჩნდა.

დილით, შეტაკების დაწყებამდე, როცა სელჩუკებმა მათთვის ჩვეული ბრძოლისწინა, საშინელი ყიჟინა დასცეს საკუთარ გამარჯვებაში წინასწარ დარწმუნებულებმა, სიჩუმეში გარინდებულ ქართულ ლაშქარს მეფის ნიშანზე ორასამდე ბერი გამოეყო, რომლებიც მოწინააღმდეგის მთავარი ბანაკისკენ წელი, აუჩქარებელი ნაბიჯით დაიძრნენ. ბერულად შემოსილი, ორასამდე უიარალო ქართველი, რომლებსაც გარეგნულად მხოლოდ სამშვიდობო მიზანი ეტყობოდათ, დაუბრკოლებლად მიაუახლოვდნენ სელჩუკების მთავარსარდალ ილღაზის კარავს, რადგან მტერი დარწმუნებული იყო, რომ უიარალო ბერები მხოლოდ სამშვიდობო მისიით, სათათბიროდ მიიწევდნენ მთავარსარდალისკენ და სელჩუკები (რაოდენობრივად) იმდენად აღემატებოდნენ ქართველებს, რომ ყველაფერს წარმოიდგენდნენ, გარდა იმისა, რაც მოხდა. ყველაფერი კი იმდენად სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ მოწინააღმდეგის ლაშქარში დაწყებულმა პანიკამ და არეულობამ გადაწყვიტა კიდეც ამ ბრძოლის ბედი. ილღაზის უახლოეს გარემოცვასთან მიახლოებისთანავე ქართველმა ბერებმა ისე მოულოდნელად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგეზე, რომ თვით ილღაზის დაჭრაც კი შეძლეს. ბერებმა გამოიყენეს იარაღი, რომელსაც სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის ამზადებდნენ ქართველები. ბერული სამოსის შიგნით, წელზე შემოხვეული დრეკადი ხმლების დანახვა მტერს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, ისევე, როგორც ზურგში ჩამალული იარაღისა; ბერებმა საბრძოლველად გამოიყენეს წვრილი ხევესურული ხმლე-ბიც, რომლებიც, ერთი შეხედვით, მხოლოდ საბერო ჯოხი-საყრდენი გეგონება და სინამდვილეში ქარქაშს წარმოადგენს, რომლიდანაც სელჩუკების დამარცხება ამოვიდა.

ქართველების გამარჯვება კი ამ ბრძოლაში იმდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ფილმი სწორედ დიდგორით დავიწყეთ; თუმცა ამ გამარჯვებამდე საქართველომ და მისმა მეფემ დავით აღმაშენებელმა რთული და ხანგრძლივი გზა განვლეს და ჩვენი მკითხველიც ამ გზას გაივლის. ალბათ უამრავი შეკითხვაც გაუჩნდება, მაგრამ ამ წიგნის მიზანიც სწორედ ეს არის – მოვისმინოთ და გავითვალისწინოთ იმ ადამიანების შენიშვნები და სურვილები, ვისაც ჩვენი დახმარება სურს მანამ, სანამ ფილმის გადაღება დაიწყება.

ჩვენი წიგნი კი იწყება გზაჯვარედინით, რომელიც იყო და არის ჩვენი ისტორიის თანამდევი სუბსტანცია...

## გზაჯვარედინი

1087 წელს, როცა ეს ამბავი დაიწყო, ანატოლიასა და მცირე აზიას, სპარსეთსა და თითქმის მთელ არაბეთის ნახევარკუნძულს სელჩუკი ამირები მართავდნენ.

სწორედ იმ წელს, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, ერთ მტვრიან გზაჯვარედინზე, ძალიან ახლოს ქართულ მიწებთან, ერთმანეთს ოთხი ამირა შეხვდა. ოთხივეს თავისი ლაშქარი ახლ-და თან. მისალმებისა და ერთმანეთის მოწიწებით მოკითხვის შემდეგ პირველი, ვინც სიჩუმე დაარღვია, ამირა აიაზი იყო:

– საიდან მობრძანდება ბრწყინვალე ამირა აჰმედი?

ამირა აჰმედმა ამირა აიაზის შეკითხვას სწრაფად და ამაყად უპასუხა, მაგრამ ეს პასუხი დანარჩენების გასაგონადაც იყო ნათქვამი:

– ჩვენ ქართველების ქვეყანა დავლაშქრეთ და ახლა შინ ვბრუნდებით.

ამირა აიაზმაც არამხოლოდ ამირა აჰმედისთვის თქვა:

– ჩვენ კი მხოლოდ ახლა ვაპირებთ რომელიმე ურჯულოთა მიწების დახარკვას.

– ჩვენც ახლა დავტოვებთ სახლები და იმ მდიდარ ქვეყანას ვეძებთ, რომლის განძსა და ძვირფასეულობას ჩემი მამაცი მეომრები გულუხვად გაიყოფენ, – თავისი სათქმელი თქვა ამირა ბენჯუქმაც.

ამირა საჰამი კი, რომელიც ასაკით მათ შორის ყველაზე უმცროსი იყო, მოთმინებით დაელოდა თავის რიგსა და სა-თქმელს:

– ჩვენი სახლი და სამშობლო იქ არის, სადაც ჩვენი ცხვრები ძოვებენ და სადაც უკეთესი ბალახია, ჩვენც იმ მიწას ვეძებთ.

ამირა აჰმედს დაუფარავად გაეღიმა:

– მაშ, თქვენ ყველას საქართველოსკენ გქონიათ გზა და წარმატებაც მისურვებია!..

ამირა ბენჯუქსაც გაეღიმა, თუმცა შედარებით მოკრძალებულად:

– შენ ბრძანე, რომ ახლა სწორედ ქართველების ქვეყნიდან მოდიხარ, რომელიც დალაშქრე, და მაშ ჩვენ იქ აღარა გვე-საქმება.

ამირა აჰმედმა კი დინჯად განმარტა:

– ეგ ისეთი მდიდარი მიწაა, კიდევ ათას ერთი წელი რომ ვმარცვოთ ყველამ ერთად, გასამარცვი მაინც დარჩება...

ამირა აჰმედი დანარჩენ ამირებს ისევ მოწიწებით, თავის დაკვრით დაემშვიდობა და თავისი გზით წავიდა. დანარჩენი სამი ამირა კი, თავიანთ ლაშქრებთან ერთად, საქართველოსკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

ქართველმა მეფემ, გიორგი მეორემ მაშინ ზავი ითხოვა და თურქ-სელჩუკთა მელიქ-სულთანმა ქართველების მეფეს, თავის მხედრობასთან ერთად, სულთნის ლაშქარში ბრძოლა უბრძანა. გიორგი მეფეს სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან მისი ქვეყანა მტრისაგან ერთიანად დანგრეული, გაპარტახებული და განადგურებული იყო.

სწორედ იმ წელს თოთხმეტი წელი შეუსრულდა გიორგი მეფის ძეს, უფლისწულ დავით ბაგრატიონს, რომელიც ჯერ არ ჩქარობდა სახელმწიფო საქმეებში ჩარევას და ქვეყანასაც მამამისი მართავდა. მართალია, მამა-მეფე საკმაოდ წარუმატებელი



მმართველი იყო, მაგრამ ამას, სუბიექტური მიზეზების გარდა, ობიექტური საფუძვლებიც ჰქონდა.

უფლისწული დავითიც ჯერჯერობით მდინარეზე ხელობით იქცევდა თავს ძუძუმტეებთან და ბავშვობის მეგობრებთან ერთად. იმ დღესაც ბივრიტელისას ფაცერებს წნავდნენ, როცა ციხის ნანგრევის მხრიდან შულია გამოჩნდა. ბივრიტელივით, შულიაც დავითის ძუძუმტე იყო, მაგრამ ბივრიტელისაგან განსხვავებით, შულია დიდგვაროვან ოჯახში არ დაბადებულა და ფხოვში გაიზარდა.

– ისეთი ლამაზები არიან, რო ზღაპარი ეგონება კაცსა, – იყვირა შორიდანვე. შულიას ხმის გაგონებაზე, დავითსაც და ბივრიტელსაც გულიანად გაეცინათ.

– თქვენ კიდე თევზებსა სდიეთ, მაინც ეგ გირჩევენიათ.

ახლაც ორივეს გაეღიმათ, თუმცა შულიასათვის არცერთს არ უპასუხია. ბივრიტელმა კი მდინარეში ფაცერი ჩადგა.

– არადა აქვე არიან, გადაღმა ჭალაში.

– ბანაობენ? – მხოლოდ ახლა მიაქცია ბივრიტელმა შულიას ყურადღება და შულიასაც თვალები კიდევ უფრო გაუბრ-წყინდა.

– გაინძერით, თორე მთელი დღე იქ ხო არ დარჩებიან, ერთხელ მაინც შევხედოთ.

დავითმა კი მხოლოდ ახლა უპასუხა შულიას და თანაც ღი-მილით:

– ვიცი შენი ლამაზების ამბავი, მეჯინიბის ქალი იქნება მდინარეზე ჩამოსული.

შულიამ ხელი ჩაიქნია და ბივრიტელს გასძახა:

– წამო ჰა, მარტო უნდა მაყურებინოთ? შენ წამომყე და ესეც წამოვა.

ბივრიტელი მდინარიდან გამოვიდა, დავითს თვალი ჩაუკრა და მერე სამივენი ტყეში უხმაუროდ ავიდნენ, თუმცა შულია გზაშიც არ ისვენებდა:

– თავს უნდა დავუაროთ, ზემოდან...

ზემოდან დაუარეს და სამივენი საფარშიც ჩაწვნენ, მაგრამ მეორე ნაპირზე ძლივს მოჩანდა მობანავე ქალების კაბები. შულია მაინც არ ჩერდებოდა:

– მეჯინიბის ქალი აი, ის არი, აგე, ტოტები რო ეფარება...

დავითს კი ისევ ეღიმიებოდა, როგორც ბივრიტელს, როცა შულია აღარ მოიშლიდა ხოლმე ბავშვურ ლაღობას და ესენიც არ უშლიდნენ, ან კი რატომ უნდა დაეშალათ, როცა ჯერ სულ თოთხმეტი წლისანი იყვნენ და მძიმე და სასტიკი წუთისოფელი ჯერ შორს იყო.

– შენ რო მეფე შეიქნები და მე შენი ვეზირი, გამოგართმევ მაგ მეჯინიბის ქალს, წავიყვან და გავაჭენებ, გადავატარებ აიმ მთებსა და...

შულიას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა უფლისწულისთვის, მაგრამ ბივრიტელმა შეაწყვეტინა:

– და შირვანისკენ გააქანებ?

– შირაზისკენ მირჩევნია, ისეთი ბაღები აქვთ, სიცხეს ვერცა გრძნობს თურმე კაცი... შევაშინო?

შულიამ კენჭი შეათამაშა ხელში, თუმცა ქალების შეშინება აღარ დასჭირდა, რადგან დაფეთებული გოგოები ისედაც კივილით გაიქცნენ. მათი შიშის მიზეზი მოულოდნელად გაწითლებული წყალი აღმოჩნდა. მდინარეს ბიჭებიც ყურადღებით დააკვირდნენ და სწორედ ამ დროს საფარში ჩაწოლილმა შულიამ კისერზე მირნელის კვერთხი იგრძნო.

– ყოველგვარი ბოროტების სათავევ, ღრიანკალო და სულო ცოდვილო!..

მოდვარმა მირნელმა ისე დაახასიათა შულია, რომ დავითი და ბივრიტელი მაშინვე ფეხზე წამოხტნენ და თავები ჩაქინდრეს.

შულია კი ხმაურით დაუძვრა მირნელს და განზე გადაგორდა.

– მეფემ ჩვენი წაყვანა არ ისურვა, ასეთ ყმაწვილებს ჯერ ომში არა გესაქმებათო...

მოდვარმა ბივრიტელს სიტყვა არ დამთავრებინა და უფლისწულ დავითს მიმართა:

– მეფე დაბრუნდა, შენ მოგიკითხა.

– მეფე დაბრუნდა?

– დაბრუნდა, – გაიმეორა მირნელმა და ბიჭებმა ერთმანეთს გაოცებულებმა გადახედეს.

– მერედა ალყა... ალყა მოხსნა?

მირნელმა დავითს არ უპასუხა და სამივეს კი თავით ანიშნა, მოძვარს უკან გაჰყოლოდნენ.

– დაბრუნდებოდა, ირმის მყვირალობა იწყება, – მაინც წამოიძახა შულიამ და მირნელმაც კვერთხი მოუღერა:

– შენც იმიტო გიხურს არა, ეგ საოხრე სამალავები?!..

ქვის გაღერებაში სახლთუხუცესი მოაბიჯებდა, რომელსაც უკან მოჰყვებოდნენ დავითი, ბივრიტელი, შულია და მირნელი. სახლთუხუცესს, როგორც ეს სასახლეებში

ხდებოდა ხოლმე, გა-მორჩეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმა ჰქონდა, რაც სამეფო კარზე შთაბეჭდილებასაც ახდენდა, მაგრამ არა უფლის-წულსა და მის მეგობრებზე, რადგან, რაც მეტი მონდომებით ყვიროდა სახლთუხუცესი, მით უფრო სასაცილო ხდებოდა მათთვის:

– უფლისწული მობრძანდება! უფლისწული მობრძანდება!..

სახლთუხუცესი თაღქვეშ შევიდა, სადაც მხოლოდ დავითი შეჰყვა, სხვები გარეთ დარჩნენ.

– რა ხმა აქვს ამ ჩვენს სახლთუხუცესს, ღვინოს გულზე დაგაყენებს. მეფეს ახლა ალბათ ღვინის ფიალა უჭირავს, ეს კიდე არ აცლის, – ჩურჩულით თქვა შულიამ და მირნელმაც მაშინვე, კიდეც ერთხელ მოუღერა კვერთხი.

– არ უჭირავს, თუ ქორი არ უზის მკლავზე, – მაინც არ გა-ჩერდა შულია და მოძღვარმა ახლა ფეხზე დააჭირა კვერთხი. შულიამ სიმწრისგან ამოიგმინა.

დავითი ვიწრო ტალანიდან შევიდა ოთახში, სადაც მამა-მეფე მისგან ზურგით იდგა და ისრებს ფხეკდა თვლებ-შემკული ხანჯლით. მეფეს მოღეღილი ანაფორა ეცვა და თმა და წვერი გაჩეჩილი ჰქონდა. დავითი რომ დაინახა, გიორგიმ კისერზე მკლავი მოავლო მას, ღონივრად მიიკრა მკერდზე და შუბლზე აკოცა.

– მინდვრის სუნი გაქვს, კარგი სუნი, – უთხრა მეფემ შვილს, რომელიც მდუმარედ, თავჩალუნული იდგა.

– აემ ისრებს შენთვისა ვფხეკ, ტყე მოგველის, ირმები ყვირიან და ყველას ტყე მოგველის...

მეფემ მშვილდი აიღო, მივიდა სარკმელთან და მოზიდა.

– აქ მოდი, მოდი და უყურე, უყურე ამის სვლას ცაში. ეგ მოფხეკვა თომამ მასწავლა, იცი თომა? თომა იცი?..

დავითმა არაფერი უპასუხა მამას, მეფემ კი მშვილდი მოზიდა მთელი ძალით და ისარი გაისროლა.

– უყურე, უყურე, თუ მისწვდა ვინმეს ტყეში, – თქვა რაღაც ბავშვურად გახალისებულმა მეფე გიორგიმ, მშვილდს ახალი ისარი მოარგო და ისევ სარკმელს გახედა. სწორედ ამ დროს დედოფალიც შემოვიდა, რომელსაც დედოფლის კვალობაზე საკმაოდ მოკრძალებულად ეცვა და იმდენად ასაკოვანი არ იყო, რამდენადაც დარდისაგან გატეხილს უფრო ჰგავდა.

მეფე მშვილდმომართული შემოტრიალდა, დედოფალმა კი უნებლიეთ შეჰკივლა. მეფემ ხმამაღლა გაიცინა:

– აგე, ფურირემი მომივიდა შინა...

– არ მოგელოდით დღეს, – უთხრა დედოფალმა მეუღლეს, მეფემ კი გააგრძელა:

– და არც ხვალ, არცა ზეგ და არც არასდროს...

– ალყის ამბები მომდიოდა, – გააწყვეტინა მეფეს, – ვლო-ცულობდი შენთვის, გულმხურვალედ.

მეფემ მშვილდი დაუშვა, იქვე, მაგიდაზე მიაგდო და დავითს მიმართა:

– ისწავლე, რომ ალყას მაშინ აქვს ფასი, როცა გაიხედავ და მარცხნივ შენიანი გიდგას, გაიხედავ მარჯვნივ და იქაც შენიანი გიდგას, უკან მიიხედავ და ისევ შენიანს დაინახავ. მტერი კი წინ არის. სელჩუკებმა ჯარი მომცეს და ციხეებზე მალაშქრეს. სელჩუკით ვერ მივალ მე ჩვენს ციხეებზე, კახელებს იმათი ჯარით ვერ მოვარბევ. მივატოვე და წამოვედი...

– ამ გულით სულაც არ უნდა წასულიყავი, – თავისთვის თქვა დედოფალმა, მეფემ კი მაინც უპასუხა:

– ჯარს თუ არ გამოვართმევდი, აქეთ მოუშვებდნენ იმ ჯარს და, ესეც არ იყოს, ირმის მყვირალობა დაიწყო. მეფემ კი უნდა ინადიროს ამ დროს.

ახლა კი დედოფალმა პირდაპირ ჰკითხა:

– რა ნახე იქით?

– ტყე და ნადირი, სულ ტყე და ტყე. ყველაფერი წაიღო ტყემ.

მეფე მაგიდაზე მიგდებულ ტიკჭორას მისწვდა, ფიალაში დაისხა და შესვა.

– ვაზიც აღარ არის, აღმოსავლეთ საქართველო ტყემ შეჭამა...

მერე კვლავ დააპირა ფიალის შევსება. დედოფალი ოთახიდან აჩქარებით გავიდა.

– ვინ დანიშნა დედოფალი ჩემს მოძღვრად? – ჰკითხა მეფემ უფლისწულს და მერე ამ კითხვას თვითონვე უპასუხა:

– ალბათ მე დავნიშნე...

მერე საბაზიერო ხელთათმანი მოირგო მარჯვენა ხელზე და მარცხენა ხელით ვაჟიშვილს თავისკენ მოუხმო:

– ახლოს მოდი, რომ ჩიტებს ველაპარაკოთ...

უფლისწული საყვარელ ცხენს ეფერებოდა, როცა საჯინბოში არაბიძე მინდობაი შემოვიდა, რომელმაც დავითის წინ მუხლი მოიყარა. იქვე მყოფმა შულიამ და ბივრიტელმა ერთმანეთს გადახედეს. მეომრულად ჩაცმულ არაბიძეს ისიც ეტყობოდა, რომ ასაკით ამათზე უფროსი იყო, და უფლისწულმა პირდაპირ ჰკითხა:

– ვინ ხარ?

– არაბიძე მინდობაი, აზნაურთაგანი.

– მერე რაო, არაბიძე მინდობაი...

– სახლთუხუცესმა გამომგზავნა, მარცხნივ დაუდექი უფლისწულსაო...

– მაინცდამაინც მარცხნივაო? – გაიკვირვა შულიამ. უფლისწულმა კი მინდობაი წამოაყენა:

– უკვე ორთავ მხარეს მიდგანან, მე ვეტყვი სახლთუხუცესს, სხვაგან გაგამწესოს.

– მეფე-ბატონმა სწორედ ასე უბრძანა სახლთუხუცესს, – თქვა არაბიძემ გაუბედავად, შულიამ კი აღტაცებით წამოიყვირა:

– შენ ისა ხარ, მეფემ რო გიპოვა სამშვილდის ციხეზე?

მინდობაიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია დავითს. შულია კი უფრო მეტად ახმაურდა:

– აბა ის ქენი, რითაც მაშინ მეფე გააკვირვე.

არაბიძემ უხალისოდ ამოიღო სატევარი და შულიას შეხედა. შულიამაც ამოიძრო სატევარი და მაშინვე არაბიძეს შეუტია, თუმცა რამდენიმე შთამბეჭქდავი ილეთის შემდეგ არაბიძემ კუთხეში ისე მიაძწყვდია შულია, რომ მან თვალებით სთხოვა დახმარება დავითსა და ბივრიტელს. ხმალამოღებული ბივრიტელი მიეშველა კიდეც შულიას, მაგრამ არაბიძემ ახლა უკვე ორის წინააღმდეგ ბრძოლაც ისე ლაღად განაგრძო, რომ უფლისწულმა სამივენი სიცილით გააჩერა:

– სადაც გენებოს, იქ იდექი, არაბიძე მინდობაი, გნებავს მარცხნივ და გნებავს – მარჯვნივ!...

\* \* \*

მონასტრის ეზოში მდუმარედ მდგარ დავითს მოძღვარი ბერი გიორგი, რომელიც მისი აღმზრდელიც იყო ბავშვობაში, უფლისწულს აღმოსავლეთ საქართველოს ამბებს დაწვრილებით უყვებოდა:

– სულ ტყეა და ტყე, სელჩუკებს კარვები უდგათ. იმათ არაფერი იციან მიწისა და ვაზის, ყველაფერი გაჩეხილია, ყველგან ხარია, ძროხა და ცხვარი. სადაც იმათი კარვები დგას, სულიერი არ შეგხვდება; ივლი სამ დღეს, შვიდ დღეს და მხოლოდ ნადირი შეგხვდება. იქ ვანთებ სანთლებს ეკლესიებში, ჩუმად დამაქვს. ნახირი ჰყავთ ეკლესიებში. გალაგნები მოსწონთ, ნადირი რომ არ მივიდეს, – გიორგი გაჩუმდა, იქვე, საფლავის ქვისკენ თითი გაიშვირა და განაგრძო: – აი, აქ ვართ ჩვენ. ამას იქეთ სულ სელჩუკებია და ტყეა. ტყე, სელჩუკი და ნადირი. აქ თბილისია. ეს კიდეც არის დიდი

მთა სელჩუკებისთვის. სელჩუკებს ეშინიათ ამ მთის, მთა გვიცავს. ხალხი მხოლოდ აქეთ დარჩა, იქით ხალხი აღარ ცხოვრობს, კვამლიც აღარ ამოდის სახლებიდან. როცა იქით გადავდივარ, ისე მაცვია, როგორც გლეხს. ასე გლეხურად, ჩუმად მოვილოცე მცხეთაში ვახტანგ მეფის საფლავი.

– მამაჩემი ამბობს, რომ ყივჩაყები უნდა დაიხმაროს, იმათ გადმოიყვანს კავკასიონის მთებს იქიდან მალე და მოვერევით სელჩუკებს, – თქვა უფლისწულმა, მაგრამ გიორგიმ მაშინვე თავისი რჩევაც უთხრა თავის მოწაფეს:

– ყივჩაყების გადმოყვანამდე ჩვენი ხალხი უნდა დავაბრუნოთ სოფლებში, მთელი ქვეყანა ტყეებსა და კლდეებშია გახიზნული...

დავითმა მხოლოდ ახლა შეამჩნია მოძღვრის გულისპირზე ახალი, კოხტა ჯვარი და გიორგიმაც ღიმილით ახსნა:

– გზაზე ეგდო. ბევრ რამეს იპოვი იქ, ბევრი რამეა დატოვებული. აი, კიდეც რა ვიპოვე, ალექსანდრე დიდია...

გიორგიმ მონეტა ამოიღო ალექსანდრე მაკედონელის გამოსახულებით და უფლისწულს გაუწოდა:

– სახსოვრად გქონდეს.

დავითმა მადლობის თქმა ძლივს მოასწრო, რადგან გალავნის მხრიდან აქოშინებული შულია გამოჩნდა, რომელმაც გამარჯობაც კი არ თქვა, ისე დაიწყო ახალი ამბის მოყოლა:

– ჩემი თვალებით ვნახე მაგათი ბანაკი, სახლები ზედ ურმებზე დაუდგამთ, მაგრამ ჩვენებურ ურმებს არა ჰგავს მათი ურმები და არც თვითონ ჰგვანან არც არაბებს, არც თურქებსა და არც სპარსებსა...

– მაშ, სულ სხვა ხალხი ყოფილა, – სიტყვა შეაწყვეტინა დავითმა, მაგრამ შულიას გაჩერება არც ისე ადვილი იყო და შულიამაც გააგრძელა:

– მეც მაგას ვამბობ, რომ ეს ჩვენი ქვეყანა ყველა ჯურის სათარეშო გახდა. ერთი კია, რო ბევრნი არ არიან და არც მშვილ-დი უჩანთ და არც აბჯაროსანი ურევიათ ვინმე, მღერიან და ცეკვავენ. დათვის ბელი ჰყავთ და იმასაც აცეკვებენ.

გიორგის გაეღიმა:

– ჩვენს მიწაზე საცეკვაოდ ჯერ არავინ მოსულა. რაღაც დაგსიზმრებია, შულიავ, და გვატყუებ.

– მეგონა თუ მხოლოდ მეჯინიბის ქალსა ჰხედავდი სიზმრებში, – დავითსაც გაეღიმა, შულია კი უფრო გაცხარდა:

– ბოლო სიზმარი შარშანსწინეებზე ვნახე და იმის მერე აღარა დამსიზმრებია და თუ ფიქრობთ, რომ ხილვა მქონდა, აგერა, ბივრიტელსა ჰკითხეთ და უთუოდ დამერწმუნება, რომ არა ვცრუობ. ამ ჩემის დასაბრმავებელი თვალებით ვნახე, რო ერთ დედასა ძუძუ ჰქონდა ამოღებული, პირში ჩაეჩარა ბალღისთვისა, აწოვებდა თანა და თანაც ბურნუთსა ჰკრავდა მონდომებითა...

– მეც არა ვთქვი, რა მოცეკვავე დათვი აუტყდა-მეთქი? მალე ისე წაგახდენს ის მეჯინიბის ქალი, რომ ბებოშენიც დედიშობილა მოგელანდოს, – ახლა უკვე ხმამაღლა და გულიანად გაიცინა უფლისწულმა და ბივრიტელიც გამოჩნდა.

ბივრიტელსაც ჭალაზე ჩამომდგარი უცნაური ხალხის ამბავი მაშინვე მოაყოლეს:

– ეგენი მკითხავი და გულთმისანი ხალხია და ხელისგულებით სიკვდილ-სიცოცხლისა ყველაფერი გაეგებათ. სახიფათონი კი იმიტომ არ არიან, რომ იმათ მტრად მოკიდება არ იციან, არც ერთ ადგილასა და მიწაზე იციან დიდხანს გამღება და გაჩერება, ხვალ-ზეგ ბარგს შეკრავენ და წავლენ.

– თავისი ნებით? – გულწრფელად გაიკვირვა შულიამ.

ბივრიტელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. შულიამ ასე ადვილად მაინც არ დაიჯერა:

– ამ მიწას თავისი ნებით აქ მოსული ბევრი უნახავს, მაგრამ ამ ქვეყნიდან თავისი ნებით წასული – ჯერ არავინ...

დავითმა შულიას აღარ მოუსმინა და თვითონ მიმართა ბივრიტელს:

– მაინც რა ხალხია?

– ჰინდოთა ტომისანი არიან, ბოშად ცხოვრება უყვართ, მოხეტიალე და მომთაბარე ზნისა, არცა ხნავენ და არცა თესავენ, თავის სიმღერას იტყვიან, ხელისგულზე ბედს წაგიკითხავენ და ასე ირჩენენ თავსა.

– ჩვენს ხელისგულებზეც ჩვენი ბედი სწერია? – ახლა შულიამ იკითხა და საკუთარ ხელისგულებს დახედა, თუმცა პასუხს აღარ დაელოდა, ცხენს გადაევიდა და ჭალებისაკენ დანარჩენებს მიჰყვა.

გზა სწრაფად გაიარეს, მაგრამ მაინც ფრთხილად, აუჩქარებლად მიუახლოვდნენ მდინარის პირას გაშლილ ბანაკს, სადაც მხიარული განწყობა და სილაღე შორიდანვე იგრძნობოდა. ბოშები სტუმრებსაც მხიარულად შემოეხვივნენ. შულიას, ქალების დანახვისას, თვალები ისე გაუბრწყინდა, რომ დანარჩენებს გაელიმათ კიდევ. უცხო ტომის უცხოდ შემოსილი ქალები კი მონდომებით დააკვირდნენ სტუმრების ხელისგულებს და უფლისწულმა ერთ-ერთ მათგანს რამდენიმე მონეტა აჩუქა. საპასუხოდ ის ბოშა ქალიც დავითის ხელისგულს განსაკუთრებული მონდომებით დააკვირდა, თუმცა უფლისწულის ხელისგულის კითხვისას ნელ-ნელა შეეცვალა

მხიარული სახე და შეშინებულმა უკან-უკან დაიხია, თავის ენაზე ქართველებისთვის გაუგებარი რაღაც სიტყვა რამდენჯერმე გაიმეორა და გაიქცა. ყველანი შეშფოთდნენ, მაგრამ შულია ყველაზე მეტად ააღელვა ნანახმა და ძალიან ახლოს მივიდა უფლისწულთან, რომელიც ჯერ ისევ გაუნძრევლად იდგა. შულიამ ხმალი ამოიღო და უფლისწულს მიმართა:

– მიბრძანე და არც ერთს არ დავინდობ!

– წავედით, – თქვა დავითმა მშვიდად, ყველას გასაგონად, და წავიდნენ.

ბოშები კი შეშინებულები იდგნენ ისევ იქ, გულებზე ახუტებული ბავშვებით და ერთადერთი, ვინც უკან მაინც მოიხედა, შულია იყო. იგი ბოშათა ბანაკის სანახავად მაინც დაბრუნდა, თუმცა იქ აღარავინ დახვდა. შეშინებული თუ არა, გაოგნებული მაინც, ჭენებით დაეწია დანარჩენებს და ყველას ერთად უთხრა ის, რამაც ასე ძალიან გააკვირვა:

– ყველანი გაქრნენ, მარტო კოცონის კვალია დარჩენილი...

– ხომ გითხარი, თავისით წავლენ-მეთქი, – გაიმეორა ბივრიტელმა, – თანაც მგონი ეჩქარებოდათ.

– თუ სხვაგან მიეჩქარებოდათ, ჩვენს მიწაზე რაღას მოეხეტებოდნენ? – შულია კიდევ უფრო გაბრაზდა.

– აქ გზაჯვარედინია და საიდანაც უნდა მოდიოდე, ან საითაც უნდა მიდიოდე, ამ მიწას მაინც ვერ აცდები, – ახლა დავითი შეეცადა შულიას დამშვიდებას, მაგრამ ეს არც ისეთი ადვილი იყო. შულიამაც განაგრძო:

– თუ ეს ქვეყანა მათთვის გზაჯვარედინია, ჩემთვის სამშობლოა! – ისევ ხმალი ამოიღო და ალბათ ყველას გაეცინებოდა, ბივრიტელს რომ გზაზე მომავალი ხალხისკენ ხელი არ გაეშვირა:

– ვაჭართა ქარავანს ჰგავს, – ჩაილაპარაკა ბივრიტელმა და გზაზე მართლაც გრძელი, ერთი შეხედვითაც ვაჭრების ქარავანი მოიკლაკნებოდა აქლემებითა და ჯორებით.

ტვირთიც ბევრი უჩანდათ და ქარავანში ყველანაირი ჯურის ადამიანიც თვალშისაცემი იყო. შეიძლება ამიტომაც, ქარავანს კარგა მოზრდილი შეიარაღებული დაცვაც ახლდა, რომელიც მწყობრს გამოეყო და უფლისწულსა და მის მეგობრებს მიუახლოვდა. ალბათ მათი მეთაური იყო, ვინც გზის დათმობა მოთხოვა ბიჭებს, და შულიამაც საკმაოდ უხეშად უპასუხა:

– მერედა ვინ გიშლის, გაიარეთ! მეკობრი კი არა ვარ! მეფის ხალხი ვართ.



ქარავნის დაცვის მეთაურმა დანარჩენებსაც უნდობლად გადახედა, რადგან არც ბივრიტელის ხმაში იგრძნობოდა მათ მიმართ კეთილგანწყობა. უფლისწულმა კი სადაურობა ჰკითხა.

– ვაჭრებს ვაცილებთ ტფილისისკენ, – თქვა მთავარმა გამცილებელმა ცივად და მექარავნებს ხელით ანიშნა, გზა გაეგრძელებინათ.

– ამ ქარავანს ბოლო ტრაპეზუნტში ექნება, – გაელიმა შულიას, უფლისწული კი თბილისის ხსენებაზე გაირინდა, დაფიქრდა რამდენიმე წამით და მერე სხვებისგან შეუმჩნევლად შულია თავისკენ მოიხშო. როცა დავითი დარწმუნდა, რომ მათ არავინ უსმენდა, შულიას გაუბედავად ჰკითხა:

– ტფილისი თუ გინახავს?

– სიზმრებში როგორ არ მინახავს.

– ცხადში?

– ცხადში როგორ ვნახავდი, არაბებმა მამაშენს ტფილისი,

ჩვენხელა რომ იყო, მაშინ წაართვეს.

– გინდა ტფილისის ნახვა?

შულიამ პირი დაალო. კარგად ვერც მიხვდა, რისი თქმა უნდოდა უფლისწულს და ამიტომაც კითხვას ძალიან გულუბრყვილო გამომეტყველებით, კითხვითვე უპასუხა:

– ცხადში?

– ძველმანები იშოვე და თითო ხანჯალიც დაგვჭირდება. თუ გინდა, ვაჭრულად შევიპაროთ. მე და შენ...

შულია კარგა ხანს გაოცებული უყურებდა ძუძუმტე უფლისწულს, სანამ თვითონ დავითმა არ გამოაფხიზლა:

– რას მიყურებ: იმ ქვეყნის მეფე როგორ უნდა გავხდე, რომლის დედაქალაქიც თვალთ არ მინახავს?..

– შენი ჩრდილი ვიქნები, – უთხრა შულიამ უფლისწულს თითქმის ჩურჩულით, როცა მიხვდა დავითის საიდუმლო ჩანაფიქრს...

დავითი და შულია კარის გაღების მოლოდინში სხვა ვაჭრებთან ერთად თბილისის ალაყაფთან იდგნენ, როცა უფლისწული კენჭს დასწვდა, უცებ გადაყლაპა და გაკვირვებულ შულიას გაუღიმა:

– კენჭი აიღე და შენც გადაყლაპე.

– რატომ?

– ქართული წესია, თუ ქალაქში პირველად შედიხარ, კენჭი უნდა გადაყლაპო და წინაპრების ტრადიციას ჩვენც ნუ დავარღვევთ.

შულიამ გაუბედავად აიღო კენჭი და ისე შემში-ნებულმა გადაყლაპა, რომ ამკარად ეჭვი გაუჩნდა, უფლისწული ეხუმრა, თუ მართლა აუცილებელი იყო კუჭის ამდაგვარად შეწუხება.

ამასობაში თბილისის ალაყაფის კარი ფართოდ გაიღო და ვაჭრულად ჩაცმული დავითისა და შულიას წინაშე დაუჯერებელი სიჭრელისა და სილამაზის, მართლაც ზღაპრული ქალაქი გადაიშალა. ალაყაფიდანვე დაიწყო დიდი ბაზარი, რომელიც სავსე იყო ეგზოტიკური ხილითა და ძვირფასი ფართლეთით, და ამ საოცარ ბაზარში ათასგვარი იერისა და სამოსის ხალხი ირეოდა ენით აუწერელ ყაყანში.

იმ დროის არაბული თბილისი ტიპიური დიდი აღმოსავლური ქალაქი იყო შესაბამისი არქიტექტურითა და ეთნიური სიჭრელით, ხმაურითა და სიცოცხლის გამძაფრებული შეგრძნებით, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ქართული სოფლური ყოფისაგან და ამიტომაც დავითი და შულია, აქ აღმოჩენილი სამყაროს გამო კარგახანს გაოგნებულები იდგნენ.

მერე გაოცებულმა შულიამ მოზრდილ ხილს წაატანა ხელი, რომელიც მანამდე ნანახიც არ ჰქონდა არასოდეს. პირდაღებულ შულიას გამყიდველი მაშინვე დასაბრუნებლად დაეჯაჯგურა. შულიას გაეღიმა:

– ჩვენი მირნელის თავს არა ჰგავს? – წამოსცდა უნებლიეთ, მერე უფლისწულისთვის რაღაცის თქმაც დააპირა, მაგ--რამ მხოლოდ პირი დააღო, რადგან გვერდით ჩავლილმა ჩადრიანმა ლამაზმანმა თვალი ჩაუკრა და სანამ მას თვალს გააყოლებდა, ქალაქის იმავე ქუჩაზე აქლემიც გამოჩნდა ზღაზვნით და უზარმაზარი სპილოც. შულიაც დუმდა, ხმას არ იღებდა გაოგნებული და მიჰყვებოდა უკან დავითს, სანამ ერთი ფუნდუკის კართან არ შეჩერდნენ.

მეფუნდუკემ ორივეს იჭვნეულად შეხედა.

– ოთახი გვინდა, – თქვა უფლისწულმა.

– გადაიხადე და გექნება ოთახიც, ცხელი წყალიც, სადილიც და ღვინოც.

გამოფხიზლებულმა შულიამ ორი ცალი მონეტა დაანახა მეფუნდუკეს და ისიც მაშინვე გახალისდა:

– დაუჩქარეთ, ლოცვის დრო მოდის.

ფული გამოართვა და სტუმრებს შეუძღვა. მაღლა აიყვანა. ოთახში შესულმა მეფუნდუკემ დარაბებს ხელი ჰკრა და ოთახში მზის შუქი შემოვარდა. ფანჯრიდან ქალაქის შთამბეჭდავი ხედი გადაიშალა. დავითმა და შულიამაც დაუფარავად გაოცებულებმა გადახედეს თბილისს.

– აგე, აბანოები, – ხელი გაიშვირა მეფუნდუკემ.

– ცხელი წყალი პირდაპირ მიწიდან ამოდის? – იკითხა უცებ შულიამ და მეფუნდუკემ ჩაიცინა:

– მიხვალ და ნახავ...

შულიამ პირჯვარი გადაიწერა:

– ეშმაკისა არ იყოს.

მეფუნდუკემ კუმტად შეხედა შულიას და გავიდა.

გაღებული ფანჯრიდან კი ოთახში დარჩენილებისთვის მოულოდნელად, მუეძინის ხმა შემოვიდა.

ორივენი კარგახანს დუმდნენ, სანამ ისევ შულიამ არ ჩაახველა:

– აგე, როგორი ყოფილა.

– ჩვენი, ჩვენი იყო და ჩვენი იქნება, – თქვა უცებ უფლის-წულმა და ფანჯარა მიხურა.

გოგირდის ტფილისური აბანოს დიდ აუზში დავითი და შულია სხვებთან ერთად ისხდნენ, ოღონდ უფლისწული არ იმჩნევდა, რომ აქ პირველად იყო, შულია კი ბავშვივით დგაფუნობდა თბილ წყალში:

– რის ეშმაკი და ჯოჯოხეთი, სამოთხე ყოფილა...

იმ მობანავეებს, რომლებიც შულიას შემყურე ხმამაღლა იცინოდნენ, ერთ-ერთი მათგანი გამოეყო და შულიას მიუახლოვდა.

– საიდან ხართ? – ჰკითხა შულიას, მაგრამ უცნობს პასუხი დავითმა გასცა:

– შორიდან.

– კი, შორიდან ვართ, – დაამატა შულიამაც.

უცნობმა მხრები აიჩეჩა და გაბრუნებაც დააპირა.

– ნუ გვიწყენ, – მოუბოდიშასავით უფლისწულმა.

– არ გიწყენთ, ჩემზე შორიდან ვერ იქნებით.

– შენ მაინც საიდან? – მაინც ჰკითხა დავითმა და იმანაც რაღაც სიტბოთი უპასუხა:

– კორდობა.

– ეგ რა ქვეყანაა? – გაიკვირვა შულიამ. უცნობმა კი გააგრძელა:

– იქაც ამირა ზის.

– მაშ, ღიშპანელი ყოფილხარ, – გაუღიმა დავითმა.

ღიშპანელს აშკარად გაუხარდა, რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ უფლისწულმა დაასწრო:

– მერე აქ რა გინდა? ამსიშორეზე. წელიწადი მარტო სვლას უნდა.

– იბნ ფარიკის მსახური ვარ, ყადიმ აჩუქა ჩემი თავი და ორი წელი კიდევ დამრჩა. ორ წელიწადში თავს გამოვისყიდი სა-ბოლოოდ და ლეილს შევირთავ.

დავითს არა, მაგრამ შულიას კი გაეღიმა.

– დამელოდება. მამამისთან მორიგებული ვარ, – თქვა ღიშპანელმა შულიას ღიმილის საპასუხოდ.

– მაინც ბევრია ორი წელიწადი სიყვარულისთვის, – შულია უცებ დასერიოზულდა.

– მაინც დამელოდება, მეტსაც იცდიან ხოლმე.

– თუ უყვართ, იცდიან, – ეს უკვე დავითი იყო და მათ შორის იქ, სიყვარულზე, მეტი არაფერი თქმულა.

დავითი, ღიშპანელი და შულია დუქანში ისხდნენ და ღვინოს მიირთმევდნენ. ქართველი უფლისწული ყურადღებით უსმენდა ღიშპანელის მონათხრობს:

– სოვდაგრებმა ყველაფერი იციან და მეც იმათგან მოვისმინე, რომ ქართველებს მალე ახალი მეფე ეყოლება და მოელაპარაკებიან. ამათთვის სულ ერთია, ვინ იქნება ქართველების მეფე, რადგან არავისი ეშინიათ და ვისაც ვერ მოელაპარაკებიან, ყველას მოერევიან.

დავითმა და შულიამ ერთმანეთს გადახედეს, ღიშპანელმა კი განაგრძო:

– ეგრეა, ამ ქალაქმა ასე იცის – ყველას ისრუტავს. ჯადო აქვს. აი, თქვენ ვეღარ წახვალთ აქედან. თუ წახვალთ და, მაინც დაბრუნდებით.

გაიცინესავით და სმაც განაგრძეს.

– კარგად წავეყარენით ერთმანეთს, ღიშპანელო, – შულიამ მხარზე ხელი მეგობრულად მოხვია ახალშეძენილ დოსტს და შეუმჩნევლად გახედა მეზობელ მაგიდასთან მსხდომ მოქეი-ფეებს, რადგან წელან უკვე მოეჩვენა, რომ იმათგან ერთ-ერთი დავითისკენ აპარებდა თვალს. ისიც მოეჩვენა, რომ ის კაცი ძალიან ჰგავდა იმ ქარავნის მცველების მეთაურს, ამასწინათ გზაზე რომ გადაეყარნენ.

თუმცა სმა მაინც ისე განაგრძეს, რომ მათი უსაკობა არავის შეემჩნია.

– ცოტაც და, ბოლო ლოცვის მერე ყველა მიიძინებს და ჩემს ლეილსაც გაჩვენებთ, როცა სარკმელთან მოვა, – გაანდო ღიშპანელმა საიდუმლო თავის ახალ მეგობრებს. გარედან ისევ მუეძინის ხმა შემოვიდა.

– ესენი რატომ არ ლოცულობენ? – იკითხა დავითმა და ღიშპანელმა ესეც განმარტა:

– აქ ყველას თავისი რჯული აქვს და ხალხი აქ ამ ქალაქივით ჭრელია...

მერე, მოგვიანებით, როცა სამივენი ერთად იმ ჭრელი თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიუყვებოდნენ, შულიამ ღამის მეფარნე და განათებული ქალაქი გაიკვირვა:

– ამას უყურე, მთვარე არ ყოფნის...

მერე ქუჩა გადაჭრეს და იმ სახლის ღობესთან შეჩერდნენ, რომელზეც მათ ღიშპანელმა მიუთითა. თვითონ ღიშპანელმა კი რომელიღაც ფრინველის ხმაზე ორჯერ დაიკვილა.

სახლის სარკმელში ჯერ სანთელი გამოჩნდა, მერე კი ლეილი, რომლის სახესაც სანთელი ანათებდა ძალიან მკრთალად. ღიშპანელი ღობეზე აფორთხდა აღელვებული და ჰაეროვანი კოცნაც გაუგზავნა სატრფოს რაღაც სიტყვებთან ერთად.

– რას ხედავს ამ სიბნელეში, – გაიკვირვა შულიამ, – ანდა იმას რა ესმის?

როცა ღიშპანელი ღობიდან ჩამოხტა, სანთელიც მაშინვე ჩაქრა და შულიამაც ჩაიფხუკუნა.

– შენ მგონი სიყვარულისა არაფერი გცოდნია, – თქვა ღიშპანელმა ცოტა ნაწყენი ხმით და უფლისწულსა და შულიას ფუნდუკის კართან დაშორდა. მერე მაინც გაუღიმა ორივეს და დაემშვიდობა:

– ხვალ გნახავთ და ჩემს ძმობილ მაისას გაგაცნობთ, ჩემი ქართველი დოსტია...

– მაშ ხვალამდე, – უთხრა შულიამაც ღიშპანელს, და როცა მარტონი დარჩნენ, დავითს ღიმილით მიმართა: – იმ თავის მიჯნურს რომ ელაპარაკებოდა, ეგეთი ენა არაბიძე მინდობაის კი გამოადგებოდა.

მერე დავითი და შულია ფუნდუკის კიბეს აუყვნენ. თავიანთი ოთახის კარი შეაღეს თუ არა, რამდენიმე შეიარაღებული ადამიანი მათ ისე მოულოდნელად დაესხა თავს,

რომ ხანჯლების ამოდებაც ვერ მოასწრეს. ამიტომაც ორივენი სწრაფად გააკავეს, მაგრამ შულიამ ერთადერთი წამით ისარგებლა, ფანჯრიდან გადახტა და, სიმაღლის გამო, სიბნელეში კოჭლობით გაუჩინარდა.

დავითმა კი თავდამსხმელებს შორის ვაჭართა მცველი რაზ-მის უფროსი ამოიცნო, როცა მას ლამპიონმა სახე გაუნათა...

\* \* \*

– რა გვექონდა? როგორ თუ რა გვექონდა! – ხელებისგაშლით, გაცხარებით უყვებოდა მათსა ღიშპანელს საქართველოს ისტორიას ქალაქის ციხის გალავანზე, საიდანაც თბილისი ხელისგულივით მოჩანდა. აქედან მტკვრის ცქერა მათი საყვარელი საქმიანობა იყო. მათსა იმერელი იყო, დასავლეთ საქართველოდან, საიდანაც თბილისში რამდენიმე წლის წინ მოხვდა სავაჭროდ წამოსული და აქ ჩარჩა. აქვე, თბილისში გაიცნო ღიშპანელი, რომელიც მისი უახლოესი მეგობარი გახდა.

– როგორ თუ რა გვექონდა, ოქროს საწმისი ჩვენი იყო!

– ვიცი, – გააწყვეტინა ღიშპანელმა.

– შენ რა იცი?! – უფრო გაცხარდა მათსა.

– ვიცი, რომ ოქროს საწმისი თქვენი იყო და ბერძნებმა წაგართვეს. მერამდენედ უნდა მომიყვე?!

– კი არ წაგართვეს, მოტყუებით მოგვპარეს.

– თბილისი?

– რა თბილისი?

– თბილისიც მოტყუებით წაგართვეს?

– ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ქალაქი წაგართვეს, თქვენ კი – მთელი ქვეყანა!

მათსა უკვე ძალიან ნაწყენი და გაბრაზებული ჩანდა, მაგრამ ღიშპანელის პასუხს აღარ დაელოდა, რადგან ქვემოთ, მოედანზე, აშკარად რაღაც ხდებოდა და იმერელიც ფეხზე წამომდგარი, ყურადღებით დააკვირდა ქალაქის მთავარი მოედნის აურზაურს.

– იქ რაღაც ხდება, – თქვა და ჯერ თითი გაიშვირა, მერე კი თავქვე დაეშვა. ღიშპანელიც სირბილით მიჰყვა.

თბილისის მთავარ მოედანზე მხრებგაკრულ ახალგაზრდა კაცს უამრავი ადამიანი ეხვეოდა ცნობისმოყვარე თვალებით და ზოგი სახეზე აკვირდებოდა მას, ზოგსაც მისი სამოსი უფრო აინტერესებდა. ახალგაზრდა კაცი აშკარად დაპატიმრებულს ჰგავდა, რადგან მას რამდენიმე შეიარაღებული მცველი დარაჯობდა, მის ირგვლივ

შეკრებილი ხალხი კი, მაშინდელი ტფილისური წესით, არაბი ყადის მოსვლას ელოდა, რომ მისი თანდასწრებით გაერკვიათ უცნობის ვინაობა.

მაისა და ღიშპანელი ხალხში შეძვრნენ და არაბებს არაბულადვე ჰკითხეს საქმის არსი, მაგრამ პასუხები საკმაოდ გაურკვეველი მიიღეს:

– საეჭვოდ მიუჩნევიათ და მგონი მეკობრეთაგანია...

– ასე მდუმარედ კი დგას...

– ყადი მობრძანდება და ყველაფერს გაარკვევენ!

თუმცა მაისა ყადის მობრძანებას აღარ დაელოდა, ხალხის რკალი გაარღვია და ტყვესთან ძალიან ახლოს მივიდა. გაკვირვებისაგან გაშეშდა კიდეც. თავიც ძლივს შეიკავა, რომ არაფერი წამოსცდენოდა, რადგან იმ უცნობ, მხრებგაკრულ ახალგაზრდაში დავით უფლისწული ამოიცნო, რომელიც რამდენიმე წლის წინ მამა-მეფესთან ერთად ნახა, როცა მეფე აჯამეთის ტყეებისკენ მიბრძანდებოდა. მაშინ მეფის ამაღამ და უფლისწულმა მათი სოფლის სიახლოვეს ჩამოიარეს იმერეთში და უფლისწულის სახე კარგად დაამახსოვრდა, მიუხედავად იმისა, რომ დავითი მაშინ გაცილებით პატარა იყო.

თუმცა დაუჯერებელი იყო, ქართველი უფლისწული მტრების მიერ დაპყრობილ დედაქალაქში მარტო მოსულიყო. მაისამ კიდეც ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და როცა მოუ-ლოდნელად იმ ახალგაზრდას თვალებს წააწყდა, მიხვდა, არ ცდებოდა – ეს ნამდვილად დავითი იყო. უფლისწულიც მიხვდა, რომ მაისა ქართველი იყო, რადგან ქართველები, სევდიანი თვალებით, მაშინაც ადვილი ამოსაცნობი ხალხი იყო. უფლისწულმა მაისას თვალებით დაუდასტურა ის, რაც იმერელმა უკვე იცოდა – დავითს თბილისი და ეს განსაცდელი მანამ უნდა დაეტოვებინა, სანამ არაბებისთვის მისი ვინაობა გამჟღავნდებოდა. მაისამ უკან დაიხია, ხალხს გამოეყო და ღიშპანელს ანიშნა, მას მიჰყოლოდა.

რამდენიმე ვიწრო, ძველტფილისური ქუჩა სწრაფი ნაბიჯებით გაიარეს და როცა მაისა დარწმუნდა, რომ მათ საუბარს ვერავინ მოუსმენდა, კიდეც ერთხელ მიმოიხედა ირგვლივ და გაჩერდა:

– ეგ ქართველების უფლისწულია.

– დავითი? – ბავშვივით გაუხარდა ღიშპანელს, – გუშინ გოგირდი ერთად ვიგემეთ.

– დავითია, გიორგი მეფის ძე, – დააკონკრეტა აღელვებულმა მაისამ და მერე ღიშპანელს ჰკითხა:

– მარტო იყო?

– მეგობარი ახლდა, შულია მქვიაო.

– გამოდის, რომ მხოლოდ უფლისწული დაუჭერიათ და ის შულია სადღაც მანდ ტრიალებს, რომ წამი ნახოს და თავისი ბატონი დაიხსნას.

– როგორ დაიხსნის?

– ეგ არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ უფლისწულმა თბილისი მანამ უნდა დატოვოს, სანამ არაბები მის ვინაობას შეიტყობენ.

– მაგრამ როგორ?

– ჩვენ უნდა დავეხმაროთ.

– ვინ ჩვენ?

– მე და შენ.

– ჩვენ რა შუაში ვართ?

– დღეს არ მეუბნებოდით, რა კარგი ბიჭები გავიცანიო? თანაც ის ჩვენი უფლისწულია, მომავალი მეფე...

– ის თქვენი უფლისწულია და არა ჩემი.

– შენ ღიშპანელი ხარ, შენც იბერიული სისხლი გაქვს და ეს პირველად შენ მითხარი.

– მე გითხარი, რომ ნათესავები ვართ და ეს მართალია, მაგრამ მე ჯერ ჩემი მეფისთვისაც არ მიბრძოლია.

– შენს და ჩემს მეფეს ერთი მტერი ჰყავს და სად იბრძოლებს საერთო მტრის წინააღმდეგ, საქართველოში თუ ჰისპანიაში, ეგ სულერთია, თანაც ორივე ქვეყანას იბერია ჰქვია, იბერიის უფლისწული კი განსაცდელშია..

– თუ მას დავეხმარებით, ჩვენ უარესი განსაცდელი გველის.

– კაცს განსაცდელი სწორედ რომ ჰშვენის! – ეს კი მართლა ისეთი დაბეჯითებით თქვა მაისამ, რომ თვითონაც გაუკვირდა და ღიშპანელის პასუხს აღარ დაელოდა, ისე გაუყვა თბილისის ვიწრო ქუჩებს უკან, ისევ მოედნისაკენ.

გზაზე, სანამ მოედანზე გავიდოდა, ღიშპანელი მაინც წამოეწია და უფრო თავისთვის, მაგრამ მაისას გასაგონად იკითხა:

– და ლეილი?..

– ლეილი მოიცდის, დავითს კი ჩვენი დახმარება ახლა სჭირდება, სანამ მსტოვრები დაადასტურებენ მის ვინაობას. იმ შულიას სახე კარგად გახსოვს?

ღიშპანელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაისამ კი სიტყვა აღარ დაამთავრა, რადგან მოედნისკენ მომავალი ყადი დაინახა ამაღლასთან ერთად, მიხვდა, რომ



ლაპარაკის დრო აღარ იყო და პირდაპირ საქმეზე გადავიდა: ხალხის რკალი ძალიან სწრაფად გაარღვია და თავისი განუყრელი ბებუთით ის თოკი გადაჭრა, რომლითაც უფლისწულს მხრები ჰქონდა გაკრული.

– ხიდისკენ! – თითქმის ბრძანების კილოთი უთხრა დავითს და სწორედ ამ დროს ხალხის მწკრივიდან გამოვარდნილმა შულიამ გამეტებით გაუყარა ხანჯალი მათკენ განრისხებული სახით წამოსულ ერთ-ერთ მცველს. მეორე მცველს კი ღიშპანელმა დაარტყა მარჯვენა ხელი, ხოლო მარცხენით შუბი აართვა, რომელიც დანარჩენებს ისეთი სახით მოუქნია, არაბებმა წამით უკან დაიხიეს. ზუსტად ამ რამდენიმე წამმა მათ იმის საშუალება მისცა, ხიდისკენ გაეღწიათ. თუმცა მინარეთზე გადმომდგარმა მუემინმა, რომელიც ყველაფერს ზემოდან გადმოჰყურებდა, განგაში ატეხა და მდინარის მეორე ნაპირიდან მაშველიც ყვირილით მოითხოვა.

როცა უფლისწულმა, მასამ, შულიამ და ღიშპანელ-მა ხიდის მეორე თავს თითქმის მიაღწიეს, ისნის მხრიდანაც მდევარი გამოჩნდა მათ შესაპყრობად და ისინიც იძულებულები გახდნენ უკან, შუა ხიდისკენ დაეხიათ. აქ კი ალყაში აღმოჩნდნენ და, რადგან მტერიც ორივე მხრიდან მიუახლოვდა, მათ ერთადერთი გამოსავალი დარჩათ: ხიდიდან პირდაპირ მდინარეში გადახტნენ. მდინარის ტალღებში გაუჩინარებულებს არაბებმა ყიჟინით კი დაუშინეს ისრები, მაგრამ არც ერთი სამიზნე ამღვრეული წყლის ზედაპირზე აღარ გამოჩენილა...

\* \* \*

ტყის პირას ღიშპანელი მიწაზე იწვა და გრძნობაწართმეული ვერც კი ხედავდა, თუ როგორ ამრობდნენ ფეხიდან, მტკვარში გადახტომისას მოხვედრილ ისარს. ვერც იმას ხედავდა, როგორ უხვევდნენ ჭრილობას ბიჭები და ვერც იმას, თუ როგორ გაუკეთეს საკაცე ყველაზე მსუბუქი ხეებისგან.

ყველანი სველები იყვნენ, მაგრამ არ იმჩნევდნენ.

მოპირდაპირე მთაზე კი მონასტერი მოჩანდა.

როცა ღიშპანელი საკაცეზე დააწვინეს, მხოლოდ მაშინ ამოხედა ბიჭებს და გაღიმება სცადა.

– იქ დარჩენილ სატრფოს დარდობს, – თქვა მასამ ისე, რომ ღიშპანელს არ გაეგო, დავითი კი დაჭრილისკენ დაიხარა და დაბეჯითებით უთხრა:

– თბილისში აუცილებლად დავბრუნდებით. უფლისწულის სიტყვას გაძლევ, რომ ერთად მივბრუნდებით და ისიც დაგელოდება...

ღიშპანელს ალბათ გაღიმება სურდა, ან მადლობის თქმა, მაგრამ ისევ უშედეგოდ, თუმცა დავითმა კიდევ ერთხელ გაუმეორა:

– გპირდები, რომ იქ ერთად შევალთ...

მერე ბიჭებმა საკაცე ასწიეს და შულიამ ხმამაღლა გაიკვირვა:

– კაი მძიმე ყოფილხარ, ღიშპანელო!..

მონასტრის ალაცაფის გაღებისთანავე ბიჭებს სა-კაცე ჩამო-ართვეს და უფლისწულმა წინამძღვრის ვინაობა იკითხა.

– მე ვარ წინამძღვარი, – თქვა სწორედ იმან, რომელიც მათ პირველი შეეგება.

– გაგვიმართე ხელი, წინამძღვარო, ჩვენს ძმობილს უნდა ვუწამლოთ! – უთხრა დავითმა და წინამძღვარმაც მაშინვე უპასუხა:

– ყველაფერი ღვთის ნებაა.

– ჩვენც უნდა მივებმართო, ასე მისწავლია...

ბერებმა საკაცე წაიღეს და შულიაც ფეხდაფეხ მიჰყვა მათ.

– საიდან მოდიხართ, შვილო? – ახლა მონასტრის წინამძღვარმა ჰკითხა დავითს და უფლისწულმაც ძალიან მოკლედ უპასუხა:

– ჯოჯობეთიდან.

წინამძღვარი ისე შეცბა, რომ დავითმა დაუ-კონკრეტა:

– სხვანაირად თბილისი ჰქვია.

წინამძღვარმა პირჯვარი გადაიწერა, უფლისწულმა კი განაგრძო:

– შენი სახელი არ ვიცი, წინამძღვარო, მე უფლის-წული ვარ. ცხენი თუ გყავს, ჩემიანს უნდა მისცე და გააჭენებს. დაჭრილი ცოცხალი უნდა დარჩეს, უფლისწულის მხსნელია. სამუდამოდ შენი მღვიმის მადლობელი ვიქნები...

წინამძღვარმა აღელვებისაგან სიტყვაც კი ვერ დაძრა და სანამ ის დუმდა, უფლისწულმა დავითმა გააგრძელა:

– ჩვენგან ერთი მადლობა ურჯულოსაც ეკუთვნის, აქაურობა მაინც რომ არ გადაუწვავს...

– ღვთის ხელშია ყველაფერი, – როგორც იქნა, დუმილი დაარღვია წინამძღვარმა.

– აქ მთებია. მთა და ტყე მათ არ სჭირდებათ, – განმარტა უფლისწულმა და მერე შულიას გასძახა, რომელიც მაშინვე დავითთან გაჩნდა:

– ცხენს მოგცემენ, უკან ხალხით მოდი, ჭყონდიდელიც წამოიყვანე და ოქროც წამოიღე...

წინამძღვარი საბოლოოდ გამოცოცხლდა ჭყონდიდელის ხსენებაზე და უფლისწულს ტრაპეზი შესთავაზა, მაგრამ პასუხად დავითმა იგივე ბრძანა:

– ჯერ ცხენი მოგვეცი, მამაო, ჭამა მერეც მოესწრება...

გიორგი ჭყონდიდელმა და შულიამ თანმხლებ პირებთან ერთად მონასტრის შესასვლელთან დატოვეს ცხენები. გიორგი აჩქარებით შევიდა მონასტრის ეზოში და რამდენიმე ბერი განსაკუთრებული მოწიწებით მიესალმა მას.

– სად არის? – ყველას ერთად ჰკითხა ჭყონდიდელმა და საპასუხოდ ერთ-ერთმა მათგანმა ხელი ერთ-ერთი კელიისკენ გაიშვირა, სადაც აჩქარებით შესულ გიორგის თავდახრილი უფლისწული დახვდა. დავითმა თავი ასწია და თავის მოძღვარს დაასწრო:

– ვიცი, რაც უნდა მითხრა.

– მაინც უნდა გითხრათ! – ჭყონდიდელმა ყველას ანიშნა, რომ მარტო დაეტოვებინათ უფლისწულთან და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძო, – უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი სიცოცხლე მხოლოდ თქვენ არ გეკუთვნით და მალე მეფე უნდა გახდეთ.

დავითი ყველაზე მეტად იმან გააკვირვა, რომ ჭყონდიდელი `თქვენობით` მიმართავდა უფლისწულს და ეს იყო პირველი შემთხვევა მათ ურთიერთობაში.

– მე არ მინდოდა, იმ ქვეყნის მეფე გავმხდარიყავი, რომლის დედაქალაქიც ნანახი არ მქონდა, – თქვა საპასუხოდ უფლისწულმა, თუმცა ძალიან ფრთხილად.

– გაუმართლებელი გარისკვის ფასად? – მაინც გაბრაზდა გიორგი ჭყონდიდელი და ამიტომაც დავითი ახლა უფრო გაუბედავად შეეცადა თავის მართლებას:

– რისკი ყოველთვის გამართლებულია, თუ იგი სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება.

– ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებში ახლა უპირველესად თქვენი სიცოცხლის უსაფრთხოებაა, რადგან ჩვენს ქვეყანას ახალი მეფე სჭირდება და არა – ახალი ტყვე.

– მაგრამ ჩემი ტყვეობა დედაქალაქის გასათავისუფლებლად მშვენიერი მიზეზი იქნებოდა.

– იმ ქვეყანაში, სადაც ჯარი არ არსებობს და მონასტრების დაცვას თვითონ ბერები ცდილობენ?

– ბერების თავგანწირვას უნდა ვუმაღლოდეთ კიდევ ამ ქვეყნის საერთოდ არსებობას, და ეს მე თქვენგან ვიცი.

– მაგრამ მხოლოდ ბერების თავგანწირვა საკმარისი არ იქნება ტფილისის დასაბრუნებლად, მტრის დასამარცხებლად და ამ ქვეყნის აღსადგენად.

– სხვებიც გამოჩნდებიან, თუ ტყეებსა და კლდეებში გახიზნულ ხალხს უკან დავაბრუნებთ, მათ შორისაც მოიძებნებიან ისინი, ვინც ძველ დიდებას დაუბრუნებს ამ მიწას და ესეც, არაერთხელ თქვენგანვე მსმენია..

– მაგრამ ხალხს რწმენა სჭირდება და მეფის მაგალითი. აქ კი ჯერ ისევ მამათქვენი მეფობს და ხალხი ზნესა და ღირსებას ჰკარგავს, რადგან მაგალითი არა ჰყავს. თქვენ კი ისევ ყოყმანობთ და მეფობა ვერ გადაგიწყვეტიათ.

– თურმე უფლისწულის გამოც შეიძლება სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდოს, – დავითმა ხელი ჯერ ეზოსკენ გაიშვირა, სადაც მათსა და ღიშპანელი ეგულებოდნენ, მერე თემის შეცვლა სცადა, – ამ მონასტრიდან სტეფანე მახსოვს.

ეს ფრაზა უკვე მასპინძელი წინამძღვრის გასაგონად თქვა და ხმამაღლა გასძახა კიდევ მას, რომელიც სხვა ბერებთან ერთად მონასტრის ეზოში იდგა. ბერებს ერთი მათგანი გამოეყო და უფლისწულისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა:

– ახლაც აქ არის.

დავითმა სტეფანე იცნო და მისალმებისთანავე ჰკითხა:

– ცხენზე შეჯდები?

– როცა ამის დრო მოვა.

დავითი ჯერ სტეფანეს გადაეხვია და მხოლოდ მერე განაგრძო:

– დრო უკვე მოდის, მალე ჩემთან მოგიხმობ და შენი დახმარებაც დამჭირდება.

– სიარულს გადაჩვეული ვარ, უკვე წლებია, აქ ვლოცულობ.

– სანამ შენისთანები მხოლოდ ლოცულობენ, ეკლესიებში ჩვილ ბავშვებს ჯვარს სწერენ და ხელდასხმაში ფულს იღებენ, პირტიტველა ბიჭებს ეპისკოპოსებად აკურთხებენ, მოღალატე მღვდლები კი ურჯულოებთან ერთად ღრეობენ. იფიქრე ამაზე. თუ მოგწონს, მითხარი!..

– მაგას ფიქრი არ უნდა, ახლავე გეტყვი, შენ თუ ეკლესიებთან ბაზრობებს მოშლი...

– დახლები უნდა ავყარო?

ბუკის ხმა გაისმა და უფლისწულმა შულიას ქისაზე ანიშნა, რომელიც დავითმა მონასტრის წინამძღვარს გადასცა:

– შემომიწირავს, ამ მღვიმის მონა ვარ.

წინამძღვარმა პირჯვარი გადასახა დავითს. ჯერ უფლისწული ამხედრდა, მერე კი – დანარჩენები.

სანამ ცხენებს დაძრავდნენ, დავითი არაბიძეს ღიმილით მიუბრუნდა:

– ჰაი მინდობაი, როგორ გამოგეპარეთ?!

არაბიძეს არაფერი უპასუხია, უფლისწულმა კი ბივრიტელის სევდიან მზერას მოჰკრა თვალი:

– ნუ მიწყენ ბივრიტელო, გზაში ხუმარა კაცი ჯობია...

მაისა და ღიშპანელი კი, როცა მიხვდნენ, რომ უფლისწული მონასტერს ტოვებდა თავის ამაღასთან ერთად, დავითს შეეკითხნენ:

– ჩვენ რას გვიბრძანებთ?

– თქვენ საჩუქარი გებოძებათ სამეფო კარის სახელით.

– მაგრამ ჩვენი დედაქალაქში დაბრუნება შეუძლე-ბე-ლი იქნება.

დავითმა ჯერ ჭყონდიდელსა და შულიას გადახედა, რომლებმაც მოსალოდნელი განზრახვა თავის დაკვრით დაუდასტურეს, მერე თანმხლებ პირებს მაისასა და ბრძანა, ღიშპანელისთვის ცხენი მოეგვარათ. მაისა და ღიშპანელიც მიხვდნენ, რომ უფლისწულის ამაღაში ჩარიცხეს. მაისა გახარებული მოახტა მოყვანილ ცხენს, ღიშპანელმა კი ჯერ მაინც აღვირი დაუჭირა მაისას:

– ლეილი?

– თუ უყვარხარ, არ გათხოვდება და შენ დაგელოდება.

– რომ გაათხოვონ?

შულია მიხვდა, ღიშპანელს კიდევ აწუხებდა რაღაც და მიუახლოვდა:

– რაო, არ მოგწონს ჩვენი ქვეყანა? არა ჰგავს შენს ჰისპა-ნიას?

– ტყეა ძალიან ბევრი, – უპასუხა ღიშპანელმა აგდებულად და უხალისოდ.

– თუ დაგჭირდა, გავკავავთ, შენ მაგის დარდი არა გქონდეს, – დაამშვიდა შულიამ. მათ საუბარში მაისაც ჩაერია:

– მაგას სხვა დარდი აქვს – ქალს ჰყვარობს ტფილისში.

– ეგ ხო ვიცი, – უთხრა ღიშპანელს და მერე გაამხნევა კიდევ, – აკი უფლისწულიც დაგპირდა, რომ დედაქალაქში უსათუოდ დაგბრუნდებით და გული დარდს ტყუილად არ შეაჭმევინო...

თუმცა ღიშპანელმა შულიას ბოლო სიტყვები ალბათ ვეღარც გაიგონა, რადგან უკვე ცხენზე ამხედრებული მიჰყვებოდა უფლისწულის ამაღას...

შულია

დავითი სწრაფად მიაბიჯებდა სასახლის გალერეაში. მინდობაი და შულია უკან მიჰყვებოდნენ უფლისწულს.

დერეფანში შემხვედრთაგან ყველანი მოერიდნენ მათ, თავდახრილმა სეფექალებმაც აჩქარებით ჩაუარეს უფლისწულს, ან გაჩერდნენ და გზა დაუთმეს. დავითს რომ არ დაენახა ისე, შულიამ კიდევე უფრო შეაშინა ისედაც დამფრთხალი ქალები და რამდენიმე მათგანს ხუმრობით ვითომ გამოეკიდა კიდეც. დერეფანში რამდენიმე მსახურიც შეხვდათ, რომლებიც ხვეტდნენ, ალაგებდნენ და ასუფთავებდნენ.

სულ ბოლოს, ერთ მოსახვევში, დავითს კათალიკოსი შეეფე--თა, რომელიც წამით შეყოვნდა მხოლოდ და უფლისწულს კუმ-ტად შეხედა, მერე კი სწრაფად ჩაუარა თავის ამაღასთან ერთად.

– მგონი ესეც გამოუგდია. ეტყობა, მეფე მართლა განრისხებულია, – სხვა ვინ იტყოდა ამას, შულიას გარდა.

დავითი რომ მეფის ოთახში შევიდა, მამამისი ხელებში თავ-ჩარგული იდგა და სანამ შვილს რამეს ეტყოდა, რამდენიმე წამით დააკვირდა:

– ქარის ციხეს გჩუქნი!.. წადი, ნახე და მართე, დააყენე, ვინც გინდა. ბივრიტელი დააყენე ან სხვა, ვისაც მოისურვებ. წადი, გადმოგდე ციხისთავი კედლიდან და მერე იფიქრე: იოლია კაცის კედლიდან გადმოგდება?

– ჩვენ მონასტერში ვიყავით, – თავისმართლება-სავით თქვა დავითმა და სადღაც შორს გაიხედა.

მეფემ ღვინო დაისხა, დალია და შვილს ოთახში გაწოლილ მწევრებზე მიუთითა:

– ამათ უფრო ესმით ჩემი, ვიდრე თქვენ ყველას.

გიორგი მეფე ერთ მათგანს მოეფერა და განაგრძო:

– წავიას დავნიშნავ სპასალარად, ჰა, რას იტყვი?

– როცა მეფე სანადიროდ მიდის, ორი ათასი კაცი თან ახლავს, როცა მეფე სალაშქროდ მიდის – მხოლოდ ასი, ეგრე მითხრეს.

– სულ ერთია ასი და ორი ათასი. ასიც ცოტაა და ორი ათასიც. ციხისთავები ტკბილად არიან სელჩუკებთან. ერისთავებმა ოქროს გემო გაიგეს. კლდეკარი თუ იცი, სად არის?

კლდეკარის ციხის პატრონები თუ გინახავს? უკვე ფრჩხილებზე იკეთებენ სამკაულებს, არ იციან, ოქრო სად წაიღონ. ტფილისში ქუჩებზეც ტკბილეულობა ყრია, სახლებს დიბა-ატლასით ხურავენ. ამ დროს დედაშენი მეუბნება, რომ ყივჩაყებთან არ უნდა წაგიყვანო. არ უნდა განახო ძლიერი და თავისუფალი ქვეყანა? ზის ორმოცი დასუქებული კატა და თავს უქნევს... ბერის ჯვალს გაცვიაო... ომი აღარ შემოდის და სხვა რა უნდა მეცვას? არ უნდა განახო ის ხალხი, ვისაც ბრძოლა შეუძლია?

უცებ მეფემ თავისი ანაფორის საყელო დაქაჩა გიჟივით და ღრიალი დაიწყო. დავითი მის შეჩერებას შეეცადა, მოეხვია კიდეც მამას, მაგრამ მეფემ შვილი მოიშორა და ზედა სამოსი თითქმის ბოლომდე შემოიხია. დავითმა ისეთი ღრმა ჭრილობების კვალი აღმოაჩინა მის ტანზე, რომ უნებლიეთ გაშეშდა.

მერე მეფეც გაშეშდა. ამოისუნთქა და ვაჟიშვილი თავისკენ მიიზიდა:

– არ შეგეშინდეს...

ბნელ ტალანში დავითს დედოფალი და მისი ორი სეფექალი შემოხვდნენ.

დედოფალი შვილს მოეხვია და პირდაპირ უთხრა:

– არ იფიქრო იმაზე, რასაც მამაშენი გეუბნება. არ უსმინო მაგ კაცს. არ წახვიდე ქარის ციხეში და არ წაყვე ყივჩაყეთში. რას გიპირებს, რა უნდა?!

დავითმა არაფერი უპასუხა დედას.

– უნდა იქორწინო, – განაგრძო დედოფალმა და რადგან უფლისწულს გაეღიმა, კიდეც დაამატა:

– კი, აუცილებლად უნდა იქორწინო!..

\* \* \*

ქარის ციხის ქონგურზე ორი ჯარისკაცი იდგა და ორივენი დაბლა შარდავდნენ, როცა ერთ-ერთმა თვალი მოჰკრა ციხისკენ მომავალ რამდენიმე ცხენოსანს.

ციხისკენ მომავალი ცხენოსნები დავითი და მისი მეგობრები იყვნენ: ბივრიტელი, შულია, მინდობაი, მასისა და ღიშპანელი.

– ალბათ გზა დაებნათ, – თქვა ერთმა ჯარისკაცმა. ცხენოსნებს მეორემაც გახედა:

– წადი, ქვემოთაც გააგებინე.

ციხის ალაყაფთან ცოტა ხანს ამაოდ იდგნენ და შიგნით შეპატიჟებასაც უშედეგოდ ელოდნენ უფლისწული და მისი ბიჭები. მოთმინების ფიალა კი ყველაზე ადრე, მაინც შულიას აევსო:

– ბიჭო! გადმომხედე ერთი, ბიჭო!

ჯარისკაცმა ჩამოხედა, მაგრამ არ აღელვებულა:

– ვერა გცნობილობ.

– ციხისთავს დაუძახე, ბიჭო!

– ციხისთავი ლოცულობს, – ქონგურიდან ხმამაღლა გაი-ცინეს.

– მანდ არ ამომიყვანო, თორე ცხვირს მოგჭრი და შენ თვალ-წინ ვაჭმევ შენ ციხისთავს!..

შულიას, რა თქმა უნდა, არ შეუმჩნევია, თუ როგორ ჩამო-ქვეითდა ამასობაში მინდობაი არაბიძე და უთქმელად დაიწყო კედელზე აცოცება.

– მოიცა, მინდობაი! – შეეცადა არაბიძის შეჩერებას უფლის-წული, მაგრამ მინდობაიმ ისეთი სახით მოხედა, რომ დავითმა ასვლის ნებართვა მაშინვე, ხელის აწევით მისცა.

– უფლისწული მობრძანდა, ბიჭო! უფლისწული მობრძანდა! – ბრაზიანად იყვირა შულიამ და დავითსა და ბივრიტელს გად-ახედა, – მაინც ვერ გამომდის კარგად, სახლთუხუცესი უნდა წამოგვეყვანა.

ამასობაში მინდობაიმ რომელიღაც ნიშაში მოიმაგრა ფეხი და ქონგურისაკენ ქამანდი ისროლა.

– ეს კიდე ჩიტია თუ კაცი, ვერ გავიგე, – გულწრფელად გაელიმა მაისას.

– მეფის სიგელი გვაქვს, ციხისთავი გამოვიდეს, უფლის-წული გვახლავს...

– აბა დაგვანახე ეგ შენი მეფის სიგელი, – დაიყვირა ზემოდან რომელიღაცამ და იქვე, გალავანზე, გვერდით მდგომ ჯარისკაცს ღიმილით უთხრა:

– უწვერულები არიან, მაგრამ აზნაურებს გვანან.

მერე ასევე ღიმილით და აშკარად დაცინვით, ქვემოთაც ჩამოსძახა უკვე ძალიან გაბრაზებულ ყმაწვილებს:

– უწვერულოები ხართ, ბიჭო?

– ემაგ `ბიჭოს` ხო მაინც არ შეგარჩენთ, ამოვალ და დედებს აგიკვნესებთ!..

როგორ დაამთავრა შულიამ მუქარის ფრაზა, ციხის გალავანზე აღარ გაუგიათ, რადგან ამასობაში ქონგურზე ამძვრალმა მინდობაიმ ხმალი იძრო და ჯარისკაცებს შეუტია. მალე ალაყაფის კარიც გაიღო და ბივრიტელმა გაკვირვებული ხმით დანარჩენების გასაგონად იკითხა:

– ყველას სძინავს, თუ რა არი?



ალაყაფში ამხედრებულები შევიდნენ და ციხის შიდა ეზოც ამხედრებულებმა გაიარეს, სანამ შულია ყვიროდა:

– ციხისთავო! აქ გამოდი, სანამ ცხვირს მოგჭრი, და უფლისწულის კალთას ემთხვიე!

მერე ქარის ციხის ერთ-ერთი შენობის აივანზე ავიდნენ, საიდანაც მუსიკობის ხმა მოისმოდა.

– აჰა, მოგეცეს ლხენა, – მიაყურადა შულიამ.

მინდობაიმ კარს ხელი ჰკრა და შიგნით შევიდნენ. ოთახში უხვი და არეული სუფრა დახვდათ, ოცამდე კაცი იქნებოდა და მათ შორის – რამდენიმე ქალიც. ყველანი მთვრალეებს ჰგავდნენ და ჩაცმულობითაც ერთობ შილიფად გამოიყურებოდნენ, მაგრამ უცხოების დანახვისას, სახელდახელოდ მოწესრიგებასაც შეეცადნენ. დამხვდურებს შორის სელჩუკებიც ჩანდნენ, რომლებსაც ქართველებისაგან სამოსიც გამოარჩევდათ.

– მგონი ლოცვაში ხელი შეგიშალეთ... ფეხზე აეთრიეთ, უფლისწული მობრძანდა! – რასაკვირველია, შულიამ ყველას მიმართა.

მოქეიფეებს ქარის ციხისთავი გამოეყო – მკერდმოღეღილი, მსუქანი და მელოტი კაცი, რომელმაც სიმთვრალის გამო ბარბაცით გადმოდგა წინ რამდენიმე ნაბიჯი.

– ჰა, შე სახედარო, უფლისწული მობრძანდა-მეთქი და შენ კი ამათთან ლხინი გაგიმართავს!..

ციხისთავმა ჯერ შულიას მოუსმინა ბოლომდე და მერე დაბნეული სახით ცალ მუხლზე დაიჩოქა, მაგრამ რადგანაც ზუსტად არც იცოდა, რომელი იყო მათ შორის უფლისწული, ბივრიტელის კალთას წაეტანა. დავითმა თავისიანებს მაშინვე ანიშნა, მისი ვინაობა არ გაემხილათ და მინდობაი არაბიძემ წიხლი ჰკრა ციხისთავს.

– საჭურჭლე ბევრი ჰქონიათ, – თქვა მასამ, შულიამ კი ციხისთავის ძვირფას ქამარს მოავლო მარჯვენა ხელი. ყველამ დაიჩოქა სელჩუკების გარდა.

– სტუმრები გვეწვივნენ, პატიებას ვთხოვ უფლისწულს, – ამოღერღა ციხისთავმა.

შულიამ ქალებისთვისაც მოიცალა და დაუფარავი ინტერესით ახლა მათ გახედა. ქალებმა სახეზე პირბადე აიფარეს და შეშინებულები კედელს აეკრნენ.

– რაღა ჩემი შეგრცხვათ, ლამაზებო? – გაეღიმა შულიას და ხელი ბივრიტელისკენ გაიშვირა, – მეფისა და ღვთის წყალობით! ქურდები და მემთვრალენი, ვაჭარნი და ავაზაკნი ქარის ციხეს ველარ გაიხდიან თავშესაფრად!..

უცებ სელჩუკების მეთაურმა ხმამაღლა გაიცინა, ფეხზე წამოდგა და ისე უდარდელად გაიმართა წელში, რომ მოღეღილი ხალათი სულ ჩაეხსნა და წინა მხარე მთლიანად მიშველი გამოუჩნდა.

– შენ ვაჭარი ხარ თუ ციხისთავი? – სელჩუკმა ისევ გაიცინა და ხელიც უდარდელად მოივლო წინ.

მინდობაი არაბიძემ მეტი აღარ დააცადა სელჩუკს და მახვილი პირდაპირ მუცელში გაუყარა. სხვებმაც მისი ბედი გაიზიარეს და თანაც მაშინვე, როგორც კი სელჩუკური ხმლები იშიშვლეს.

ქალების კვილი კი შულიას ყვირილმა დაფარა:

– ეზოში გაეთრიე და ციხიონი გვანახე! – უბრძანა შეშინებულ ციხისთავს, რომელიც შეკითხვას იმეორებდა:

– უფლისწული რომელია?

– შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

ეზოში უწესრიგო ჯარი იდგა დაჩოქილი.

– ქარის ციხე ბივრიტელს ეკუთვნის. ასეთია მეფის ბრძანება და ბეჭედი, – წარმოთქვა დავითმა არცთუ გაბედულად, ბივრიტელის პირველი ბრძანება კი ძალიან ომახიანი გამოდგა:

– ახლა გაათრიეთ ის სელჩუკები და დამარხეთ. მერე წადით აქედან, ისე, რომ უკან აღარ მოიხედოთ! მეკობრეობას ვისაც შევამჩნევთ, არ დავინდობთ. ყველას დაეხოცავთ, ვინც მარცვას გაბედავს!.. რომელია თქვენში ჯულაბა ათისთავი?

სიჩუმე არავის დაურღვევია. ბივრიტელმა შეკითხვა გაიმეორა:

– ჯულაბა ათისთავი რომელია?

ციხისთავმა საბრალოდ, თვალთ მიაჩინა ერთზე. მინდობაიმ მაშინვე ქამანდი გადაავლო იმ ჯულაბას და გაათრია, აივანზე აიყვანა, თოკი სვეტს მოაბა და ჯულაბას ხელი ჰკრა. ჯულაბა გადმოეკიდა, რასაც გმინვა და შემახილები მოჰყვა.

– ვინც სელჩუკებთან უფრო ახლოა, ვიდრე თავის ხალხთან, ასეთი ბედი ელის ჩემს ციხეში, – თქვა ბივრიტელმა ხმამაღლა, ყველას გასაგონად, შულია კი სატევართ ციხისთავს მიეჭრა:

– აბა, ახლა დათვალე ნაპარავი და ნამარცვი!

– მე არა, ჯულაბა იპარავდა, ჯულაბა, – ამოდერდა ციხისთავმა და სხვებმაც გაიმეორეს:

– ჯულაბა იპარავდა ყველაფერსა.

შულიამ წიხლი ჩააზილა ციხისთავს:

– მერე სთქვი, რომ ასი კაცი გყავდა და ოთხმა უწვერულმა ციხე წაგართვა.

როცა ბივრიტელმა ახალი ბრძანება გასცა და ძველმა ციხისთავმა და ჯარისკაცებმა ციხის ეზოს დატოვება დაიწყეს, მინდობაიმ კბილებში გამოსცრა:

– ციხისთავიც უნდა ჩამოგვეკვიდა.

– ძველად აკი კაცი ყოფილა, ბარგატ მეფის აზნაური დაიცვა ბივრიტელმა. გახარებულმა შულიამ კი დავითს გაუღიმა:

– გამოგვივიდა, ჰა? – და სახლთუხუცესის წაბამვით ხმამაღლა დაიყვირა, – უუუფლისწული მობრძანდება, უუუუფლისწული მობრძანდება!...

მერე უცებ გაჩერდა, სერიოზული სახე მიიღო და უფლის-წულს გაკვირვებულმა ჰკითხა:

– ამ ქალებს რაღა ვუყოთ?

– ღმერთო შენ გვიშველე, – ღიმილით თქვა დავითმა. ბივრიტელს კი არ გაღიმებია:

– ახლა რაღა ვუყოთ ამ ქარის ციხეს?..

\* \* \*

დავითი და გიორგი გალავნის კიდესთან იდგნენ.

– ეს რა დაგიტრიალებიათ ქარის ციხეში...

უფლისწულმა არ უპასუხა ჭყონდიდელს და სახეზეც აშკარად დაეტყო, რომ ქარის ციხეზე საუბარი საერთოდ არ სურდა, ამიტომაც საუბრის თემა მაშინვე შეცვალა:

– მეფე ყივჩაყეთში წასვლას არ იშლის. მეც მივყავარ. შენც უნდა წამოხვიდე.

– მეფის სურვილია?

– ჩემი.

მერე ალექსანდრეს მონეტა ამოიღო, ღიმილით ააგდო და ხელისგული დაუხვედრა.

გიორგი კი თავის ჯვარს შეეხო ხელით და უფლის-წულს გაუღიმა:

– საცოლეს ეძებენო შენთვის.

დავითი მოიღუშა.

– დედოფალს უნდა. მეც.

დავითმა მხრები აიჩეჩა და გაკვირვებულმა შეხედა მოძღვარსა და მეგობარს...

მირნელი აუჩქარებლად ჰყვებოდა ამბავს, რადგან იცოდა, რომ ყველანი ყურადღებით უსმენდნენ:

– მთები იმხელაა, რომ ცას სწვდება. იქ თოვლი დევს, თოვლი და ყინული. მზე დაანათებს ამ ყინულს და მთები ბრიალებენ, მაგრამ როცა ღამეა, ქარბორბალა წამოკრეფს მთელ თოვლს და გადააფრენს ხოლმე, ესე არს ლამაზი და საშიშარი.

– მეჯინიბის ქალზე ლამაზი და საშიშარი ვერ იქნება, – გააწყვეტინა უცებ შულიამ, მაგრამ მირნელს ყურადღება არ მიუქცევია.

– ამ მთებს იქით იწყება დიდი ველები და იქ ბინადრობენ ყივჩაყები, პირმხეცი და ურჯულო ხალხი. ცხენის ხორცსა ჭამენ და ოჯახები არა ჰყავთ. მეკობრენი არიან და მემთვრალენი.

– ჩვენსავით ყოფილან, – ისევ გააწყვეტინა შულიამ. ახლა კი მირნელმა კვერთხი მოუღერა, მაგრამ ბივრიტელმა ამბის გაგრძელება მოსთხოვა მირნელს. მანაც განაგრძო:

– თურქმანთა მოდგმისანი არიან, მაგრამ სხვა ტომია, დიდრონნი და ახოვანნი...

– მე მაინც წავყვები მეფეს, – ახლა უფლისწულმა გააწყვეტინა მირნელს.

– მეც, – თქვა ბივრიტელმა, მაგრამ დავითმა თავი გააქნია უარის ნიშნად, – არა, არც შენ და არც – შენ.

გალავნიდან გასულ დიდ ადალს დედოფალი სარკმლიდან გადაჰყურებდა შეწუხებული სახით. იქვე მდგომ კათალიკოსს კი მხოლოდ ორი სიტყვა უთხრა:

– მაინც წაიყვანა.

კათალიკოსმა ჯერ პირჯვარი გადასახა მიმავალ მეფესა და მის ამაღლას და მხოლოდ მერე შემობრუნდა დედოფლის-კენ:

– უფლისწული ჰყონდიდელს გვერდიდან აღარ იშორებს.

– შექველად უნდა იქორწინოს. როდის დაბრუნდებიან?

– იქორწინებს, როგორც კი დაბრუნდებიან.

უცებ შორიდან მეფის გაბზარულმა ხმამ მოაღწია: როგორც ჩანს, ცხენზე ამხედრებულ გიორგი მეორეს სიმღერის თქმა მოუხდა.

– სულ ტყუილად მიჰყავს ურმები. ურმებს დასტოვებს გზაზე, – ეს კათალიკოსმა თქვა.

– ყველაფერს დასტოვებს ყივჩაყეთში, – ეს კი დედოფლის სევდიანი ხმა იყო.

გზის ორივე მხარეს ტყე ჩანდა, ისინი კი ცხენებს მოაჭენებდნენ. შულია მაინც არ ჩერდებოდა:

– როცა მეფე გახდება, ალბათ ტყეების მეფეს დაარქმევენ, თუ მანამდე ეს ამდენი ტყე ვერ გავჩეხეთ.

ბივრიტელმაც რაღაცის თქმა დააპირა მეგობარი უფლის-წულის შესახებ, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან უცებ, სრულიად მოულოდნელად, გზაზე ვიღაც კაცმა გადაირბინა და მინდობაიც მაშინვე იმ კაცს ცხენით გამოეკიდა. წამოეწია და ქეჩოშიც ხელი მაგრად ჩაავლო. კაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა ნაცარქექიას, გასხლტომას შეეცადა.

– ვინა ხარ? – ჰკითხა მინდობაი არაბიძემ.

– პური გაქვთ? – კითხვას კითხვითვე უპასუხა უცნობმა.

– გზია? – ახლა შულიამ ჰკითხა და უცნობიც მას მიუბრუნდა:

– შენა კობტა ჭაბუკი ჩანხარ, დავნაძლევედეთ და, თუ მოგიგე, პური მაჭამე. მესამე დღეა, ბალახსა ვძოვ.

– დავნაძლევედეთო! ჰა, დავნაძლევედეთ.

კაცმა, რომელიც ნაცარქექიას ჰგავდა, ჯერ მიმოიხედა, მერე გზის კიდეზე დაგდებული ორი ქვა აიღო და ერთი მათგანი შულიას გაუწოდა:

– აჰა, რომელმაც ამ ქვას წყალი გამოადინოს, მოგებულებს ის იყოს.

ყველამ გაიცინა. ბივრიტელმა კი ბავშვივით იკითხა:

– ქვას როგორ უნდა გასდინდეს წყალი?

– თუ ჯანი მოგდევს, რატომაც არა, – გაეღიმა უცნობს, – მოდი, აბა ჯერ მაგანა სინჯოს და მერე მე.

შულიამ ქვას ხელი მოუჭირა, ჯერ ვითომ ხუმრობით, მერე კი – მთელი ძალით, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. იმ კაცსაც გაბრაზებულმა უთხრა:

– ახლა თუ შენ არ გამოგიდენია, სულ მათრახით აგიჭრელებ ფერდებსა!

კაცმა მუჭი ღონივრად შეკრა და ქვასაც წურწურით გაუვიდა წყალი. მერე შულიას გადახედა გამარჯვებულის სახით. მინდობაიმ უცნობს მაჯაზე წაავლო ხელი და მუჭი გაუხსნა. ხელისგულზე ყველის ნაჭერი ედო.

სხვებმა ახლა უფრო ხმამაღლა გაიცინეს, შულიას არც კი გაღიმებია:

– ქვა სადღა არი?

უცნობმა კაცმა ჯერ ქვა ამოიღო უბიდან, შორს მოისროლა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა შულისა შეკითხვას:

– ყველი მქონდა, ვიფიქრე, ვისაც პური აქ, იმას შევუამხა-ნაგდები-მეთქი, თუ არ გინდათ, ნუ გინდათ.

შულიამ გაიღიმა, მერე ხურჯინიდან პური ამოიღო და უცნობს გადაუგდო.

– პურისთვის მაღლობა, მაგრამ ემაგ ტიკჭორაში ღვინო ხო არ გიბუყბუყებს?

– შენ ის გვითხარ, აქ რას დაეხეტები და ამ უღრან ტყეებში რას დაემებ?! – ბივრიტელი მაინც ჩაემია.

– ღვინო წამომამშველეთ და ყველაფერს გეტყვით.

შულიამ ტიკჭორაც გადაუგდო და იმანაც ეგრევე მოიყუდა. ჯერ სული მოითქვა და ბოლოს ამოღერდა:

– კლდეკარის ციხეზე მივდივარ.

ყველამ ერთმანეთს გადახედა, ნაცარქექიასავით კაცმა კი გააგრძელა:

– თქვენც იქით ხო არ მიდიხართ? ლიპარიტ ერისთავს უთქვამს, ჯამაგირებს ვარიგებო. ვინც რო ქართლში უქმად ყრია და გზაზე მეკობრეობსო, ანაც დაწანწალებსო, მოლაშქრედ დავიყენებო. პური, ხორცი და ტანისამოსი... რა იყო, ხო არაფერი გეწყინათ?

მოდღვარი

კავკასიონის ჩამოთოვლილ კალთებს ჩამოქვეითე-ბუ-ლი მიუყვებოდა გრძელი ალალი და თოვლიან აღმართს სულ ბოლოს დავითი და გიორგი შეუყვნიენ.

მეფე წინ მიდიოდა, როგორც ყოველთვის, მაგრამ მალიმალ გამოხედავდა ხოლმე საყვარელ შვილს. უფლისწულსა და ჭყონდიდელს შორის საუბარში კი, სიტყვამ მოიტანა და, ძაღლები ახსენეს. თუმცა, რა შორიდან მოტანა უნდოდა – იმავე ექსპედიციას საკმარისად მიჰყვებოდნენ ქართული ნაგაზებიც. დიალოგი კი დავითმა დაიწყო:

– ამბობენ, ლომებთან ბრძოლაც შეუძლიათო.

– სახელოვან მაკედონელს აქედან წაუყვანია რამდენიმე მათგანი და ინდოეთის მეფის გაკვირვებას მათი ხილვისას საზღვარი არა ჰქონია.

– ქართული ძაღლების ლომებთან შერკინებაც ჰინდოთა მეფის სურვილი ყოფილა?

– ინდოელების მეფეს დარწმუნებით უთქვამს, რომ მხოლოდ მგლებს შეუძლიათ ასეთი ბრძოლა ლომების წინააღმდეგ.

– მართალი უთქვამს ჰინდოთა მეფეს – ჩვენი ნაგაზები ხომ მგლებთანაც შეჯვარდებიან, განა თქვენ არ მეუბნებოდით, რომ მათი წარმოშობა მგლებს უკავშირდება და ამიტომაც იბრძვიანო მგლებივით?

– ოდესღაც ჩვენც მგლებივით ვიბრძოდით და ვერავინ გვიმორჩილებდა.

დავითმა თავის ხანჯალს დახედა, რომლის ტარზეც მგელი იყო გამოსახული:

– მამა-ბატონისაგან მსმენია, რომ ვახტანგ გორგასალს მგლისთავიანი მუზარადი ეხურა.

– მგელი ერთადერთია, რომელსაც ვერ ათვინიერებენ და ვერ იმორჩილებენ, თავისუფლებაც მხოლოდ მგლების ხვედრია.

– მამა-ბატონი კი...

– მამაშენი კი მტერს ხარკს უხდის და ჰგონია, რომ თავი-სუფ-ლებას ყიდულობს, თავისუფლებას ვერ იყიდო.

დავითმა არაფერი უთხრა ჭყონდიდელს, მცირე პაუზა გააკეთა და საუბრის თემაც შეცვალა, რადგან სუსტი მამა მისთვის ძალიან, ძალიან მტკივნეული თემა იყო.

– ყივჩაყეთს საზღვარი არა აქვსო.

– არა აქვს, იმიტომ, რომ მიწა არა აქვს. ყველა მიწა მათია და არც ერთი არ არის მათი.

– ამიტომაც არავინ შეგვხვედრია გზად?

– აქ არავინ ცხოვრობს.

– როგორც იქ, ჩვენთან? ნასოფლარებზე მხოლოდ სელჩუკები დგანან.

წინიდან უცებ მეფის შემახილი მოისმა:

– დავდექით!

\* \* \*

დედოფალი სასახლის ოთახში იდგა და მაგიდაზე დადებულ დაბეჭდილ გრაგნილს დასცქეროდა:

– ხელიც არ მიხლია. არ წამიკითხავს და არც წავიკითხავ მეფის გარეშე, – თქვა კათალიკოსის გასაგონად, რომელიც იქვე იჯდა.

– ლიპარიტს შენთვის მოუწერია და არა მეფისთვის. მან იცის, რომ მეფე აქ არ არის.

– ის ჩუმ-ჩუმად იკავებს სამეფოს მიწებს, ციხეებში შედის და იქ თავის ყმებს აყენებს, ამუშავებს და ქვას ეზიდება.

– მდიდარია და თუ რამეს აშენებს ამ ნანგრევებში, ამის გამო საყვედური არ გვეთქმის...

– ეს ციხეები მისი არ არის. თბილისში დაიარება და იქაურებ-თან აბამს ხლართებს. მეფე კი წასულია.

– ყივჩაყები არაფერს მისცემენ მეფეს. ლიპარიტი ამას გატყობინებთ, რომ აშენებს თქვენს ციხეებს. სხვას არაფერს.

როცა კათალიკოსი დედოფალს ლიპარიტს უქებდა, შულია, მინდობაი და ბივრიტელი გზისპირა ფუნდუკში ისხდნენ და ის უცნაური, ნაცარქექიასავით კაციც მათთან ერთად იჯდა. უხმაუროდ შეექცეოდნენ სადილს. მალე ფუნდუკში რამდენიმე კარგად ჩაცმული ადამიანი შემოვიდა.

– ეგენი ლიპარიტის ყმები არიან, ასისტავები იქნებიან, ნახე როგორი ბალდადური წამოლუსხამს იმ დიდთავას? – თქვა უცებ ნაცარქექია კაცმა. შულიამ კი დამთავრებაც არ აცალა და ღვინით სავსე ფიალით ხელში ფეხზე წამოდგა:

– ეს ღმერთმა იმ ქართველს გაუმარჯოს, ვისაც მტერთან ერთად პური არ უჭამია!

ერთ-ერთმა ახალშემოსულმა ბრაზით გამოხედა მათ, შულიასა და მის მეგობრებს ზიზღით დააკვირდა, სანამ სხვები მძიმე საჭურველსა და ძვირფას მოსასხამებს გრძელ სკამებზე მიალაგებდნენ.

შულიამ ფიალა მიიყუდა, გამოცალა და ნაცარქექიას მხიარულად დაჰკრა მხარზე ხელი:

– იმღერე, პურის კაცო!

ნაცარქექიასავით კაცმა კი დააპირა სიმღერა, მაგრამ იმ ასისტავებისკენაც ისე გააპარა თვალი, თითქოს მათ ნებართვასაც ელოდა. იმათგან ერთ-ერთმა დაცინვით და ხმამაღლა სადღეგრძელო ბრძანა:

– იმას გაუმარჯოს, ვისაც უღვაშზე ხელის გადასმა შეუძლია.

შულიამ ასისტავს ყურადღება არ მიაქცია და ისევ ნაცარქექიას მიმართა:

– იმღერე, პურის კაცო, ახლა უნდა ვეტაკო ამათ და სიმღერა მჭირდება.



არაბიძე მინდობაიმ ხმალი მოსინჯა მაგიდის ქვეშ, ნაცარქექია კაცმა კი გაუბედავად წამოიწყო სიმღერა და ნელ-ნელა, მაგრამ უკვე ფეხზე წამომდგარმა, გასასვლელი კარისკენ გაიწია.

– ეს კიდენა, ღმერთმა უშველოს ჩვენ მეფესა და უფლის-წულს! – შულია ისევ ფეხზე იდგა და ახლა უკვე აშკარად იმ ასისთავის საპასუხოდ ამბობდა სადღეგრძელოს და ასისთავმაც მაშინვე უპასუხა:

– სიტყვები კი უსწავლია ამ უწვერულას ამასა, ოღონდაც ერთს კი ვერ მიმხვდარა – მეფე რომ არა გვყავს?

შულიას მასთან კამათი არ გაუგრძელებია. არცთუ მოულოდნელად ხმალი იძრო:

– აბა დამიდექ, თუ არა გვყავს!

ნაცარქექიამ კარი გაიხურა.

– მერმედ ჩემზედ იტყვიან, ჩვილი მოჰკლავ, უღვაში დამანახე ბიჭო! – ასისთავმაც ხმალი იძრო. შულია გიჟივით ეკვეთა ლიპარიტის ასისთავს, სხვები კი მათ გაშველებას შეეცადნენ:

– არ ეგების! ჯერაც ისევ უწვერულია!

ყველანი მართლაც გაჩერდნენ. წრეში დინჯად შემოვიდა მინდობაი, რომელსაც უღვაში კარგად, ყველას დასანახად ეტყობოდა.

ერთ-ერთმა ასისთავმა დამცინავად შეათვალიერა არაბიძე და უცებ საულვაშეზე თითი გადაუსვა:

– ამას ეგების, ამას უღვაში ჰქონია.

და უცებ ასისთავმა თვითონვე იძრო ხმალი, მინდობაიმ კი იმწამსვე ისეთი ძალით და სისწრაფით გაუყარა მახვილი მუცელში, რომ ხუმარა ასისთავს ღიმილი სახეზე შეახმა.

ყველანი გახევდნენ.

– ძვირი დაგიჯდება ეგ სისხლი! – კბილებში გამოსცრა გვერდით მდგომმა ასისთავმა.

– ერთ ძროხადაც არ ღირხართ! წადი და მიჩვილე შენს ბატონთან. მე ჩემს ბატონს შევჩვილებ, – სიტყვაც არ შეარჩინა შულიამ. ბივრიტელმა კი ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქვა:

– ჩვენი ბატონი უფლისწული დავითია!..

კაცი, რომელიც ძალიან ჰგავდა ნაცარქექიას, თვითონ გიჟის სახით გარბოდა, მაგრამ ამათზე კი შეშინებული იმეორებდა:

– ნამდვილი გიჟები ყოფილან!..

ლიპარიტის ციხესიმაგრის ქონგურიდან ლამაზი ხედი ჩანდა, მაგრამ ახლა ამ სილამაზისთვის არც ლიპარიტს ეცალა და არც მის მსახურს.

– მაშ, უფლისწულის ყმები ვართო?

– თვითონ ასე უთქვამთ და ერთი ჰყოლიათ ნამდვილი ეშმაკეული.

– მაშ, მოიზარდა უფლისწული.

– მალე მეფეც გახდება.

– თუ ივარგა...

– თუ ივარგა, შენს მიწებსაც მოადგება.

– როგორც მისი მამა-პაპა?

– როგორც ყველა მისი წინაპარი, ვინც ივარგა.

– ღალატს ვერ დამაბრალებენ, ჩემი წინაპრებივით, ამის საბაბს მეფეს არ მივცემ.

– საბაბი არც დასჭირდებათ. თუ მეფეს მიზეზი ექნება შენი შეპყრობისა, იმ გიჟებს შენც მოგისევს.

– მიზეზიც არ ექნება: ჩემს ფიქრსა და განზრახვას ვერასოდეს გაიგებენ მეფე და უფლისწული...

ყივჩაყები გამყივანი ყიჟინით აცეკვებდნენ ცხენებს ქარ-თველი მეფის ამაღლის გარშემო და ასე უცნაურად ესალმებოდნენ ისინი საპატიო სტუმარს. დავითი გაოცებულად იყო და გახალისებულად. მის წინ უამრავმა სახემ გაიქროლა, მაგ-რამ მათ შორის ერთი გოგო განსაკუთრებით დაამახსოვრდა. მათი თვალები წამით შეხვდნენ კიდევ ერთმანეთს და მერე დავითმა მზერაც საკმაოდ დიდხანს გააყოლა ახალგაზრდა ყივჩაყ ქალს.

ყივჩაყმა კაცებმა კი რამდენიმე სხვა რიტუალიც ჩაატარეს გიორგი მეფის პატივსაცემად და რამდენჯერმე ხის დიდი ჯამიც გაუწოდეს მეფისთვის უცნობი სითხით სავსე. გამხიარულებულმა გიორგიმ, საპასუხოდ, თავისი მხლებლებისთვის გამორთმეული ტიკჭორა ყივჩაყებს გადაუგდო, რამაც მათში დიდი ხალისი და ხარხარი გამოიწვია. მერე ცხენოსან ყივჩაყებს ერთი მათგანი გამოეყო და მეფის გარშემო ისე მედიდურად ააცეკვა ცხენი, რომ მას მეფეც სიამოვნებით აჰყვა. ყივჩაყებს მოეწონათ გამხიარულებული მეფის დანახვა, ქართველები კი მიხვდნენ მისი გალალების ნამდვილ მიზეზს – გიორგიმ ისევ იგრძნო, რომ ის მეფეა.

დავითმა ეს ჯერ ჭყონდიდელს უთხრა, მერე ალექსანდრეს მონეტა ამოიღო და ააგდო, მაგრამ სწორედ ამ დროს მისი ცხენი ყალფზე შედგა და ამიტომაც მონეტა ვეღარ დაიჭირა. იძულებულიც გახდა, მიწიდან აეღო და გაეღიმა. ჭყონდიდელსაც...

– ვაი მირნელს და წყევლა მირნელს, რო ვერ გაზარდა შეგირდები!.. ახლა რა ვქნათ? ის ეშმაკეული სად გადამალეთ?!

მირნელი ხან საკუთარ თავს ეჩხუბებოდა, ხან – ბივრიტელსა და შულიას. რომ აღარ გაჩერდა, ბივრიტელმა სიტყვა ჩაუგდო:

– ჩვენით არ წავკიდებივართ.

– ვინა ხართ, რომ ასისთავს კლავთ, ვინ ხართ?! დედოფალი ამბობს, მოშორდნენ, გაქრენ და გადაიკარგონო!..

– მე გადავიხდი იმ ათ ძროხას, – ისევ ჩაერია ბივრიტელი.

– ათ ძროხას? უფლისწულის ძუძუმტე ხარ, მეკობრესავით კი დაეხეტები და ლიპარიტის ასისთავებს ჰკლავ...

– ჩვენ არ მოგვიკლავს, – ახლა შულია შეეცადა თავის მართლებას.

– ის მეკობრი და ყაჩაღი სად არის, სად გადამალეთ? – მაინც არ დაცხრა მირნელი.

– არაბიძე მინდობაი ძერად გადაიქცა და მეფის ბაზიერებს უზის, – შულიას აშკარად მობეზრდა დამნაშავეის როლი, მირნელი ყვირილზე გადავიდა:

– გეენიასა შინა!.. ვინ ხართ? რას დაეხეტებით!? დედოფალს ყოველივეს მოვახსენებ!...

– ვინა ვარ? ქარის ციხის პატრონი ვარ, მეფემ დამნიშნა, – ბივრიტელსაც მობეზრდა თავის მართლება მირნელის წინაშე.

– მე კიდევ შენი მოძღვარი ვარ და ლიპარიტ ბაღვაშის განმკითხველად შენ არავის დაუნიშნისხარ!

– ლიპარიტის განკითხვა ვითომ რატომ არ შეიძლება?

– წადით, გადაიკარგეთ და სადმე დაიმალეთ, წადით იმ თქვენს ქარის ციხეში, სანამ მეფე დაბრუნდება. თუ დაბრუნდება ოდესმე. იმან მოჰკლა? არაბიძე მინდობაიმ? ეს მოვახსენო დედოფალს?

– ჩვენ მოვკალით, მეფეს დასცინოდა...

მირნელმა ხმას დაუწია და ბივრიტელს თვალი გაუსწორა:

– მამაშენს ან შენს ძმებს რომ მიადგნენ, ამაზე არც გიფიქრია?

– ერთი გველხოკერა ასისთავისთვის? – გულწრფელად გაიკვირვა შულიამ.

– ასეთია ეს ქვეყანა, სცადეთ და გადააკეთეთ.

– გადავაკეთებთ!

– ხმალი ატრიალეთ ფუნდუკებში, იხადეთ ათ-ათი ძროხა და მალე გადააკეთებთ. თანაც ლიპარიტ ბაღვაშის ჯარმა გდიოთ.

– მდიოს! – გადაჭრით თქვა ბივრიტელმა.

– მდიოს! – დაუდასტურა შულიამაც.

მირნელმა კი გამწარებით გააქნია თავი და, სანამ სასახლის ეზოს დატოვებდა, ორივენი კიდევ ერთხელ გააფრთხილა:

– ვერა, შვილო, ვერა, ქვეყანა სხვაა...

ყივჩაყურ სოფელთან ახლოს, იქვე, ველზე გამ-ლილ კარ-ვებთან რამდენიმე კოცონი ენთო, სადაც ყველაფერი ერთად ხდებოდა: თაფლუჭის სმა და მწვადების შიშხინი, მხიარული ცეკვები და ჭიდაობა, რომელსაც ღიმილით აკვირდებოდა მთვრალი მეფე. გიორგი მეფის ვაჟი დავითი კი არცთუ მოშორებით, კარვის კიდესთან მოკალათებულიყო და ხანჯლით თლიდა ამოჩემებულ ჯოხს, როცა მას ჭყონდიდელი მიუახლოვდა:

– ეგ არის ათრაქა, – ჭყონდიდელმა ხელი გაიშვირა. უფლისწულმა კი თითქოს ამოიოხრა:

– ბოლო არა აქვს ამ ქვეყანას.

– ჰო, – მაშინვე დაეთანხმა გიორგიც, – სულ ველია, ასი დღის სავალზე, გარშემო სულ ველია. ეს არის ამათი ქვეყანა.

– რამდენი ქალი ჰყოლიათ, – გაიღიმა დავითმა, ჭყონ-დიდელმა კი პირჯვარი გადაიწერა.

– შულია რომ წამოგვეყვანა, უკან აღარც დაბრუნდებოდა.

მასაც გაეღიმა და კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგ-რამ უცებ მათთან ერთი მსახურთაგანი გაჩნდა, რომელმაც უფლისწულს მეფესთან უხმო.

დავითიც იქით წავიდა, სადაც მამა ეგულეობდა.

შეზარხომებულმა მეფემ შვილი ჯერ გიჟურად მიიხუტა და მერე იქვე მდგომ ათრაქას გააცნო. სათქმელი სადუნმა უთარგმნა. ათრაქამ მოწონებით შეათვალიერა ქართველი უფლისწული, მერე კი ვიღაცას მოუხმო და სადუნმაც ქართველებს იმ ვიღაც ბიჭის ვინაობა აუხსნა:

– ათრაქას ვაჟი, ბულმა.

მერე, იმავე წამს, სწორედ ის გოგო მოიყვანეს, რომელიც დავითმა დილით დაიმახსოვრა და სადუნმა ისიც გააცნო:

– ათრაქას ქალი, გურანდუხტ...

დავითისა და გოგოს თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს.

ათრაქამ რაღაც გადაულაპარაკა გიორგი მეფეს, სადუნმა ისევ თარგმნა მისი სიტყვა და ორივეს გაეცინა. მერე ათრაქამ ბუღმასაც რაღაც უთხრა ყივჩაყურად და მასაც გაეცინა. დავითი კი სწორედ სიცილმა გამოარკვია, რადგან გურანდუხტს თვალს არ აშორებდა...

ბუღმამ დავითს ღიმილით ანიშნა, მომყევით და კარვებს შორის სიღრმისკენ შეუძღვა. მერე ერთ-ერთ კარავთან შეჩერდა, კარვის კიდეზე მიმაგრებული მაშხალა მოხსნა და დავითს ღიმილით გაუწოდა. მერე ანიშნა, კარავში შედიო და ქართველი უფლისწული კარავში მარტო შევიდა. ბეწვის ქვე-საგებელზე ხალისიანი და მოღელღალი ქალი იყო მიწოლილი, რომელსაც აშკარად სტუმრის მომლოდინე სახე ჰქონდა. დავითმა მღელვარედ შეხედა ქალს და თითქოს ნაბიჯიც გადადგა მისკენ, მაგრამ მერე უცებ მოტრიალდა გასასვლელისკენ და ქართულად, უფრო თავისთვის, თქვა:

– კაცი საკუთარ თავს თუ ვერ მოერია, სხვებს ვერასოდეს მოერევა.

ქალმა ხელით ანიშნა, რომ სტუმრის ენა არ ესმოდა.

– ვიცი, რომ ქალებს კაცებისა არ ესმით, კაცებს კი – ქალე-ბი-სა, – ეს უკვე გარეთ გასვლისას თქვა დავითმა და მაშხალაც გარეთ, იქვე მიაგდო. მერე ისევ სალხინო ადგილისკენ წავიდა აჩქარებით და თვალებით მანამ ეძებდა გურანდუხტს, სანამ არ იპოვა. თუმცა გურანდუხტს იგი არ დაუნახავს, რადგან საერთო გართობაში იყო ჩაბმული. სამაგიეროდ, უფლისწულმა ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. მოიხედა უკან და გაკვირვებული ბუღმა აღმოაჩინა. არაფერი უთქვამს, თავისი კარვისკენ წავიდა, აზგაში წიგნები გადაქექა, ფსალმუნი ამოიღო და აჩქარებით დაიწყო წიგნის კითხვა.

უცებ ვიღაცამ კარვის კალთა მკვეთრად გადაწია და უფლისწულმა ბერი გიორგი ჭყონდიდელის სახე დაინახა. ერთხანს ერთმანეთს უყურებდნენ, მერე გიორგიმ პირჯვარი გადაწერა დავითს. ამასობაში კარავთან ახლოს მეფის ხმა მოისმა და გიორგიმ გზა დაუთმო მეფეს, რომელიც კარავში შევიდა. დავითმა წიგნი გადადო.

– რა ყოფილან ეს ყივჩაყები, რა უსაზღვრო ადგილები ჰქონიათ, იცოდე, რომ უსაზღვრო ადგილს არაფერი სჯობია...

თქვა მეფემ და წავიდა.

გარედან ყივჩაყების ხორხოცის ხმა მოისმა.

იმ დღეს ლიპარიტს მისსავე ციხე-სასახლეში სამი თბი-ლისელი მმართველი სტუმრობდა, რომლებიც ცდილობდნენ, მისთვის აეხსნათ, რომ ქართველი მეფის გაძლიერება ლიპარიტისთვის საშიში იქნებოდა.

– ამის დარდი ნუ გექნებათ. არ არის საშიში. მეფე არა ჰყავს ამ მიწას, – თქვა ლიპარიტმა სამივეს გასაგონად და სტუმრებისთვის ღვინის შევსება ბრძანა.

– მთის იქით ჰყავს, – მაინც შეეკამათა ერთი მათგანი.

– მთის იქითაც აღარ ეყოლება: ყოვჩაყები ჯარს არ მისცემენ მეფეს. მთის იქით არაფერია, ტყეებისა და ლოთი მეფის გარდა.

– მთის აქეთ? სელჩუკებს სულ ხმალზე უჭირავთ თვალი, – ახლა მეორე სტუმარი ჩაერია საუბარში.

– სელჩუკების დამშვიდებას რა უნდა, მათ მოსათაფლად მხოლოდ ღიმილია საჭირო, მეტი არაფერი.

ლიპარიტმა ახლა უკვე ღიმილით დაამშვიდა ისინი და ცოტა ხანს ხმა არავის ამოუღია. ღვინოსთან ერთად გემრიელ სადილს ჩუმად მიირთმევდნენ. სიჩუმე ისევ ერთ-ერთმა თბილისელმა დაარღვია:

– ჩვენ დავუდგენთ შენს ვაჭრებს ნაკლებ ბაჟს, თუ შენ გზას მისცემ ჩვენს სოვდაგრებს.

– ასეც იქნება.

– ქარავნობა გაძნელდა. ტყემ წაიღო ყველაფერი და ამ მოჩვენებებმა.

– რა მოჩვენებებმა? – სიცილით იკითხა ლიპარიტმა.

– მოჩვენებების შესახებ არა გსმენიათ? შავი მოსავთ და მო-ნაზვნებს ჰგვანან. მარცვავენ და სპობენ ყველაფერს. მურწასმული ისრები აქვთ.

– თუ აცვიათ, მოჩვენებები არ აყოფილან.

– ასე კი ეძახიან.

– ნამდვილი ჰაშაშინები ყოფილან, ალამუთის შვი-ლები, – ღიმილით დაასკვნა ლიპარიტმა.

– ასეც არის. თბილისში ათას ზღაპარს და მართალს ჰყვებიან.

– მე სხვა მაფიქრებს, – ხელი ჩაიქნია ლიპარიტმა, – უფლის-წული წამოიზარდა, მისი ყმები კი უკვე ჩემს ხალხს ხოცავენ.

– გამიგონია, – თქვა ისევ ერთ-ერთმა.

ლიპარიტმა განაგრძო:

– ეს ტყეში გამოზრდილები, უფლისწულის გათავხედებული ძმადნაფიცები არიან, ახლა რომ ყივჩაყებს სთხოვენ დახმარებას. ჩვენ იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლს ვეხვეწებით, ესენი კი – ყივჩაყებს...

დავითი კარვის წინ იჯდა, იქვე, ბუღმას გვერდით, და -კვლავ ხანჯლით თლიდა ამოჩემებულ ჯოხს, როცა შორიახლოს მდგომი ყივჩაყი ბიჭის დაჟინებული მზერა იგრძნო. როცა დავითი საქმეს მორჩა, ხანჯალი მიწაში ჩაარჭო და გვერდით მჯდარ ბუღმას მოვარაყებულ ჯოხი გაუწოდა. ბუღმამ მოწონებით შეათვალიერა ჯოხი, უფლისწულმა კი ღიმილით უთხრა:

– აი, აქ უნდა გახვრიტო და გაუკეთო ნაწნავი, მაშინ მათრახი იქნება...

ყივჩაყმა ბიჭმა კი, ამასობაში, ფეხაკრეფით შე-მოუარა დავითს და მიწაში ჩარჭობილი ხანჯალი ამოაძრო. თუმცა, არ გაქცეულა და შორიახლოს დადგა.

დავითმა ჯოხი გამოართვა ბუღმას და ხელით ის ადგილი მოსინჯა, სადაც ხანჯალი ჰქონდა მიწაში დარჭობილი, მერე გაკვირვებულმა მიმოიხედა ირგვლივ და იქვე დაინახა ყივჩაყის ბიჭი ხანჯლით ხელში.

დავითმა ჯერ ხელით ანიშნა, მერე სიტყვითაც მოითხოვა თავისი ხანჯალი, მაგრამ ყივჩაყის ბიჭს ყურადღებაც არ მიუქცევია ქართველი უფლისწულისთვის.

დავითმა გულწრფელად გაკვირვებული სახით შეხედა ბუღმას, რომელმაც უარის ნიშნად თავი გააქნია. უფლისწული წამოხტა და ხანჯლიან ბიჭს მივარდა, მაჯაზე ხელიც წაუვლო, მაგრამ ბიჭმა ხელი ჰკრა დავითს და ბუღმაც მაშინვე მათ შორის ჩადგა, მერე რაღაცის ახსნასაც შეეცადა დავითისთვის მღელვარედ და ყივჩაყურად. ყივჩაყი ბიჭი დამცინავად იღიმებოდა ყველას დასანახად. ბუღმას სხვებიც წამოემშველნენ და ყივჩაყის ბიჭსა და ქართველ უფლისწულს შორის ისინიც ჩადგნენ. თუმცა უნებლიეთ მათი ნამდვილი გამშველებელი, მაინც ყივჩაყების მეფე გამოდგა.

მეფე გიორგი ყივჩაყთა მეფის პირისპირ იჯდა მასავით ფეხმორთხმული, მათ უკან კი მათი ამაღლის წევრები იდგნენ ჩუმად და მოთმინებით, როცა მეფეები ჰინდო სადუნის დახმარებით საუბრობდნენ.

– დიდი პატივია ჩემთვის და სურვილიც დიდია, ოღონდ ჩვენ ვერ დავეხმარებით ჩვენს სტუმრებს, – თქვა ყივჩაყების მეფემ და როცა სადუნმა შესავალი ქართულად თარგმნა, განაგრძო:

– ჩვენ არა გვაქვს თავი და ბოლო, თქვენ გაქვთ საზღვარი, ციხე და ქალაქი. ჩვენ გვაქვს სამყარო. ჩვენ ან ყველაფერს დავკარგავთ, ან ყველაფერი გვექნება. რა იქნება იქ, შენს ქვეყანაში ჩემი ხალხისთვის? ისინი იმას აკეთებენ, რასაც შენ ებრძვი.

– მე ვფიქრობდი, რომ ერთად კარგად ვიბრძოდით, – გიორგიმაც პირდაპირ უთხრა სათქმელი ყივჩაყების მეფეს და პასუხიც მაშინვე მიიღო:

– ყველგან ჩვენი ქვეყანაა, სადაც ჩვენი ცხვარი და ძროხა ძოვს...

უცებ საუბარში დავითი ჩაერია:

– სელჩუკებიც ასე ამბობენ, – და სადუნსაც ანიშნა, მისი ნათქვამი ყივჩაყებისთვის ეთარგმნა. სადუნმაც თარგმნა, მაგრამ ყივჩაყები იმან უფრო გააოცა, რომ დავითი მეფეების საუბარში ჩაერია.

– ნუ შემადარებ შენს მტრებს, – მიუგო ყივჩაყების მეფემ ქართ-ველების მეფეს, როცა სადუნმა მისი შვილის სიტყვები თარგმნა.

გიორგიმ დავითს გახედა, უფლისწულმა კი გაბრაზებით თქვა:

– დღეს აქ ხანჯალი მომპარეს. ზუსტად ისე, როგორც ქვეყანა მოჰპარეს მამაჩემს და მის მამას. მე ვიცი, ვისაც აქვს ეს ხანჯალი. პაპაჩემის ხანჯალია და უკან დავიბრუნებ.

სადუნმა ახლაც თარგმნა მისი სიტყვები და ყივჩაყების პასუხს დაელოდა:

– მე ვერ დავიბრუნებ იმას, რაც დაკარგე. ასეთია ჩვენი წესი: დაკარგული და წართმეული თვითონ უნდა დაიბრუნო, სხვა ვერ მოგცემს იმას, რაც შენია. ეგ ხანჯალი მიწას ჰგავს, ძროხას ჰგავს, ქვეყანას ჰგავს... ყველაფერი ერთია ცის ქვეშ. ხანჯალი ბასრია და ხელით ვერავის წაართმევ. ხანჯალი ხანჯლით უნდა წაართვა, ასეთია ჩვენი სამართალი...

– მოპარვა რა სამართალია?! – ისევ გაბრაზებით თქვა დავითმა.

– მაგრამ ცხოვრებაა, – უპასუხა ყივჩაყების მეფემ და როცა ესეც თარგმნა სადუნმა, სიტყვა ისევ გიორგი მეფემ აიღო:

– უფლისწული მას ვერ შეებრძოლება. მე მეფე ვარ, ჩემი შვილი ვერ შეებრძოლება ყმას.

ყივჩაყების მეფემ ქამრიდან ხანჯალი ამოაძრო და გიორგის გაუწოდა:

– ეს პაპაჩემის ხანჯალია. ჰქონდეს შენს შვილს დაკარგულის სანაცვლოდ. ხვალ უკეთესი დღე იქნება. გამომართვი...

მერე ყივჩაყების მეფემ ბუღმას გასძახა და ისევ გიორგის მიუბრუნდა:

– მე შენ ჩემს შვილიშვილსაც გჩუქნი! წაიყვანე და გაზარდე, როგორც შენი შვილი, როგორც შენი შვილის ძმა. ასწავლე თქვენი სამართალი. ხვალ უკეთესი დღე იქნება.

აღელვებულმა ბუღმამ უფლისწულ დავითს მეგობრულად ჩაუკრა თვალი..

\* \* \*



მემატიანე არსენ ბერის სენაკში უამრავი ფოლიანტი იყო გაშლილი. არსენი და მირნელი თითქმის ჩურჩულით საუბრობდნენ, ოღონდ ეგ იყო, რომ ეშმაკის ხსენებაზე ორივენი პირჯვარს იწერდნენ.

– ეშმაკეულია, ვინ არის სხვა?

– ვარსკვლავებს ამხერინებს და არაფერი გამოვიდა ამ ვარსკვლავთა მხერიდან.

– რა დაუხვდება აქ? ჰინდო დაჰყავს წინა და უკან. ყივჩაყებშიც თან წაიყვანა, სადუნიაო, მაგრამ განა მათი ენა სხვამ არავინ იცის?..

– ყმაწვილებსაც ის აქეზებს და ზუსტადაც ვიცი, რომ ასეა. მან გაგზავნა ისინი ქარის ციხეში და საბუთიც არ მიუცია. რატომ აკეთებს ამას?..

– დედოფალი უღონოა.

– ეს ყველაფერი ჩასწერე შენს წიგნში?

– წიგნები არ არის ამ ამბებისთვის. თუკი დაბრუნდნენ, დედო-ფალმა უნდა სთხოვოს ჰინდოს გაგდება. ეს ჰინდო წყევლაა ჩვენზე.

– თუ არ დაბრუნდნენ?

– ძაღლები დაჰყავს ადამიანებად. იცი, რაც არის ძაღლი. ძაღლებს ელაპარაკება ღამღამობით. რამდენჯერ მისმენია...

## გურანდუხტი

ქართველების ამაღა თითქოს უხალისოდ იკრიბებოდა. ყივჩაყები ცხენების დატვირთვაში ეხმარებოდნენ მათ და შავგადაფარებულ სანადირო ფრინველებსაც ღიმილით ჩუქნიდნენ ქართველებს.

– აი, ყივჩაყი, აი, ნამდვილი ყივჩაყი! ჰინდო, გინახავს ასეთი რამ? – აღტაცებას ვერ მალავდა მეფე გიორგი, უფლისწული დავითი კი ხალხში დაეძებდა გურანდუხტს, ოღონდ მხოლოდ თვალებით. გურანდუხტმაც შენიშნა უფლისწული. მეფემაც დაინახა გურანდუხტის მხერა, თუმცა არაფერი უთქვამს.

ბუღმამ ცხენი მოუყვანა დავითს, მაგრამ ყველანი მეფის ამხედრებას დაელოდნენ. გიორგის ამხედრებისას ყივჩაყების მეფე კარვიდან გამობრძანდა ღიმილით და ქართველების მეფეს მხარი შეაშველა. ასე კიდევ ერთხელ გამოხატა სტუმრის პატივისცემა და სადუნი ჰინდოს პირით დავითი შეუქო გიორგი მეფეს:

– შენ კარგი შვილი გყავს და ხვალ უკეთესი დღე იქნება.

გიორგი დაეყრდნო ყივჩაყი მეფის მხარს, მარდად შემოახტა ცხენს და მასთან ერთად ყველანი ამხედრდნენ დავითის გარდა. თითქოს ამას უცდიდაო, უცებ დავითთან პატარა ყივჩაყმა ბიჭმა მოირბინა და გადაწული მინდვრის ყვავილების პატარა კონა მისცა. მეფემ წამით თვალი ჰკიდა ამ სცენას, მაგრამ უხმოდ ჰკრა ცხენს დეზი. ქართველები ყიჟინით დაიძრნენ. მხოლოდ დავითი მიჰყვებოდა ჩუმად ქართულ სამეფო ამაღას თაიგულით ხელში და თვალებით კი ისევ გურანდუხტს ეძებდა.

მეფემ უცებ შეაყენა ცხენი, თითქოს დავითს ელოდებო, და როდესაც უფლისწულის ცხენი მეფისას გაუსწორდა, მეფემ ჯიქურ, მაგრამ ძალიან თბილად შეხედა მას. თითქოს გაჯავრებით ყურზე მოავლო ხელი და კბილებში გამოსცრა:

– ჯარი რომ მოეცათ ჩემთვის... გიყვარდეს და ითმინე. უკეთესი ეგებ არც რამე იყოს ცხოვრებაში...

აღარ დაელოდა შვილის პასუხს და ცხენი გააჭენა. დავითიც უკან მიჰყვა, მაგრამ ჯერ უბეში, გულის მხარეს ჩაიდო მინდვრის ყვავილების პატარა კონა...

დედოფალი მარტო არ იყო სასახლეში, რადგან ისე დარდობდა ოჯახის წევრების დაგვიანებას, რომ სეფექალების გარდა, კარისკაცებიც გამუდმებით თან ახლდნენ მას, კათალიკოსიც პირადად ცდილობდა დედოფლის დამშვიდებას.

– არც მაცნეს აგზავნის და არც სხვა ვინმეს. უკვე მთებს აქეთ უნ-და გადმოსულიყო და არაფერს გვატყობინებს, – თქვა კიდევ ერთ-თხელ დედოფალმა და კათალიკოსმაც კიდევ ერთხელ დააწყნარა:

– უკვე გვამცნო, რომ არაფერი გამოუვიდა.

– ახლა რას მოიმოქმედებს?

– ვლოცულობ, რომ უფლისწულიც არ ჩაითრიოს თავის ცოდვებში, მემთვრალეობასა და ჰინდოთა მანქანებში.

დედოფალმა პირჯვარი გადაიწერა, მას დანარჩენებმაც მონდომებით მიბადეს.

– ბოროტი არასდროს ყოფილა, მაგრამ შლეგი კი გახდა.

– ბოროტი მრავალგვარი არსებობს.

– მას რომ სისხლის წყურვილი გამოეჩინა, ერისთავე-ბი ასე არ წამოასხდებოდნენ თავზე. შეთქმულებს ხმლით კი არა, ღვინით ხვდებოდა, უცინოდა ყველას და ეფერებოდა.

– თუ მე მომისმენ, დედოფალო, უფლისწულს გავგზავნიდი სადმე, მოვარიდებდი...

– მეფე არ გაუშვებს და თანაც უცილობლად უნდა იქორწინოს. ეს უნდა შევძლოთ...

უკანა გზაზე კი, თოვლიანი კავკასიონის გადმოლახვისას, მოწყენილ ქართველ უფლისწულს გიორგი ჭყონდიდელი სწორედ იმას უხსნიდა, რაც დავითმა მანამდე არ იცოდა:

– ძლიერები მხოლოდ ძლიერებს ეხმარებიან და ამიტომაც უთხრეს ყივჩაყებმა უარი მამაშენს. სანამ სხვას მივმართავთ დახმარებისთვის, მანამ ჩვენში უნდა მოვიძიოთ ძალა, რომ ჯერ გადავრჩეთ, მერე გავძლიერდეთ და ბოლოს გავიმარჯვოთ..

– სად უნდა მოვიძიოთ ეს ძალა, სად, ჩვენში?

– ჩვენში, ყოველ ჩვენგანში, ჩვენს ქვეყანაში...

– ჩვენი ქვეყანა დანგრეულია, ხალხი გახიზნულია და ვისაც კი ბრძოლა შეეძლო, მტერმა ან მოკლა, ან დაიმორჩილა..

– ათი ღირსეული კაცი თუ მოიძებნება ქვეყანაში, ის ქვეყანა გადარჩება კიდეც. აკი ორნი უკვე ნახე თბი-ლის-ში.

– ათი კაცი რა გამარჯვებას ეყოფა?

– ჩვენ ათით დავიწყეთ და ასი გახდება, მერე – ათასი და მერე – მთელი საქართველო...

დავითმა საკუთარ წელს დახედა დარცხვენით, სადაც ადრე მგლისთავიანი ხანჯალი ეკიდა, რომელიც ყივჩაყეთში ისე მოპარეს, ვერც კი გაიგო, მაგრამ არაფერი უთქვამს. გიორგი ჭყონდიდელს არც ეს გამოპარვია და ღიმილით გადახედა მოწაფეს, მეგობარსა და საქართველოს მომავალ მეფეს.

– თუ შენ ძლიერი მეფე იქნები, იმ მგლისტარიან ხანჯალსაც დაიმსახურებ: თვითონვე დაგიბრუნებენ იმას, რაც მოგპარეს. ყივჩაყთა მეფის მშვენიერი ასულიც შენი იქნება, თუ შენს ქვეყანას იმას დაუბრუნებ, რაც წაართვეს...

– ჩვენს ქვეყანას ბევრი რამე წაართვეს, შენ რას გულისხმობ, მთავარი რა არის?

– მთავარი ღირსებაა. თუ ღირსებას დავიბრუნებთ, ყველაფერს დავიბრუნებთ, რაც გვექონდა...

ღამე იყო, როცა სასახლის ეზოში მეფე და მისი ამაღლა შევიდა. ყველანი დამძიმებულები და გრძელი გზისაგან დაღლილები ჩანდნენ. თვითონ მეფე მხიარულად ჩამოქვეითდა და სამადა ბაზიერს გასძახა. სასახლეში მოძრაობა და ხმაური ატყდა. მაშხალიანი ადამიანებიც მალე გამოჩნდნენ ამ საყოველთაო ფაციფუცში.

დავითიც ჩამოქვეითდა. აივნიდან დედოფალმა ჩამოირბინა სეფექალების თანხლებით და აჩქარებით მიუახლოვდა მეფესა და უფლისწულს. მეფემ დედოფალი არც შეიმჩნია და ბაზიერს მიმართა ხმამაღლა და ომახიანად:

– გარეთ გამო და ნახე, რა ჩიტი მომიყვანია!

დედოფალი კი კარგახანს კოცნიდა და თან რაღაცას ეჩურჩულებოდა, ევერებოდა მონატრე-ბულ შვილს და სახეზეც აკვირდებოდა.

თუმცა განსაკუთრებული დაკვირვება არც უნდოდა იმის ამოცნობას, რომ ახლა უფლისწულს სულ სხვა ფიქრი აწუხებდა.

მეფემ კი ეზოში გამოვარდნილი ბაზიერის დანახვისთანავე შავტილოგადაფარებულ ფრინველს ფრთხილად მოხსნა ნაჭერი და მაშხალების მოშორება ბრძანა, რომ არ დაეფრთხოთ.

– ნახე, რა მოგიყვანე, – გაუმეორა გიორგიმ სამადა ბაზიერს, რომელიც გაოგნებული უყურებდა სამეფო საჩუქარს.

– შენ დღისით უნდა ნახო, რა საოცრებაა, ნამდვილი ყივჩაყია, – აღფრთოვანებას ვერ მალავდა მეფე გიორგი. დედოფალმა ამ დროს სულ სხვა პრობლემები გაახსენა კანონიერ მეუღლეს:

– ყივჩაყეთიდან სხვა დახმარებასაც ველოდით.

მეფემ დედოფალს გაბრაზებით გადახედა, მაგრამ არაფერი უთხრა, მერე ბაზიერს ისევ მხიარულად გადასძახა:

– სამადავ, წამო, ჩემი ახალი დედოფალი ვაბანაოთ...

– მაგ ჩიტისთვის მართლა უფრო იოლია შენი ცოლობა, – დასძინა გაბრაზებით დედოფალმა, მაგრამ უფრო თავისთვის, ამიტომაც მეფეს მისი ნათქვამი აღარ გაუგია.

– შულია აზნაურის ხმა არ ისმის, აქ არ არიან? – ჰკითხა დავითმა დედოფალს, რომ დედამისს მეფის გასაგონად აღარაფერი ეთქვა.

– აქ არ არიან, კარზე ვეღარ გავაჩერებდი. მინდობაიმ ვიღაც მოჰკვლა...

დავითი მაშინვე შეტრიალდა და უხმოდ წავიდა. გიორგიც უკან მიჰყვა მას. შემცბარმა დედოფალმა კი ესლა თქვა:

– გავგზავნი და მოვამებნინებ...

შულია, ბივრიტელი, მინდობაი და თომა თომას ქოხის პირას ისხდნენ, როცა მათკენ მომავალი დავითი და გიორგი შენიშნეს. ბუღმაც თან ახლდათ.

ყველანი მაშინვე ფეხზე წამოცვივდნენ და უფლისწული ყიჟინით ჩამოაგდეს ცხენიდან. თომას გარდა ყველას ხმამაღლა გაეცინა. ყველაზე ხმამაღლა მაინც შულია ყვიროდა:

– გემო მითხარი, გემო, გემო მითხარი ყივჩაყის ქალისა. ახლა არ მითხრა, არაო... არა? არა?

გიორგი პირჯვარს იწერდა, დავითი კი შულის კითხვას სხვანაირად პასუხობდა:

– მეკობრენი ხართ, ავაზაკნი და მეკობრენი!

მერე ვილაცამ იკითხა, მართლა ძალიან დიდი იყო თუ არა ყივჩაყების ქვეყანა. ბივრიტელმა კი უფლისწულს მოახსენა, რომ მისი მეგობრები და ძუძუმტეები სამეფო კარს მოარიდეს...

– მეფემ უკვე ბრძანა თქვენი დაბრუნება, – ყველანი დაამშვიდა დავითმა და თომას ნაგაზს გახედა:

– რა ჰქვია მაგას?

– ტორია ჰქვია, – უპასუხა თომამ; შულიამ სიტყვა ჩა-მოართვა:

– ეგ ძალი არ არი, სულიერია, კაცია.

გიორგიმ პირჯვარი გადაიწერა. დავითი კი ძალს მოეფერა და ყველას გასაგონად თქვა:

– ყველანი სასახლეში მივდივართ.

– ასე სჯობს, – დაამატა ჭყონდიდელმა. დავითმა მონეტა ააგდო, დანარჩენებმა კი, თითქოს ახლა შეამჩნიესო, შორიახლოს მდგომ ბუღმას გახედეს.

– ესა, ყივჩაყია? – შულიამ იკითხა. დავითმა თანხმობის ნიშნად ღიმილით დაუქნია თავი. შულია კი ბუღმას მიუახლოვდა. ბუღმასაც გაეღიმა. შულიამ გამომწვევად შეათვალიერა და დავითის გასაგონად იკითხა:

– მერედა, რა მქვიათო?

– ქართული არ იცის, თქვენ უნდა ასწავლოთ, – თქვა დავითმა. ახლა ბივრიტელსაც გაეღიმა:

– ჰო, შულისაგან ბევრს ისწავლის.

შულის გაეცინა. უფლისწულმა გააგრძელა:

– მხოლოდ ერთი სიტყვა იცის ქართულად.

– აბა რომელი?

დავითმა ბუღმას გახედა, ბუღმამ კი სასაცილო აქცენტით წარმოთქვა:

– ძმუ.

– ძმა, ძმა ყოფილა, – გაუხარდა შულიას და ბუღმას ში-ნაურულად დაჰკრა მხარზე მარჯვენა ხელი, – ძმუ კი არა, ძმა.

– ძმა, – მაშინვე, ღიმილითვე შეასწორა ბუღმამაც.

ჩირაღდნებით განათებული დედოფლის პალატების სიჩუმე სახლთუხუცესის ხმამ დარღვია:

– უფლისწული მობრძანდება!

– მეც რო ეგეთი ხელობა მქონდეს, – თქვა შულიამ ვითომ დანანებით, როცა ყველანი დედოფლის კართან გაჩერდნენ, და შიგ შესვლისას დავითს ხელიც უბიძგა. შვილის დანახვისას დედოფალმა წამოდგომა დააპირა, მაგრამ უცებვე გადაიფიქრა. თითქოს საუბრის დაწყებაც დააპირა, რომ დავითმა დაასწრო:

– მე ისევ მივდივარ...

ყველანი დედოფლის პასუხს დაელოდნენ.

– ყველას უნდა მოგახსენოთ, რომ საპატარძლო უკვე გამოემგზავრა და მის დასახვედრად მზად უნდა ვიყოთ.

– ჩემი საპატარძლო? – გაეღიმა უფლისწულს.

– ხომ უნდა ჰყავდეს ამ ქვეყანას ჩემზე უკეთესი დედოფალი? – დედოფალმაც გაიღიმა და სხვებს გადახედა. სხვებსაც გაეღიმათ, მაგრამ ზოგიერთებს – აშკარად ნაძალადევად.

– ქორწინება ღვთის საქმეა, შვილიშვილების აღზრდა კი – დედოფლისა.

დავითმა არაფერი უპასუხა დედამისს. დედოფალმა განაგრძო:

– მეც ასე მომიყვანა ამ სახლში პაპაშენმა ბაგრატ მეფემ, ასევე მომიყავს შენი ბედი და შენი სადედოფლო. ველარ მოვიცდით.

– მე მივდივარ-მეთქი, – გაიმეორა უფლისწულმა.

– სად გეძებოთ ხოლმე, ქართლის ტყეებში? ცოლი და შვილი თუ გეყოლება, თავად მოხვალ მათთან. მთელი დარბაზი ამას ფიქრობს, რომ უნდა იქორწინო. არადა, ვინდა იქნები მაშინ? – დედოფალმა ხმასაც აუწია. დავითმა ისევ მშვიდად, აუღელვებლად უპასუხა არამხოლოდ დედას:

– შეგიძლიათ ყველაფერი უჩემოდ მოაგვაროთ, მაგრამ იცოდეთ, რომ მე ეს არ მსურს და მე სხვა პატარძალს დაველოდები. ყველამ იცოდეთ, რომ მე სხვა პატარძალს დაველოდები...

უცებ სიბნელეს გიორგი გამოეყო და უფლისწულის წინ დადგა:

– დედოფლის რჩევას ყური უნდა უგდო. შენ უფლისწული ხარ, ჩვენი უფლისწული, და უნდა აასრულო ეს თხოვნა, რადგან ქვეყანას სჭირდება. სწორედ ასე, საჩქაროდ. აქ ვერ დაიხევ უკან. დასახევი აღარ არის. ეს ჩვენ გვჭირდება, მთელ სამეფოს, მეფეს და დედოფალს. უფლისწულო, უნდა დაქორწინდე!..

დავითს გაკვირვებული და გაჯავრებული სახე ჰქონდა, დედოფალს – კმაყოფილი და გახარებული.

უცებ უფლისწულმა თავი დაღუნა და ჩქარი ნაბიჯით იქაურობა დატოვა. მას ბუღმა და შულია ფეხდაფეხ მიჰყვნენ, გიორგი კი გზაში წამოეწია და უფლისწულის შეჩერებას შეეცადა, თუმცა დავითმა გზა გააგრძელა. გიორგი ახლა წინ გადაუდგა მას. უფლისწულმა პირდაპირ ჰკითხა:

– შენც?

– ჰო, მეც! – გიორგიმაც პირდაპირ უპასუხა.

– შენ ხომ ყველაფერი იცი ჩემი, და მაინც იმ დასუქებულ კა-ტებთან ერთად ჰკუყვას მარიგებ?

– ჯერ ისევ არაფერი გაგეგება, არაფერი! – ძალიან გაბრაზდა გიორგი და მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა მას. ბუღმა მათ შორის ჩადგომას შეეცადა. შულიამ მაშინვე დაამშვიდა ყივჩაყი მეგობარი:

– ძმა, ძმა...

გიორგიმ კი იღრიალა:

– მეფეს უნდა ჰყავდეს ცოლი და შვილი! უნდა ჰყავდეს! მეფეს! რაც მალე გეყოლება, უფრო მალე შეიქნები მეფე, როგორ არ გესმის?!

უცებ გიორგიმ უბეში ჩაუყო ხელი დავითს და დამჭკნარი ყვა-ვილების კონა შერჩა ხელში. დავითმა კონა გამოგლიჯა ჰყონ-დიდელს, გიორგიმ ისევ უბეში ჩაუყო ხელი უფლისწულს და ბოლოს იმას მიაგნო, რასაც ეძებდა – ალექსანდრეს მონეტას. მონე-ტა თვალებთან ძალიან ახლოს მიუტანა და ჯიქურ შეხედა. უფლისწული უცებ მოდუნდა. გიორგიმ მონეტა მუჭში ჩაუდო უფ-ლის-წულს, მერე ნელ-ნელა ხელი შეუშვა და კედელს მიეყრდნო.

– ყველანი არ ჩნდებიან სიყვარულისთვის, მით უმეტეს – კარგი მეფეები...

ბუღმა დავითს მიუახლოვდა, მხარზე მოხვია ხელი და ხმადაბლა უთხრა:

– ძმა.

შულიამ გიორგის შეხედა, ამოიხვნეშა და პირჯვარი არეუ-ლად გადაიწერა...

როცა შულია, დავითი და ბუღმა მეფის ოთახში შევიდნენ, იქ წიგნზე მშვიდად მთვლემარე არსენ ბერი აღმოაჩინეს. მეფეს კი ეღვიძა და თავის გადაკრულ ფეხს დაჰყურებდა.

მეფემ დავითს ხელით ანიშნა. უფლისწული მამას მიუახლოვდა, რომელმაც, როგორც მას სჩვევოდა, მკლავი მოავლო კისერზე შვილს და მიიხუტა. მერე ჩურჩულით უთხრა რაღაცა და ორივენი გაყუჩდნენ.

შულია და ბუღმა თავდახრილები იდგნენ.

მეფემ ხელი შეუშვა დავითს და ისიც წამოდგა.

– წადით და გააჭენეთ!.. ყველაზე ძლიერებიც თქვენ იქნებით ამ ქვეყანაში, თუ იმას დაივიწყებთ, რაც მე დამემართა...

სელჩუკების წყალობით გაზულუქებული ასისტავი ხვედია იმ ღამეს შინ გვიან დაბრუნდა (სმისა და ჭამისაგან დაღლილი) და ციხის კედლიდანვე დაინახა ცოლის სარკმელში მრუმე სინათლე. მან ჯერ დარაჯებს შეუძახა და მერე თავისი ცოლის გასაგონადაც დაიყვირა ხმამაღლა, მაგრამ არავინ უპასუხა. ალაყაფი გაიარა, ჩამოქვეითდა ზანტად და კიბესაც ნელა აუყვა. ცოლის ოთახისკენ მიმავალმა კიდევ ერთხელ დაუძახა ცოლს, თუმცა ისევ არავინ უპასუხა და ხვედიამ კარს ხელს ჰკრა. კარი არ გაიღო. მხრით მიაწვა, ბოლოს კი შეამტვრია. ცარიელ ოთახში მხოლოდ ერთი სანთელი ენთო. ასისტავი ისევ გარეთ გამოვიდა დაბნეული და ახლა მსახურებს უხმო. კვლავ მხოლოდ სიჩუმე დახვდა პასუხად. ხვედია მანამ იდგა მაშხალით ხელში ეზოს შუაგულში, სანამ სიბნელეს რაღაც ლანდი არ გამოეყო. იქვე მეორე შავმოსასხამიანი ლანდიც გაჩნდა, მერე მესამე, მეოთხე, მეხუთე და უცებ ერთმა თავსაბურავიანმა ლანდმა აშკარად ქალის ხმით ბრძანა:

– აბა, ხვედია ასისტავო, ილოცე...

შეშინებულმა ხვედიამ მიმოიხედა:

– ეშმაკეული...

ასისტავმა კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვეღარ მოასწრო, რადგან კისერზე ყველა მხრიდან ნასროლი ქამანდები იგრძნო და სამუდამოდ დამუნჯდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი სწორედ იმ ადგილიდან არცთუ მოშორებით ერთი მჭევრმეტყველი გლეხი აღტყინებული ყვებოდა ხვედიას ციხის ამბებს. მას ყველას ნაცვლად, რასაკვირველია, შულია აწყვეტინებდა:



– ემაგ ასისტავის ციხეში მართლა ეშმაკეული ბუდობს, ჩვენი სოფელი კი აქედან გადაღმა იყო და იმიტომ აიყარა, რომ მტერმა აღარ მოგვასვენა და ხალხი კლდეებში დაიხიზნა.

– შენ რატომ დარჩი?

– ოთხი საფლავი მქონდა მოსავლელი და ვერ მივატოვე, თანაც წასართმევი აღარაფერი დამრჩა, ამ ნატანჯი სიცოცხლის გარდა...

– ხვედიას ციხეზე რას ამბობდი? – ისევ შეაწყვეტინა შულიამ.

– აკი გითხარით უკვე, რომ დაბნელება ხოლმე, მანდ ისეთი ალქაჯები გროვდებიან, სელჩუკსაც კი ვერ მიუბედნია მისვლა.

– სელჩუკი შენ ჩვენზე მამაცი გგონია?

– მაგრამ იქ მისვლას მაინც არ გირჩევთ.

– შენ ისა სთქვი, ის ხვედია ეგეთს რას აშავებდა.

– დღისით სულ ურჯულოსთან ერთად სჭამდა პურსა და ღამე კიდენა თავის ცოლსა სტანჯავდა ხოლმე – კუროსა მალავ აქაო და ისე სცემდა თურმე ცოლსა, რომ იმისი ხმა ცასა სწვდებოდა.

– აკი მოუკითხავთ კიდევ ხვედიასთვის ციდან ანგელოზებს.

– არ ვიცი, ანგელოზები იყვნენ თუ ეშმაკები, მე მაგეებისა არაფერი გამეგება, მაგრამ იმ ღამეს სახლში თურმე არც ცოლი დახვედრია და არც რომელიმე მსახური, დილით კი ციხეზე გადმოკიდებული ისევ მაგის მეგობარ სელჩუკებს უნახავთ...

დავითმა შულიას ანიშნა და ამ უკანასკნელმაც ქისა დაუ-ტოვა წასვლისას კაცს, რომელიც ალბათ კიდევ დიდ-ხანს გააგრძელებდა უცნაური ამბების მოყოლას, რომ არა უფლისწული.

დავითს უკან, ძალიან ახლოს ბივრიტელი მიყვებოდა და როცა ერთი ბექობზე შედგნენ, უფლისწულს ხმადაბლა უთხრა:

– რა დამღლელი სიჩუმეა.

– აქ ნუ დავდგებით, ტრიალია მაინც, – თქვა მინდობაიმ და ცხენები ისევ დაძრეს.

– მეც ძალიან მეჩქარება იმ ეშმაკეულების ნახვა, მოლაღატე ხვედია რომ დასაჯეს, – თქვა შულიამ და წინ წავიდა...

მეფე იმ დღესაც მოინახულა დედოფალმა და გაუმეორა, რომ უფლისწული უცილობლად უნდა დაქორწინებულიყო, მაგრამ გიორგი მეორე ხუმრობის ხასიათზე იყო. მან ჯერ მონასტერში წასვლა შესთავაზა დედოფალს, მერე კი ღიმილით ჰკითხა:

– თუ გინახავს, ბრწყინვალე დედოფალო, შენს შვილს რა უდევს უბეში?

– მონასტერში უთუოდ წავალ, მაგრამ ჯერ უფლისწულმა უნდა იქორწინოს. ასე ვერ დავტოვებ ქვეყანას. ერთხელ იფხიზლე, რომ ამ საქმეზე კათალიკოსთან ვილაპარაკოთ. როდის შეძლებ ამას?

– ყველაფერი ღვთის ნებაა.

– ღვთის ნებაზე რომ მანამდეც გეფიქრა, ერთ ტამარს მაინც ააშენებდი. შენს ტამრებში კი სელჩუკებს ნახირი უდგათ...

– იცი, რას ნიშნავს მინდვრის ყვავილები უბეში, აი, აქ, გულთან? – გააწყვეტინა მეფემ დედოფალს.

დედოფალი მიხვდა, რომ მეუღლესთან საუბარს აზრი არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში ახლა მაინც, და ოთახიდან გავიდა.

დავითმა და მისმა ბიჭებმა ბეჭობიდან შენიშნეს კვამლი და სოფლისკენ ფრთხილად დაეშენენ, თუმცა ნასოფლარს უფრო ჰგავდა იქაურობა და ის გომურიც, საიდანაც კვამლი ამოდიოდა. ჩამოქვეითებულმა შულიამ და ბივრიტელმა წიხლი ჰკრეს კარს. გომურში, მინავლებულ ცეცხლთან, ის ნაცარქექია დახვდათ, რომელსაც უკვე იცნობდნენ. რა უნდა ეკეთებინა ნაცარქექიას გარდა იმისა, რომ ჯობით ხელში ნაცარს ქექავდა. შულია ჯერ ნაცარში გავლებულ ნაირგვარ ხაზებს დააკვირდა, მერე გაიღიმა:

– ახლა კი დაგაჭრი ყურებს, მაშინ რო ბრძოლაში მიმატოვე.

ნაცარქექიამ, პასუხის ნაცვლად, გომურში შემოსულ დანარჩენებს შეხედა. განსაკუთრებით ღიშ-პანელს დააკვირდა:

– ესაც დაიმატეთ? ფრანკია თუ მისრელი?

შულიამ ჯერ ნაცარქექიას წამოართკა თავში ხელი და მერე დავითს აუხსნა, რომ ეს სწორედ ის უსაქმური იყო, ქვას რომ წყალს ადენდა და რომლის შესახებაც ადრეც ნათქვამი ჰქონდა მისთვის.

დავითმა ღიმილით შეხედა ნაცარქექიას. ამ უკანასკნელმა კი მაშინვე თავი იმართლა:

– ახლა ნამდვილ საქმეს შევეჭიდე – გზები გამყავს.

ყველას გაეცინა, ნაცარქექიამ კი დახაზული ნაცრისკენ გაიშვირა საჩვენებელი თითი:

– მთაში უნდა გავიყვანო ხვრელი და რო გავიყვან, ხო აღარ გა-გეცინებათ. მთას რო შემოუვლი, გზა გრძელია. ასე კიდე, გასჭრი ლარივით და გახვალ მოკლეზე. თანაც, იქა არ მოგელოდებიან.

დავითმა ჩაიმუხლა ნაცართან. ნაცარქექიამ ახლა დეტალურად დაიწყო თავისი ნახაზების ახსნა:

– რო არ ჩამოიქცეს, დიდი ხეები უნდა დასჭრა ტყეში და შეუმაგრო, მიწაზე კიდე ქვას დაუგებ. ქვაზე კაცი ხო სწრაფად მიდის...

– მერე შენ იზამ მაგასა, უმაქნისო შენა? – შეაწყვე-ტინა შულიამ, მაგრამ ნაცარქექია არ დაბნეულა:

– მარტო რას ვიზამ? ხალხი უნდა დავიხმარო. მეფესთან მივალ და რო დავუხაზავ ნაცარში, ყმებს მომცემს, მერე კი გამოვივლი კოხტათ მთაში. მთავარია, ტყე იყოს და ქვა...

– აბა, ნაცარი კი გექნება თავზესაყრელად, – ისევ შეაწყვეტინა შულიამ, მაგრამ ნაცარქექიამ კიდევ უფრო სერიოზული სახით განაგრძო:

– ქვეყანას ეგრე უნდა მოვლა, მაშ, სულ უნდა გამოიგონო რამეები. თორე ეგე, აბა რაღა არი, აღარც დარჩა რამე.

დავითი ნაცარს ჩასცქეროდა უხმოდ და თვალს არ აშორებდა უცნაურ ნახაზებს...

– ამდენი გცოდნია და ბარემ ჩემი სადაურობაც გამოგეცნო, – სერიოზულად უთხრა ღიშპანელმაც ნაცარქექიას. ნაცარქექიამ კი პური სთხოვა სტუმრებს. მინდობაიმ აბგიდან ამოიღო პური და ტაბლაზე დადო. მასპინძელი პურს დასწვდა და ყველას დაანახა:

– აგე უყურეთ, ეს პური იყოს ჩვენი ქვეყანა.

მერე ყუა მოაგლიჯა პურს და ისევ სტუმრებს უჩვენა:

– აგე, ეხლა ეს არი დარჩენილი, ეგრეა?

ხმა არავის ამოუღია. უცებ ნაცარქექიამ დავითს გაუწოდა პურიც და მოტეხილი ყუაც:

– მიდი აბა, შეაწებე, არ ეწეპება?

– არა, – თქვა უფლისწულმა და ბიჭებს ისე გადახედა, რომ ნაცარქექიასთვის ხელი არ შეეშალათ.

– ჰოდა, თუ არ ეწეპება, მაშინ ხელახლა უნდა გამოაცხო, აი, ეგ-რე, თონეში, ოღონდაც ქვა გინდა, – ჩქარ-ჩქარა დაამთავრა სათქ-მელი ნაცარქექიამ და პურის ჭამასაც ეგეთივე აჩქარებით შეუდგა.

– თომაც ეგრე დაიწყებს ხოლმე: ქვა, ხე, ქვა, რკინა, ქვა, ხე, – თქვა შულიამ, მაგრამ დავითს ბოლომდე აღარ მოუსმენია მისთვის, გარეთ მდუმარედ გამოვიდა.

დანარჩენებიც უფლისწულს მიჰყვნენ.

– იხარეთ ამ პურისთვის, – გარეთ გასულეხს მიაძახა ნაცარქექიამ. უფლისწულმა კი უცებ ისევ უკან, ქოხში შეიხედა:

– წამოდი ჩვენთან, ჰა?

– შენ არ იჯავრო, შორიახლო ვიქნები. ჩემისთანა იცი, რამდე-ნია?

დავითს გაეღიმა. ისევ გარეთ გასულს და უკვე ცხენებზე ამხედრებულებს ნაცარქექია გამოუვარდათ:

– ბიჭოოოო, რა გქვიანთ, ტყისპირ-ტყისპირ იარეთ, ტყეში ალქაჯია და მინდორში კიდე თურქობა. ცოტანი ხართ, თავი არ წააგოთ.

მერე დარჩენილი პური აბგაში ჩაიდო და სხვა მხარეს წავიდა. ცოტა ხანში კი შედგა და მამალივით დაიყვილა...

ცუდი ამინდი კი იყო, მაგრამ მეფემ მაინც არ დაიშალა იმ დღეს სანადიროდ წასვლა, მიუხედავად დაღლილობისა, და ალბათ ყველაფერმა ერთად იმოქმედა კიდევ, რომ ასეთი გამოცდილი მოჯირითე ცხენიდან ჩამოვარდა. ყველანი მაშინვე ჩამოქვეითდნენ, თავქვე დამხობილი მეფე გიორგი გადმოაბრუნეს, ტიკჭორა შემოხსნეს და სისხლითა და ტალახით დასვრილი სახე ღვინით მობანეს. მეფე ვერ წამოდგა და ფეხიც ისე სტკიოდა, რომ სახელდახელო საკაცეც აუცილებელი გახდა, თუმცა არ დაუკვნესია, მაინც მშვიდი თვალებით აჰყურებდა მოქუფრულ ცას:

– ჰა, მოხვედი თუ არ მოხვედი?

დავითი ერთხანს გალავანთან იდგა ჩუმად, მერე ღამის სიჩუმე თვითონვე დაარღვია – მოკლედ დაუსტვინა და შულია გამოიხმო, რომელიც უფლისწულთან იმწამსვე გაჩნდა.

– მშვიდობა?

– მეფე ცხენიდან გადმოვარდა. დედოფალი მელოდება.

შულიამ პირჯვარი გადაიწერა.

– გადარჩა.

– სულ დამავიწყდა ის მეჯინიბის ქალი.

– ამაღამვე უნდა გადავიდეთ ლიხს იქეთ. თუ მოდიხარ, კარგი. თუ არადა, წავალ, ბუღმა მომყვება.

შულიამ ჯერ სინანულით გახედა გალავანს და მხოლოდ ამის მერე უპასუხა უფლისწულს:

– წამოვალ. რა ტკბილ-მწარეა ეს ცხოვრება. არ მინდა ეს ცოლი-თქო, ვერ იტყვი?

– ვიტყვი და წავალთ.

– ბივრიტელი მოვნახოთ, მინდობაიც.

– აქ ველარ გავჩერდები.

– წავიდეთ და ვიყოთ იქა, რა დამრჩენია აქეთ? – უდარდელად კი თქვა შულიამ, მაგრამ დავითმა მაინც იგრძნო სინანული მის ხმაში, ამიტომაც უთხრა:

– დარჩი.

– მეჯინიბემ რო მომკლას?

ორივეს ხმამალა გაეცინა...

დავითის ქორწილი იყო გრანდიოზული და ჭეშმარიტად საუფლისწულო, მიუხედავად იმისა, რომ მას მანამდე ნანახიც კი არ ჰყავდა ეს დარცხვენილი და ჩუმი ქალი. ამიტომაც ხუმრობდნენ ამნელი და მირნელი, სანამ მემკვიდრეს არ დავინა-ხავთ, ვერც დავიჯერებთ, რომ ერთმანეთს ხმა გასცესო.

ამის გამგონე დასტური მოურიდებლად ხითხითებდა, დავითის მეგობრები კი მდუმარედ, დაღვრემილები ადევნებდნენ თვალს საქორწინო ცერემონიალს. არც კვლავ ფეხშეხვეულ და ყავარჯენს დაყრდნობილი მეფის გვერდით მდგომ ჭყონდიდელს ეტყობოდა დიდი ხალისი.

უფლისწული დავითი კი თითქოს იქ არც იყო, იმდენად უგუ-ლისყუროდ იღებდა მონაწილეობას რიტუალში, რომლის მთავარი პერსონაჟიც თვითონ იყო.

საზეიმოდ მორთულ დიდ საძინებელ ოთახში ლოგინის ერთ კიდეზე დავითის ახლადშერთული ცოლი იჯდა, მეორე კიდეზე – თვითონ დავითი, სასოწარკვეთილი იერით. გარედან ჭოტის კივილისა და ზარების ხმა შემოდიოდა. მერე უფლისწული წამოდგა და ცოლს შეხედა...

დილით სასახლის ეზოში მონადირეები დახოცილ ნადირსა და ირმებს ატყავებდნენ და ხორცს ამუშავებდნენ. მსახურები და ქალები იქვე ტრიალებდნენ. მეფეც იქვე იდგა და ხალისით ადევნებდა თვალს მონადირეებს, როცა მას გიორგი ჭყონდიდელი მიუახლოვდა. უცებ გიორგიმ ორივე ხელი საკინძეში ჩაავლო მეფეს და კბილებიდან გამოსცრა:

– უნდა დასთმო ტახტი, დავითისა და ქვეყნისათვის!...

შულია, ბივრიტელი და არაბიძე იმ ქოხს მიუახლოვდნენ, რომლიდანაც დიდი ქართული ნაგაზი გამოვარდა. ძაღლმა ცხენები დააფრთხო და შულიამ თომას დაუძახა. ქოხიდან ასაკისგან მოდრეკილი, მაჯებში ხელებმოჭრილი პატარა კაცი გამოვიდა, რომლის ხმაზეც ძაღლი მაშინვე გაჩუმდა და პატრონის უკან მორჩილად დადგა.

– ვისი ხართ? – ჰკითხა თომამ ყველას ერთად.

– უფლისწულისა, – უპასუხა ყველას ნაცვლად შულიამ, ბივრიტელმა კი თომას მამამისიც შეახსენა:

– ვერა მცნობილობ? ბივრიტელი ვარ, თარაანთ ვაჟი.

– ჰოოო, თარაანთ ვაჟი, – მაშინვე გაიხსენა თომამ, ბივრი-ტელმა კი განაგრძო:

– რო მეუბნებოდი, ქვეყანა ქვა და რკინა არისო, იმის გასაგებათ მოვედი.

– ემაგას მეფესაც ვეუბნებოდი. იმან უკეთ იცის. თუ დასჭირდა, დაგსხამთ და გაგაგებინებთ. დიდი ხანია იცის.

თომასა და ბივრიტელის საუბარში შულია ჩაერია:

– პაპა, აბა კარგათ მისმინე, შენა უკვე ბერი ხარ, ბევრი გცოდ-ნია და თუ რამეები არ გვითხარი, წაგყვება თანა, და იქედან კიდე აბა რას ამოგვძახებ?

– უფლისწულისა ხართ მართლა? – გაბრაზდა თომა. ბიჭებმა მაშინვე თავები დაუქნიეს დასტურის ნიშნად, შულიამ კი განაგრძო:

– აი, უყურე: მშვილდი მაქვს და პირველს რო ვსტყორცნი, სწორე მიდის. მეორე ცოტა განზე და მესამე – კიდევ უფრო განზე. მეოთხე ისევ სწორე მიდის. რა მიზეზია?

– ყველა ისარს თავისი გზა აქვს. ის მიზეზია, რო ისარი არ გივარგა. ხელი დამანახე. ასწი ხელი და გაშალე. ჰოოო, ხელიც არ გივარგა. ჯერ ხელი უნდა გაისწორო.

– ხოდა ეგ მითხარი.

– შენ თუ იცი, მაჯები რათ დამათალეს?

– რკინასა სჭედდაო, სხვანაირადაო.

– ხოდა, გცოდნია. ახლა ის გინდა, რო ენაც მომაჭრან?

– აღარ მოგჭრიან. ტახტრევანში დაგაბრძანებთ და ისე გატარებთ, ოღონდ შენ გვასწავლე.

– ახლა მთავარი ქვა არის. ჯერ ქვა უნდა მოაგროვოთ, კენჭიც არ უნდა დაიკარგოს...

– და ხელი რათ მიმდის განზე?

– გონებას მიჰყვება, მაგრამ ახლა პირველი მაინც ქვა არის, გზა და ხიდი...

სასახლის ტალანში განრისხებული სახით მოაბიჯებდა ანაფორითა და ბეწვიანი მოსასხამით შემოსილი მეფე გიორგი, რომელსაც შემცბარი მხლებლები, ჰინდო, დასტური და მირნე-ლი უკან მოჰყვებოდნენ. მეფის ღრიალის ხმა იმ დარბაზამდეც

შორიდანვე აღწევდა, რომლებშიც დედოფალი, ვეზირები და სამღვდლოება მდუმარედ ელოდნენ მის გამოჩენას. დერეფან-ში მომავალი მეფე გიორგი კი არა მხოლოდ ყვიროდა, გზად შემოხვედრილ ავეჯსა და ნივთებსაც ამტვრევდა გამეტებით, მერე ხმალიც იშიშვლა. სწორედ ამ დროს ერთ-ერთი მოსახვე-ვი-დან დავითის ფეხმძიმე ცოლი გამოჩნდა მოულოდნელად. გიორგი წამით შედგა და ფერმკრთალ და შეშინებულ ფეხმძიმე რძალს ღიმილით მიმართა:

– მოგესალმები, მომავალო დედოფალო, და ემანდ ვინც არი, იმას უამბეთ პაპამისის ამბები, სანამ მაქედან არ გამოსულა, თორემ მერე სულ ტყუილებს მოახსენებენ.

მეფე რძლის პასუხს აღარ დაელოდა, გზა განაგრძო და წიხლი ჰკრა იმ დარბაზის კარს, რომელშიც ყველანი მის მოლოდინში შეკრებილიყვნენ.

ხმალამოღებული მეფის დანახვაზე დედოფალმა შეჰკვივლა და გიორგი მეფემ სწორედ მას მიმართა:

– აბა, ჩვენო მოძღვარო, რა მოიფიქრე ისეთი, ვერ ამბობ? რაო, წმინდა წერილში არ წერია, რაც მოიფიქრე? ლოცვაში ხელს გიშლის?

მეფემ გადაიხარხარა და ყველას გადახედა, უფლისწულის გარდა.

– ღვინო არ არი? ღვინო მოიტანეთ!

შეშინებული ამნელი დარბაზიდან აჩქარებით გავიდა, მეფემ კი შეკითხვა გაიმეორა:

– აბა მითხარით, რა მოგიფიქრებიათ?

პასუხად ისევ დუმილი იყო.

– რა აზრი აქვს მოფიქრებას, თუ თქმას ვერ გაბედავ?! – გა-ნა---გრ-ძო მეფემ და უცებ დარბაზი გადაჭრა, კედელთან მდგომ გი-ორ-გი ჭყონდიდელს გულისპირში ხელი ჩაავლო, თავისკენ მიიზიდა.

– შენი მოფიქრებულია ყველაფერი... კარგად მოიფიქრე? უნდა მითხრა, რა გადაუწყვიტე ჩემს შვილს: ნეხვი და ჯოჯოხეთი, ცეცხლი და სიკვდილი?!

მერე უცებ შეუშვა ხელი ჭყონდიდელს და შუა დარბაზში დადგა, ხმალს დახედა ღიმილით და თქვა:

– აი, ეს სათამაშოა – გინდ გქონია, გინდა არა. თქვენს მეფედ ყოფნა ყველაზე საზიზღარი საქმეა დედამიწის ზურგზე. ემაგას საჭურისობა სჯობია...

მერე მეფე დავითს მიუბრუნდა:

– იფიქრე ამაზე? თუ არცა გკითხეს.

მერე დედოფლისკენ შებრუნდა:

– არც ჰკითხეთ, არა? მონაზონთუხუცესო! დაგი-თვ-ლია- დინდლი ამის საულვაშეზე? შვილს ძაღლიც გაა-ჩე-ნს.- და-გითვლია? მე გამომწურეთ, გამომწუნეთ და- ახ-ლა ჩე-მი გადაგდება გინდათ. ძველი ხილი სჯობს ახალს...

მეფემ გადაიხარხარა, თუმცა ხმამაღლა ტირილს უფრო ჰგავდა:

– ველარ მოიტანეთ ეს ღვინო?

– მკითხეს, – თქვა დავითმა ისე მოულოდნელად და მშვიდად, რომ მეფე სახტად დარჩა.

– რა?

– მკითხეს, – გაიმეორა უფლისწულმა. მეფემ შვილს თვა-ლებში შეხედა.

– რა გკითხეს, მეფეთმეფე გიორგი ტახტიდან უნდა ჩამო-ვაცდოთ, შენ დაგსვათ, და რას იტყვიო?

დავითმა არაფერი უპასუხა.

მეფეც ერთხანს ჩუმად იყო, მერე ხმალი ფეხებ-თან მიუგდო უფლისწულს.

– აიღე! აიღე, თუ იოლი ასაღებია...

მეფემ ბეჭედი მოიხსნა თითიდან და ისიც ფეხებთან მიუგდო.

მერე კისრიდან ჯვარ-ხატები მოიხსნა, აკოცა და შვილს ხელებში ჩაუდო.

– აბა, დაიწყეთ ლოცვა, ფარისევლებო, ქვეყნისა არაფერი გაგეგებათ. ჰეი, ჯოჯოხეთის მეფევ, – იყვირა გიორგიმ და უფლისწულს მხარზე ღონივრად დაჰკრა მარჯვენა ხელი:

– არ შეგეშინდეს, ბიჭო!..

მეფემ დარბაზი გადაკვეთა, ერთი გამოხედა დედოფალს და ჰინდოს გასძახა:

– ბარგი შეკარი, გრძნეულო, აქედან მივდივართ.

მერე ისევ იღრიალა:

– ველარ მოიტანეთ ეს ოხერი ღვინო? ბაღდადიდან მო-გაქვთ?

დარბაზში მეფის გასვლის შემდეგაც კარგა ხანს იყო დუმილი, რომელიც დედოფლის ხმამაღლა და შვებით ამოსუნთქვამ დაარღვია. დავითი მერეც ჩუმად იდგა და არაფერს ამბობდა, მხოლოდ ხმალსა და ბეჭედს დასცქეროდა დაბნეული სახით. უცებ სეფექალი შემოვიდა, რომელმაც დედოფალს რაღაც ჩურჩულით უთხრა, დედოფალმაც პირჯვარი აჩქარებით გადაიწერა.



– მშობიარობს, – თქვა ყველას გასაგონად, და გავიდა.

დარბაზიც მაშინვე დაცარიელდა.

იმ ღამით დავითს ვაჟიშვილი შეეძინა – უფლისწულის ძე, დემეტრე.

ადრიანი დილით სასახლის ეზოში ორ ჯორს მსუბუქი ბარგით ტვირთავდნენ. იქვე მდგარი მეფე ჰინდოს თვითონაც ეხმარებოდა, როცა აივანზე გადმომდგარი დავითი დაინახა და შვილს ხელი დაუქნია. უფლისწული ეზოში ჩავიდა.

– მონასტერში ვერ წავალ, ნადირობის წადილი მექნება, – უთხრა შვილს სევდიანად.

– ნუ წახვალ აქედან.

– არც მინდოდა. ჯერ ნამდვილი ომი არ გინახავს. ნადირი არ შექნილხარ. არ გინახავს, როგორ მოდიან კალიასავით და ბოლო არა აქვს მტერს.

დავითმა ჯერ თავი ჩალუნა, მერე ჰკითხა მამამისს:

– სად მიდიხარ?

– ტყეში. ჩვენ ტყის მეფეები ვართ. მიწა აღარ დაგვრჩა. ბაზიერებს თან წავიყვან.

დავითს უცებ გაეღიმა.

– ნადირობა მაინც გასწავლე, – მეფემ შვილს მხარზე ხელი დაადო. – მე ნადირი ვერ გავხდი, შენ თუ გამოგივა...

გიორგიმ ხელი ჩაიქნია და უფლისწულს გადაეხვია.

ჰინდომ ჯორის აღვირი მიაწოდა მეფეს.

მეფე მძიმედ ამხედრდა ჯორზე და მხარზე გადაკიდებული ტიკჭორა მოიყუდა.

– ღვინო გამომიგზავნე ხოლმე, ჰინდო მოვა.

დავითს ცრემლები მოადგა თვალებზე.

– ცოლი არ გიყვარს, ამას ვდარდობ... მეც არ მიყვარდა ჩემი ცოლი.

მეფემ ჯორი დაძრა და ამხედრებული ჰინდოც უკან მიჰყვა. ალაყაფთან გიორგი შეჩერდა, მოიხედა შვილისკენ და ბოლო რჩევა მისცა:

– ციხისთავებით დაიწყე, მერე ეკლესიას მიაღექი, მერე ერისთავები გაჟლიტე, ბოლოს – კარისკაცები. მტერი უფრო კარგად გამოჩნდება და ამასობაში ნადირიც შეიქნები...

და ალაყაფში გავიდა.

გორდო

დავითის მეფედ კურთხევის ცერემონიალი ძველი ქართული წესების დაცვით ჩატარდა ძალიან მალე მას შემდეგ, რაც მამამისმა – გიორგი მეორემ – ტახტი დათმო. დავითს ქართველმა დიდებულებმა სამეფო ხმალი შემოართყეს, როგორც უკვე გვირგვინოსან მეფეს და ტაძრიდან გამოსვლისას ოქროსა და ვერცხლის მონეტები თავზე გადააყარეს...

ტრადიციის თანახმად, ახლად კურთხეულ ქართველ მეფეს, უპირველესად, იმ ხალხისთვის უნდა მოესმინა, რომლის მეფეც იგი გახდა. დავითისთვის თავისი დარდის გაზიარების მსურველი პირველივე დღეებშიც ძალიან ბევრი იყო, მათ შორის კი გამოირჩეოდა მსუქანი კაცი, რომელიც სამეფო კარზე შედევას ენერგიულად ლამობდა, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. შულიამ იგი მაშინვე შეამჩნია და ბივრიტელს ღიმილით გადაულაპარაკა:

– ამასაც უფლისწულის ნახვა უნდა?

– უფლისწულს ახლა უკვე მეფე ჰქვია, – ცალკვად უპასუხა ბივრიტელმა.

– მიჩვეული ვარ და რა ვქნა, – თავი იმართლა შულიამ, ბივრიტელმა კი იმ მსუქანი კაცის გაჩხრეკა აღარც კი ჩათვალა საჭიროდ მისი მიამიტი გამომეტყველების გამო. თუმცა დავითთან შეხვედრამდე არაბიძე მინდობაიმ მაინც საგულდაგულოდ შეამოწმა მსუქანი სტუმარი და დარბაზშიც თვითონვე შეუძღვა მას. მსუქანი კაცი ისე ოხრავდა მეფესთან საუბრის მოლოდინში, რომ მისი მოსმენა მაისას და შულიასაც ძალიან მოუნდათ.

– ვინ ხარ? – ჰკითხა დავითმა შესვლისთანავე.

– ჩაჩქანისძეთა გვარისა, გორდო, ხალიბაურთა თემის...

– ქართველის კვალობაზე კარგა მოსუქებულხარ, – შეაწყვეტინა შულიამ.

– ზედმეტად, – დაამატა ბივრიტელმა.

მეფემ სტუმარს მიმართა:

– გისმენ.

– მოგახსენებთ, რომ ჩვენი საქმის ხალხს დალხინებული წუთისოფელი არც სხვა დროს ჰქონია, მაგრამ ახლა ვაჭრებს ძლიერ გაგვიჭირდა, – დაიწყო გორდომ, მაისამ მაშინვე შეაწყვეტინა:

– თქვენი გვარის ხალხი მუდამ რკინასა სჭედდა, შენ რაღა ვაჭრობა მოგდომებია...

თუმცა დავითმა ხელით ანიშნა სტუმარს, მაისას-თვის ყუ-რადღება არ მიექცია და გაგრძელება უბრძანა.

– არემის სახანოში გავყევი აბრეშუმის ქარავანს, ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ ბოლო ჯერზე რომ ჩავედი, ნავაჭრიც წამართვეს, ფულიც, და პანლურიცა მკრეს, – განაგრძო გორდომ. შულიამ გადაიხარხარა.

– მოჰყე, – ახლა ბივრიტელმა შეაგულიანა.

– ჯერ მკითხეს, შენი პატრონი ვინ არის და საიდან ხარო, და მერე ყველაფერი წამართვეს.

– რომ უპასუხე, ეგრევე გაგაპანლურეს?

– არა, კაცო, რომ ვუთხარი, ქართველი ვარ-მეთქი, ჯერ გაეცინათ – ღიპიანი ქართველი სად გაგონილაო, და მერე გამძარცვეს.

– აეგრე დღისით, მზისით, შუაგულ ქალაქში?

– ხალხის მეტი რა იყო, რომ ვუთხარი, მართლა ქართველი ვარ და ჩვენი მეფე თავის ვაჭარსაც არავის დააჩაგვრინებს-მეთქი, ვინც იმ მეიდანზე ირეოდა, ყველანი იცინოდნენ, სიცილითა კვდებოდნენ, ყველანი, კაცო, სიცილით იხოცებოდნენ...

– მერე? – გაბრაზდა შულია.

– რაღა მერე, აკი გითხარით, ყველაფერი წამარ-თვეს-მეთქი და ვინც პანლური მკადრა, იმან ისიც მომამახა, რო ის შენი მეფე შენი გულისთვის ერთბაშად აქ არ ჩამოვიდეს და ამ ჩემი დუქნის კარზე ყურებით არ მიმაჭედოსო...

– ის დუქანი ზუსტად გახსოვს? – ბივრიტელსაც დაეტყო სახეზე გაბრაზება.

– იმ დუქანს და იმ კაცს რა დამავიწყებს, თანაც იმ მხარეში ადრეც ვყოფილვარ-მეთქი...

მეტი არაფერი უკითხავთ გორდოსთვის, ანკი რა უნდა ეკითხათ – ისედაც ყველაფერი გასაგები იყო. იმ დღესვე უთქმელად, უსიტყვოდ აისხეს აბჯარი, ცხენებს მოახტნენ და, სანამ მათრახებს გადაუჭერდნენ, შულიამ ხმამაღლა გასძახა დაბნეულ და გაოგნებულ გორდო ჩაჩქანისძეს:

– ჰა, რას დაყუდებულხარ, სანამ მეც პანლურს არ გამომტყუებ, მანდ უნდა ილოცო?

გორდო ჩაჩქანისძე ახლა კი მიხვდა, სად მიდიოდა ეს ხალხი, მაგრამ მაინც ბოლომდე არ სჯეროდა, რომ მისი გულისთვის ამხელა გზა უნდა გაევლო სამეფო ამაღას, თანაც ისე იყო შეშინებული, ცხენზე აბობღება ძლივს მოახერხა.

ცხენებზე ამხედრებული დავითის საუკეთესო სპა ისე-თი სისწრაფით მიჰქროდა, რომ კაცს თვალის გაყოლებაც გაუჭირდებოდა, თუმცა თვალის გამყოლებელიც ცოტა იყო იმ აოხრებულ, კლდე-კლდე გახიზნულ ქვეყანაში. ისინი შეუს-ვე-ნებლივ მიაჭინებდნენ ცხენებს. დღე დამემ შეცვალა, ღამე – ისევ დღემ...

შუადღისას ქართული მხედრიონი აღმოსავლურ ქალაქს მიადგა და ბივრიტელმაც კიდევ ერთხელ ჰკითხა გორდო ჩაჩქანისძეს:

– ის დახლი და დუქანი ზუსტად გახსოვს?

– ან იმ კაცს რა დამავიწყებს, ან იმის კბილებს. თქვენს მეფეს ნადირობის გარდა არაფერი ედარდებაო, მე ვუთხარ, ახალი მეფე გვყავს ქართველებს-მეთქი, და სიცილით კვდებოდა...

გორდოს აღარ დაამთავრებინეს და ამხედრებული ქართველები ქალაქის მთავარ მოედანზე შევარდნენ, პირდაპირ იმ დუქან-ფუნდუკს მიადგნენ, რომელშიც, ჩაჩქანისძის მითითებით, ქართველების შეურაცხმყოფელი მეკობრი-ვაჭარი ეგულებოდათ. ფუნდუკის კარი ღია იყო და ხმაურზე შიგნიდან გამოვიდნენ ადამიანები, რომლებმაც ზურგსუკან კარი მიხურეს. სხვა ცნობისმოყვარეებიც, რაღაც უჩვეულოს მოლოდინში, უკვე ისედაც შეკრებილიყვნენ.

– ამათგან რომელი იყო?! – ჰკითხა შულიამ გორდოს.

– ეს იყო! ამის კბილებს რა დამავიწყებს...

– აბა, ერთხელაც მოჰყე, პანღური რო გითავაზეს, მერე ამ ეშვებიანმა რა სთქვა და როგორ, – ახლა ბივრიტელმა მიმართა გორდოს და ჩაჩქანისძემაც გაიმეორა:

– როგორ და როგორც გითხარით: სადაც ახლა სდგას, მაშინაც ეგრე იჯგიმებოდა. მე რომ დავიჩივლე, ჩვენი მეფე თავის ყმას არავის დააჩაგვრინებს-მეთქი, ხარხარი ასტეხა – ერთბაშად აქ არ ჩამოვიდეს და ამ ჩემი დუქნის კარზე ყურებით არ მიმაჭედოსო...

გორდო ჩაჩქანისძემ მეფეს გახედა, მაგრამ დავითის გამომეტყველება არ შეცვლილა. მაშინაც კი, როცა შულია, ბივრიტელი, მინდობაი, მასისა, ღიმპანელი და კიდევ რამდენიმე ქართველი დავითის ამაღლას გამოეყვნენ და გორდო ჩაჩქანისძის დამჩაგვრელი თავისი დუქნის კარზე ყურებით მიაჭედეს. ეს ყველაფერი კი იმდენად სწრაფად მოხდა, რომ საპასუხო რეაქცია ვერავინ მოასწრო, თუმცა ქართული სპა ასეთი შემთხვევისთვისაც მზად იყო. სანამ მეფის ამაღლა აღმოსავლურ ქალაქს დატოვებდა, დუქნის კარზე ყურებით მიჭედებული კაცის ჩამოხსნა დაბნეულობისაგან გაშეშებულ არემელებს არც კი უფიქრიათ. წასვლამდე კი დავითმა ყველას გასაგონად თქვა ეს ფრაზა:

– მე ვარ დავითი – მეფე ყოველთა ქართველთა, და მე ვიქნები ყველგან, სადაც ქართველის ხსენება იქნება!..

მერე კი მოედანი მშვიდად და აუჩქარებლად დატოვეს, მაგრამ როგორც კი ქალაქს გასცდნენ, ქართველმა მხედრებმა ისე გააჭენეს ცხენები, რომ გზაზე მხოლოდ მათი ყიჟინა და ცხენების ფლოქვების ხმაღა დარჩა...

ჟამი ქვათა

ქართველებს შორის, რასაკვირველია, ელვის სისწრაფით გავრცელდა არემის სახანოში მომხდარი ამბავი და ამიტომაც უამრავ ადამიანს სამართლიანობის იმედი ისევ გაუჩნდა. სააჯო კარსაც დიდძალი ხალხი მიაწყდა მაშინვე, დავითის გამეფების პირველი თვეებიდანვე, ხოლო თვითონ მეფე მიხვდა, რომ მთავარი, რაც ამ ადამიანებს ყველაზე მეტად სჭირდებოდათ, სამართალი იყო. ამას მიხვდა იმ დილის შემდეგ, რაც პირველად დაესწრო განჩინების დარბაზს, სადაც არავინ იცოდა, რომ მომლოდინე ხალხს შორის მეფეც იჯდა. ის იყო გადაცმული, როგორც რომელიმე ბოგანოთაგანი და ეს მხოლოდ რამდენიმე ერთგულმა იცოდა. ერთადერთს, რა თქმა უნდა, შულიას ელიმებოდა, თუმცა როცა დარბაზში ორი ადამიანი შემოიყვანეს და ერთი მათგანი ნაცარქექია აღმოჩნდა, შულიაც დასერიოზულდა.

მოსამართლემ ორივეს მთელი დარბაზის გასაგონად ჰკითხა:

– მომჩივანი რომელია?

– მე ვარ, – თქვა ნაცარქექიამ და დასტურის მიღებისთანავე სათქმელს მოჰყვა:

– ემასა, შენი ჭირიმი, ტარიკაძესა, ყორის ამოყვანაში ვეხმარე და არ გადამიხადა.

– შეგპირდა რამეს?

– შემპირდა, დიახ, თავიდანვე მოვრიგდით. რას მამცემ-მეთქი, რო მოგეხმარო და ამან მითხრა, რა მაბადიაო, არაფერიო. ხოდა, არაფერი მომეცი-მეთქი. ეხლა კიდევ, არ მამღლევს. მომცეს არაფერი და წავალ ჩემ გზაზე.

მოსამართლეს გაეღიმა. სხვებმაც ხითხითი დაიწყეს.

– დამცინის, შენი კვნესამე, არაფერი როგორ მივცე, – მიმართა გაღიმებულ მოსამართლეს ტარიკაძემ, ნაცარქექიამ კი თავისი გაიმეორა:

– უნდა გადამიხადოს! სიტყვა იყო ნათქვამი.

ახლა კი მოსამართლემ ღიმილის გარეშე გასძახა მანდატურებს:

– ქეჩოში წაავლეთ ამას ხელი და აქედან მიაბრძანეთ.

მანდატურებიც მაშინვე ნაცარქექიასკენ დაიძრნენ. უცებ დავითმა ხმამაღლა მიმართა მოსამართლეს:

– მართალს ამბობს, სიტყვას ასრულება უნდა!..

ვინც მეფის ხმა იცნო, მაშინვე გახევდა. მხოლოდ ნაცარქექიას გაელიმა. დავითმაც სწორედ მას უხმო:

– ერთი აქ მოდი, ძმობილო.

ნაცარქექია მიაუახლოვდა მეფეს, რომელმაც მას სერიოზულად მიმართა:

– ამ საწყალი კაცის მაგივრად მე რომ გადაგიხადო, ხომ არ გეწყინება? ეგება მაგ ანგარიშითაც მოსულ-ხარ...

– ნუ შემრისხავ, ბატონო, ამათ კი არ იციან, შენი ამხანაგი რო ვარ ძველი...

– ერთი მაგ ხალიჩის კიდე აწიე, – შეაწყვეტინა დავითმა.

ნაცარქექიამ ხალიჩა ასწია.

– დევს მანდ რამე?

– არაფერი.

– ხოდა, აილე და წადი.

ყველას გაეცინა. მათ შორის, ნაცარქექიასაც, და როცა ყველაფერი მორჩა და სააჯო დარბაზიც დაცარიელდა, მეფეს გამოუტყდა:

– შენი ნახვა მჭირდებოდა ძალიან და ეს საწყალი ტარიკაძეც ხელზე ამიტო გადავიხვიე. სხვაგან აბა სადღა მოგწვდებოდი.

– და რისი თქმა გინდოდა?

– პირველი იმისა, რო მეფობა დარდიც ყოფილა – უფლის-წული რო იყავ, სხვანაირი სახე გქონდა. რა მალე გამოუცვლილ-ხარ საფიქრალს...

– მამალივით ყვილი ისევ იცი?

ნაცარქექიამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. მეფემ ღიშპანელს გადახედა:

– ქვეყანას ეს აღვიძებს.

მერე მეფე ისევ ნაცარქექიას მიუბრუნდა:

– და რისი თქმა გინდოდა?

– ვიცი, რომ აპირობ და მინდა, შენთან ერთად ვიოძო.

– ყველას რომ ომი არ შეუძლია?

– არ მინდა, ჩემი წილი ომი სხვამ იომოს.

– ყველამ თავის ომში უნდა ნახოს ადგილი. ჩემს ომში შენ ვერ იბრძოლებ, შენს ომში კი მე არ გამოგადგები, ეგეთია წუთისოფლის კანონი.

– მაშ, მე რა ვქნა?

– შენ ქვები შეაგროვე...

სოფლის საფიხვნოზე ქართული ურემი იდგა, რომელსაც დიდი ქვებით ტვირთავდნენ და ამიტომაც ურემში ღონიერი ხარები ჰყავდათ შებმული. თუმცა ქვები ისეთი მძიმე იყო, რომ უფროსებს პატარებიც ეხმარებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ უფროსები ამას პატარებს გაბრაზებით უკრძალავდნენ. პატარებს კი, ახლანდელისა არ იყოს, მაშინაც სწორედ იმის გაკეთება უხაროდათ ყველაზე მეტად, რასაც უკრძალავდნენ და ისინიც ჯიუტობდნენ და ცდილობდნენ, უფროსებს დახმარებოდნენ, რადგან მათაც იცოდნენ, რომ ახლა ქვეყანაში ქვათა შეკრების ჟამი იდგა.

ნაცარქექია კი ურემის კიჩოზე იყო შემომჯდარი და ომახიანად ხელმძღვანელობდა დიდებსაც და პატარებსაც. ურემზე უკვე ბევრი ქვა იდო, მაგრამ ნაცარქექიამ მაინც უკმაყოფილო ხმით მიმართა ყველას:

– ცოტაა. სამ დღეში ისევ ამოვივლი...

მერე ხარებს სახრე გადაუჭირა და ღიღინით გაუყვა ორღობეს, თუმცა მალე გაჩერდა, რადგან გზის პირას, მოზრდილ ქვაზე მარტოდმარტო ჩამომჯდარი მოხუცი კაცი შენიშნა. ნაცარქექიამ ურემი გააჩერა და ძირს ჩამოხტა.

– ბოდიში, პაპა, – უთხრა მოხუცს, ფრთხილად წამოაყენა და ის მოზრდილი ქვა ურემზე შედო. იმ მოხუცმა კი ჯერ ნაცარქექიას შეხედა გაკვირვებული სახით, მერე იმ ცარიელ ადგილს დახედა, სადაც წუთის წინ იჯდა თვითონ და, ვინ იცის, მთელი ცხოვრებაც იმ ქვაზე ჰქონდა გატარებული.

ნაცარქექიამ გზა გააგრძელა და იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ქვისმთლელები შეუს-ვენებლივ მუშაობდნენ სპეციალურად გამართულ სახელოსნოებში. იქვე იდგა მანამდე მოსული რამდენიმე ურემი, რომლებიდანაც გადმოტვირთულ ქვებს შიგნით, სახელოსნოში ეზიდებოდნენ. რამდენიმე ქვისმთლელი გარეთ, ღია ცისქვეშ მუშაობდა თავდახრილი და მიღებულ ქვებსაც ზომისა და ხარისხის მიხედვით, ენერგიულად ანაწილებდნენ. სახელოსნოს წინ, ერთ ადგილას, უკვე დამუშავებული

ქვეები ეწყობ, რომლებსაც ასევე ურმებზე ტვირთავდნენ. ერთი ქვისმთლელი კი ზუსტად მიუთითებდა ყველას, რომელი ქვა რომელი მიმართულებით უნდა წაეღოთ:

– ესენი ხიდებისთვისაა, ეს გზებისთვის, ესენი კი აკადემიისთვის დაუწყვეთ...

რასაკვირველია, მაშინ და მერც (კიდევ კარგა ხანს), ქართველები ნებისმიერ უნივერსიტეტს აკადემიას უწოდებდნენ, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ უპირველესი სასწავლებლის მშენებლობაზე თვითონ მეფეც კი ფიზიკურად მუშაობდა თავის ამაღასთან ერთად. თუმცა ჯერ მხოლოდ საძირკველი იყო ჩაყრილი და კედლებიც სულ რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ჰქონდათ ამოყვანილი. ამიტომაც ჯერ კიდევ ბევრი შეკითხვა ჰქონდა ხუროთმოძღვარს დავით მეფესთან:

– სწავლათა მოძღვარნი ვინ იქნებიან?

– მოძღვარნი ისინი იქნებიან, ვისაც ხელეწიფება სწავლებანი: ეფრემი და ჭიმჭიმელი, იოანე ტარიჭისძე. პეტრიწი კი ალბათ მოძღვართ მოძღვარი იქნება. ვაგლახ, რომ გიორგი მთაწმინდელი ახლა აღარა გყავს...

სანამ დავითი ხუროთმოძღვარს პასუხობდა, მას მინდობაი მიუახლოვდა რამდენიმე აბჯროსანთან ერთად ბრძანების მოლოდინში. მეფემ ხუროთმოძღვარს ბოდიში მოუხადა სწრაფად და არაბიძეს მიმართა:

– ჰყონდიდელი თქვენ გელით, ყმაწვილები უკვე მზად არიან გასამგზავრებლად.

– ჩვენ სამ დღეში დავბრუნდებით, სვანეთში ყველაფერი იციან და მათი რჩეული ყმაწვილებიც ჩვენთან ერთად იმგზავრებენ.

– ყულევი ჰყონდიდელი დაგელოდებათ დანარჩენ ყმაწვილებთან ერთად, ხომალდიც მზად არის და, დრო რომ არ დაკარგოთ, სვანეთიდან პირდაპირ ზღვისკენ წახვალთ...

მინდობაი თავის დაკვრით დაემშვიდობა მეფეს და თავის რაზმთან ერთად იქაურობა დატოვა. ბრძანების შესრულებასაც მაშინვე შეუდგა და იმ გზას მიჰყვა, რომელსაც ქვეებით ამაგრებდნენ. მინდობაის დანახვაზე ყველამ მუშაობა შეწყვიტა. არაბიძეს მოწიწებით მიესალმნენ, თუმცა დაკვირვებული თვალი ამ მოწიწებაში შიშსაც ადვილად ამოიკითხავდა...

მინდობაი არაბიძე კი თავის რაზმთან ერთად აჩქარებით გაუყვა გზას, რომელიც ზევით, მთებისაკენ მიიწევდა. მეორედ უკვე მთებში, ვიწრო ხეობის პირას, იმ ქვის ხიდთან შეჩერდნენ, ასევე მთელ იმჟამინდელ საქართველოში შეკრებილი ქვეებით რომ შენდებოდა.

ხიდის გადავლის შემდეგ მინდობაის რაზმს მდუმარე სვანები შეეგებნენ, მათ მდუმარედ წაიკითხეს მეფის ფირმანი, რომელიც მინდობაიმ პირადად გადასცა. მერე ასევე მდუმარედ, მხოლოდ ხელით ანიშნეს მინდობაის, უკან გაჰყოლოდა. არაბიძესა



და მის ბიჭებს თვალეზი აუხვიეს. ასე თვალეზახვეულები ატარეს კიდეც იმ ადგილამდე, სადაც რამდენიმე ათეული ადამიანი მუშაობდა მდინარეში. მინდობაის ბიჭებს მხოლოდ იმის უფლება მისცეს, შორიდან შეეხედათ ქვიშის რეცხვისა და ოქროს მოპოვების პროცესისთვის. ოქროც უხმოდ, ზედმეტი ლაპარაკის გარეშე გადასცეს მინდობაის რაზმს. ოქრო კი იმდენი იყო, არაბიძემაც ძლივს შეძლო გაკვირვების დამალვა.

დამშვიდობებისთანავე ვიწრო და ხმაურიანი ხეობით ქვევით დაეშვნენ და იმ ხიდთან, რომელიც ერთხელ უკვე გამოიარეს, რამდენიმე ყმაწვილი დახვდათ. ყმაწვილებს აშკარად ეტყობოდათ მგზავრობისწინა თადარიგი. როცა მინდობაის რაზმი მათ მიუახლოვდა, სვანი ყმაწვილები თავიანთ ახლობლებს აჩქარებით დაემშვიდობნენ, რომელიღაცის დედას თვალზე ცრემლიც კი მოადგა, მაგრამ მისი დაწყნარების დრო აღარ იყო, რადგან მინდობაი არაბიძე მეფის ბრძანების შესრულებას ჩქარობდა.

ზღვაში გასასვლელად გამზადებულ გემთან ჭყონ-დიდელი იდგა ორმოცამდე ყმაწვილთან ერთად. შულიაც იქვე იყო, არსენ ბერიც და მეფის სპის რამდენიმე მოლაშქრეც. მინდობაიმ საერთო გამარჯობა თქვა და მაშინვე არსენ ბერს საქმიანად მიუბრუნდა:

– ჩაწერე ამათი სახელები.

მერე კი ჭყონდიდელს დაუკრა თავი და სვანეთიდან წამოღებული ოქრო გადასცა:

– საკმარისზე მეტია. ეს ოქრო ეყოფა სწავლის ხარჯსაც და მათი საცხოვრისისასაც. მეფეს კი ყოველივეს თავად მოვახსენებ...

მერე ცხენს მოახტა და იქაურობა თავის ბიჭებთან ერთად დატოვა.

– ერთხელ მაინც გაიღიმოს ამ მამაცხონებულმა, – შეს-ჩივ-ლა ჭყონდიდელს შულიამ.

– მეფისა და ქვეყნისათვის მსახურება ღიმილის დროსა და გუნებას აღარ უტოვებს, – გიორგი ჭყონდიდელმა შულიას გაუღიმა და იმ რამდენიმე, ბერის კაბაში შემოსილ ადამიანს მიმართა, რომლებიც ყმაწვილებს თან უნდა გაჰყოლოდნენ:

– ჰრომამდე ჩაჰყვებით, დააბინავებთ, ყველა ხარჯს გაუსტუმრებთ და მერე დაბრუნდებით.

ბერებმა თავი დაუქნიეს თანხმობის ნიშნად. როცა ჭყონ-დიდელისგან მიღებული ოქრო წელზე შემოირტყეს, ბერული სამოსის შიგნით აშკარად გამოუჩნდათ აბჯარი და იარაღი...

მინდობაი არაბიძეს სასახლის ჭიშკართანვე მიე-გებნენ და ყველაზე გაბედულმა კარისკაცმა მაშინვე მოახსენა სათქმელი:

– მეფე დაგვიმარცხდა – ხარაჩოზე მარტოს სურდა ლოდის ატანა, უსაშველოდ დიდი ქვა იყო.

მინდობაიმ ისედაც იგრძნო, რომ ცუდი ამბავი დაახვედრეს, და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– მძიმედ არის?

– უწამლეს, მაგრამ უკეთესობას ჯერ ისევ უნდა ველოდოთ.

მინდობაიმ იქვე მდგომ დანარჩენებს გადა-ხედა განრისხებული სახით. ხუროთმოძღვარმა მოუბოდიშასავით:

– არაფრით დაიშალა... ჩათქმული თუ ჰქონდა.

არაბიძეს მისთვის აღარაფერი უთქვამს, მეფესთან შევიდა.

დავითი გაუნძრევლად იწვა, თუმცა ეტყობოდა, ტკივილები ჯერ კიდევ აწუხებდა. იქვე მყოფმა ჯარა-აქიმმა ყველას დაასწრო და მინდობაის მიმართა:

– თქვენ გკითხულობდათ. სწავლის მაძიებელ ყმაწვილთა ამბავი აინტერესებდა, მაგრამ მისთვის დიდხანს საუბარი სასურველი არ არის...

ექიმს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არაბიძე აღარ დაელოდა მას, დავითს აჩქარებით მიუახლოვდა და მეფის მარცხენა ყურთან დაიხარა. ჩურჩულით ისეთი რაღაც უთხრა, რამაც ავადმყოფის გამომეტყველება უცებ უკეთესობისკენ შეცვალა და მეფე წამოჯდომასაც კი შეეცადა, თუმცა იგი მაშინვე დააწვინეს. მინდობაის გასაგონად რამდენიმე წინადადება მაინც თქვა:

– იყო დრო, როცა უცხო ქვეყნიდან აქ მოდიოდნენ სწავლათა მაძიებელნი, ახლა ჩვენ ვაგზავნით ჩვენს ყმაწვილებს სხვა ქვეყნებში. ისინი მოწაფეთაგან მოძღვარნი შეიქნებიან და როცა დაბრუნდებიან, მერე სხვები იქნებიან მათი შეგირდები...

ექიმი ხელით შეეხო მინდობაის და ანიშნა, რომ მეფისთვის ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება. მეფის ოთახი რომ დატოვეს, სასახლის დერეფანში ექიმმა ჩურჩულით მიმართა არაბიძეს:

– ვშიშობ, ძალიან ვშიშობ, მაგრამ ჩვენ ყოველმხრივ ვეცადეთ.

მინდობაიმ სიტყვა გააწყვეტინა:

– ხვალ უკეთესობა იქნება?

– მიჭირს თქმა... ხვალ თუ უკეთესობა არ იქნება, მაშინ...

მინდობაიმ ისევ გააწყვეტინა:

– დღესვე აბჟანდაძეებისას უნდა ავიყვანოთ.

– მისი განძრევაც კი არ შეიძლება, – თქვა გაუბედავად დასტაქარმა.

– მისთვის ყველაფერი შეიძლება, სიკვდილის გარდა!...

მინდობაი სასახლის ეზოსკენ დაიძრა და ექიმიც ფეხდაფეხ მიჰყვა კიდეც რაღაცის სათქმელად, მაგრამ არაბიძეს აღარ აინტერესებდა მისი აზრი. თავის რაზმელებსაც ომახიანად უბრძანა:

– მაშხალები გაამზადეთ, მეფე აბჟანდაძეებთან მიგვყავს!..

ღამის სიბნელეს მხოლოდ მაშხალები ანათებდნენ და ტყეში დავითის ამაღლა მინდობაი არაბიძის წინამძღოლობით მიიკვლევდა გზას. მათ მხრებით მიჰყავდათ მეფე. ნელა, ძალიან ნელა, განსაკუთრებული სიფრთხილით, მაგრამ დავითს მაინც აწუხებდა ტკივილები და თვალელებსაც ალბათ ამიტომ ხუჭავდა.

სახლიდან, რომელიც ტყის ზევით, მთაზე გამოჩნდა, რამდენიმე ადამიანი გამოეგება სამეფო ამაღლას და მათ წინაშე, მუხლი მოიდრიკეს. ერთმა მათგანმა კი თითქმის ჩურჩულით, მაგრამ მეწინავეების გასაგონად თქვა:

– ყველაფერი მზად არის.

იმ სახლში დავითს ჯერ რაღაც სითხე დააღვინეს და მერე ირმების რძით სავსე აუზში ჩააწვინეს. მეფესთან მხოლოდ მინდობაი არაბიძე დარჩა, სხვები კი გარეთ, სახლის წინ იდგნენ მდუმარედ მთელი ღამე და სახეებს მხოლოდ მაშხალები უნა-თებდათ.

მერე ცაც განათდა.

დილით, როცა კარი გაიღო, აივანზე თვითონ დავითი გამოვიდა ყველასთვის მოულოდნელად. მეფე თავის ერთგულ ადამიანებს ღიმილით მიესალმა, მათ კი სიხარული და გაკვირვება ვერ დამალეს, რადგან მეფეს ჯერ კიდეც ერთი დღით ადრე არათუ სიარული, განძრევაც არ შეეძლო.

მეფეს ხელში წიგნი ეჭირა და სანამ სხვები რამის თქმას მოახერხებდნენ, გადაშალა და ბიბლიიდან სწორედ ის ადგილი წაიკითხა, სადაც ქვათა შეკრების ჟამზე იყო ლაპარაკი:

– `და არს ჟამი ქვათა შეკრებისა...~

ხვედიას ციხეს (ტყის გავლით) ისინი ამხედრებულები მიადგნენ. შულიამ ყველას გასაგონად თქვა:

– აგე, ეს არი ალქაჯების საუფლო.

მინდობაი ყველაზე წინ მიდიოდა, შულიამ განაგრძო:

– ბარე ოთხჯერ მოვსულვარ აქა, ალქაჯები კი მე არ მინახია. მოიგონებენ ხოლმე ზღაპრებსა...

არაბიძემ უეცრად ცხენი შეაყენა და ხელის აწევით ანიშნა დანარჩენებს, შეჩერებულიყვნენ, მაგრამ სწორედ იმ წამს საიდანლაც თოკით გამოფრინდა რაღაც არსება, რომელიც მინდობაის დაეტაკა და ცხენიდან გადმოაგდო. სწორედ მაშინვე აქეთ-იქიდან გადმოფრინდნენ იმ რაღაცის მსგავსი არსებები და ყველანი ცხენებიდან გადმოყარეს. ბუჩქნარიდან და გალავნიდან კი ვიღაც შავოსნები გამოჩნდნენ დაუჯერებელი სისწრაფით და მოზიდული მშვილდებით შეიარაღებულები, გარშემოერთყნენ მეფესა და მის ამაღას.

– მართლა ყოფილან ალქაჯები, – ხუმრობა სცადა შულიამ, თუმცა თავადაც მშვენივრად მიხვდა, რომ სულაც არ ჰქონდათ საქმე სახუმაროდ, და გაჩუმდა. ჩუმად და სწრაფად, ხელებშეკრულები გადაიყვანეს კიდეც ტყის სიღრმეში დაუპატიჟებელი სტუმრები უცნობმა მასპინძლებმა. ბივრიტელი მონდომებით დააკვირდა ამ უცნაურ ხალხს და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– თითქო მონაზვნებსა ჰგვანან...

ტყვეები ცეცხლის პირას, პირდაპირ მიწაზე დაყარეს ხვედიას ციხის გალავანში, სადაც გაავებული მინდობაის გმინვის ხმა მანამ ისმოდა, სანამ იმ შავსამოსიანებიდან ერთ-ერთმა ფეხი არ წაჰკრა გასაჩუმებლად. დავითმაც სწორედ ამ დროს შენიშნა, რომ იმ ფეხის წამკვრელს პატარა ზომის ფეხი ჰქონდა ქალივით და თავის გვერდით მხრებგაკრულ მასას გადახედა, რომელმაც დასტურის ნიშნად მეფეს ჯერ თავი დაუქნია და მერე კი ჩაილიმა:

– ქალები ყოფილან და ნახე, რა გვიყვეს.

შულიამ კი ხმას აუწია:

– ამ გლებუჭებს უყურე! კაცი არა გყავთ, რო და-ვე-ლაპა-რაკოთ?

საპასუხოდ მას მახვილები მიაბჯინეს ყელზე და მათ შორის ერთმა, რომელიც აშკარად წინამძღოლი ჩანდა, უხეშად ჰკითხა შულიას:

– ვისი ხართ?

– თვითონ ვისი ხარ? – შულიას ნაცვლად კითხვითვე უპასუხა ბივრი-ტელმა.

– ჩემი თავისა...

ბივრიტელმა განაგრძო:

– რას მოელი?! თუ მეკობრი ხარ, ჩვენ არაფერი გვაქვს ამ საჭურვლის მეტი და ამასაც, თუ გვაცოცხლე, არ დაგიტომობთ...

– თქვენ ვისი ხართ? – ახალგაზრდა ქალმა ისევ უხეშად ჰკითხა ყველას ერთად. ბივრიტელმაც ყველას ნაცვლად უპასუხა:

– ჩვენც – ჩვენი თავისა.

– დაგვიდებთ პირქვე ხეებზე და ყვავი მაინც გაძლება ამ დაწყევლილ ალაგას... ვისი ხართ-მეთქი?

სანამ სიმართლეს ეტყოდა, ბივრიტელმა დავითს გადახედა ნებართვისთვის და თანხმობა თვალეხითვე მიიღო:

– უფლისწულისანი ვართ.

დავითის თვალეხს ქალიც წააწყდა წამით და უცებ შეცბუნდასავით:

– აკი, უკვე მეფე გახდაო?!

– ჩვენ უფლისწულობითგან მოვყვებით და მიჩვეულები ვართ.

– მერე აქ რა გინდათ?

– აქაც მისი ქვეყანაა

– აღარ ვიცი, ვისია ეს ქვეყანა.

– შენ თვითონ ვისი ხარ?

– არავისი. ჩემი ქმარი მოკლეს, ამისი ძმა მოკლეს, იმისი კიდეც – მამა. იმისი – სულაც ყველანი, და ახლა ტყეში ვართ. აღარც სახლი დაგვიტოვეს...

– ალქაჯები მომრავლდნენო, რო ამბობენ, თქვენა ხართ? – ველარ მოითმინა შულიამ.

– ქვრივი ვარ. ჩემი სოფელი აგე, სად იყო.

– მეკობრი და ყაჩაღი ყოფილხარ.

ქალს შულიას ნათქვამი არ სწყენია. დავითისკენ თვალი კიდეც ერთხელ გააპარა:

– რაც გინდა, ის დამიძახე. მტერს კი მაინც არ დავასვენებ.

– თქვენ ეცემით ხოლმე თბილისის ქარავნებს, ამირა რომ ჩივის? – ისევ ბივრიტელმა ჰკითხა ქალს, მან კი კითხვა შეუბრუნა ყველას ერთად:

– რად უნდა მჯეროდეს, რომ უფლისწულისანი ხართ?

ახლა დავითი წამოიწია და ქალის გასაგონად მშვიდად თქვა:

– დაგვიჯერე.

ქალი ერთხანს მდუმარედ იდგა, მერე კი პირბადე მოიხსნა და სახელით გაეცნო:

– საბედო მქვია.

მერე ქალმა დავითს შეხედა, თითქოს ამოიცნო. შულიამ ამოიოხრა:

– თქვენნაირი ჯარი რომ მისცა ჩვენს უფლისწულს, ავა-ტრიალებდით ამ ქვეყანას. შეგვხსენი, რაღა, ქვრივო, ეგრე და-ბორკილები როდემდე უნდა ვიყოთ.

საბედოს ნიშანზე ქალებმა თოკები შეხსნეს ტყვეებს. შულიამ მინდობაიზე ანიშნა საბედოს:

– ემაგასთან ფრთხილად იყავი, კბენა იცის.

– უფლისწული სად არის ახლა?

– უფლისწული უკვე მეფეა. ახალი მეფე გყავს.

– კურთხევაზე არ დამპატიოქეს, მაგრამ მაინც ვიცი.

– ალბათ კი უნდოდათ შენი დაპატიოება, მაგრამ აბა აქ ვინ მოგძებნიდა, – მაისაც ჩაერია საბედოს და შულიას დიალოგში, მაგრამ დავითმა ის ხელის იმგვარი მოძრაობით შეაჩერა, რომ საბედო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის წინ მეფე იდგა და დავითის წინ დაიჩოქა.

– მაპატიე, უფლისწულო... მაპატიე, მეფევ! ამ ჭირსა და უკუღმართობაში ვედარ გამოგარჩიე.

– აკი მაინც გამომარჩიე.

დავითმა საბედო წამოაყენა. მას შულიამ მიმართა:

– ეს ხვედია ასისტავი შენი გადმოკიდებულია?

საბედომ არაფერი უპასუხა შულიას. ბუღმამ მხარზე მოუტყაპუნა ხელი ქალს ღიმილით და მეგობრულად:

– ძმა არი, ძმა.

ყველას გაეცინა, საბედოს გარდა. დავითმაც ღიმილით ჰკითხა ქვრივი ყაჩაღების მეთაურს:

– ახლა რა ვქნათ, საბედო?

და პასუხიც მიიღო:

– რაც მეფესა და ქვეყანას სჭირდება...

რამდენიმე დღის შემდეგ, იმ პირველი ბრძოლის გასრულებისთანავე, რომელშიც საბედოც იღებდა მონაწილეობას დავითის ბიჭებთან ერთად, სელჩუკების მცირე ბანაკი რომ მოშალეს და ტყისკენ განაპირდნენ, მეფემ ხმამაღლა, ყველას გასაგონად გაიკვირვა:

– ეს რა ომი გცოდნია, ქვრივო.

– ემაგას სხვა რამეც კარგი ეცოდინება, – წამოაყრანტალა უცებ შულიამ. საბედომ მათრახით ისე გაიწია მისკენ, რომ დანარჩენებმა ძლივს გააკავეს. დავითმაც მაჯაზე წაავლო ხელი განრისხებულ ქალს, საბედომ კი კბილებში გამოსცრა:

– ყველაფერი დავკარგე.

– ყველაფერს დავიბრუნებთ! – დავითმა ისეთი სახით უთხრა საბედოს ეს ორი სიტყვა, რომ ყველანი მიხვდნენ – ეს არ იყო უბრალოდ დაპირება.

თუმცა იმ ციხის გალავანს, რომელსაც კალმახებისა ერქვა, დავითი საბედოს გარეშე მიადგა და ბივრიტელმა ალაყაფში შესვლისთანავე მეფის სახელით უბრძანა ციხისთავს ჯარის მოწყობა. ჯარიც ციხის გალავანში აჩქარებით მოეწყო.

შულიამ კი ცხენიდან ჩამოუსვლელად ერთ ასისთავს მათრახი მოუღერა:

– ურჯულოებისგან მამათმავლობა ისწავლეთ, არა?!

– ტკბილია ხომ, ურჯულოს ოქრო?! – ბივრიტელს შულიას-გან განსხვავებით, არ გაღიმებია.

დავითმა კი ციხისთავს უბრძანა:

– ამ შენს ასისთავებს ერთმანეთს გადააბამ და სათაფლიაზე წახვალ, თომა მჭედელს იკითხავ და დღეიდან იმას ემსახურებით!

დაბნეულმა ციხისთავმა რატომღაც შულიას გა-ხედა.

– ეგრეა. თომასთან ქვას დათლით მეფისთვის. ქვას დათ-ლით და ქვას შეჭამთ, – შულიას არც ახლა დაზარებია უხეშობა.

მეფემ თედია მოიკითხა.

– მე ვარ თედია, – თავდახრით თქვა ერთმა მოლაშქრემ.

– შენზე მითხრეს, მტერს გულადად დაუხვდაო? – კმაყოფილი სახით ჰკითხა მეფემ.

– სოფელს ვიცავდი, რა მექნა.

– ციხისთავი იქნები, გუჯარიც მოგივა...

მინდობაი არაბიძემ ყელიდან საკიდი ჩამოგლიჯა უკვე ყოფილ ციხისთავს და თედისა გადაუგდო.

– აბა ეხლა შენ იცი, შვილოსა, – მაისამ ახალი ციხისთავი გაამხ-ნევა და გაღიმებულმა დანარჩენებს გადახედა. დანარჩე-ნე-ბი უკვე დავითთან ერთად ტოვებდნენ ციხეს. მაისაც მათ მიჰყვა.

ცხენებზე ამხედრებულებმა დევების კლდეებამდე შეუ-სვენებლად იარეს და მხოლოდ მაშინ მოზიდეს აღვირები, როცა გამოქვაბულებიან კლდეებს მიადგნენ.

– თომასავით, აქ ალბათ ვერ გავძლებდი, – კლდეების თავზე გამოქვაბულებს ახედა შულიამ.

– მეჯინიბის ქალი რომ წამოგყოლოდა? – ღიმილით ჰკითხა დავითმა. ამ დროს ბივრიტელმა ფილიპე ბერს ისეთი ხმით ასძახა, მეფემ შულიას პასუხი ვერ გაიგო:

– მე ვარ, ბივრიტელი ვარ!

გამოქვაბულიდან თოკი ხმაურით გადმოეკიდა, რომელ-საც ანაფორიანი კაცი უხმაუროდ ჩამოჰყვა. ყველანი ჩამოქვეითდნენ. კიბით დაშვებული ფილიპე ჯერ ბივრიტელს გადაეხვია:

– ღმერთმა შენც დაგლოცოს და ისიც, ვინც ფილიპე გაგახსენა.

– აი, მეფე მოვიდა შენთან, – უთხრა ბივრიტელმა. ბერმა ჯერ ცოტა არ იყოს, უნდობლად შეხედა მეფეს, მერე კი მის წინ დაიჩოქა.

დავითმა წამოაყენა ფილიპე და ხელზე აკოცა მას.

– არ გეშინია, მამაო, იმ სიმაღლეზე ცხოვრება? – გაიკრიჭა შულია.

– შენ არ გეშინია, რო კოჭებზე ცოდვის ლოდები მოგიბამს და ისე დადიხარ?

ყველას გაეცინა.

– უნდა წამომყვე, ფილიპე, – პირდაპირ უთხრა მეფემ და რადგან ბერმა პირდაპირ არ უპასუხა, ბივრიტელმაც დაამატა:

– ეპისკოპოსები ძალიან დასუქდნენ.

– იოანე ეპისკოპოსი არ გასუქებულა.

– ჰოდა, შენც იმას უნდა დაუდგე გვერდში. იოანემ გაგვახსენა შენი თავი.

ფილიპემ თავი გააქნია და გამოქვაბულს ახედა.

– აქ ყოფნა კი მირჩევნია, აქ ღმერთს ვეძებ.



– ეგ ყველგან შეგიძლია...

დავითს, მეგობრების გარდა, მოლაშქრეებიც თან ახლდნენ, როცა ღამით აბულეთისძეების ხალხს გადააწყდნენ. თუმცა მათ მეფისა და მისი ამაღლისათვის არ ეცალათ, რადგან აბულეთისძეების მომხრეებს ისეთი ღრეობა ჰქონდათ გამართული ჩირაღდნებით განათებულ ტყისპირზე, რომ შულიამ ხმამაღლა გაიკვირვა:

– ბევრი ოქრო ჰქონიათ ამ აბულეთისძეებს, თუკი ამდენ ხალხს ინახავენ.

– ეგენი ისე ტკბილად არიან ურჯულოებთან, რომ მოდესტოს ეპისკოპოსი როცა ქუთაისში მოდის, არც კადრულობს ხოლმე სასახლეში მოსვლას.

– ყოფილა ქუთაისში? – იკითხა მეფემ და მინდობაიმ ჩაი-ცინა.

– უფროსი ძმა ხო ეპისკოპოსია და უმცროსი – ერისთავი, – თქვა მაისამ. შულიამაც იქვე დასძინა:

– კარქა აუწყვიათ საქმე.

– ეგებ არც ღირდეს ახლოს მისვლა, მხოლოდ მცირე ლაშქარი გვახლავს თან, – დავითს მიმართა ბივრიტელმა, მეფემ კი თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ძაგან აბულეთისძე...

– ოქრო ისე უყვარს, თურმე ათ თითზე თორმეტი ბეჭედი უკეთია, – გაიღიმა მინდობაიმ, მაგრამ მაშინვე დასერიოზულდა, რადგან უცებ მეფემ ცხენი დაძრა მხიარული მოქეიფებისკენ.

თუმცა ეს ღრეობა უფრო იყო, ვიდრე ქეიფი. სტუმრებმა ტყისპირას მოცეკვავეებს შორის ერთი ქალივით შემოსილი კაციც შენიშნეს, რომელიც ცეკვისას ძალიან უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა თვალებმინაბული და შულიამაც, რასაკვირველია, ვეღარ მოითმინა:

– დედაკაცო, სტუმარს არ მიიღებ?

ყველას ხმამაღლა გაეცინა, თუმცა მაშინვე, როგორც კი აღმოაჩინეს, რომ მათ შორის უცხოებიც იყვნენ, მუსიკის ხმა შეწყდა.

შულია ცხენიდან ჩამოქვეითდა სწრაფად და ხმამაღლა თქვა:

– კაი ტკბილი დედაკაცია, ჩემმა მზემ.

დამხვდურებმა კიდევ უფრო ხმამაღლა გაიცინეს. შულიამ იმ უცნაურ მოცეკვავეს მიმართა:

– შენა, ძაგან აბულეთისძის ცოლი ხარ თუ ხასა?

უცებ ყველანი გაჩუმდნენ. იმ უცნაურმა კაცმა შულის ისეთი მუშტი სთხლიშა ყბაში, რომ შულია დაბარბაცდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და ხანჯალი იძრო. დანარჩენებმაც იძროს ხანჯლები, მათ შორის ერთმა ახოვანმა კი შულის ვინაობა ჰკითხა.

– მეზავრი ვარ, თუმცა მართო არა ვარ. აგე, ჩემი ამხანაგები, და გარშემო კიდე სხვებიც მელოდებიან. თქვენი ტკბილი ხმა შემოგვესმა და ვიფიქრეთ, მოვიკითხავთ-თქო. ეგეც ვერ გავიგე, დედაკაცები ხართ თუ...

– მგონი სიცოცხლე მოგბეზრებია! – შეაწყვეტინა უცებ იმ ახოვანმა და მინდობაიც დანარჩენებს გამოეყო:

– მეფის ყმებს ელაპარაკები და ჯარიც გარტყიათ გარშემო.

უცებ თვითონ დავითი ჩაერია საუბარში:

– სხვანაირი მოლხენა აღარ იცით მაგ ფერუმარილის გარეშე?

– ქართველები ვართ და ყველაფერი ვიცით, რაც ქართველმა იცის, – მეფის კითხვას რამდენიმე დამხვდურმა ერთდროულად უპასუხა და კრივის გაგრძელებაც მოითხოვა.

– გლები კი არ ვარ, მუშტით ვიჩხუბო, – თავი იმართლა შუ-ლიამ და ნატკენი ყბა კიდევ ერთხელ მოისინჯა მარჯვენა ხელით. შულის ხმამაღლა დასცინეს. არაბიძემ ყველანი უცებ გააჩუმა:

– მე გამოვალ ამის მაგივრად.

– არა, მე გამოვალ! – თქვა დავითმა, ძალიან სწრაფად გაიხადა წელსზევით და წრეში შევიდა. მინდობაიმ ქამარი გადაუხვია მეფეს მარჯვენაზე და ჩურჩულით, დანანებით უთხრა:

– ძალიან გავრისკეთ, გაუმართლებლად...

კრივი დავითსა და მოლაშქრეს შორის სისხლიანი იყო და კარგა ხანს გაგრძელდა. დავითმა რამდენიმე ჭრილობაც მიიღო სახეზე, მაგრამ თითქმის არაქათგამოცლილმა მაინც აჯობა მოწინააღმდეგეს და წამოაქცია. მერე ზემოდან წამომჯდარმა, ქოშინითა და ჩურჩულით ჰკითხა დამარცხებულს იმ საყოველთაო ღრიანცელში:

– წამოხვალ მეფის ლაშქარში?

დასისხლიანებულმა დამარცხებულმა გაოცებით გააყოლა თვალი მეფეს, როცა დანარჩენებთან ერთად დატოვა იქაურობა ამოდებული ხმლებით. ხმლები ქარქაშებში კარგახანს არც ჩაუგიათ. შულიამ, ყოველი შემთხვევისთვის, ყველას გასა-გონად, კიდევ ერთხელ იყვირა:

– გარშემო სულ ჩვენი ხალხი გვიყენია, ვერ დათვლით, იმდენი, მაგან აბუღეთისძეს კი ჩემგან მოკითხვა!..

დავითი სასახლის ოთახში იწვა და წიგნს კითხულობდა, როცა დერეფანში სახლთუხუცესის ხმა გაისმა:

– დედოფალი მობრძანდება, დედოფალი მობრძანდება!..

მეფე ზანტად წამოჯდა საწოლზე და კარიც გაიღო. დედოფალმა დავითი გულში ჩაიკრა და ჩხუბში ნაგვემ მის სახეს დააკვირდა:

– რა მოგივიდა? რატომ არ მოხვედი ჩემთან? სხვა მეუბნება, დალეწილიაო.

დავითმა არ უპასუხა და მხოლოდ გაუღიმა.

დედოფალი სახეზე მიეფერა:

– ლექსი არ გაგიგონია? ჯერ დედას გადავებვევი, მერე – ცოლსა და შვილსაო, მაგრამ შენ ცოლ-შვილიც არ გინახავს.

დავითმა განზე გაიხედა.

– იქიდან დაბრუნებული მხეცივით ხარ ხოლმე.

– მწარეა.

– მწარეა, იმიტომ რომ შენია და შენი არ არის. ხურჯინს გავს. ერთი უბე ცარიელია, მეორე სავსე, სავსეს ვერ წვდები.

დავითმა გააწყვეტინა:

– არ ჰგავს ხურჯინს, ჯოჯოხეთს უფრო ჰგავს...

დედოფალი შვილს დასიებულ სახეზე ისევ მოეფერა:

– მაინც უნდა მოინახულო ოჯახი. ეგებ როგორ გელოდება შენი ცოლი.

– უფლისწული მაშინვე ვნახე, როგორც კი მოვბრუნდი. შენი თქმა არ დამჭირვებია. შენი ჩარევა არც სხვა საქმეს სჭირდება. როცა მე აქ არა ვარ, ჩემ მაგივრად ყველაფერს ჭყონდიდელი აკეთებს. შენი საქმე არ არის ელჩებთან ლაპარაკი, გუჯრების კითხვა, სტუმრების მიღება.

დედოფალი შეცბა და წამოწითლდა:

– რას ამბობ...

– ყველაფერს ჭყონდიდელი აკეთებს, მას ვანდობ ყველა-ფერს და შენ ნუ ჩაერევი. ყველას მიღება შეგიძლია, ოღონდ ნუ ელაპარაკები ჩემ მაგივრად...

- ვის ველაპარაკე?
  - ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი ლიპარიტის მსტოვარია. იმის ოქროთი აქვს სავსე უბე.
  - ხატი გამომიგზავნა, ეპისკოპოსს გამოატანა...
  - ერთ დღეს საწამლავს მოგიტანს ჩემთვის.
  - რა სისულელეა, რა სისულელეა...
  - მოგიტანს...
  - ნიკოდიმოსი ყოველთვის მშველოდა.
  - ნიკოდიმოსს ორი ცოლი ჰყავს! ორი ცოლი ჰყავს! ეპისკოპოსი კი არა, სოვდაგარია!!!  
სელჩუკებთან ერთად თრიაქს სწევს და ლიპარიტთან კალმახს მიირთმევს  
დიდმარხვაში!!! ნუ ელაპარაკები ასეთ ხალხს!
  - მოახლე ვყოფილვარ, მოახლე ვყოფილვარ...
  - ვისაც გინდა ელაპარაკე, ოღონდ მერე ყველაფერი არაბიძე მინდობაის უნდა უამბო!  
ყველაფერი, ყოველი სიტყვა.
  - ვის?
  - არაბიძე მინდობაის! ყველა ყრუა ამ სახლში, ყველა ბრმაა და ყველა კეთილი. ერთი  
მე ვარ ბოროტი და ავი...
  - არაბიძე მინდობაი... არაბიძე მინდობაი, ღმერთო, ღმერთო... არაბიძე მინდობაი,  
ჩემი ბატონი. ვინ კითხავს არაბიძე მინდობაის, ყველა სახლში რომ შედის...
  - მე, მე! მე ვკითხავ!
  - ცოლი არ გინახავს რამდენი ხანია. მობრუნდი და არ გინახავს... ვის ველაპარაკე...  
ვის ველაპარაკე...
  - მე ცოლი არ მყავს, ესეც დაიმახსოვრე. ერთი დროც მოვა და მეყოლება. ახლა არ  
მყავს.
- დედოფალს ისეთი გაოგნებული სახე ჰქონდა, რომ დავითმა თვითონვე დატოვა  
თავისი ოთახი.
- უცნობი კაცი მოძღვარ მირნელს ტყის პირას შეხვდა, მაგრამ სასაუბროდ ცოტა  
შიგნით შესვლა შესთავაზა და მირნელის კითხვასაც იგივე უპასუხა, რაც საუბრის  
დასაწყისში თქვა:
- როცა ესტუმრები, დანარჩენს იქ გაიგებ. ჩემი პატრონი ბევრს არ პატიუებს თავის  
სახლში.

მირნელს კუშტი სახე ჰქონდა:

– გზა მეშორება...

– თავს ნუ მოიტყუებ, მოძღვარო, ჩემს პატრონს სჭირდება. მეფის კარზე ხარ და მისი მეკობრეებიც შენი გაზრდილები არიან. ჩემს პატრონს უნდა, უკეთ შეიტყოს, რა კაცია ჩვენი მეფე, ტკბილი გასჭრის თუ ბასრი. შენი გაზრდილები სულ ავაზაკები გამოვიდნენ, სელჩუკის ცხვარს და აქლემს ეცემიან, ჩვენს ყანებს ცეცხლს უკიდებენ...

– ჰო, ციხეებზე მისვლა უყვართ...

– ციხეზე რაინდი მოდის, მეკობრე ფარას ეცემა. იფიქრე, მირნელო, ოღონდაც იმდენი არა, რომ სანამ მოიფიქრებ, იმქვეყნად წახვიდე.

– მე ჩემი მოვჭამე, ოქროს მადევარი არა ვარ. შვილზე მეზობელს არ დაველაპარაკები.

– ოქროს გააჩნია, მირნელო. იფიქრე და ხვალ ისევ მოვალ ამ ადგილას...

სასახლის ეზოში დავითი დემეტრეს ეთამაშებოდა – ხის ტოტზე ჰკიდებდა ხელებით და აიძულებდა, ჩამომხტარიყო. დემეტრეს უჭირდა, მაგრამ მაინც ხტებოდა. ეზოს კიდეზე დავითის ცოლი იდგა და შორიდან ადევნებდა თვალს მამა-შვილის ვარჯიშს, მაგრამ დემეტრემ მაინც შეამჩნია დედამისი და მეტი სითამამით დაიწყო ხიდან ხტომა.

დავითმაც შეამჩნია ცოლი. შვილს მიმართა:

– ახლა ნამდვილი ფოცხვერი ხარ.

მერე ხელი გადახვია და პატარა მაგიდისკენ წაიყვანა, სადაც ხის და ნამდვილი ხმლები ერთად ეწყო. დემეტრე ხის ხმალს დასწვდა, მაგრამ დავითმა ხელი გააშვებინა:

– სირცხვილი, ფოცხვერო, სირცხვილი..

და ნამდვილი ხმლებით იბრძოლეს, ისე, რომ დავითი ბევრს არაფერს უთმობდა შვილს, ბოლოს კი შეუტია და ხესთან მიიმწყვდია, მაგრამ დემეტრე არ დანებდა. დედამისმა ვედარ მოითმინა და შეჰკვივლა.

დავითმა ცოლს გახედა.

– დედებს ჰგონიათ, რომ მარტო თვითონ უყვართ შვილები. დედები ასეთები არიან, – დემეტრეს გაუღიმა და ცოლს მიუახლოვდა:

– ამბობენ, რომ ბევრს ლოცულობ და მხურვალედ.

დედოფალმა თავი დახარა. დავითმა კი განაგრძო:

– ვინც ბევრს ლოცულობს, ბოლოს მონასტერში მიდის.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უკან მოიხედა:

– რატომ ბოლოს, უფრო ადრეც შეიძლება...

მერე დემეტრეს გასძახა:

– ორი კაცი წაიყვანე და თომა მჭედელთან წადი, ფოცხვერო! უთხარი, რომ ღამით ჯირითი იქნება.

დედამ ჯერ შვილი გააცილა თვალებით და მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა დავითს ის, რისი თქმაც მანამდე სურდა:

– მე იმითაც ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა ამის სიყვარული მაინც შეგამღებინა...

არსენ ბერი თავის სენაკში იყო განმარტოებული ეტრატებსა და ხელნაწერებში, როცა მასთან დავითი შევიდა პერანგისამარა.

ბერმა დავითის დანახვისთანავე დაიჩოქა და იატაკს შუბლით შეეხო.

– არსენ ბერი ხარ? – ჰკითხა დავითმა და ბერმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– მე მეფე ვარ და ჭყონდიდელმა ძალიან გაქო. დაჯე და მისდიე ჟამთა აღწერას.

ბერმა ისევ უსიტყვოდ დაუქნია თავი მეფეს. მეფემ იგი ღიმილით წამოაყენა:

– ადექი, არსენ ბერო, დაჩოქილი აბა, რას მოახერხებ. ამდენი საქმე გაქვს...

წასვლის წინ დავითმა ყურადღებით შეა-თვალიერა არსენ ბერის სენაკის კედლები და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვა მისი სამყოფელი.

იმ დილით დავითის ცოლმა თვითონვე დაინახა აივნიდან, როგორ მოჰყავდათ ჯარისკაცებს ხელეზგაკოჭილი მირნელი, და კიბეზე აჩქარებით დაეშვა:

– სად მიგყავთ მოძღვარი?!

ჯარისკაცებმა არ უპასუხეს.

– მოძღვარო, რა ხდება? – მირნელს მიუბრუნდა დედოფალი.

მირნელმა თავი ჩაჰქინდრა.

დავითის ცოლმა კიბე აირბინა და ქმრის ოთახში შევიდა, მაგრამ იქ არავინ დახვდა. მერე დერეფანში მანამ იარა, სანამ გიორგი ჭყონდიდელს არ გადააწყდა:

– მოძღვარი მირნელი გაუთოკავთ და სადღაც მიჰყავთ.

– ვიცი, დედოფალო, – მიუგო გიორგიმ მცირე დუმილის შემდეგ მწუხარედ.

– ის მეფის გამზრდელია.

– ვიცი, დედოფალო, მაგრამ სხვებმაც უნდა იცოდნენ, რომ დიდი გამოცდების დრო დგება. დრო გაივლის და ჩვენ ვეღარ ვიდგებით იქ, სადაც ვდგავართ, მეფობა ისეთი რამ არის, რომ თუ ვერ გაუძელი, უნდა გაეცალო.

– მირნელი ზედმეტია აქ? მეც ზედმეტი ვარ?

– მე არ ვიტყვი, დედოფალო, წუთისოფელი თავად გაამჟღავნებს სათქმელს.

– მე ღმერთი მკარნახობს და შენ, ბერს, წუთისოფელი? ვინ ხართ? მე რა დავუშავე მეფეს?

– შენ არაფერი, დედოფალო...

ცხენებზე თოკებით აბამდნენ დასტურსა და ამნელს, შო-რიახლოს კი მინდობაი არაბიძე იდგა, რომელმაც უცებ ხელი ჰკრა ამნელს და მიწაზე დააგდო:

– მადლობა მეფეს, რომ ცხენი მაინც მოგცა.

მერე სახეზე დააჭირა ფეხი;

– მადლობა არ მესმის!

– მადლობა, – ძლივს და დარცხვენით ამოღერღა ამნელმა.

არაბიძემ იგივე მოითხოვა მიწაზე გართხმული დასტურისაგან:

– მადლობა ღმერთს, რო მეფე გულმოწყალეა და სიცოცხლე გაჩუქა, მადლობა თქვი, დასტურ ძაღლო!

დასტურმა ამოიგმინა. მინდობაიმ კი მათრახი გადაუჭირა ცხენებს. მხლებლებს გაეცინათ, ცხენებმა კი თოკებზე გამობმულები გახელებით გააქანეს.

– ვინც გელოდებათ, იმათთან წადით, – კბილებში ზიზღით გამოსცრა არაბიძემ და იმ ადგილას დააფურთხა, სადაც წუთის წინ დასტური და ამნელი იწვნენ...

დერეფანში ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი მოჰყავდათ, რომელიც ყველა შემხვედრს ერთი და იმავე თხოვნით მიმართავდა:

– კათალიკოსს შეატყობინეთ, რომ ნიკოდიმოსი დაატუსაღეს!

როცა ეპისკოპოსი დილეგში შეიყვანეს, იქ მას მინდობაი არაბიძე დახვდა, რომელმაც პირდაპირ და უხეშად მიმართა:

– რამდენი გადაიხადა ბიძაშენმა?

– ურჯულო!..

არაბიძემ მოურიდებლად დაარტყა სახეში ეპისკოპოსს და კითხვაც გაუმეორა:

– რამდენი გადაიხადა ბიძაშენმა?

– ურჯულო!..

– რჯულისა ჩემზე უკეთ რა იცი?! – გაეცინა მინდობაის და კიდევ ერთი კითხვა დასვა:

– ბერად სად იყავ? არსად. ეპისკოპოსი როგორღა შეიქენ?

როცა გიორგი ჭყონდიდელმა მირნელისა და ნიკოდიმოსის ამბები შეიტყო, აღელვებული შევიდა დავითთან სასაყვედუროდ:

– შეთანხმებას სცვლი და პირი მიშალე?

დავითმა უხმოდ, გაკვირვებული სახით გამოხედა ჭყონ-დიდელს. გიორგიმ განაგრძო:

– გითხარი, რომ ამ საქმეს მე მოვაწყობდი, მაგრამ სხვა-გვარად. არაბიძე ეპისკოპოსებს ჯვრებს აგლეჯს და დილე-გებში ყრის. სიფრთხილე გმართებს. სიფრთხილე გმართებს!..

– დასუქებული კატები! ქადაგებებში მლანძღავენ და მწყევ-ლიან. მეფისა და ქვეყნის ღალატი არავის ეპატიება! – უცებ დავითი ისე გაბრაზდა, რომ ერთი ხელის მოსმით ყველაფერი ძირს გადმოყარა მაგიდიდან. მხოლოდ ცოტა ხანში, როცა შედარებით დამშვიდდა, ჭყონდიდელს საყვედურის კილოთი მიმართა:

– გთხოვე, იოანე ეპისკოპოსი მოიყვანე-მეთქი და არ მოიყვანე. რატომ მიმალავ? ერთი ნამდვილი კაცია მაგათში და იმასაც მიმალავ.

– სწორედ იმას გავაკეთებ, რაც შენ გინდა, ოღონდ მშვიდობიანად. დამიჯერე და გაუშვი ყველანი. კრება უნდა გავ-მართოთ და იქ გადავაყენებთ ყველას.

– ბარემ წვერიც დაუვარცხნე მაგათ, წვერი დაუ-ვარცხნე გიშრის სავარცხლით. შვილი ველარ მოუნათლავს ქრისტეანს, ხელი ისე აქვთ გამოწვდილი.

– ასე ვერ მოვერევით. ცოტა მაცადე. კრება იქნება და ყველაფერს გავაკეთებ. ჯერ ნუ გადავიკიდებთ იმათ, ვისაც შენზე მეტი ოქრო აქვს.

დავითმა აღარაფერი უპასუხა. გიორგიმ განაგრძო:

– მაცადე-მეთქი. მამიდაშენს მივწერე და პასუხს ველოდები. დახმარება ვთხოვე.

– ბიზანტიის დედოფალი უნდა მოვიდეს აქ იმისთვის, რომ ეს სიმყრალე გადავღვაროთ? – ისევ გაბრაზდა დავითი.



– უთხარი, ყველანი გაუშვან, – ისევ სთხოვა ჭყონ-დი-დელმა. – ასე სჯობს. დამიჯერე, ყველაფერი ხმლით არ კეთდება.

– უნდა ეშინოდეთ ჩემი, უნდა ვძულდე, – მხოლოდ ეს უპასუხა დავითმა და მეტი აღარაფერი უთქვამს...

დავითი და მინდობაი იმ დილეგში შევიდნენ, რომლის კუთ-ხეშიც მირნელი იჯდა. მან ერთი გამოხედა მოსულებს და მაშინვე თვალი აარიდა ორივეს. დავითმა დაიწყო:

– რა ვქნა, მირნელო. მიჭირდა აქ მოსვლა, მაგრამ მაინც მოვედი. წისქვილის ქვა რომ ტრიალებს, ის აღარ გამოარჩევს, კოდში რა უნდა მოხდეს. შენ კარგი მასწავლებელი იყავი, მაგრამ მეფის მასწავლებელთან ვერ უნდა მივიდეს მსტოვარი.

მირნელმა თავი ასწია საპასუხოდ:

– არ გიყვარდა შენი მასწავლებელი. ვინც გიყვარს, იმას ჯოჯოხეთიდან ამოათრევ. ვინც არ გიყვარს, იმას დუმილსაც არ შეარჩენ.

ახლა დავითი დადუმდა. მერე მინდობაის გადახედა, რომელმაც დილეგის კარს იქით გასძახა თავის მხლებლებს. დილეგში ისეთი დასისხლიანებული ადამიანი შემოათრიეს, სახე არ უჩანდა. მეფის ფეხებთან დააგდეს.

– ეს იყო? – ჰკითხა დავითმა მირნელს და რადგან მირნელმა მაშინვე არ უპასუხა, მეფემ შეკითხვა გაუმეორა:

– ეს იყო, მირნელო?

– სულერთია, – ამოღერდა მირნელმა. დავითი საყელოში სწვდა მას:

– მითხარი, მირნელო, მტერი უნდა ვიცოდე. მითხარი, ბევრი დრო არ მაქვს, ყველა ოთახში შხამით სავსე ფიალა მელოდება!..

მირნელმა გვარიანი პაუზის შემდეგ თავი დაუქნია.

დავითი წამოდგა.

– წადი, მირნელო. საითაც გინდა. თუ გინდა, მტერთან წადი.

მირნელი გაუნძრევლად იქვე დარჩა, გარეთ გამოსულმა დავითმა კი არაადამიანური ხმით დაიყმუვლა და გამეტებით დაარტყა მუშტი დერეფნის კედელს. ალბათ ამას კიდევ ერთხელ გააკეთებდა, რომ არა მინდობაი არაბიძის ხმა:

– დამშვიდდი, მეფეო, სასახლე სუფთაა...

ქსენონი

ჯარის დათვალაიერებაზე დავითმა ყველანი გაიყოლა და მერე ყველას გასაგონად თქვა:

– მაინც ცოტანი ვართ.

– იერუსალიმისა რა გადაწყვიტე? – ჰკითხა ყველაზე ახლოს მდგარმა ჭყონდიდელმა და თან მეფის პასუხს თავის დაქნევით დაეთანხმა.

– ბივრიტელი უნდა გავგზავნოთ, ცოტანი ვართ...

– ცოტანი რომ ვართ, ამაზე რას ფიქრობ?

დავითმა მხრები აიჩეჩა:

– ზუსტად არ ვიცი. ყივჩაყები ალბათ.

გიორგის ისე გაუკვირდა, საუბრის თემაც კი შეცვალა:

– კათალიკოსს უნდოდა მობრძანება. არ იყავი.

– იოანე ეპისკოპოსი მომიყვანე. უდაბნოდან ფილიპე. ისიც, მღვიმეში რომ სტეფანეა, ჩვენი არსენ ბერიც, კიდევ ვინც არის საიმედო...

– მე მოვაგვარებ ამ საქმეს...

– შენ?

– აბა, არაბიძე მინდობაი?

– არა! მე...

ჭყონდიდელმა თვალი აარიდა მეფეს და ისევ შეცვალა საუბრის თემა.

– იერუსალიმში ბივრიტელი გადაწყდა?

– ჰო, მართლა ცოტანი ვართ.

– ვეყოფით.

– ვერ ვეყოფით, ცხრა ციხე უნდა დავიჭირო.

– ცხრა?

– ცხრა.

– სამზე ვლაპარაკობდით, სამს ვამბობდით, ორი დღის სავალზე. იქით ვედარ გავწვდებით.

– შენისთანა სარდალი მყავს და როგორ ვერ გავწვდებით, – ეს ბოლო ფრაზა დავითმა ღიმილით უთხრა ჭყონდიდელს და გიორგის არ სწყენია, პირიქით, ხმამაღლა გაეცინა. მეფემ უცებ ყალყზე შეაყენა ცხენი და მთელი ჯარის გასაგონად იყვირა:

– იესოოოო! იესოოო! იესოოოოო!

იმდენჯერ იყვირა, რომ ბოლოს ხმა ჩაუწყდა თითქმის. ჯერ ერთმა შეაშველა ხმა და მერე სხვებიც აჰყვნენ. ყალყზე შეაყენეს თავისი ცხენები და ეს შემახილი თანდათან ხმაშეწყობილ საერთო შემახილში გადავიდა:

– იე-სო! იე-სო!..

იმ ცხრიდან პირველი ციხე იმავე დღეს აიღეს მეფის სარდლობით. მერე პირველს მეორე ციხე მოჰყვა და მეორეს – მე-სამე. მერე დანარჩენებიც აიღეს. ყველა შემთხვევაში მე-წინავე რაზმებს ანაფორიანი გიორგი ჭყონდიდელი ან ბივრიტელი მეთაურობდნენ, ან შულია და ბულმა, ან ღიმპანელი და მასა, ან არაბიძე და გორდო...

ცხრავე ციხის აღება იესოს სახელით ხდებოდა ამ შემა-ხილის ფონზე. ყველა აღებული ციხის ქონგურებიდან სელჩუკ ციხისთავთა მოჭრილი თავები გადმოვიდეს, თუმცა სინამდვილეში ისინი უკვე ყოფილი ციხისთავები იყვნენ.

ყველაზე მეტად იმ მეცხრე ციხის აღება გაჭირდა, რო-მელსაც ისეთი გააფთრებით იცავდნენ სელჩუკები, რომ დავითის შეჩერება შეუძლებელი შეიქნა და მხოლოდ მაშინ გამოვიდა ხელჩართული ბრძოლიდან, როცა გამარჯვება ამ ციხეზეც გარდაუვალი გახდა. თუმცა მეფე კი არ გამოვიდა, ძალით გამოიყვანა რამდენიმე ადამიანი. შულიამაც მერამდენედ, გაკვირვებულმა ჰკითხა მას:

– ეგ როგორ ვერ უნდა შევიტყოთ, ხმალი მოგწვდა თუ არა?

– არ ვიცი, – მუცელზე ხელი დაიდო დავითმა, – აქ თითქოს ქვა მიდევს.

მეფე კარვის წინ დასვეს და აბჯარი სწრაფად, მაგრამ ფრთხილად შეხსნეს.

მერე აბჯრის ქამარიც მოხსნეს და უეცრად შიგნიდან იმდენი შეგუბებული სისხლი გადმოიქცა, რომ შულია შეცბა და მეფემაც გაოგნებული სახით დახედა საკუთარ მუცელს. შულიამ პერანგი გადაუხია დავითს და ჭრილობის ძებნა დაიწყო მის სხეულზე, მაგრამ ვერაფერს მიაგნო. გაკვირვებულმაც ხმამაღლა თქვა:

– არაფერია.

მერე უცებ გახარებულმა წამოიძახა, – მტრის სისხლია ესა და აი, აქედან დაგიგროვდა.

მერე შულიამ ხელი მაღლა ააწევინა მეგობარ მეფეს და აჩვენა კიდეც, ეს როგორ მოხდებოდა:

– უყურე! ხმალი გეჭირა ასე და ღარიდან წამოყვა. წამოვიდა ესე, ჩამოვიდა ესე და დაგროვდა აქა. ეგრეა.

დავითს გაეცინა. შულიამ კი დაამატა:

– სისხლის აბანოც ეგ ყოფილა.

– თბილისის აბანოები მაინც ყველას ჯობია, – თქვა უცებ ღიშპანელმა. მეფეს სახიდან ღიმილი გაუქრა.

– მოვა მაგის დროც, ღიშპანელო, – უთხრა დავითმა ძალიან წყნარად, მაგრამ დარწმუნებით...

იმ ღამეს იმავე სააღყო ბანაკში დარჩნენ, მაგრამ დაღლილობის მიუხედავად, მეფეს არ ეძინა და კარავში წიგნს კითხულობდა.

უეცრად კარვის კალთა ვიღაცამ ისე სწრაფად ჩაჭრა, რომ დავითი წამოხტა, მაგრამ გაეღიმა, როცა კარავში შემოსული ხანჯლიანი საბედო იცნო.

– შეშინება ვიცი, გუშაგები არ გივარგა, – თქვა საბედომ და წიგნს დახედა.

– გამარჯობა, ყაჩაღების დედოფალო! – დაუპატიჟებელ სტუმარს ისევ ღიმილით მიესალმა მეფე. საბედომ დაჩოქება დააპირა, მაგრამ დავითმა მაშინვე წამოაყენა.

– რატომ არ დამიძახე, ტყეების მეფევ? სისხლის ტბები დაგიყენებია უჩემოდ, – საყვედურის კილოთი მიმართა საბედომ მეფეს. მეფეს ისევ გაეღიმა:

– დაგიძახებ, როცა დამჭირდები. მოვა დრო, ქუდზე ქალიც დამჭირდება.

სიტყვა `ქალის` ხსენებაზე საბედომ თვალებში შეხედა მეფეს და ხმადაბლა ჰკითხა:

– მაშ, დაგჭირდები?

უცებ კარავში სწრაფად და ხმაურით შულია შემოვიდა.

საბედოს დანახვამ აქ და ამ დროს, გააოგნა, პირჯვარი გადაიწერა და გაიქცა.

დავითმა ისევ გაიღიმა.

– ვერ დააჯერებ მაინც, – თქვა საბედომ, უცებ დავითს მიეკრა და აკოცა.

– ღმერთო, როგორ მიყვარხარ... ყველას სძულხარ, მე კი მიყვარხარ. გლეხკაცი მაინც იყო, – თქვა ჩურჩულით საბედომ და თვალები ცრემლებით ავესო.

დავითს არაფერი უთქვამს საპასუხოდ, მხოლოდ მხრებზე მოხვია ხელები აცრემლებულ საბედოს...

დილით იმ გორაკზე შეიკრიბა ქართული მხედრობა, საი-დანაც კარგად ჩანდა ულამაზესი გაშლილი ველის ბოლოს სულ სხვა ციხე – ის, რომელიც იმ ცხრა ციხის სათვალავში არ შედიოდა. ყველანი ერთმანეთს მიესალმნენ. მეფემ ალექსანდრეს მონეტა დაანახა გიორგი ჭყონდიდელს.

– ცოტაც და მთელი საქართველო ჩვენია, – თქვა შულიამ. ბივრიტელმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

– ხალხი არ გვეყოფნის, ციხისთავებად ვის ვტოვებთ. დაზამთრდება, ჩვენ წავალთ და ურჯულოები უკან მოვლენ, – თქვა მასამ უპირველესად მეფის გასაგონად.

– აბუღეთის ციხეზე უნდა მივიდეთ, – თქვა უცებ დავითმა გადაჭრით. გიორგიმ გაოცებული სახით შეხედა.

– აბუღეთის ციხეზე მივიდეთ, სანამ სისხლის სუნი არ დაგვიკარგავს, – გაიმეორა დავითმა, შულიამ კი სიხარულისაგან დასჭყვილა:

– ეჰე-ჰეიიიი! მოვდივართ, ძაგან აბუღეთისძევე!

– შენ დაბრუნდი, გიორგი, ჩვენც ვეყოფით ამ საქმეს, – მშვი-დად მიუბრუნდა მეფე ჭყონდიდელს და ცხენს დეზი ჰკრა...

აბუღეთის ციხის ალყა დიდხანს არ გაგრძელებულა და მალე საქართველოში ყველა მიხვდა, რომ სელჩუკების მერე ჯერი იმ ქართველებზე მიდგა, რომლებიც მეფეს არ ემორჩილებოდნენ. თუმცა დავითმა მაინც მოწყალება გაიღო, როცა ყელზე თოკ-მობმული ძაგან აბუღეთისძე მიჰგვარეს და ფეხებთან მიუგდეს:

– დაიკარგე ამ ქვეყნიდან! აქ აღარ მობრუნდე, თორემ თვალებს დაგთხრი და ყვავებს ვაჭმევ...

ძაგან აბუღეთისძეს არაფერი უთქვამს და მხოლოდ თავი დახარა. დავითი კი შულიას მიუბრუნდა:

– შენია ეს ციხე! უპატრონე, დაამშვენე და გააძლიერე! მიწაც შენია.

შულიამ თავი დაუკრა და ნაბიჯი გადადგა თუ არა, აბუღეთისძემ ამოილულულა:

– მონასტერი...

– რა მონასტერი? – კარგად ვერ გაიგო მეფემ.

– მონასტერი გადასწვი ურჯულოსავით.

გაკვირვებულმა დავითმა დეზი ჰკრა ცხენს და კვამლა-დენილი მონასტრისკენ გაქუსლა. გალავანთან ამხედრებული მივიდა, მაგრამ ეზოში შესვლის წინ ჩამოქვეითდა და იქაურობა ისე დაათვალიერა. შენობის კუთხიდან მოხუცი ბერი გამოვიდა, რომელიც მეფის დანახვისას შედგა და მკაცრად უთხრა დავითს:

– შიომღვიმეს ოქროს სწირავ, ჩვენი მონასტერი კი დასწვი.

– შენ რა იცი, ვინ ვარ.

– გიყურებდი.

– მე არ მიბრძანებია, რომ დაეწვათ, შემთხვევით მოხდა, ომია...

– ღვთის სახლი ყველასია. შენი და ჩემი არა აქვს.

– ვიცი.

– არ იცი. რომ გცოდნოდა, იმ ომში არ შეხვიდოდი, სადაც მონასტერს სწვავენ. შენ არ დაგიწვავს, მაგრამ პასუხს მაინც შენ აგებ, იმიტომ, რომ მეფე ხარ. რას იპოვი მონასტრის ფასად. ძალაუფლებასა და მიწას? მიწა ვერ აჯობებს ცას, როგორც ხორცი – სულს...

დავითმა ცხენი მოატრიალა და ისე გამოაჭენა, უკან არც მიუხედავს, უკან კი მისივე ამაღლა მოჰყვებოდა. როცა იმ გზაჯვარედინს მიუახლოვდნენ, სადაც სხვების დასაშინებლად რამდენიმე სახრჩობელა იყო აღმართული, სიკვდილით დასჯილებს მეფემ თვალი აარიდა. არაბიძემ შეატყო, რომ დავითს არ ესიამოვნა ძელზე გასმულების დანახვა და, თითქოს თავს იმართლებსო, მეფის გასაგონად თქვა:

– ამ მეკობრეებსა და ყაჩაღებს ორჯერ აპატიეს და სიკვდილით არ დასაჯეს, მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალეს.

– გლახაკთათვის მეტი როგორღა იზრუნოს მეფემ – გლახაკთა ნაათალი დააწესა და ხაზინის მეათედს მათთვის გაიღებს ხოლმე, ოცდახუთი ათასი დრაჰკანი რომელ მეფეს უჩუქნია გლახაკთათვის, – ეს უკვე გორდო იყო, მაგრამ მის ნათქვამზე, მით უმეტეს, არაფერი უპასუხია დავითს. შულიამაც საუბრის თემა შეცვალა:

– წმინდა კრების მოწვევას სად აპირებ?

– რუისთან ახლოს, – უცებ გაელიმა მეფეს, – ბავშვობაში იქ ხშირად ვსტუმრობდით მამაცაშვილებს, ერთი-ორჯერ შენც მახლდი მამაჩემის სურვილით.

– მახსოვს... შენი მამიდა, ბიზანტიის დედოფალი მართა-მარიამი, საგანგებოდ ამ კრების გამო ჩამობრძანდებო სამშობლოში. მისი დახმარებაც გვჭირდება?

– ჩვენ ყველას დახმარება გვჭირდება, ვინც ფიქრობს, რომ ეკლესია იმათგან უნდა განიწმინდოს, ვინც უღირსია. მტერს როგორ ვებრძოლო, თუ ეკლესია მტრის საქმეს ემსახურება?!

– მეუდაბნოე ბერებიც ამიტომ დაიბარე?

– ღირსეული ის არის, ვინც ეკლესიაში ჭეშმარი-ტებას ეძებს და არა – ქონებასა და სახელს. მეუდაბნოე ბერების ღვაწლი სწორედ რომ უმჯობესი მაგალითია...

კონსტანტინოპოლის საიმპერატორო სასახლეს ბიზანტიის ქართველი დედოფალი ტოვებდა იმ დილით. სასახლის ამაღლა მოწიწებით მიაცილებდა მას ხომალდისაკენ, რომელსაც გეზი საქართველოსკენ უნდა აეღო. ყველანი გადაჭარბებულად მდიდრულად იყვნენ ჩაცმულები და მათი ბრწყინვალე სამოსი ისევე თვალშისაცემი იყო, როგორც მათი ქცევისა და ლაპარაკის მანერა.

დედოფლის გამცილებლებს შორის ყველაზე გამორჩეული მამაკაცი თავის დაკვრით დაემშვიდობა უმშვენიერეს დედოფალს და ბოლოს მხოლოდ ერთი წინადადება უთხრა მას:

– იმედია, მხოლოდ მცირე ხნით გვტოვებს დედოფალი.

ბიზანტიის ქართველმა დედოფალმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა და ამაღასთან ერთად ხომალდზე ავიდა.

გამცილებლები კიდევ დიდხანს, გაუნძრევლად იდგნენ კონსტანტინოპოლის ნავსადგურში.

დავითმა და მისმა ერთგულებმა რუისსა და ურბნისს შორის მდებარე მონასტრის გალავანში ცხენები შეაჭენეს თუ არა, მეფე მაშინვე ჩამოქვეითდა. გალავნის ეზოც ჩქარი ნაბიჯით გაიარა, მაგრამ უცებ ერთ-ერთი კარიდან გამოსული გიორგი ჭყონდიდელი წინ გადაუდგა მას და მკაცრად მიმართა:

– მოიცადე!

– რა მოაწყვეთ აქ?! – მეფემაც ძალიან მკაცრად იკითხა.

– ყველაფერი ისე, როგორც ვთქვით: კათალიკოსი მოვიწვიე. მამიდაშენი ჩამოვიდა, ძალიან უნდა შენი ნახვა. ყველაფერს გავაკეთებთ.

– ფილიპე ბერი მოიწვიე? სტეფანე?

– არა, ჯერ არ არის საჭირო.

დავითმა გიორგი გასწია და კარისკენ გაემართა. ჭყონ-დი-დელი უკან მიჰყვა მას:

– შენი აქ გამოჩენა არ არის საჭირო...

მინდობაი, ბუღმა და ღიშპანელი სწრაფად მიჰყვანენ დავითს, რომელიც ენერგიული ნაბიჯით შევიდა დიდ დარბაზში, სადაც სინოდი იყო შეკრებილი, დარბაზის შუაში დადგა. ჯერ ტახტზე დაბრძანებულ კათალიკოსს უყურა ცოტახანს და მერე მისკენ დაიძრა ნელა. კალთაზე და ხელზე ემთხვია კათალიკოსს და მერე დედოფალს, ცოლსა და მამიდას გახედა. ახლა მათკენ წავიდა ნელა და როცა ცოლს ჩაუარა, წამით შედგა:

– უკვე მონასტერში წასული მგონიხარ, უფლისწულის დედაო, – უთხრა მეუღლეს და გზა განაგრძო. მამიდასთან მივიდა, დაუჩოქა და კალთაზე ემთხვია.

დავითს აშკარად არავინ ელოდა აქ, ყოველ შემთხვევაში, ასე იცოდნენ და ამიტომაც შეცბნენ მისი სტუმრობის გამო.

– მოგესალმები, ბიზანტიის დედოფალო, ჩემს ქვეყანაში, – მიესალმა დავითი. ცალ მუხლზე დაჩოქილ მეფეს მამიდამ თავზე ხელი გადაუსვა, თითქოს აწყნარებო.

დავითმა კი გააგრძელა:

– მოგიწვიეს და არ დაიზარე ამხელა გზის გამოვლა. აქ მყოფებს სჯერათ შენი.

– მამაშენი ვერ ვიპოვეთ ვერსად, არ მინდოდა ჩემი ძმის უნახავად წასვლა.

დავითმა კარგად გაიგონა მამიდამისის სურვილი, მაგრამ წაუყრუა და თავისი სათქმელი განაგრძო:

– შენი სჯერათ, დედოფალო, ჩემი კიდეც არა. მე ვძულვარ მათ. ორი სიგელი მოვუმზადე ქვეყნისა და ხალხისათვის, რომელიც დაივიწყეს. თუმცა ყველამ არა და მაგალითად, აი ეს, პატოსანი და წესიერი კაცია, და შვენის კიდეც ეგ სამოსელი, – დავითმა იოანე ეპისკოპოსისკენ მიუთითა.

მამიდამ აშკარად უხერხულად იგრძნო თავი და ამის დამალვას შეეცადა, თუმცა მეფე არ გაჩერდა:

– და კიდეც აი, ის, – ახლა სხვა ეპისკოპოსისკენ გაიშვირა დავითმა თითი, მერე შორიახლოს მდგომ ბერს მიუბრუნდა:

– აი, ეს კი უბრალო ბერია და ამათ მაინც უსწრებს ცოდნით და ღვთის სიყვარულით. და კიდეც – ის. მამიდას იმიტომ მოვახსენებ ყოველივეს, რომ იცოდეს, სად მოვიდა. დანარჩენები? დანარჩენები სოვდაგრები არიან და არა მონაზვნები. ვინა თქვა, ქართველს ვაჭრობა არ უყვარსო?.. აგე, ვაჭრები! ყიდულობენ და ყიდიან, გადამთიელებთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე თავის ხალხთან...

გიორგიმ დავითისკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ უცებ შე-ყოვნდა.



– და გიორგი ჭყონდიდელი კი სწირავს, ელჩებს ისტუმრებს, სარდლობს, ლოცულობს, მაზიარებს. ძალიან უნდოდა, შენი ჩამოსვლა, ბიზანტიის დედოფალო, რომ წყნარად ყოფილიყო ყველაფერი.

დავითი ისევ კათალიკოსისკენ მიბრუნდა და უპირველესად მის გასაგონად თქვა:

– აქაურობა კი იმიტომ გადარჩება, რომ ათი ნამდვილი ბერი მაინც ჰყავს ამ ქვეყანას.

მეფემ უბიდან ორი გრაგნილი ამოიღო და განაგრძო:

– არ ვილაპარაკებ მეტს. ერისკაცს არ გამოუვა ღვთის ხალხთან ლაპარაკი. აქ წერია ყველაფერი, ვინ უნდა დაიჭიროს ეპისკოპოსთა კვერთხები. აქ კიდევ წერია, როგორ უნდა იქცეოდეს შემოსილი ჩემს ქვეყანაში...

დავითმა კათალიკოსს დაუდო კალთაში ორივე გრაგნილი.

– მამათმავლობაზე მითუმეტეს აღარ ვილაპარაკებ, თვითონ იცით, რატომ ვებრძვი.

მეფე დარბაზის გასასვლელისკენ წავიდა, მაგრამ ისევ შე-დგა და მოიხედა:

– კარგად ჩახედეთ, რა წერია, თორემ დავბრუნდები და სარებზე წამოვაგებთ ყველას, ვინც ამის ღირსია...

დავითი უკვე გარეთ გადიოდა, როცა გასვლის წინ ერთ მსუქან სამღვდელო პირს შეხედა, რომელსაც ყველაზე კუმტი სახე ჰქონდა იქ მყოფებს შორის, და წყნარად უთხრა:

– თვალის ჩინს გაუფრთხილდი, თეოფილაქტე!..

დავითი უკვე წყნარად იყო, რადგან მთავარი სათქმელი უკვე ნათქვამი ჰქონდა კრებისთვის, ხოლო როცა გარეთ გა-ვიდა, უფრო მეტი შვება იგრძნო. ჭყონდიდელი თან მიჰყვა და მისმა დანახვამ კიდევ უფრო დაამშვიდა მეფე.

– ამას ერიდებოდით? – ჰკითხა გიორგის და ცას ახედა.

– შენს თავზე იღებ ამდენ ცოდვას, – უთხრა სინანულით ჭყონდიდელმა.

– შენ რისთვის მყავხარ, მოძღვარო? – ახლა უკვე ღიმილით ჰკითხა დავითმა. საპასუხოდ გიორგიმაც ცას ახედა.

– თოვს, – თქვა მან. გარეთ გამოსულმა ბივრი-ტელ-მაც დაუდასტურა:

– ხო, ზამთარი მოდის.

დავითი კი გიორგის გადაეხვია და მოუბოდიშა:

– არ მითქვამს, იმიტომ, რომ ვერ მოვასწარი, მაგრამ თოვლში უნდა ჩავახრჩო ზამთრის მტრები...

დავითი, ამაღასთან ერთად, დასავლეთ საქართველოში გადადიოდა. ჩქარობდა, რადგან, როგორც წესი, მეფე დასავლეთ საქართველოში გამოიზამთრებდა ხოლმე, იმ ზამთარს კი ისეთი დიდთოვლობა იყო, რომ სურამის უღელტეხილი შეიძლება გაზაფხულამდე ჩაკეტილიყო. კიდევ ერთი განსხვავება ისიც იყო, რომ ქართველი მეფის ამაღას რამდენიმე სელჩუკი მსტოვარი მიჰყვებოდა უკან. სელჩუკებმა ლიხის გადასასვლელამდე შეუმჩნევლად იარეს კიდევ. მათ მარტივი დავალება ჰქონდათ: აუცილებლად უნდა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ ქართველების მეფე ნამდვილად გადადიოდა დასავლეთ საქართველოში, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სელჩუკებს მშვიდად შეეძლოთ აღმოსავლეთ საქართველოში გამოიზამთრება. ისეთი დიდი თოვლი იყო, რომ მათი ვარაუდით, ძალიანაც რომ მოენდომებინა ქართველების მეფეს, ამ მთებს გაზაფხულამდე მაინც ვეღარ გადმოლახავდნენ მისი მოლაშქრეები. ამიტომაც მსტოვრების დაბრუნებას სელჩუკების ბანაკში მოუთმენლად ელოდნენ და, როგორც კი შეიტყვეს, რომ ქართველების მეფე გაზაფხულამდე აღარ გამოჩნდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, სიხარულის ყიჟინა დასცეს.

დავითის ამაღა კი უკვე სასახლეს უახლოვდებოდა ქუ-თაისთან, როცა მინდობაის მისი პირადი მსტოვარი წამოეწია და რაღაც სათქმელი ჩურჩულით გაანდო. მინდობაი არაბიძემ კი მეფეს მოახსენა:

- დიღომთან ისევ ჩამომდგარან სელჩუკები, ბანაკებიც დაუციათ და ათასობით არიან.
- ზამთრის პირს, როგორც წესი, სამხრეთისაკენ მიდიან ხოლმე, – გაიკვირვა მეფემ.
- წლეულს ზამთარშიც ჩამოდგნენ, იციან, გაზაფხულამდე აღმოსავლეთში აღარ გადახვალ...

დავითი მხოლოდ ერთი წამით დაფიქრდა. მერე თავის ამაღას გახედა, რომელიც სასახლის ეზოში ბარგის გადმოტვირთვით იყო დაკავებული, და ბივრიტელს ხელით თავისკენ მოუხმო:

- ცხენები შეკაზმონ, ქართლში ვბრუნდებით.
- ძლივს გადმოვედით, უღელტეხილზე ისე თოვდა. უკვე გზის გაკვალაც შეუძლებელი იქნება... – გაუკვირდა ბივრიტელს.
- შეუძლებელი მხოლოდ იმის მოლოდინია, რომ მტერი ზამთარში მოდის და შენ კი გაზაფხულს უნდა ელოდო.
- გაზაფხული მოვა და ქართლში ისევ გადავალთ, მტერსაც საკადრის მივაგებთ.
- რომ არ მოვიდეს?
- ვინ?

– გაზაფხული.

ბივრიტელი მიხვდა, მეფე აზრს არაფრით შეიცვლიდა და ლაშქარს ისევ ამხედრება უბრძანა.

ულელტეხილზე კიდევ უფრო საშინლად თოვდა, ვიდრე მანამდე, როცა აქეთ გადმოდიოდნენ, ამიტომაც ქართული ნაგაზები გზის გასაკვალად წინ ძნელად მიიწევდნენ. თოვლი იმდენად დიდი იყო, რომ გზის გახსნას ყველას ძალიხმევა ერთად სჭირდებოდა. თვითონ დავითიც შეუსვენებლად მუშაობდა სხვებთან ერთად და მეფის შემხედვარე, მოსახლეები ახლომახლო სოფლებიდან ქართულ ლაშქარს მდუმარედ და მონდომებით ეხმარებოდნენ. ეს დუმილი ღიშპანელმა დაარღვია:

– ასეთი ძაღლები მხოლოდ ჰისპანიაში ჰყავთ და აქ, -მხოლოდ ქართველებს და ღიშპანელებს, ნათესავებს...

მართალია, სელჩუკებს იმედი ჰქონდათ, რომ გაზაფხულამდე ქართველი მეფისაგან არაფერი ემუქრებოდათ და ამიტომაც თამამად არბევდნენ ქართლის დარჩენილ სოფლებს, მაგრამ რამდენიმე ათეული სელჩუკი, მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, დათოვლილ ულელტეხილთან მორიგეობდა, სანამ დანარჩენები ქართლის გაშლილ ველებზე დაცემულ ბანაკებში ღრეობდნენ.

ზამთრის მორიგეობა კოცონის გარეშე ალბათ არსად არსებობს და ესენიც ცეცხლის გარშემო ისხდნენ და საუბრობდნენ, როცა სრულიად უჩვეულო და მოულოდნელი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ: პირდაპირ თოვლიდან ადამიანი გამოვიდა და მშვილ-დი მოზიდა. სელჩუკებმა ამ უეცარ მოვლენაზე რეაქციაც კი ვერ მოასწრეს, რომ თოვლიდან კიდევ ერთი შეიარაღებული ადამიანი გამოვიდა, მერე – კიდევ ერთი, კიდევ ერთი და როცა აღმოაჩინეს, რომ თოვლიდან მთელი ქართული ლაშქარი გამოვიდა, უკვე გვიანი იყო, რადგან ამასობაში ქართველებმა მეწინავეთა ისრებით დაცხრილული სელჩუკების გვამებს ჩაუარეს და გზაც გააგრძელეს.

მერე უკვე სწრაფად იარეს და როცა მდინარის პირას შეჩერდნენ, შულიამ აღნიშნა, რომ იქვე ჯობდა მდინარის გადალახვა, რად-გან ქვემოთ შესაძლოა ფონი აღარ ყოფილიყო.

– ხიდები გვჭირდება, მეფეო, – ღიმილით უთხრა დავითს ბივრიტელმა, მეფემ კი სერიოზულად უპასუხა:

– მტერს ხიდებს ვერ ავუმენებთ. როცა ჩვენი ქვეყანა ჩვენი იქნება, ხიდებიც გვექნება და გზებიც.

ბივრიტელმა რაღაცის თქმა კიდევ დააპირა, მაგრამ მაისამ წყლის ფონის ამბავი მოიტანა და მეფეს მოახსენა:

– ფონი არის, მაგრამ მოლაშქრეებმა თქვეს, წყალი ძალიან ცივიაო.

– მამა უცხონდათ, მტკვარს გავუთბობთ ამ ზამთარში, – გაბრაზდა უცებ შულია. მეფეს ისე გულიანად გაეცინა, რომ სხვებიც აჰყვნენ და მდინარის მეორე ნაპირზეც მხიარულად გავიდნენ. მერე დამშვიდდნენ და აჩქარდნენ, რადგან წინ დიდი ბრძოლა ელოდათ. ყიჟინით შეუტიეს სელჩუკების უზარმაზარ ბანაკს.

იმ დღეს, იმ სასტიკი შეტაკებების დროს, სელჩუკები ერთ-მანეთს ყვირილით ანიშნებდნენ, რათა მეფეს როგორმე მისწვდნოდა რომელიმე მათგანის მახვილი ან ისარი. ქართველების მეფეზე რამდენიმე გააფთრებული იერიში მართლაც მიიტანეს, მაგრამ დავითი ისე იბრძოდა, რომ მისი ძლევა ძალიან რთული იყო. ეს ბრძოლა კიდევ იმით განსხვავდებოდა სხვებისაგან, რომ შუაგულ ბრძოლაში საბედო შემოიჭრა ისეთი გიჟური გახელებით, რომ სელჩუკებმა ადვილად დაიჯერეს, რომ თმაგაშლილი არსებები, კვილით რომ იკლებდნენ ბრძოლის ველს, ჩვეულებრივი მებრძოლები არ იყვნენ. თუმცა მტერმაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ქართველებს. მეფეს ორჯერ მოუკლეს ცხენი და ბრძოლის დასრულებისას დავითი მესამე ცხენზე იჯდა. სხვა კიდევ ის იყო, რომ ამ ბრძოლის მერე ქართველებს უჩვეულოდ დიდი ალაფი დარჩათ, რომლის დიდ ნაწილსაც სელჩუკების მიერ მანამდე ქართველებისთვის წართმეული ქონება შეადგენდა. სანამ ამ ქონებას, ქართლის სოფლების გახარებულ მოსახლეობას ქართველი მოლაშქრეები უკან უბრუნებდნენ მათსა და მეთაურობით, დავითს საბედო მიუახლოვდა:

– მე ისევ არ მიხმე შენ გვერდით საბრძოლველად.

– კიდევ ბევრჯერ მოესწრები, თუ ასე გწადიან.

დავითს ახლა საბედოსთვის მართლა არ ეცალა. მაშინვე ბივრიტელს მიუბრუნდა:

– მსხვერპლი დიდია?

– დაჭრილები უფრო ბევრი გვყავს და ქსენონში გადავიყვანეთ.

– წავედით, – ცხენი დაძრა მეფემ. როცა მდინარეს კვლავ მიადგნენ, ბივრიტელმა ისევ ხიდეების საჭიროებაზე ჩამოაგდო სიტყვა.

ქსენონის შესასვლელთან ჩამოქვეითდნენ და მეფე აჩქარებით შევიდა იქ, საიდანაც დაჭრილების კვნესის ხმა გარეთაც აღწევდა. დავითი დაჭრილებთან ახლოს მიდიოდა გაბედულად და სასთუმალთან იხრებოდა მათ გასამხნეველად:

– ხვალიდან უკეთესად იქნებით...

მერე ბივრიტელს მიუბრუნდა:

– თოლიოქროც აქ არის?

ბივრიტელმა თავი დაუქნია.

თოლიოქრო გაუნძრევლად, უგონოდ იწვა. მეფემ მისი ხელი აიღო. ბივრიტელმა ხმადაბლა უთხრა:

– ბადნაურიც მძიმედ არის, მეფეო.

– ბადნაურმა თავისი ცხენი დამითმო ბრძოლის დროს, – თქვა დავითმა და მძიმედ დაჭრილ ბადნაურთან მივიდა, თავისი ხელით გადაუხვია საფენი და ჭრილობაზეც მალამო საკუთარი ხელით დაადო.

მერე შულიამ შეახსენა მეფეს, შოშიტას თურ-მანიძენი ჰკურნავენ, მაგრამ ჯერ ხელის მტევნებს მაინც ვერ ხმარობსო. მეფე შოშიტასთანაც მივიდა. ისიც გაუნძრევლად იწვა. დავითის დანახვისას თვალები სიხარულისგან გაუფართოვდა. იქვე, საწოლთან ჯამი ედგა შოშიტას; მეფემ კოვზი ამოავლო ჯამში და თავისი ხელით მიაწოდა ულუფა დაჭრილს.

– მადლობელი ვარ, მეფეო.

– მადლობა თურმანიძეს უთხარი.

– თურმანიძეთა მალამო საკმარისზე მეტი აქვთ, ჯარა და აქიმიც არ აკლიათ, – კმაყოფილი სახით მოახსენა ბივრიტელმა დავითს და მეფესაც კმაყოფილება დაეტყო, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით. ცოტა ხანში, დაჭრილ მოლაშქრეს თავისი ხელით რომ აჭმევდა, მოულოდნელად ისე ცუდად გახდა მეფე, მაისამ და ბივრიტელმა ხელი შეაშველეს და იქვე წამოაწვინეს. საჩქაროდ გულმკერდიც გადაუღებეს და მხოლოდ მაშინდა აღმოაჩინეს, რომ მეფე თავადაც დაჭრილი იყო...

## ტამარი

დავითი, შულია და ბივრიტელი აბჟანდაძეების ტყეში სეირ-ნობდნენ, სადაც მზის სხივები ხეებს შორის სვეტებად აღ-წევდა და სიჩუმეს მხოლოდ მათი ფეხის ხმა არღვევდა, როცა ისინი ყვითელ ფოთლებს აბიჯებდნენ. მეფე უკვე გამოჯანმრთელებული იყო, თუმცა ჭრილობა ჯერ ისევ შეხვეული ჰქონდა.

– ხალხი რას ამბობს? – ბივრიტელს ჰკითხა.

– დიდად გაქებს ერი და ფრიადი სიხარულია შენი ღვაწლის გამო.

– ქება და დიდება არაფერს მარგებს, მათი აზრები მჭირ-დება, ვინც აუგს ამბობს.

– ცუდი რატომ უნდა თქვან?

– მაინც?..

დავითი ჯერ ორივეს დააკვირდა პასუხის მოლოდინში, მერე ღიმილით მიმართა:

– თუ თქვენ მეფე გიყვართ, სიმართლის თქმაც უნდა გიყვარდეთ მისთვის, ქება და ლიქნი ნებისმიერ მმართველს წაახდენს ადრე თუ გვიან...

– ჰო, იყო ერთი, – გაუბედავად თქვა შულიამ.

– მაინც რა იყო?

– ისეთი არაფერი.

– მაინც?

– შენ რო განჯის ყადის ედავე ყურანის სურებზე, მერმე იყო რო სთქვეს, რომაო, ყურანი თუ აგრე კარგად იცის ჩვენმა მეფემაო, მაშ, ყურანის პატივისცემაც დიდი ჰქონიაო.

– მხოლოდ მშიშარა ადამიანები გაურბიან უცხო სწავლათა ძიებას და მხოლოდ საკუთარ რწმენაში სუსტებს აფრთხოვთ სხვათა წიგნები.

– მეც ეგ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მერე ისა სთქვეს, რომ მოჰამედიანებს აგრე პატივსაც სცემს დავითიო და ეკლესიასა და ქრისტიანებს კი მკაცრად ეპყრობაო...

– მე მხოლოდ უღირსნი არ მსურს ეკლესიაში ვიხილო, რადგან ჩვენი რწმენის გამო მეც ვაგებ პასუხს და, რადგან ეკლესიამ თვითონ არ მოიკვეთა ავაზაკნი, მე გავაკეთე ეს!..

მეფეს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ველარ მოას-წრო, რადგან მოულოდნელად რაღაც გრუხუნის ხმა გაისმა, რომელიც თანდათან ისე გაძლიერდა, რომ შულია და ბივრიტელი, ხმალამოღებულები, დავითის წინ და უკან დადგნენ. თუმცა მალე აღმოჩნდა, რომ ცხენების რემა იყო, რომელმაც ტყე გადაჭრა. ფაფარგაშლილი, ველური ცხენების გადარბენამ ისინი დაატყვევა. მართლაც ულამაზესი სანახობა იყო და სამივენი გაუნძრევლად იდგნენ, სანამ ფლოქვების ხმა არ შეწყდა და ტყეში ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

– ეს ცხენები ჩვენს მოლაშქრეებს უფრო გამოადგებოდათ, – სიჩუმე დავითმა დაარღვია და შულიას ღიმილით გადახედა, – ისე, კარგი იქნებოდა, უბელო ცხენების გახედნაც გესწავლა, მხოლოდ დიაცებზე ფიქრს...

შულიამაც გაიღიმა და ხალისიანი პასუხისთვისაც მოემზადა, მაგრამ უცებ მათკენ მომავალი მინდობაი არაბიძე დაინახა და ღიმილიც გაუქრა. ალბათ რაღაც სასწრაფო ამბავი მოაქვსო, თქვა ბივრიტელმა.

– მაგისგან კარგი ვისა სმენია, რო ახლა რამე კარგი მოიტანოს, – თქვა შულიამ.  
მინდობაის მათთვის არც შეუხედავს, ისე მიადგა პირდაპირ მეფეს:

– ბემქენ ჯაყელი მოჰკლეს სარკინოზებმა.

დავითი რამდენიმე წამს საშინლად განრისხებული იდგა და გაუნძრევლად ფიქრობდა, მერე გადაწყვეტილება მიიღო და აჩქარებული ნაბიჯით თავქვე დაემვა. დანარჩენებიც უკან მიჰყვნენ, მაგრამ ცოტა ხანში შულიამ ბივრიტელს ანიშნა და ორივენი მეფეს ოდნავ ჩამორჩნენ:

– ორი-სამი დღის მერე მაინც ეთქვა ამ ოჯახაშენებულს, არ იცის, რომ მეფეს ჯერ ისევ აწუხებს ტკივილები?!

– მესხეთისკენ დამვრას ალბათ დღესვე ბრძანებს.

– ალბათ ტაომდეც მოგვიწევს გალაშქრება, ჯაყელის მოკვლას თურქებს ასე ადვილად არ აპატიებს...

შულია და ბივრიტელი არც შემცდარან: მეფემ ლაშქრობის სამზადისი იმ დღესვე ბრძანა, როცა ჯაყელის მოკვლის ამბავი გაიგო. სამხრეთისკენ დაძრულმა ჯარმაც ჯავახეთამდე შეუსვენებლად იარა. ლაშქარს წინ მეფე დავითი და მისი ამალა მიუძღოდნენ, მაგრამ მეფის გვერდით შულია არ ჩანდა.

– ჯავახებსაც მრავლად სდომებიათ ამ ბრძოლაში ჩაბმა, მაგრამ ცხენები არ ჰყოლიათ საკმარისად, – გადაულაპარაკა ბივრიტელმა დავითს, მეფემ კი საპასუხოდ შულიას ამბავი იკითხა.

– ჯერ არ ჩანს, – უპასუხა ბივრიტელმა. მეფემ გაღიმება სცადა:

– ისევ ვინმე დიაცთან ერთად გაჰქრა?

– არ ვიცი. მეორე დღეა, არ ჩანს. თურქებს კი ამასობაში პატიება უთხოვიათ.

– მე კი ვაპატიებ, მაგრამ ჯობია, თვითონ ბემქენ ჯაყელს სთხოვონ პატიება.

– ჯაყელი ხომ მოჰკლეს, – უცებ ვერ მიხვდა დავითის ხუმრობას ღიშპანელი, მეფესაც აღარ გაუღიმიო:

– მაშ, ჯაყელი ვეღარ აპატიებს და ჩვენ რაღა დაგვრჩენია...

დავითმა ფრაზის დასრულება ვერ მოასწრო, რომ უცებ მახლობელი ფერდობიდან საშინელი ხმაურითა და ყიჟინით დაემვა შულია თავის ბიჭებთან ერთად. ისინი სწორედ იმ ცხენებს მოერეკებოდნენ, რომლებიც აბჟანდაძეების ტყეში ნახეს რამდენიმე დღის წინ...

\* \* \*

ერთი დღის შემდეგ კი გამარჯვებული ქართული ლაშქარი უკან ნელა ბრუნდებოდა ალაფით. გამარჯვება ქართველებს სახეებზეც ეტყობოდათ. ბრძოლაში მოპოვებული ნადავლი ცხენებისთვის აეკიდათ. მეფემ ბივრიტელის გასაგონად ბრძანება გასცა:

– ლაშქარი შინ გაუშვით, მადლობა უთხარით მეფის სახელით და ყველანი ოჯახებს დაუბრუნდნენ, სანამ მაცნენი ახალ შეკრებას აუწყებენ.

ბივრიტელმა ცხენი უკან მოაბრუნა, ლაშქარს ჩამოუარა და მეფის ბრძანება ჯარისკაცებს ომახიანად გადასცა.

დავითთან მხოლოდ სამეფო სპა და მისი პირადი ამალა დარჩა. გზა რომ განაგრძეს, შულიამ ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქვა:

– თუ მალე რამე ფუნდუკი არ შემოგვხვდება, შიმშილისაგან შეიძლება მოკვდე კიდევ.

– სადმე ფუნდუკი ააშენე, გეგულეობდა და არ შემოგვხვდა? – ღიმილით ჰკითხა გორდომ და ვინც მისი კითხვა გაიგონა, ყველას გაეცინა.

– სახლამდე შიმშილს მეც ვერ გავუძლებ, – შულიას დაეთანხმა მათ, ბივრიტელმა კი ორივე დამოდღრა:

– სანამ შიმშილი შეგაწუხებდათ, ფუნდუკების აშენებაზე მანამდე უნდა გეზრუნათ.

– ფუნდუკების ასაშენებლად არ მეცალა: ჯერ ცხენებს დავდევი, მერე მტერს ვებრძოდი, – თავის გასამართლებლად შულია ალბათ კიდევ სხვა რამესაც იტყოდა, მაგრამ ღიშპანელმა არ დააცალა:

– აი, იმ სახლში, მგონი, ახლა ამოყარეს პური თონედან, ვითომ არ გვიმასპინძლებენ? სანამ თბილისში ვცხოვრობდი, მათსა ყოველდღე მეუბნებოდა, ნებისმიერი ქართველისთვის ყველა სტუმარი ღვთისააო...

ბივრიტელმა ჯერ იმ სახლს გახედა, საიდანაც კვამლი ამოდიოდა, მერე კი მეფეს შეხედა, რომელსაც გაეღიმა და უსიტყვო შეკითხვას თვითონაც უსიტყვოდ, თავის დაქნევით უპასუხა.

მინდობაი არაბიძე დაწინაურდა იმ სახლის მიმართულებით, სადაც მასპინძლები ეგულეობდათ, მაგრამ სახლში მხოლოდ ერთი ქალი აღმოჩნდა, რომელიც პურს აცხობდა თონეში. მინდობაის დანახვაზე საქმე დროებით მიატოვა და უცხოს ღიმილით მიესალმა:

– პური მიირთვი, სტუმარო, სანამ ცხელია.

– მარტო არა ვარ, – უთხრა მინდობაიმ მასპინძელს და მეფესა და მის ამალას გახედა, რომლებიც უკვე ძალიან ახლოს იყვნენ სახლთან. ქალმა სტუმარი დაამშვიდა:

– პური ყველას ეყოფა, პური და თევზი მაქვს.



მერე შვილებს გასძახა:

– სტუმრებს მოხედეთ!

ბავშვებმა ჯამ-ჭურჭელი მოარბენინეს და სანამ გოგოები დედას სუფრის გაშლაში ეხმარებოდნენ, ბიჭები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ სტუმრების ცხენებსა და აბჯარ-იარაღს. ერთი პატარა, დიდთვალეა და ლამაზი ბიჭი განსაკუთრებით ცნობისმოყვარე აღმოჩნდა – დავითთან მივიდა და ყურადღებით დააკვირდა მეფეს, რომელიც ბრძოლაში დაბლაგვებული ხმლის ქარქაშში ჩაგებას ცდილობდა. ხმალი ისეთი დეფორმირებული იყო, ქარქაშში ჩაბრუნება არაფრით სურდა. პატარა ბიჭს გაელიმა, მეფესაც.

– დავით მეფეს უფრო დიდი ხმალი აქვს, – უთხრა ბიჭმა დავითს, – მამაჩემსაც დიდი ხმალი აქვს, მეფეს ახლავს ომში.

დავითს ღიმილი გაუქრა სახეზე.

– რა გქვია? – ჰკითხა პატარას.

– ციბუკა.

– ვისი ხარ?

– ამბოკაძეანთი.

– მამას რა ჰქვია?

– შიო.

– მეფეს გაჰყვა?

– ჰო, მეხუთე დღე იქნება.

დავითი ჩაფიქრდა, მერე ღიშპანელსა და შულიას გადახედა იქვე, მაგრამ შეატყო, რომ მათაც არ ახსოვდათ ასეთი მოლაშქრე და არც ის იცოდნენ, ბრძოლის შემდეგ ცოცხალი თუ დარჩა. იმას კი ცდილობდნენ, რომ მათ შორის ეს უტყვი დიალოგი ბავშვისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო. თუმცა პატარა ციბუკა ისეთივე ცნობისმოყვარე იყო, როგორც ყველა ბავშვი დედამიწაზე და მეფეს არ მოეშვა:

– შენც ომში იყავი?

დავითმა თავი დაუქნია და თავის დაბლაგვებულ ხმალს კიდევ ერთხელ დააკვირდა.

– ომში კი იყო, მაგრამ ჩამოეძინა, – შულიამ იმიტომ იხუმრა, რომ ციბუკას ისევ მამის ამბავი არ ეკითხა.

– როგორა, ომში ძილი როგორ შეიძლება?

– მაგასა წიგნის კითხვა უყვარს და ისე გამწარებით კითხულობს ხოლმე, მტერი რო ეპარება, ვეღარც ამჩნევს. ერთხელ ეგრე კინაღამ თავიც დაკარგა.

ციბუკამ კი ისე გულიანად გადაიკისკისა, რომ მეფესაც გაეცინა. მერე უცებ დასერიოზულდა:

– უპირველესი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაა. კითხვა იცი?

– იესე მედავითნე დამპირდა, რო წრეულს მასწავლის, – ციბუკამ ცოტა დარცხვენით უპასუხა დავითს. მეფემ შულიას გახედა, რომელიც უსიტყვოდ მიხვდა მეფის წადილს და წიგნებაკიდებული ცხენი აღვირით მიუყვანა მას. დავითმა წიგნებიდან ერთი ამოარჩია და ციბუკას აჩუქა. ციბუკას ისედაც დიდი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა სიხარულისგან და თავისი დებისკენ გაიქცა წიგნის საჩვენებლად. დებს და დედას ამასობაში სუფრა გაეშალათ და სტუმრებიც გულით მიიპატიჟეს. ყველაზე მეტად, როგორც ყოველთვის, შულია მხიარულობდა. მტრებისთვის წართმეული მუზარადი ღვინით შეავსო. სადღეგრძელო დავითმაც თქვა, მაგრამ, სხვებისაგან განსხვავებით, არ დაუღევიანა. სხვებმაც მხოლოდ ცოტა დალიეს. ციბუკა კი ისევ შულიას მიუჯდა:

– მეფე გინახავს?

შულიამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– როგორია?

– ყველაზე ღონიერი.

– მამაჩემიც ღონიერია.

– ამათი მამა მეფის ლაშქარს გაჰყვა ომში, – საუბარში უცებ ციბუკას დედაც ჩაერია.

– შიო, ამბოკაძეანთი, არ იცით? ისეთი ღონიერია რომა, – კიდევ ერთხელ შეაქო მამა პატარა ამბოკაძემ.

ყველამ არაბიძისკენ გაიხედა, მაგრამ ახლა მათ ყვე-ლაფ-რისმცოდნე მინდობაიც კი ვერაფრით დაეხმარა. არაბიძემაც არ იცოდა ზუსტად, რა ბედი ეწია მოლაშქრე შიო ამბოკაძეს. შულია და სხვები დავითმა იხსნა:

– მამა მალე დაბრუნდება.

– თუ მეფე დავითსა და ქვეყანას შეეწირება, ალა-ლი იყოს მამულისთვის ჩემი შიოს სიკვდილიც და სიცოცხლეც, – უცებ თქვა ციბუკას დედამ, მაგრამ ისე გულწრფელად, რომ ცრემლი კაცებსაც კი მოერიათ.

დავითი წამოდგა, მადლობა თქვა და მას დანარჩენებმაც მიჰბადეს. წასვლისას მეფემ პატარა ციბუკას ფულით სავსე ქისა ჩაუდო ხელში:

– ეს დედას მიეცი, შენ კი ასოებს რომ ისწავლი და კითხვას შეიყვარებ, თუ სწავლის წყურვილი გქონდეს, გიორგი ჭყონდიდელი მოძებნე, თუ მოლაშქრობისა – ბივრიტელი...

ციბუკა მოწყენილი იდგა გზის პირას და ისეთი სევდიანი თვალებით აცილებდა სტუმრებს, რომ შულიამ თქვა:

– ფუნდუკი უნდა მოგვეძებნა.

– ააშენე და არ დაგხვდა? – ისევ გაეცინა გორდოს.

– ფუნდუკები არ უნდა ავაშენოთ? გზები და ხიდები ხომ დავიწყეთ უკვე, – შეეპასუხა შულია.

– შენ ფუნდუკები ააშენე, მე ტაძარი უნდა ავაგო, – თქვა მეფემ და ცხენები გააჭენეს.

რომ არა ნაჩუქარი ქისა, პატარა ციბუკა ალბათ იფიქრებდა, რომ ეს ყველაფერი უბრალოდ სიზმარი იყო...

სწორედ იმ დღეებში, სამხრეთის ბრძოლიდან დაბრუნების შემდეგ, დავითმა ბივრიტელსა და ბულმას უხმო თავისთან და პირდაპირ განუცხადა, რომ გიორგი ჭყონდიდელის დაჟინებით, ბივრიტელს იერუსალიმში აგზავნიდა, ბულმას კი ყივჩაყეთში – სამეფო კარის გადაწყვეტილებით. ბულმა კავკასიონის იქითა მხარეს უნდა გადასულიყო თავისიანების ჩამოსაყვანად, რომლებსაც ოჯახებად დაასახლებდნენ საქართველოში, რადგან დავითს მუდმივი მეომრები ყოველთვის აკლდა.

– და კიდევ, – დაამატა მეფემ, – შენი დაც უნდა წამოიყვანო, ჩვენი დედოფალი გახდება...

იერუსალიმის ჯვაროსანმა მეფემ და ალამუთის ჰაშაშინმა შაჰმა, პირველად, ერთად, იერუსალიმის გალავანთან ახლოს გაისეირნეს და ხალხმრავალ ქუჩაზე ყველა გააკვირვეს. ეს იყო შაჰის სტუმრობის უკვე მეორე დღე იერუსალიმში. მეფეები ერთმანეთში მშვიდად და ღიმილით საუბრობდნენ. მათგან განსხვავებით, მათი პირადი მცველები დამაბულელები აკვირ-დებოდნენ გამვლელებს და ცდილობდნენ, ისეთი მობილიზებულები ყოფილიყვნენ, როგორც არასდროს.

– მე იერუსალიმის ქრისტიანი მეფე ვარ, თქვენ – ალამუთის მუსლიმი შაჰი და ჩვენ თუ ერთმანეთის მოსმენა შეგვიძლია, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ორი სამყაროც, ადრე თუ გვიან, ერთმანეთს გაუგებს, – უთხრა ბალდუინმა სტუმარს მცირე პაუზის შემდეგ. სტუმარმაც პასუხი არ დააყოვნა:

– თქვენ დასავლეთი ხართ, ჩვენ კი – აღმოსავლეთი. ჩვენთან მზე ნელა ამოდის და დიდხანს ჩადის, ამიტომაც დრო უფრო მეტი გვაქვს, რომ სხვების მოსმენა

ვისწავლოთ. თქვენთან, ევროპაში კი მზე ისე სწრაფად ჩადის, სხვების გაგება რომ ისწავლოთ, დროც აღარ გრჩებათ.

– მაგრამ მე გულწრფელად მსურდა თქვენი მოსმენა და ამიტომაც გთხოვეთ აქ სტუმრობა.

– გინდოდათ გაგეგოთ, თუ როგორი იქნება ჩემი არჩევანი, როცა ამ მიწის ყველა მაჰმადიანი ომს გამოგიცხადებთ?

– თქვენთან შეხვედრა თუნდაც იმიტომ მსურდა, რომ თქვენ შესახებ ადამიანებმა მხოლოდ ლეგენდები იციან, ზუსტად კი ისიც არავინ იცის, მართლა არსებობთ თუ არა, და ის თქვენი ალამუთის ციხე ნამდვილია თუ მოგონილი. მგონი თქვენი ძალაც სწორედ ამაშია.

– პირიქით, ჩემი ძალა სწორედ იმაშია, რომ ჩემი მულიდე-ბისთვის ნამდვილად ვარსებობ და თანაც – ყველგან. აი, შეხედეთ გალავანზე იმ ორ მცველს, რომელიც თქვენი ქალაქის მეციხოვნეები გგონიათ.

– კი არ გგონია, ისინი ნამდვილად იერუსალიმის ქრისტიანი მეციხოვნეები არიან.

– გინდათ დაგარწმუნოთ, რომ ისინი ჩემი მულიდეები არიან და ყოველ წამს მზად არიან, ჩემთვის მოკვდნენ?

ბალდუინს გაეცინა, რადგან ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ის ორი მეციხოვნე, რომლებზეც ალამუთის შაჰმა მიუთითა, სწორედ მისი მცველები იყვნენ. შაჰს კი არც გაღიმებია, ისე ასწია მარჯვენა ხელი და გალავნის კედელზე მდგარ ორ მეციხოვნეს ნიშანი მისცა. მეციხოვნეებმა უსიტყვოდ შეასრულეს ბრძანება: გალავნიდან დაუფიქრებლად გადმოხტნენ და იქვე, ბალდუინის ფეხებთან უსულოდ დაენარცხნენ. იერუსალიმის ევროპელ მეფეს ღიმილი სახეზე შეეყინა და სანამ გონს მოეგებოდა, გამვლელები შემოეხვივნენ კიდეც თვითმკვლელ მულიდეებს.

როცა ბალდუინი აზრზე მოვიდა, აღარც ალამუთის შაჰი ჩანდა ახლოს და აღარც სტუმრის პირადი დაცვა,, მისი პირადი დაცვის გაოგნებული წევრები კი ამაოდ ცდილობდნენ იმის გარკვევას, რა მოხდა. თუმცა რაც მოხდა, მხოლოდ ალაჰმა უწყოდა.

მეფე ბალდუინი მსახურის ხმამ გამოაფხიზლა, რომელმაც მეფეს შეახსენა, რომ ქართველები მასთან აუდენციას ითხოვდნენ. ბივრიტელი და მისი თანმხლები ქართველები თავის დაკვრით მიესალმნენ ჯვაროსანთა მეფეს. ბალდუინმა მათ სალამს კი უპასუხა, მაგრამ ჯერ კიდევ შოკში იყო მომ-ხდარის გამო.

– ჩვენ სამი დღის შემდეგ სამშობლოში ვბრუნდებით თქვენის ნებართვით. მეფე ბალდუინს სურდა წერილის გაგზავნა ქართველთა მეფე დავითისთვის, –

ბივრიტელმა კიდევ ერთხელ დაუკრა თავი იერუსალიმის მმართველს და მეფემაც მაშინვე უპასუხა ქართველ დესპანს:

– წერილი თქვენი პატრონისათვის ხვალ იქნება.

არც ბივრიტელს და არც სხვა რომელიმე ქართველს მეტი აღარაფერი უთქვამთ და მოკლე აუდიენციაც მორჩა.

გემზე, რომლის ანძაზეც ქართული დროშა ფრიალებდა, ზღვაოსნებთან ერთად მეომრებიც ირეოდნენ. მათი ნაწილი იარაღსა და საჭურველს დასტრიალებდა – ასუფთავებდნენ და ამოწმებდნენ. ბივრიტელი კი იერუსალიმიდან მათთან ერთად წამოსულ, ბალდუინის წერილის თანმხლებ პირთან ერთად გემის კიჩოსთან იჯდა. ისე საუბრობდნენ, როგორც ძველი და კარგი მეგობრები.

– ჩემი ქვეყნიდან ყველაფერი სხვანაირად ჩანდა.

– ჰო, შორიდან ომიც კი შეიძლება ლამაზი იყოს.

– შორიდან მართლა ქრისტეს საფლავისთვის ბრძოლა მეგონა.

– შორიდან მართლა ასე იყო, მაგრამ მერე ომმა ქრისტიანი და მუსულმანი ვეღარ გაარჩია.

– ჯვაროსნებმა ისინიც კი არ დაინდეს, რომელთა გამოც ამხელა გზა გამოიარეს.

– მაგრამ ყველა ჯვაროსანიც არ გამხდარა მძარცველი და მეკობრე.

– ჯვაროსანთა შორისაც არიან ღირსეული რაინდები.

– ღირსეული ადამიანები ყველგან არიან.

– მსმენია, რომ თქვენს ქვეყანაში ღირსება ძველებურად ფასობს.

– ძველად, როცა ჩვენს ქვეყანას ბერძენი არგონავტები მოადგნენ და ოქროს საწმისი მედეა კოლხთან ერთად გაიტაცეს, ალბათ ღირსება ცოტა სხვაგვარად ესმოდათ...

ალათ ბივრიტელი და ბალდუინის ერთგული კაცი კიდევ დიდხანს ისაუბრებდნენ, რომ არა ნაპირი, რომელიც უცებ გამოჩნდა – ქართული მიწა უკვე ძალიან ახლოს იყო.

დავით მეფის სასახლის გალერეაში სკამზე მოწყენით იჯდა ღიშპანელი და პეიზაჟს გასცქეროდა, როცა დერეფნის ბოლოდან ენერგიულად მომავალი შულია დაინახა, მის უკან კი – არაბიძე მინდობაი.

– აგე, სადა ზის, დარდი და სევდა. ჰეი, ღიშპანელო, ბივრი-ტელი მოსულა იერუსალიმიდან, თაფლი ჩამოუტანია, ყველა ბუზი ჩვენ დაგვებხვევა.

ღიშპანელი ზანტად წამოდგა და გაიღიმა.

– დედოფალი გვეძახის, – გააგრძელა სათქმელი შულიამ, – სიყვარულისა და თმენისა შენ უკეთ მოგეხსენება, ღიშპანელო, დანარჩენი კი ვნახოთ...

დავითის ცოლი სამივე თავდახრილ დაბარებულს მიესალმა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– იმიტომ გთხოვთ მოსვლა, რომ მინდა, დაგემშვიდობოთ. დრო ისე გავიდა, ისე მივდივარ ამ სახლიდან, ერთხელ ხეირიანად არ მითქვამს თქვენთვის, რასაც ვფიქრობდი. არც ახლა გეტყვით. ყოველთვის ღმერთს ვეუბნებოდი ყველაფერს და გაძლებას ვთხოვდი. ალბათ თქვენც სთხოვთ გაძლებას. ეცადეთ და გაძლებთ...

შენც გაძლებ, ღიშპანელო, მიხვალ შენს თბილისში, ამის იმედი გაქვს და ეგ გაგაძლებინებს. შენ ბერი გახდები, მინდობაი მსტოვარო. ვილოცებ თქვენთვის, ყოველდღე. შენ კი შულია, უკან მანამ უნდა მოიხედო, შულია ერისთავო, სანამ ღმერთი თვითონ მოგახედებს...

სამივენი ჩუმად იდგნენ და უსმენდნენ ქალს, რომელსაც ჯერ კიდევ დედოფალი ერქვა.

– გზისა ყველაფერი მოწყობილია, დედოფალო. ჩემი კაცები მზად არიან, – თქვა მცირე ღუმლის შემდეგ მინდობაიმ. მეფის ცოლს სევდიანად გაეღიმა.

– დემეტრე მე გავზარდე, თქვენ იცით. მეფემ წამართვა. ნუ მოხვდება პირველი ისარი. სხვას არაფერს გთხოვთ, ნუ იქნება ნაბიჯით წინ.

შულიამ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად:

– ჩვენი ძმაა, დედოფალო, ნაბოლარას ყოველთვის უკეთესი ბედი სდევს.

– ვიცოდი, რომ ასე დამამშვიდებდით.

მერე ისევ ჩუმად იდგნენ დედოფლის წინაშე. ბოლოს სამივენი მისი გრძელი კაბის კალთას ემთხვევნენ...

ალამუთი

ცხელ უდაბნოში ზღაზვნით მიიკლაკნებოდა სავაჭრო ქარავანი, რომელსაც ბედუინები მიაცილებდნენ. ტვირთით დამძიმებული აქლემები ნელა მიაბიჯებდნენ ქვიშიანი უდაბნოს გზაზე და სიცხისაგან გათანგული ვაჭრები დიდი ყლუპებით სვამდნენ მომარაგებულ წყალს.

წინ მიმავალმა ბედუინმა ხელის აწევით მისცა დანარჩენებს შეჩერების ნიშანი და ხმამაღლა, მთელი ქარავანის გასაგონად იყვირა:

– ჩამოქვეითდით! მალე დალამდება.

ქარავანმა მორჩილად დაიწყო ღამის სადგომი ბანაკის გაშლა და მართლაც ძალიან სწრაფად დალამდა.

მერე მთელი ქარავანი ცეცხლის გარშემო შეიკრიბა და აღმოსავლური ტრადიციისამებრ, ღამის გასატეხად, ზღაპრებისა და საინტერესო ამბების მოყოლა დაიწყო, თან ვახშამს შეექცეოდნენ. ბედუინთა უფროსმა, რომელიც ვაჭართა უსაფრთხოდ გადაადგილებაზე იყო პასუხისმგებელი, ადრე დაძინებისაკენ უკვე მეორედ მოუწოდა მექარავნებს:

– დილით ძალიან ადრე უნდა გავაგრძელოთ გზა, დალამებამდე უნდა გავცდეთ ალამუთის ქარებს.

ალამუთის ხსენებაზე ორმა ვაჭარმა აშკარად ვერ დამალა რეაქცია, რადგან ისინი ამ ადგილებში სულ სხვა მიზნით წამოყვნიან ქარავანს და სინამდვილეში სულაც არ იყვნენ ვაჭრები. ერთმანეთს სხვებისაგან შეუმჩნეველად, მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს და მერე ყურადღებით დაუგდეს ყური სხვებს, რომელთაც ალამუთის ხსენებამ საღერღელი აუშალა და შეკითხვები გაუჩინა:

– მართალია, რომ ალამუთიდან ღამით ქარებსაც წარმართავენ?

– მართლა შეუძლიათ ალამუთის გრძნეულებს ღამით მთელი ქარავანის გადაადგილება?

– მართალია, რომ ისინი უჩინარნი არიან და უდაბნოს ქვიშებშიც შეუძლიათ მშვიდად ძილი?

– მართლა დაფრინავენ ალამუთიდან რომელიც გინდა, იმ ქვეყნის საზღვრებამდე მათი ალქაჯები?

– მართალია, რომ მათ კაცთა მოდგმის ყველა ენა იციან?

– მართლა შეუძლიათ ნებისმიერი სულიერის მოკვდინება რაგინდარა შორეულ მიწაზე?

– მართალია, რომ მათ ჰაშაშინებს იმიტომ უწოდებენ, რომ შაჰის დავალებების აღსრულების წინ ოპიუმსა და თრიაქს ეძალებიან?

ბედუინებს შეშინებული ვაჭრების შეკითხვებზე ელიმებოდათ, მაგრამ მათთვის გადაჭრით მაინც არ უთქვამთ, რომ ალამუთის ციხესიმაგრის ამბები ლეგენდები უფროა, ვიდრე სინამდვილე.

ამიტომაც ვაჭრების ბევრი შეკითხვა უპასუხოდ დარჩა, ქარავანმა კი ცეცხლის გარშემო დაიძინა...

უდაბნოს ჰორიზონტიდან ამოცურებული წითელი, ვეებერთელა მზე ისეთივე ლამაზი იყო, როგორც უდაბნოს ქვიშაში მიმავალი გრძელი ქარავანი, რომელსაც ორი წვერი სხვებისაგან მალულად ჯერ ჩამორჩა, მერე კი საქარავნო გზიდან მარჯვნივ გადაუხვია. მათ გზა იმ ხეობისკენ გააგრძელეს, რომელშიც ჯერ დაბალი კლდეები გამოჩნდა, მერე მათი სიმაღლე ნელ-ნელა გაიზარდა და მალე უზარმაზარი კლდის თავზე, ცაში აზიდული ციხესიმაგრის დანახვამ მოგზაურები გააშეშა. არაფერი ამის მსგავსი მათ მანამდე არასოდეს ენახათ და სანამ გაოცებისაგან პირდაღებულები იმ მიუვალ ციხეს აკვირდებოდნენ, ერთ-ერთ მათგანი მიწაში ისე გაუჩინარდა, რომ მეორე ვერც კი მიხვდა, სად და როგორ გაქრა მისი თანამგზავრი. მიწის ზემოთ დარჩენილმა ჯერ თამამად მიიხედ-მოიხედა, გაბედულადაც დაუძახა ქართული სახელი მეგობარს, მაგრამ როცა აღმოაჩინა, რომ მისი მეგობარი უკვალოდ გაქრა და გუშინდელი ღამის შეკითხვებიც გაახსენდა, შეშინებული დააკვირდა მიწას, რომელსაც არაფრის კვალი არ ეტყობოდა; მერე საკუთარ ფეხებსაც დახედა. ზუსტად ამ დროს მიხვდა, რომ კი არ ეჩვენებოდა, არამედ მიწის ქვემოდან ამოსული ორი ღონიერი ხელი მართლა ქვევით ექაჩებოდა. უდაბნოში მარტოდმარტო დარჩენილ ქართველსაც, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი იყო, სულ არ გახსენებია ძველი ქართული ანდაზა, რომ ჩათრევას ჩაყოლა სჯობია. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ვერაფრის გაფიქრება ვერ მოასწრო და როცა მიხვდა, რომ მართლა მიწამ ჩაყლაპა, უკვე თვალებიც ახვეული ჰქონდა. ორივენი ასე თვალებახვეულები დიდხანს ატარეს მიწისქვეშა გვირაბში, სანამ ზევით ამავალ კიბეს არ მიადგნენ. ცაში ამავალი კიბე უსასრულო აღმოჩნდა. სინამდვილეში კი ის კიბე არა ცაში, არა-მედ ალამუთის ციხესიმაგრეში აშენებულ სასახლეში ადიოდა, სადაც ისინი კიდევ ერთხელ საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, სანამ ალამუთის მბრძანებელს წარუდგენდნენ. თუმცა ალამუთის ქართველ ტყვეებს თვითონ უძლეველი შაჰი, რასაკვირველია, პირადად არ უნახავთ და შეკითხვებითაც მათ მხოლოდ შაჰის ხელქვეითები მიმართავდნენ:

– ვინ ხართ?

– ჯურზების ქვეყნიდან ვართ, ლიპარიტ ერისთავის ყმები, ერისთავთ-ერისთავმა ძღვენი მოგართვათ.

იმ ორიდან ერთმა, იმ ძღვენის ამოსაღებად პი-რისკენ წაიღო ხელი, მაგრამ დაცვამ დაასწრო და თვითონვე ამოაძრეს ქართველ ტყვეს პირიდან ძაფი, რომელსაც ლიპარიტის მსტოვრის კუჭიდან კარგა მოზრდილი შეკვრა ამოჰყვა. ალამუთელებმა ის შეკვრაც თვითონ გახსნეს და ოქრო და ძვირფასი თვლები გადმოაპირქვავეს. მერე ლიპარიტის მეორე მსახურსაც წამებში გაუთავისუფლეს კუჭი (მასაც უკანა კბილზე ჰქონდა დახვეული ძაფი) და შეკვრიდან გადმოაპირქვავებული ქვებიც იმავე ლანგარზე გაშალეს. ასე ლანგარზე გაშლილი მიაართვეს კიდევ შორეულ ძღვენი



სადღაც იქვე, სხვა დარბაზში დაბრძანებულ ალამუთის შაჰს. იმ დარბაზიდან დაბრუნებულმა ვეზირისმაგვარმა კაცმა მადლობა მოახსენა ჯურზებს საჩუქრებისთვის. მერე კი მათ პირდაპირ ჰკითხეს:

– რისი ყიდვა სურს ლიპარიტ ერისთავს ძღვენის სანაცვლოდ?

ამ კითხვას ლიპარიტის ერთ-ერთმა მსტოვარმა ასეთივე მოურიდებელი პირდაპირობით უპასუხა:

– სიკვდილის. ქართველთა მეფე დავითი ისე უნდა მოკვდეს, რომ მიზეზი ვერავინ გაიგოს. ეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

– სიკვდილი ძვირი ღირს, მეფის სიკვდილი – კიდევ უფრო ძვირი.

– მაინც რამდენი?

– თქვენი მუცლები დავით მეფის საფასურ ოქროს მაინც ვერ დაიტევენ, მოღალატეებს კი უფასოდ ვკლავთ!.. – ეს ბოლო ფრაზა არა რომელიმე ალამუთელმა, არამედ მინდობაი არაბიძემ წარმოთქვა, რომელიც მოულოდნელად სწორედ იმ ოთახიდან გამოვიდა, რომელშიც ტყვე ქართველებს ალამუთის შაჰი ეგულეობდათ. არაბიძემ ამ ფრაზის დამთავრებისთანავე ზუსტად იქ დაარტყა მახვილი ლიპარიტის მსტოვარს, საიდანაც მან დავითის მოსაკლავი ოქრო ამოიღო.

ლიპარიტის მეორე მსტოვარი კი, რომელიც მუხლებზე დაეცა გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინში, არაბიძემ არ მოკლა, მაგრამ უფრო მძიმე სასჯელი დააკისრა და ეს განაჩენი უკვე ქართულად წარმოთქვა:

– ამას შენს პატრონს მიაართმევ და თვითონ მოუყვები, რა უფრო მძიმეა: რაც იმან გამოგატანა, თუ რასაც მე გატან!

მინდობაიმ ხელი მოკლულისკენ გაიშვირა და მეტი არც არაფერი უთქვამს.

იმ დღეს ლიპარიტ ბაღვაშის ციხესიმაგრეს რამდენიმე ცხე-ნოსანი უახლოვდებოდა, მაგრამ ისინი ძალიან ნელა მოძრაობდნენ, რადგან მათ წინ სწორედ ის დასჯილი მსტოვარი მიდიოდა, რომელიც მინდობაი არაბიძემ არ მოკლა. მან ალბათ გზაში ბევრჯერ ინატრა კიდევ სიკვდილი, როცა ზურგზე საგულდაგულოდ დამაგრებულ მოკლულ მეგობარს ბაღვაშებთან აბრუნებდა. გარდაცვლილს თვალები ღიად ჰქონდა დარჩენილი, მისი სხეული კი უდაბნოში თრევისგან გამომხმარიყო, ისევე, როგორც მისი ფერშეცვლილი, დაფლეთილ სამოსზე შემორჩენილი სისხლი.

ციხესიმაგრის ძირში, ციხის კარიბჭეზე, ხმაურიანად დააკა-კუნეს მინდობაის მხლებლებმა. ხმაურზე რამდენიმე მეციხოვნემ ზემოდან გადმოიხედა.

– თქვენს პატრონს მოახსენეთ, რომ ალამუთიდან ძღვენი გამოუგზავნეს და საჩუქრის მისაღებად კარების გახსნა ბრძანოს, – ისეთი ხმით იყვირა არაბიძემ, რომ ყველამ

გაიგონა, მაგრამ მეციხოვნეები გალავნიდან გაქრნენ. ცოტა ხანში გალავნიდან თვითონ ლიპარიტმა გადმოიხედა, თუმცა მხოლოდ სულ რამდენიმე წამით და ისიც გაქრა.

რამდენიმე წამში ჭიშკარი გაიხსნა და ლიპარიტის მსახურები მეციხოვნეებთან ერთად გამოჩნდნენ. დამხვდურებისთვის ყველაფერი გასაგები იყო. მათ უხმოდ, უსიტყვოდ მოხსნეს მკვდარი გაწამებულ მსტოვარს და ციხესიმაგრის შიგნით შეიყვანეს. ხოლო ლიპარიტის ერთ-ერთმა მსახურთაგანმა, სანამ კარს მიიკეტავდნენ, მინდობაი არაბიძის გასაგონად გესლიანად თქვა:

– თვალეზი მაინც დაგეხუჭათ მიცვალებულისთვის.

– თვალეზი ღიად იმიტომ დავუტოვე, რომ ჩემი სახე კარ-გად დაიმახსოვროს. თუ დამპირდები, რომ ისედაც დიდ-ხანს გემახსოვრები, როგორც კი მეფის ბრძანებით ჩამოგახრჩობენ, თვალეზი რომ ღიად დაგრჩება, ჩემი ხელით მა-შინვე დაგიხუჭავ, – მინდობაი არაბიძემ მგონი პირველად წარმოსთქვა ასეთი გრძელი წინადადება და, შესაფერისი დრო და ადგილი რომ ყოფილიყო, ალბათ თვითონაც გაუკვირდებოდა.

ციხესიმაგრის ჭიშკარი შიგნიდან ხმაურითა და მონღომებით გადარაზეს. მინდობაიმ კი ახედა ციხის გალავანს და შეჰყვირა:

– ახლა ხომ ვეღარ იტყვის ლიპარიტ ერისთავი, რომ მეფეს მიზეზი არა აქვს მასთან მტრობისა! ოქრო კი ბევრი გქონია, შე მტარვალო!..

საკასუხოდ, არაბიძისთვისაც მოულოდნელად, ციხესიმაგრის გალავნიდან გადმოგდებული ორი ადამიანი დაენარცხა მიწას – ერთი უკვე რამდენიმე დღის მოკლული და მეორე – ჯერ ისევ ცოცხალი, რომელმაც თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წამები არაბიძის ფეხებთან გაატარა.

მინდობაი არაბიძემ ცხენოსნებთან ერთად, ლიპარიტის ციხესიმაგრე მალე დატოვა, მაგრამ დროებით. უკან დაბრუნებულმა მინდობაიმ, რომელსაც გაშლილი ბრძანება ეჭირა ხელში და ახლა მხოლოდ რამდენიმე ცხენოსანი კი არა, თითქმის მთელი ლაშქარი ახლდა თან, ციხესიმაგრეზე შეტევა დაიწყო.

უკვე ღამე იყო და ბნელოდა, როცა მაშხალების შუქზე ლიპარიტ ბაღვაში ციხესიმაგრიდან მხრებგაკრული გამოიყვანეს.

ასევე მხრებგაკრული მიჰგვარეს დავითს აღსართანი – კახელების განდგომილი მეფე, რომელიც ლიპარიტის დატყვევების შემდეგ თვითონ კახელმა აზნაურებმა შეიპყრეს და მეფე დავითს მიჰგვარეს.

დავითი და შულია გალავნიდან გასცქეროდნენ კახელებს, რომლებიც სასახლესთან უკვე ძალიან ახლოს იყვნენ.

– ეს ვინღა მოჰყავს მინდობაი არაბიძეს?

შულიამ სიხარული ვერ დამალა:

– მეფის გახარება გვინდოდა. არაბიძე არაფერ შუაშია, კახელებმა თავად შეიპყრეს კახთა მეფე აღსართანი და შენს ერთგულებაზე ფიცი დასდეს.

– მადლობა ღმერთს, რომ ძმათა სისხლისღვრა არ და-გვჭირდა.

დავითი, რომელსაც სახეზე უცებ დიდი სიხარული გამო-ესახა, ხელის აწევით მიესალმა კახელ აზნაურებს და მათაც საპასუხოდ, ხმაღმემართულებმა, სიხარულის ყიჟინით უპასუხეს მეფეს.

გელათის მონასტრის მშენებლობას ბივრიტელი მიუახლოვდა რამდენიმე ცხენოსანთან ერთად და იკითხა:

– მეფე სად არის?

მეთვალყურემ მორიდებულად ანიშნა, ოღონდ ბივრიტელი ვერ მიხვდა, საით უნდა წასულიყო დავითის მოსაძებნად. ირგვლივ მიმოიხედა და იქვე, მის გვერდით, მომუშავეთა შორის ამოთხვრილი დავითი შენიშნა, რომელმაც ახალმოსულს გაუღიმა. ბივრიტელი ცხენიდან ჩამოხტა და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– თქვი, როგორი იყო.

ბივრიტელმა სიცილით აიჩქრა მხრები:

– დროშა – გაშლილი, ბეჭედი – ფასიანი, ხმალი – დამთრ-გუნველი.

ბივრიტელმა დავით მეფეს ბალდუინის წერილი გადასცა და მეფემ იქვე დაიწყო მისი კითხვა.

შესვენებისას, როცა ერთად წაიხემსეს, დავითმა ყივჩაყებზე ჩამოუგდო სიტყვა იერუსალიმიდან დაბრუნებულ ბივრიტელს:

– უკვე გზაში არიან.

– მინახავს ყივჩაყი, მაგათ მინდორში ომი იციან. ალყაზე ვერ გამოიყენებ...

– მაგრამ თვითონაც იცი, რომ ძალაა, – გააწყვეტინა მეფემ მეგობარს, – ძალა მინდა. ფეხის წინ წადგმა მინდა. გაჩერება არ შეიძლება.

მერე ღიმილით დაამატა:

– უკვე ყივჩაყების მეფეს მეძახიან, ქართველები აღარ უნდაო. მინდობაის ხალხმა ენის მოჭრა დაუპირა ვილაცას. ძლივს გავაჩერე.

– მაშინ მოვიდნენ, დადგნენ თვითონ და იომონ.

– დადგებიან. ოღონდ უჭირთ. მოვა დღე, დადგებიან, სხვა ფიქრი აღარ ექნებათ. ტყეების მეფე ყივჩაყების მეფეც გავხდით...

დავითმა კვლავ გაიღიმა, ბივრიტელმა დაამშვიდა:

– ეს არ იწყინო, ეშმაკისაა.

– ერთი ჯოჯოხეთის მეფე არ დაუმახიათ.

ამ დროს მეფეს მხლებელმა მოახსენა უფლისწულის მოსვლა. დემეტრე მამას იმ უბრალო, პირდაპირ მიწაზე გაშლილ სუფრასთან მიადგა.

– ბიძაშენი ჩამოსულა, – უთხრა დავითმა შვილს.

– უკვე ვნახეთ ერთმანეთი...

მეფემ დემეტრე გვერდით მოისვა და ბივრიტელის გასაგონად თქვა:

– უკვე სიკვდილიც შეიძლება. კატასავით არბის ციხის კედელზე.

ბივრიტელმა კი სულ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი, ისე, რომ თავი არ აუწყევია:

– ლიპარიტ ბაღვაშს სიკვდილს ნუ გადაუწყვეტ. მაინც ჩვენი სისხლია და მოწყალე მეფეც უფრო ეყვარება ხალხს...

დავითმა არაფერი უპასუხა, ტაძრის მშენებლობას მიუბრუნდა და ტაძრის მაკეტთან ხუროთმოძღვარიც მოიხმო. მერე ერთად, იქვე, მშენებლობის დაწყების წინ შესასრულებელ აუცილებელ რიტუალს დააკვირდნენ, როცა ძველი ქართული წესის თანახმად, საძირკველში ოქრო ჩაყარეს.

– რატომ ინება მაინცდამაინც ეს ადგილი მეფემ ტაძრის ასაგებად? – ჰკითხა დავითს ხუროთმოძღვარმა და მეფემაც განუმარტა:

– ეს უძველესი კოლხური მისტერიების ადგილია, თანაც აქედან საქართველოს ოთხივე საზღვარი ჩანს.

მერე მეფემ პირველი ქვა აიღო და სწორედ იქ დადო, სადაც კალატოზებმა მიუთითეს. მეორეც დადო, მესამეც, და და-ღამებამდე სხვებთან ერთად იმუშავა. ღამემდე მხოლოდ წყალს სვამდა, მეტს არაფერს.

დილით, დაღლილობის მიუხედავად, დავითი მაინც ძალიან ადრე ადგა და წინა დღით ამოშენებულ კედელთან მივიდა აჩქარებით. გაოგნდა – კედელი დანგრეული დახვდა.

– ალბათ მიწა თუ იძრა ღამით, – თქვა გვერდით მდგომმა ხუროთმოძღვარმა.

დავითმა არ უპასუხა, მდუმარედ აიღო ქვა და თავიდან დადო იქ, სადაც წინა დღეს ერთხელ უკვე დაიწყო მშენებლობა. მეფეს დანარჩენებმაც მიბაძეს და გუშინდელივით, თითქმის შეუსვენებლად იმუშავეს. მხოლოდ ერთხელ წაიხემსა მეფემ, ისიც ბერულად, და სალამომდე ხმა არც ამოუღია. მხოლოდ დაბინდებისას შეწყვიტეს მუშაობა.

დილით დაბრუნებულ მეფესა და მის ამაღას, ხუროთმოძღვარსა და კალატოზებს, უკვე შიშნარევი გაკვირვება ეწერათ სახეებზე – წინა დღით ხელმეორედ აშენებული კედელი ისევ დანგრეული იყო.

– მთელი ღამე ვფხიზლობდი, მიწისძვრა ნამდვილად არა ყოფილა, – თქვა ხუროთმოძღვარმა, დავითი კი სევდიანად დუმდა და მხოლოდ პირჯვარს იწერდა.

შულიამ ჯერ მეფისკენ გააპარა თვალი და მერე ქვა აიღო და იქ დადო, სადაც დავითს ჯერ კიდევ გუშინწინ მიუთითეს კალატოზებმა. იმ დღესაც სალამომდე იმუშავეს და როცა დაბნელებას აღარაფერი უკლდა, შულიამ მეფეს შეაპარა:

– მგონი ეშმაკი გვებრძვის, ღამით წყალი უნდა დავუდგათ და ეშმაკი ჯორად გადაიქცევა.

– მერე?

– მერე იმ ჯორზე უნდა შეჯდეს და ქვები მოაზიდინო. იმ ქვებით აშენებულ კედელს ეშმაკი ვეღარ დაანგრევს.

– ეგ საიდან იცი?

– ბავშვობაში ბებიამ მასწავლა.

დავითს გაეღიმა, მაგრამ იმ ღამით ჩასაფრებულმა შულიამ და ბივრიტელმა მთვარის შუქზე აშკარად, საკუთარი თვალებით დაინახეს, როგორ აზიდვინებდა ჯორზე ამხედრებული მეფე ქვებს ჯორად გადაქცეულ ეშმაკს.

დილით კედელი იქ იდგა, სადაც ააშენეს...

ბივრიტელების ციხის დიდ დარბაზში სუფრა იყო გაშლილი და მაგიდის გარშემო ოთხი ძმა ბივრიტელი და მათი მოხუცი მამა იჯდა.

– კი, წასვლამდეც ვიცოდი, რომ მეფეს ყივჩაყები მოჰყავს, – უპასუხა მამის შეკითხვას უფროსმა ვაჟიშვილმა.

მოხუცმა ბივრიტელმა დანარჩენ შვილებს გადა-ხედა. უმცროსმა ყველას დაასწრო:

– ბევრნი ამბობენ, რომ ყივჩაყებთან ომი მოგვიწევს, ჩვენი და იმათი ვერ შეთანხმდება. რჯულიც არა აქვთ. არც აგარიანი, არც ჰურია, არც რამე სხვა...

– ურჯულოც ეგენი ყოფილან, თუ ყოფილან, – გაეღიმა ერთ-ერთ ძმას.

– არცა ღვინო, არცა პური.

– ძაღლის ხორცსა სჭამენო, – თქვა იმ ბივრიტელმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და ძმების საუბარში არ ერეოდა.

მოხუცი ბივრიტელი აქ კი მართლა აღშფოთდა:

– ძაღლის ხორცსა სჭამენო?

– უმაღო, – არც გაღიმებია, ისე თქვა უმცროსმა.

– მეფეს დედათქვენის ძუძუ უწოვია. იმას არ იზამს, ძაღლის ხორცის მჭამელი მოიყვანოს, – მამა ბივრიტელმა ხმას აუწია, მაგრამ მის შვილებს რომ გაეღიმათ, ცოტა დამშვიდდა. უფროსმა კიდევ უფრო დაამშვიდა:

– მოიყვანს და გადააჩვევს, ასე უფრო იცის მეფემ.

– ისიც გამიგონია, რომ დედოფალი მონასტრად მიდის და მეფეს ყივჩაყის ქალი მოჰყავსო მხეველად, მაგრამ არც ეს მჯერა. სად უნდა ენახა ყივჩაყის ქალი. როდის, ათი წლის წინ? მამამისს რო ახლდა თან?

მოხუცი ბივრიტელი ბოლომდე ვერ დაშოშმინდა და უფროს ვაჟიშვილს მაინც ჰკითხა:

– იერუსალიმშიც არიან ყივჩაყები?

– წმინდა ქალაქში ყველა ენაა, ყივჩაყიც სადმე იქ-ნება. ყველაფერი იქ წყდება, სამყაროს საქმე...

– ყველაფერი ცაში წყდება! – გაბრაზებით თქვა მამამ, პირჯვარი გადაიწერა და სუფრიდან წამოდგა.

ძაღუე დანარჩენებიც წამოიშალნენ.

სასახლის ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. წინასწარ გამზადებულ ტახტრევანთან მხედრები იდგნენ. მინდობაი ყველაზე მეტად აქტიურობდა, დანარჩენები კი წყნარად ადევნებდნენ თვალს მოვლენების განვითარებას. შულიას, ბივრიტელისა და ღიშპანელის გარდა, გიორგი ჭყონდიდელიც აქვე იყო და უკვე წამოზრდილი დემეტრეც.

როცა სასახლიდან შავებში ჩაცმული დავითის ცოლი გამოვიდა, შულიამ მაშინვე შეამჩნია, რომ თმა ისე ჰქონდა შეჭრილი, როგორც ამას წესი ითხოვდა მონასტერში მონაზვნად მიმავალი ქალებისათვის.

– ყველაფერი მზადაა, დედოფალო, – მოახსენა მინდობაიმ, როცა დედოფალი ტახტრევანს მიუახლოვდა. დედოფალს კი გიორგი მიუახლოვდა, დაიჩოქა და კაბის კალთაზე აკოცა. რაღაცის თქმაც დააპირა მისთვის, მაგრამ დედოფალმა დაასწრო:

– ასე ჯობია, ჭყონდიდელო.

მერე დედოფალმა დემეტრე მოძებნა თვალებით. შვილმა თავი ვერ შეიკავა, დედას გადაეხვია მხრებათროლოებული.

– ჩუ, მეფეების ტირილი არ შეიძლება.

როცა დედამ შვილის კოცნით გული იჯერა, ბივრი-ტელი უცებ მწკრისვ გამოეყო, დედოფალთან მივიდა, დაიჩოქა და კაბის კალთაზე ეამბორა.

– ბივრიტელო, კი მომასწარი, მაგრამ მალე მეც ვნახავ იერუ-სალიმს.

სწორედ მაშინ, როცა დედოფალმა იერუსალიმი ახსენა, სასახლის გალავანს უკან მდებარე გორაკზე ცხენოსანი გამოჩნდა, შედგა და ცოტა ხანს შორიდან ადევნებდა თვალს უკვე ტახტრევანში მჯდარ დედოფალთან გამოთხოვების სცენას.

მალე ტახტრევანი დაიძრა და გორაკიდან მხედარი გაქრა, ბივრიტელმა კი დემეტრეს ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა.

მხოლოდ გიორგი ჭყონდიდელის ჩურჩული ისმოდა:

– ღმერთო, მოგვიტევე... ღმერთო, მიუტევე...

იმ დღეს, როცა იერუსალიმისაკენ მიმავალი ყოფილი დედოფალი ჯერ კიდევ შუა გზაზე თუ იქნებოდა, ყივჩაყები საქართველოში შემოვიდნენ. მერე შულია კი ამბობდა, პირველმა მე დავინახეო, მაგრამ ყველანი ერთად იდგნენ ყივჩაყების მოლოდინში და მათი დანახვა სხვებსაც შეეძლოთ. დავითიც მათთან ერთად გაჰყურებდა ზღვას, რომელიც ჩრდილოეთიდან ნელა მოიწევდა. წინ მომავალი ბუღმა პირველმა მაისამ ამოიცნო.

– საყვირები მიეცით! – ბრძანა მეფემ, ალექსანდრეს მონეტა ამოიღო, ხელში შეათამაშა და გიორგის გახედა. გიორგიმ გაიღიმა.

დავითმა უცებ დაძრა ცხენი და კივილით გააჭენა ყივჩაყების შესახვედრად.

როცა ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ბუღმამ ძმა დაუძახა ქართველების მეფეს, მეფე კი ცხენდაცხენ, ჩამოუსვლელად გადაეხვია მას.

ყივჩაყური ზღვა უთვალავი ქალისა და კაცისაგან შედგებოდა, მაგრამ დავითმა მაინც მოჰკრა თვალი ამხედრებულ გურანდუხტს. წამით მაინც შეყოვნდა, მაგრამ მალევე დარწმუნდა, რომ არ ცდებოდა – მეფისა და გურანდუხტის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ.

– გამარჯობა, საქართველოს დედოფალო, – უთხრა დავითმა ქართულად გურანდუხტს, უცებ ცხენიდან გადაიხარა, ქალს ხელები მოჰხვია, უნაგირიდან აიყვანა და თავის ცხენზე გადმოისვა. მერე ცხენს დეუს ჰკრა და გააჭენა. საიდანღაც ნაცარქექიას ყვილის ხმა მოესმა...

შულია და ყივჩაყთა რაზმი გზისპირა დუქანთან გაჩერდნენ, ჩამოქვეითდნენ და დუქანში შევიდნენ.

შულიამ მეფუნდუკეს გასძახა:

– ამათ მიჭმიე...

დუქნის კუთხეში ნაცარქექია იჯდა.

– სულ არა ბერდები, მეფისავ, – მოიკითხა შულია და მისგან პასუხიც მაშინვე მიიღო:

– შენ კიდე ცოცხალი აღარ მეგონე.

– ეხლა ყივჩაყების ასისტავი ხარ? ესენი ყივჩაყებია, ხო?

– ხელადა მორთვი ამას, – გასძახა შულიამ მედუქნეს. ნაცარქექია არ გაჩერდა:

– შენი ამხანაგები რო იყვნენ, მაღალ-მაღალი, კაი ჯანმრ-თელი ხალხი, ისინიც ყივჩაყების უფროსებია?

– თუ ძმა ხარ, ეხლა რამეები არ დამიწყო, ისედაც დასიცხული ვარ.

– უყურე, უყურე რა ნადირივით გლეჯს ხორცსა... ერთი რამე უნდა გკითხო.

– ჰა, მკითხე.

– ეგრე ამბობენ, დედოფალი განათხოვიაო, სხვას წაართვა მეფემაო, მართალია?

შულიამ ყურში წაავლო ხელი ნაცარქექიას:

– დაბერდი და სულ აგერია წუთისოფელი.

– მაშ, მართალი ყოფილა.

– ენას ამოგჭრი, იცოდე.

– კი, სოფელში მოაჭრეს ერთსა... ყივჩაყების მეფეაო, დავითზე სთქვა.

შულიამ ხელი ჩაიქნია და ნაცარქექიას მოშორდა, დუქნის გარეთ გავიდა. ნაცარქექია უკან მიჰყვა:

– შემახვედრე მეფესა, ერთხელ მანახვე და ვასწავლი, ამათ როგორ უნდა მოუაროს...

დავითი თავის ოთახში იწვა და გურანდუხტი თავ-თან ეჯდა.



მეფე მშვიდი სახით გურანდუხტს ქართულ სიტყვებს ასწავლიდა. თან ხელით აჩვენებდა:

– წიგნი.

გურანდუხტმა გაიმეორა:

– წიგნი.

გურანდუხტს გაეცინა, დავითმა კი თითი შეახო ფრთხილად და შემდეგი ქართული სიტყვა აუხსნა:

– დედოფალი.

გურანდუხტმა კი ეს სიტყვა არ გაიმეორა და თითი დავითს დაადო:

– მე-ფე.

დავითმა ახლა გურანდუხტის გულსაკიდ ჯვარს შეავლო ხელი და ახალი სიტყვა აუხსნა:

– იესო.

გურანდუხტმაც დამარცვლით გაიმეორა:

– იე-სო...

ქართველების ლაშქარი სწორედ ამ შემახილით უტევდა რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთ ციხეს, როცა ერთ-ერთმა ყივჩაყმა მეთაურმა უცებ შეტევა შეწყვიტა. შულის დასაბმელი გახდა და გიორგი ჭყონდიდელს, რომელიც იმ შეტევას სარდლობდა, თითქმის ყვირილით მიმართა:

– მეფისა და შენ გამო შევიკავე თავი, თორემ ჩემი ხელით ავჩეხავდი იქვე...

– თავშეკავებულს მაინცადამაინც, არ ჰგავხარ, – სიტყვა შეაწყვეტინა გიორგიმ და მეფესთან იახლა იმ საღამოსვე.

– არ იციან ციხეზე მისვლა და ისწავლიან, – თქვა დავითმა, – სამაგიეროდ, ველზე როგორები არიან? ნელ-ნელა ყველაფერს ისწავლიან და ქართველებიც შეიქნებიან. თუ არადა, წავლენ. თუ ქართველები არ გახდებიან, უკან მოუწევთ დაბრუნება. მე მაინც პირიქით მგონია: ტყეს გაკაფავენ, დასახლდებიან, ქვეყანა გაივსება, გაბიზნული ხალხიც დაბრუნდება.

გიორგი ჭყონდიდელმა კმაყოფილი სახით გადახედა შუ-ლიას და ალბათ პირველი შემთხვევა იყო, რომ შულისას ხმა აღარ ამოუღია...

საბრძოლო ბანაკის გამორჩეულ კარავში მინდობაი იჯდა ფეხმორთხმით და სატევარს პირს უსინჯავდა, როცა შულია და ღიშპანელი შიგნით შევიდნენ. შულია პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– ეგ არა ქნა, არაბიძე მინდობაი!

– რა არ ვქნა? – უცებ ვერ მიხვდა მინდობაი.

– საბედოს ხელი არ ახლო, მოაბრუნე შენი ხალხი, მოა-ბრუნე, თორე წინ გადავუდგები და თავს შევაკლავ. ერთი ამ-ხანაგი გვყავს ამ დაწყველილ ადგილას და ისიც ძელზე უნდა გასვა?

არაბიძემ მშვიდად განუმარტა:

– საბედო ყივჩაყებს დაეცა. ღამე, მძინარეებს ყელეები დასჭრეს.

– თუ ხვდები, მინდობაი, რო ხალხისთვის სელჩუკი და ყივჩაყი ძნელი გასარჩევია?

– იმათ ასისტავს სარცხვენელი მოსჭრეს და პირში ჩაუდეს.

– ტყეში ნუ გამიყვან, არაბიძე მინდობაი...

მინდობაიმ ღიმილით ჰკითხა:

– მეფეს რა ვუთხრათ?

– მეფეს მე ვეტყვი. აი, ცალ თვალს მივცემ მაგ საქმეში, თვალი მომთხარეთ.

მინდობაი უცებ გადაეხვია შულიას და დაამშვიდა:

– ნუ გახელდები, ვერ ვიპოვით საბედოს.

– ზოგჯერ მგონია ხოლმე, ვითომ სხვები ვიყოთ...

– ეგრე სცოდნია ომს...

ბანაკის კიდეზე უამრავი ხალხი ირეოდა – ქართველებიც და ყივჩაყებიც, მაგრამ ერთ ყივჩაყს სულაც არ მორიდებია დანარჩენების, ისე მიადგა იქვე ამოყვანილ ვენახს და ზედ მტევნებზე დაიწყო ღიღინით მომარდვა. თომამ, რომელმაც ეს ყივჩაყი პირველმა დაინახა, ხელი ჰკრა მას და, სხვების გასაგონადაც, ხმამაღლა თქვა:

– ეს ქვეყანა ემაგ ვაზის სამშობლოა...

შეურაცხყოფილი ყივჩაყი თომასკენ დაიდრა, მაგრამ თო-მამ სწრაფად ჩაუტარა ისეთი ილეთი, რომ ყივჩაყი მუხლებზე აღმოჩნდა, თუმცა მანაც სწრაფად იშიშვლა ხანჯალი და თითქმის ტარამდე შეარჭო თომას. ამის დანახვისთანავე ღიშპანელმა იძრო ხმალი და ყივჩაყი შუაზე გააპო. ერთ წამში ყველანი შეიარაღებულები იდგნენ ერთმანეთის

პირისპირ და დემეტრეს ყვირილის ხმაც უკვე დაგვიანებული იყო – მიწაზე უკვე ორი მკვდარი იწვა: ერთი ქართველი და ერთი ყივჩაყი.

ბუღმა, დავითი და ბივრიტელიც ძალიან სწრაფად გამოჩნდნენ. შულიამ თომას ცხედართან დაიჩოქა:

– უზიარებლად მომიკლეს, ამათი!..

შულიამ ყივჩაყებს დაუფარავი სიძულვილით მოავლო თვალი, მაგრამ დავითის მზერას გადააწყდა, რომელიც ღიშპანელის მიერ მოკლულ ყივჩაყს დასცქეროდა. ერთხანს უყურა, მერე ღიშპანელს მიუბრუნდა:

– წადი ჩემი ქვეყნიდან!

მეფე მოტრიალდა, რომ წრიდან გასულიყო, უცებ ყივჩაყთა ბრბოდან ისარი გამოფრინდა პირდაპირ დავითისკენ და მეფეს გულსაკიდ ხატზე დაერჭო. დავითი შებარბაცდა, ხატს ისარი წაატეხა და თავისიანების გასაგონად თქვა:

– აი, ასეთები მჭირდება.

რამდენიმე გაოგნებულმა ქართველმა პირჯვარი გადაიწერა. მეტი ვერაფერი მოახერხეს...

ტყეში დემეტრე, ღიშპანელი და ბივრიტელი მიიკვლევდნენ გზას და აღვირებით ცხენები მიჰყავდათ.

– ვიცი, რომ მამაჩემს წყენა მალე გაუვლის, – თქვა დემეტრემ ღიშპანელის გასაგონად, – ბავშვობაში თვითონ მასწავლიდა, მეფეს აუცილებლად სჭირდება გვერდით თუნდაც ერთი უცხოელი, რომ თავის ქვეყანას ზოგჯერ უცხო თვალთ დააკვირდეს ხოლმეო...

ბივრიტელმა ჩიტვიით დაუსტვინა. ჩაიმუხლნენ და პასუხს დაელოდნენ. მალე რამდენიმე შეიარაღებული ქალი გამოჩნდა ტყის სიღრმიდან და მათ შორის – საბედოც.

– გამარჯობა, ბივრიტელო, – თქვა საბედომ, ყველანი შეათვალიერა და ღიშპანელზე გაჩერდა.

– ეგ არი, – თქვა ბივრიტელმა და გააგრძელა, – სხვას არავის გამოუჩინო, ან მე, ან უფლისწულს. როცა დრო იქნება, მოვაკითხავთ.

– დარჩეს რამდენ ხანსაც უნდა.

მერე დემეტრეს დააკვირდა საბედო და ახლოს მივიდა უფლისწულთან, უცებ მის წინ დაიჩოქა და თვალეები ცრემლებით აევსო:

– მაინც ვერ მოგწვდი... მართლა როგორ გგავს...

მერე ასევე უცებ წამოხტა და ტყის სიღრმისკენ წავიდა. ღიშპანელს კი მხოლოდ ხელით ანიშნა, უკან გაჰყოლოდა.

მეფის ბრძანებით მოწვეულ სადარბაზო თათბირს თავად მეფემ მიმართა დასაწყისშივე:

– ყივჩაყები დახმარებას გვთხოვენ, რუსებმა მათი საზღვრები გადმოლახეს.

დარბაზის წევრებმა და დიდებულებმა, შეთანხმე-ბულე-ბივით, ცივი უარი თქვეს ყივჩაყების დახმარებაზე და არგუმენტებიც დაასახელეს:

– როცა ჩვენ გვიჭირდა, მეფე გიორგი უარით გამოის-ტუმრეს!..

– თავად ჩვენს ქვეყანაში უცხოთა მოლაშქრენი დათარეშობენ, ჩვენ კი სხვისი დახმარება გვსურს!..

– მაგათ ჩვენ უკვე დავეხმარეთ და აგე, რამდენი კომლი ჩამოვუსახლეთ...

– ჩვენი ქვეყნისთვის ვერ მიგვიხედავს და მეზობლების დახმარებაზე ფიქრი, მგონი უადგილოა!

– მეფე დავითი არ უნდა აჰყვეს გულისთქმას და გონებით უნდა განსაჯოს ყოველივე! მეფე დავითი ყურადღებით ისმენდა რჩევებს, მაგრამ საპასუხოდ არაფერი უთქვამს. დარბაზობის შემდეგ კი, როგორც ყოველთვის, გიორგი ჰყონდიდელთან ერთად განმარტოვდა.

– ვერ შემოგბედეს, მაგრამ სხვა სათქმელიც ჰქონდა დარბაზს, – უთხრა გიორგიმ მეფეს.

– მგონი, ყველაფერი მითხრეს.

– მათ არ უთქვამთ ის, რასაც სინამდვილეში ფიქრობენ.

– რას ფიქრობენ?

– ფიქრობენ რომ მთავარი მიზეზი სხვაა, რის გამოც ყივჩაყების დახმარება გსურს.

– ზოგჯერ გულის კარნახს უკეთესი შედეგი მოაქვს, ვიდრე გონებით განსჯილს – ეს მე შენგან მახსოვს.

– მაგრამ ყივჩაყების გამო რუსები მტრად უნდა მოვიკიდოთ.

– როცა ყივჩაყებს და სხვებს მოინელებენ, რუსები ჩვენ მოგვადგებიან და კავკასიის მთებს გადმოლახა-ვენ. თანაც, ესეც შენგან მაქვს ნასწავლი – ვისაც სხვისი

თავისუფლ-ბისათვის ბრძოლა არ შეუძლია, თვითონ ვერასოდეს გახდება თავისუფალი!..

– მაშინ მე მიბრძანე ყივჩაყეთში ლაშქრობა.

– იქნებ ალან-ოსებიც დაითანხმო ყივჩაყების დახმარებაზე.

– ოსები, რაც უნდა დაკარგონ, რუსების წინააღმდეგ მაინც არ წავლენ.

– მაინც სცადე.

– ვცდი.

უფლისწული დემეტრე ჩაფიქრებული იჯდა განმარტოებით, როცა მას მეფესთან უხმეს. უფლისწულმა ცუდად ყოფნა მოიმიზეზა, მაგრამ ალბათ ძალიან ინანა, რადგან მალე თვითონ მეფე წამოადგა თავზე და გაღიმებულმა პირდაპირ ჰკითხა:

– შეუძლოდ არისო, და რა გჭირს?

დემეტრემ წამოდგომა დააპირა და ისიც გაიფიქრა, რომ პასუხისთვის რამდენიმე წამსაც მოიგებდა.

– იჯექი, თუ შეუძლოდ ხარ, – მხარზე ხელი დაადო მამამ შვილს და თვალებში ჩახედა:

– რა მოხდა? შეუძლოდ არა ხარ.

დემეტრე ჩუმად იყო ერთხანს და მერე მაინც უთხრა:

– ეკლესიებს კანონი დაუტოვე, ორჯერ ჯვრისწერა არ შეიძლებაო. შენ თვითონ კი ორჯერ დაიწერე ჯვარი.

დავითმა აღარაფერი უთხრა შვილს, მხოლოდ ჩაიცინა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა და წავიდა...

დავით მეფე თავის ამაღასთან ერთად ჩრდილოეთიდან შინ მომავალ ქართულ ლაშქარს ელოდა. მეწინავეების გამოჩენისთანავე დამხვდურებმა იგრძნეს, რომ იქ, კავკასიონის მთების გადაღმა, რაღაც ძალიან ცუდი მოხდა.

– რა მოხდა? – თვითონ მეფემ ჰკითხა პირველივე მეწინავეს, მან კი თავი მდუმარედ დახარა და საპასუხოდ მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა:

– გიორგი.

დავითი მიხვდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე დადგა მის ცხოვრებაში და ხეობაში ჩამომავალ პროცესიას გახედა – ჭყონდიდელს ხელით მოასვენებდნენ ქართველები. გიორგის ცხედარს მთელი ქართული ლაშქარი ქვეითად მოჰყვებოდა.

დავითი ღრიალით დაემხო.

ყველამ იცოდა, რომ მეფის გლოვა გიორგი ჭყონ-დიდელის გარდაცვალების გამო საკმაოდ ხანგრძლივი იქნებოდა, მაგრამ მაინც ვერავინ წარმოიდგენდა ასეთ უსასრულო დარდას და წუხილს. ამიტომაც იმ დღეს, როცა რამდენიმეთვიანი განმარტოების შემდეგ დავითი გარეთ გამოვიდა, შულია სიხარულისაგან კინაღამ ატირდა. რაკილა ეზოში გამოსული დაინახა, შულიას აღარც უკითხავს მისთვის, რატომ გაუყვა წვერ-მოშვებული და ანაფორიანი დავითი ტყისკენ მიმავალ ბილიკს საბიჯგი ჯოხით ხელში. იმ საღამოსაც, როცა გურანდუხტმა მეუღლის შესახებ ჰკითხა, შულიამ ის თქვა, რაც დილით დაინახა და მინდობისაც გულწრფელად უპასუხა, უკან იმიტომ არ გავყევი, რომ სიხარულისაგან დავიბენიო. სიჩუმე მოგვიანებით ისევ შულიამ დაარღვია:

– საბედოსთან უნდა ვეძებოთ.

– სისულელეს ნუ ლაპარაკობ. ყველგან უნდა ვეძებოთ, – გააჩუმა ბივრიტელმა შულია და დედოფალს გახედა.

– რა მოხდა, ვიხუმრე, – შულიამაც გურანდუხტს გახედა.

– დაბერდი და გონება კი არ მოგემატა.

– პლატონივით უნდა დავბრძენებულიყავ?

შულიას ყურადღება აღარ მიაქცევს. მინდობაიმ ახლა დემეტრეს მიმართა:

– უფლისწულო, შენთვისაც არაფერი უთქვამს?

შულიამ დემეტრეს ნაცვლადაც დააპირა პასუხის გა-ცე-მა, მაგრამ ბივრიტელმა კვლავ გააწყვეტინა, რომ ისევ რამე სისულელე არ ეთქვა და მართალიც იყო: დავითი არა საბედოსთან, არამედ შიომღვიმის მონასტერში იმალებოდა. ემალებოდა ყველას, რადგან მარტოდმარტო ლოცვა სურდა საყვარელ ტაძარში და რამდენიმე დღის განმავლობაში ამას იმდენად გულმხურვალედ აკეთებდა, რომ ბერებსაც კი უკვირდათ. თუმცა მას არავინ ეკარებოდა და თვითონაც არავის ამჩნევდა – ილოცებდა ტაძარში და ისევ სენაკში ბრუნდებოდა. ერთადერთი განსხვავებული დღე იყო წვიმიანი, როცა სენაკისაკენ მიმავალმა დავითმა ალექსანდრეს მედალიონი მონასტრის ეზოში დატოვა – ამოიღო, იქვე დააგდო და გზა გააგრძელა...

გურანდუხტი კი მშობიარობდა. სწორედ იმ დღეს თქვა ღიშპანელმა:

– მე ვიცი, სადაც არის. ახლა მივხვდი, ზუსტად ვიცი. ჩვენ იქ ერთად ვიყავით.

როცა მივიდნენ, დავითი სენაკში იჯდა წიგნით ხელში. ფრთხილი კაკუნის ხმაზე მეფემ კარს გახედა. კარი ჭრიალით გაიღო. შულია იდგა.

– არა არს დაფარული, არ გაცხადდეს.

დავითს გაეღიმა და შულიას უკან ბივრიტელი დაინახა, იმის უკან მინდობაი და ღიშპანელი კი – უფრო მოშორებით.

– სანამ შენ იტყვი, მე უნდა ვთქვა. ახალი უფლისწული -გვყავს.

დავითი ნელა წამოდგა, სახე შეეცვალა.

– ხოდა, სახელს ვერ ვარქმევთ უშენოდ, – განაგრძო შულიამ.

დავითი კი უცებ გადაეხვია მას. შულიამ გაიღიმა:

– გვითხარი სახელი და წავალთ ჩვენს გზაზე... აბა, ჩვენი მეფობა შენ აღარ გდომებია და...

მერე ბივრიტელს გადაეხვია მეფე და ახალდაბადებული უფლისწულის სახელი თქვა:

– ვახტანგი. მოფერებით კი ცვატა, სანამ გაიზრდება.

– მოგეხმარო? – ჰკითხა შულიამ დავითს და ანაფორაზე ხელით ანიშნა. მეფის პასუხს აღარ დაელოდა, ზურგსუკან, ქამრიდან, სატევარი გამოაძრო:

– ესეც შენი ყივჩაყური.

დავითი მინდობასაც გადაეხვია, ორიოდ სიტყვა:

– მაინც მომაგენი.

– მე არა, ამან, – ხელი ღიშპანელისკენ გაიშვირა არაბიძემ, მერე მუჭი გახსნა და ალექსანდრეს მონეტა მეფეს გაუწოდა:

– ბერებს უპოვიათ, ალბათ ლოცვისას დაგეკარგა...

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე

ფუნდუკის წინ, რომელიც ზედ გზაზე იყო აშენებული, შულია, ღიშპანელი, მათა და ბივრიტელი ისხდნენ, ზანტად ილუკმებოდნენ და მალიმალ გზას გასცქეროდნენ გორდოს მოლოდინში.

– ახლაც მეტყვის გორდო ჩაჩქანისძე, რო ფუნდუკი არ გამიშენებია? – თქვა შულიამ და სხვებს გადახედა, – რო გამოჩნდება, ხო ეგრევე ჭამას მოგვთხოვს და მზარეულები გაფრთხილებული მყავს, არაფერი მისცენ და იყოს მშიერი. უადგილოდ რო იცის ხოლმე უშნოდ ხუმრობა.

– გამაძლარი რო მოვიდეს? – იკითხა მაისამ.

– რას ამბობ, ბიჭო, გამაძლარი როგორ იქნება, ნიკოფსიიდან მოდიან და რამდენჯერაც უნდა ექამა, ამხელა გზაზე მაინც მოშივდებოდა.

– საუკეთესო ცხენს თავისთვის ალბათ უკვე აირჩევდა, – ვარაუდი გამოთქვა ბივრიტელმა.

– ერთადერთი მსუქანი ქართველია და აღარ ეკუთვნის? – გაიღიმა ღიშპანელმა, მაისა კი ცხენების რაოდენობით დაინტერესდა:

– რამდენი ცხენი უნდა ეყიდა?

– ასი. მეფემ ასი ცხენის საფასური ოქრო გაატანა, – შულიას ბავშვურად კმაყოფილი სახე ჰქონდა იმის გამო, რომ მეფის საიდუმლო იცოდა.

– მთელი ოქრო ჩაჩქანისძეს წაუღია, – თქვა ბივრიტელმა. შულიამ დაზუსტებისთვის განმარტა:

– ნაწილი ოქრო სინას მთაზე გაატანა არაბიძეს, მონასტრისთვის.

– მეფემ რაო, ეს ამდენი ჩრდილოური დიდი და მძიმე ცხენი რად გვინდაო? – ჩაემია მაისა, შულიამ ბოლომდე არ გასთქვა მეფისაგან განდობილი საიდუმლო:

– ჯერ ცხენები ჩამოიყვანეთ და მერე გეტყვითო...

როცა გზაზე გორდო გამოჩნდა, შორიდანვე ყველა მიხვდა, რომ მართლა უჩვეულოდ დიდ ცხენზე ამხედრებული მობრძანდებოდა, უკან რამდენიმე მხედარი მოჰყვებოდა და კიდევ უფრო უკან კი – დიდი ცხენების მთელი რემა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ ცხენების სიმრავლითა და სიდიდით გაკვირვებულები. გორდოს გამარჯობაც არ უთქვამს, ისე მიუჯდა ფუნდუკის წინ გაშლილ სუფრას და ისე მადიანად გაკბიჩა ქათმის ბარკალი, რომ ყველას სიცილი აუტყდა. შულიამ ხელი ჩაიქნია, ამას მაინც არაფერი ეშველებო და მგელივით მოშიებული გორდო ცოტა ხნით მარტო დატოვეს. ამასობაში ცხენებსაც უფრო ყურადღებით დააკვირდნენ. ასეთი ზომის ცხენები თავიანთ ქვეყანაში არასოდეს ენახათ.

– ჩვენი ცხენები ამათთან შედარებით კვიცები ყოფილან.

– სამაგიეროდ, ჩვენები უფრო სწრაფები არიან.

– მაგრამ ტვირთის გადაზიდვაში ამათი ბადალი ალბათ დუნიაზე არც არის.

– გცოდნია მეფის განზრახვა.

– მეფის განზრახვა კი არა, ლოდიკა მცოდნია.



– მაგას მეც ვხვდები, რომ ტვირთი უნდა გადავიტანოთ, მაგრამ – რა ტვირთი, აი ეგ კი აღარ ვიცი...

იმ საღამოს, როცა მეფემ თავისიანებს გეგმის წვრილმანი დეტალებიც კი გააცნო და აუხსნა, მინდობაი არაბიძემ არამ-ხოლოდ დავითის გასაგონად თქვა:

– მეფე არ უნდა წამოვიდეს.

– მეც ასე ვფიქრობ, – დაეთანხმა ბივრიტელი.

– მეფისთვის საშიშია, – დაეთანხმა ღიშპანელიც.

– საშიში ყველასთვის არის, მაგრამ დარუბანდი უნდა გა-ვათავისუფლოთ. მაშინ ორივე ზღვაზე გასასვლელი გვექნება, როგორც ეს ერთხელ უკვე იყო, – ბრძანა მეფემ. შულისას მაშინვე სხვა შეკითხვა გაუჩნდა:

– ეგ როდის იყო?

– აკი გეუბნება ხოლმე მეფე – მხოლოდ ქალების ჭკრეტას, ზოგჯერ წიგნშიც ჩაიჭვრიტეო, მაგრამ უჯერებ? – თქვა ბივრიტელმა, მინდობაიმ კი გაიმეორა:

– მეფე არ უნდა წამოვიდეს!

დავითს აღარაფერი უთქვამს საპასუხოდ, ჩაფიქრებულმა დახედა მაგიდაზე გაშლილ რუკას.

მეორე დილით კი სასახლის ეზოში ვაჭრულად ჩაცმული გორდო ჩაჩქანისძე ომახიანად ხელმძღვანელობდა დიდ, სტეპებში გამოზრდილ ცხენებზე კალათების დამაგრებას. ყოველ ცხენს აქეთ-იქიდან ორ-ორ, საკმაოდ მოზრდილ კალათას ჰკიდებდნენ.

– ჰა, მოგენატრა ვაჭრობა? – გაელრიჯა შულია და გორდომ მხოლოდ ამოიოხრა საპასუხოდ, რადგან ამ უსაქმურისთვის ახლა ნამდვილად არ ეცალა. მისი ქართული ქარავანი მალე გზას უნდა დადგომოდა...

დარუბანდის მეციხოვნემ ხელი მოიჩრდილა და დააკვირდა გრძელ ქარავანს, რომელიც ქალაქს უახლოვდებოდა. მერე ქვემოთ, ალაყაფის მცველებს ჩასძახა:

– ქარავანია, ვაჭრები არიან.

გორდო და კიდევ რამდენიმე ვაჭრულად ჩაცმული კაცი დარუბანდის ალაყაფს ხმის მანძილზე მიუახლოვდნენ. გორდომ ჯერ ხელის აწევით კალათებიანი ცხენების შეჩერების ნიშანი მისცა დანარჩენ ვაჭრებს და მერე ხმამაღლა, მეციხოვნეების გასაგონად დაიძახა:

– ვაჭართა ქარავანია ნიკოფსიიდან. ალაყაფი გახსენით, შულტა გველოდება!

– ვხედავთ, ხო, ბრძმები კი არა ვართ, – ჩამოსძახა მეციხოვნემ და ალაყაფი ნელ-ნელა, ხმაურით გაიღო. გორდო, დანარჩენ რამდენიმე ვაჭართან ერთად, ბუზღუნით შევიდა ქალაქში.

– ანკი ეს კარები საერთოდ რისთვის გინდათ, ვაჭრების გარდა ამ ქალაქში არავინ მოდის და ან სულ ღია გქონდეთ, ან სულაც ჩამოხსენით.

– ცხენები სადღა მოგყავთ?! ქალაქს წაგვიბილწავენ, – გაბრაზდა ქალაქის მეციხოვნეც, მაგრამ გორდომ მაშინვე რჩევა მისცა მასპინძლებს:

– წყლის მეტი რა გაქვთ, ზღვის პირას დგახართ და ქუჩების რეცხვასაც ნუ დაიზარებთ.

მასპინძელმა მეციხოვნემ თავისი მაინც არ დაიშალა:

– არ შეიძლება-მეთქი ცხენების ქალაქში შემოყვანა.

– აქლემებისთვის ხომ შეიძლება?! – არ დანებდა გორდო და ხელი იმ აქლემებისკენ გაიშვირა, რომლებიც ქალაქში მი-მოდიოდნენ და იქვე, მოედანზეც მშვიდად იწვნენ და იცოხნე-ბოდნენ.

– ეგენი სხვებმა შემოუშვეს, – თავი იმართლა მეტიჩარა მეციხოვნემ.

– ხო გითხარი, შულტა გველოდება-მეთქი. გემის ტვირთია, შევალთ, დავცლით და ცხენებს ეგრევე უკან გამოვიყვანთ.

– რა მოგაქვთ?

– ქართული მახვილი. ძირითადად ხმლებია.

ქართული ხმლების ხსენებაზე მეციხოვნეებმა ერთმანეთს გადახედეს, გორდო კი ერთ-ერთ იქვე მდგარ ცხენთან მივიდა, კალათიდან ხმალი ამოაძრო და მასპინძლებს დაანახა. ხმალი ისეთი ლამაზი იყო, რომ ერთ-ერთმა მეციხოვნემ უნებლიეთ პირიც კი დააღო.

– შენი იყოს, – უთხრა უცებ გორდომ იმ ყველაზე ჭირვეულ მეციხოვნეს, – მე ისედაც ბევრი მაქვს, აი, ის კალათები სულ ეგეთებითა მაქვს სავსე.

– ვერ ავიღებ... კარგი ხელობისა კი ჩანს... – მიმოიხედა მასპინძელმა.

– აიღე, კაცო, რა დაიმორცხვე, ქართულ ხმალს მუქთად სადღა იშოვი.

– არ შემიძლია...

– შულტა ვერაფერს გაიგებს, დარდი არა გქონდეს.

– გადმოტვირთავთ და მაშინვე გამოხვალთ? – ერთხელაც მიმოიხედა ყველაზე აქტიურმა მეციხოვნემ. გორდოს სახე გაუბრწყინდა:

– დავცლით და ეგრევე გამოვალთ, აბა, ცხენებს ქალაქში დიდხანს ხომ არ გავაჩერებთ.

გორდომ ხმალი მეციხოვნეს გადასცა, ხელით ანიშნა დანარჩენ ვაჭრებს, რომ ცხენები ქალაქში შეეყვანათ და ამაყად გაუძღვა თავის ქარავანს ქალაქის მთავარი მოედნისკენ. ამირების რეზიდენციის წინ, სადაც ყველაზე მეტი ხალხი ირეოდა, გორდომ ჩაახველა და ხმამაღლა იკითხა:

– ბაჟი სად უნდა გადავიხადოთ?

რამდენიმე ადამიანი ერთდროულად, მონდომებით შეეცადა გორდოსთვის იმის ახსნას, რა, როგორ და სად უნდა გაეკეთებინა. ზოგიერთმა ხელებიც კი მოიშველია გორდოს დახმარებისას. გორდომ ვერც კი შეამჩნია, როგორ გამოეყო ვაჭრებს ერთი მათგანი. მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა მისი დაჟინებული მზერა იგრძნო. თვალის აარიდა მას, მაგრამ ის ვაჭარი კიდევ უფრო მონდომებით დააკვირდა გორდოს და ისე ახლოს მივიდა მსუქან ქართველთან, რომ თვალეში ჩახედა მას. ჩაჩქანისმე დაბნეულობისაგან ბუტბუტზე გადავიდა უცებ და შეტრიალდა. ცხენებისკენ წავიდა, მაგრამ ვაჭარიც ფეხდაფეხ მიჰყვა, ერთ-ერთ ცხენთან წამოეწია და ხელის მოკიდებით შეაჩერა:

– მგონი სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთს.

– არა მგონია... აქეთ პირველად ვართ, ნიკოფსიიდან მოვდივართ.

– არემის სახანოში არასოდეს გივაჭრიათ?

– ჯერ არა, მაგრამ მერმისს კი ვეპირებით...

გორდო კმაყოფილი იყო, რომ, დაბნეულობის მიუხედავად, მაინც ცდილობდა ტყუილის თქმას. ის ვაჭარიც თითქმის დააჯერა, რომ არემის სახანოში არასოდეს ყოფილა, მაგრამ სწორედ ამ დროს სრულიად გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა: სწორედ იმ ცხენზე გადაკიდებული კალათიდან, რომლის სიახლოვესაც გორდო და ეჭვიანი ვაჭარი საუბრობდნენ, გაღიმებულმა შულიამ ამოჰყო თავი და არეშელს ჰკითხა:

– ყურები უკვე შეგიხორცდა?

არეშელი ვაჭარი, აქამდე თუ ჯერ მაინც ყოყმანობდა, ახლა კი საბოლოოდ მიხვდა, რომ ესენი სწორედ ის ქართველები იყვნენ, რომლებმაც იგი საკუთარი დუქნის კარზე ყურებით მიაჭედეს და უცებ განწირული ხმით იყვირა ციხიონის გასაგონად. თუმცა შულიამ არეშელი ვაჭარი ერთი დარტყმით დაადუმა. გორდომ კი ამასობაში ჭიანური ამოაძრო და აჩქარებით ჩაბერა. ჭიანურის ხმაზე, დანარჩენ ცხენებზე გადაკიდებული იმ დანარჩენი კალათებიდან აჩქარებით ამოძვრნენ შეიარაღებული ქართველები და

მათ შორის ქალები – საბედო და მისი ამაღლა. ქართველებმა სწრაფად განაიარაღეს ჯერ ციხიონი, შემდეგ ამირას სასახლის დაცვა და იმ შენობაში შეიჭრნენ, რომლის უკანა დიდი აივანი ზღვას გადაჰყურებდა. როცა საბედომ თავისი ხმალი ყელზე მიაბჯინა ამირას, მეორე ხელი მისგან გასაღების მისაღებად გაიშვირა და მოკლედ უბრძანა:

– ქალაქის კლიტენი, ქართველთა მეფის სახელით!

– მე დედაკაცებს გასაღებებს არ ვაბარებ! – ამირამაც მოკლედ უპასუხა საბედოს და ქალაქის გასაღებების ასხმა ზურგსუკან, ზღვაში მოისროლა. იმავე წამს საბედოსაგან სატე--ვარი მიიღო ძვირფასად შეფუთულ მუცელში და ჩაიკეცა. ქალი წამით დააკვირდა მუცელგაფატრულ ამირას, მერე კი თავისიანებთან ერთად გარეთ გავიდა. ქალაქში უკვე ყველაფერს ქართველები აკონტროლებდნენ, გალავანსაც უკვე ქართველი მეციხოვნეები იცავდნენ. ერთადერთი, რის გამოც გორდო უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოთქვამდა, ქალაქის კლიტე იყო, რომელიც ქართველებმა ვერ მოიპოვეს.

– არა გვაქვს და არც გვჭირდება! – თქვა უცებ ბივრიტელმა და მისი ბრძანებით ქართველებმა დარუბანდის ალაყაფის კარი ყიჟინით ჩამოხსნეს. იმ უზარმაზარი ცხენების დახმარებით ეს არც გასჭირვებიათ.

– დღეიდან ამ ქალაქის კარი, ყველასათვის ღია იქნება! – იყვირა ბივრიტელმა ყველას გასაგონად და ჩამოხსნილი კარის საქართველოში წაღება ბრძანა. ქართველი მოლაშქრეების ნაწილი, რასაკვირველია, დარუბანდის ახალდანიშნული ამირას განკარგულებაში დატოვეს. გორდომ იმ დარუბანდელ მეციხოვნეს, რომელსაც ქართული ხმალი აჩუქა, საქართველოში წასვლა შესთავაზა – ქართული ხმალი უკვე გაქვს და ბარემ ქართველების მეფეს ემსახურეო.

იმ მეციხოვნეს საპასუხოდ არაფერი უთქვამს. გორდომ კი მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, თვალი ჩაუკრა მას და საქართველოსკენ მიმავალ თავისიანებს წამოეწია, რომლებიც ღიღინით მიათრევდნენ დარუბანდის ჩამოხსნილ ჭიშკარს...

მეფის კედელი

დავითი აივანზე იჯდა, დაბალ სკამზე, და მოთმინებით გახედავდა ხოლმე გვერდით მდგარ ტაბლას. ტაბლაზე ნაირგვარი ჯამები, ბოთლები, ჩხირები და წურბელებიანი ქილები ელაგა.

ტაბლას ხნიერი ბერი დასტრიალებდა, რომელიც დიდ ჯამში რაღაცას მონდომებით ურევდა, თან რაღაცას ნაყავდა გამეტებით და ამ ჯამში ყრიდა.

მერე იმ ბერმა გრძელი ტილოს გორგალი გაშალა და ზედ ჯამიდან ამოღებული ძალამო წაუსვა. ესეც ძალიან მონდომებით, ყურადღებით და დინჯად გააკეთა. როცა ყველაფერი გაამზადა, დავითს თავი დაუკრა და აივანზე კიდეც ორი ბერი გამოჩნდა. დავითი ღიმილით, თუმცა ზანტად წამოდგა, ბერები პერანგის გახდაში დაეხმარნენ. ერთ-ერთ მათგანს აშკარად დაეტყო სახეზე გაკვირვება დავითის ნაკაწრი და ნაიარევი სხეულის გამო. მერე ის ბერი მეფეს გულზე ჩამოკიდებულ რამდენიმე ჯვარსა და ხატს დააკვირდა. სამივენი ძალიან ფრთხილად შეეცადნენ მისთვის ძალამოიანი ტილოს ტანზე შემოხვევას, მაგრამ შეუკრეს და ისევ პერანგი გადააცვეს.

ერთ-ერთმა ბერთაგანმა დავითს ჭიქით მიაწოდა რაღაც ნაყენი, რომელიც მეფემ შესვა და ღიმილით დაიჭყანა. მერე მადლობა უთხრა მეწამლე-ბერებს და კიბით ეზოში ჩავიდა. როცა დავითი ტყისკენ მიმავალ გზას დაადგა, ხნიერი ბერი გამოფხიზლდა, ნაჩქარევად აალაგა ტაბლა, დანარჩენებს დარიგებები მისცა და მეფეს გაედევნა. თუმცა დავითი ტყის სიღრმეში არც შესულა, რადგან დანარჩენები იქვე, ტყის პირას გამართულ პატარა ბანაკთან ელოდნენ გამზადებული ცხენებით.

– დავიძარით?! – თქვა მეფემ და ყველაზე ახლოს მდგომ, შემორიგებულ ღიშპანელს გაუღიმა.

მსახურებმა ტახტრევანის კარი გაუღეს დავითს, მაგრამ მან რასაკვირველია ცხენზე შეჯდომა გადაწყვიტა და მძიმედ ამხედრდა კიდეც. ბულმამ ხელის შეშველება დააპირა, მაგრამ ბოლო წამს გადაიფიქრა – მეფეს შეურაცხყოფა აღარ აკადრა.

მხედრები ნელ-ნელა დაიძრნენ. მეფემ ღიშპანელს ჰკითხა:

– რას ფიქრობ, ღიშპანელო?

საკასუხოდ ღიშპანელმა ქუდი მოიხადა:

– თმა გამეპარა, მეფეო.

დავითსაც გაეღიმა:

– ეგ ახლა გაგახსენდა?

– ვაითუ ლეილმა ვეღარც მიცნოს, თბილისს რომ დავიბრუნებთ.

ცოტა ხანს მდუმარედ იარეს. მერე ისევ მეფემ დაარღვია დუმილი:

– გახსოვს, ღიშპანელო, ვაშლები რო დააყარე სარკინოზებს? იმ დღეს ვუყვებოდი დედოფალს, არასდროს მომიყოლია ეს ამბები. არსენ ბერიც მისმენდა სერიოზული სახით და აკანტურებდა თავს.

– ვითომ იმანაც იცის.

– ჰო, ვითომ, ვითომ.

იარეს, სანამ მონასტრის ალაყაფს არ მიადგნენ. ცხენოსნები ჩამოქვეითდნენ. დავითმა პირჯვრის წერით აკოცა მონასტრის ჭიშკარს, რომელიც საჩქაროდ გააღეს შიგნიდან. წინამძღვარმა და ბერებმა დაიჩოქეს და მეფის კალთას ემთხვევნენ.

ტახტრევანიდან ტომრები და ნივთები გადმოიტანეს. ღიშპანელმა მასპინძლების გასაგონად თქვა:

– დააბინავეთ ხელმწიფის შემოწირულობა.

– შემომიწირავს ეს მცირედი! – წინამძღვარს მიმართა მეფემ. მაღლობის ნიშნად წინამძღვარმა მეფე, მისი სახლობა და მხედრობა დალოცა.

დავითმა მაღლობა თქვა და მონასტრის ეზოში მდებარე საფლავებისკენ აჩქარებით დაიძრა. მალევე ფეხი შეანელა და ერთ-ერთი საფლავის ქვას ნელა მიუახლოვდა. გაჩერდა წინ და მძიმედ დაიჩოქა ცალ მუხლზე.

– არ მოველოდით მეფის ასე უეცრივ მოსვლას, – თქვა წინამძღვარმა და ღიშპანელმაც მაშინვე აუხსნა სტუმრობის მიზეზი:

– უცებ გიორგი მოინატრა.

– სიზმარი ხომ არ უნახავს?

– ეგ აღარ ვიცი.

დავითს კი ამასობაში ალექსანდრეს მონეტა-მედალიონი ამოეღო, თითებშორის მოექცია და ისე დაჰყურებდა ჭყონ-დიდელის საფლავს...

იმ დღეს კი ისე მოხდა, რომ სამხედრო ვარჯიშს ყველანი დაესწრნენ, მათ შორის – დედოფალი გურანდუხტიც ვაჟიშვილთან ერთად.

– მე მამამ ხმალი მაჩუქა, ოღონდ მერე ისევ უკან გამომართვა, – უთხრა პატარა ვახტანგმა დედას და გურანდუხტიმაც მაშინვე დაამშვიდა:

– მერე ისევ გაჩუქებს.

ყველაზე ახლოს მათთან მინდობაი არაბიძე იდგა, მაგრამ იგი დუმდა.

ხმაურით კი დემეტრემ მოაჭენა აქოშინებული და გაოფლილი ცხენი.

– შემომიჯექი, ყივჩაყო, – უთხრა ძმას. გურანდუხტი თითქოს შეაცბუნა სიტყვა ყივჩაყის ხსენებამ, მაგრამ შვილს მაინც ჰკითხა:

– შემოუჯექი ძმას, არ გინდა გააჭენო?

ვახტანგმა უცებ ვერ გადაწყვიტა, რა ექნა, თუმცა ამკარად ეტყობოდა, რომ არ უნდოდა უფროს ძმას გაყოლოდა.

უცებ ბუღმამ წამოავლო ვახტანგს ხელი და დემეტრეს წინ შემოუსვა:

– აჰა, შენი ძმა.

დემეტრემ დამცინავი ღიმილითა და ყივილით გააჭენა ცხე-ნი და ვახტანგს გააგონა:

– ყივჩაყო, ნუ ხარ ეგრე მოკუნტული. რაც მე ვიცი, შენც უნდა იცოდე.

– არა, მამამ თქვა, ომი არ უნდა იცოდეო. ხმალი მაჩუქა და მერე წამართვა.

დემეტრემ არაფერი უპასუხა. ერთხანს ცხენი აჭენა და მერე შეაყენა.

– უყურე, – მიმართა ძმას და ჯერ მეომრების ილეეთებზე მიუთითა, მერე კი თვითონაც ყალყზე შეაყენა ცხენი. ვახტანგს ძალიან შეეშინდა, მაჯაზე ჩაებლაუჭა დემეტრეს.

დედოფალი ისე მღელვარედ ადევნებდა თვალს დემეტრესა და ვახტანგის ჯირითს, რომ მინდობაი ამხედრდა, ცხენდაცხენ დაეწია დემეტრეს და ვახტანგი უკან მოუყვანა დედამისს.

გურანდუხტმა ნაძალადევად გაუღიმა შვილს:

– მოგეწონა?

ვახტანგი დუმდა, მერე კი უცებ თქვა:

– იმ ცხენს კუდიანი შეუჯდა.

ყველას გაეცინა, დედოფალმა უსიტყვოდ, თავის დაქნევით გადაუხადა მადლობა მინდობაის. არაბიძემაც თავი დახარა:

– სანამ ცოცხალი ვარ, დედოფალო.

– მეფემ თავი მოგვანატრა.

– ასეა, როცა სამართალს ჭრი...

ისეთი ფუსფუსი იდგა, დიდი და განსაკუთრებული ლაშქრობისათვის რომ ემზადებოდა ჯარი, ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო. მეფესაც დედოფალმა პირდაპირ მიმართა:

– რაღაც უნდა გთხოვო: ანდე ეგ საქმე შენს შვილს, ყვე-ლაფერს მოახერხებს.

დავითს რომ მოახსენეს, გურანდუხტი მობრძანდებო, სასწრაფოდ გაისტუმრა მეწამლე ბერი და წიგნი მოიმარჯვა. ასე დახვდა კიდეც ცოლს და რადგან იმასაც ხვდებოდა, რა თხოვნა ექნებოდა დედოფალს, პასუხიც მაშინვე გასცა:

– მოახერხებს, მაგრამ ყველაფერს ვერა. რაც ჩემი გასაკეთებელია, მე უნდა გავაკეთო.

– რაღაა შენი გასაკეთებელი?

დავითი ერთხანს მდუმარედ იყო და მერე:

– სიმშვიდე.

– ავად ხარ.

– მე სულ ავად ვიქნები. ასეთი ავად ყოფნა არაფერია.

– პატარა ცვატა მთელი დღეები მჭედლებთან ტრიალებს.

დავითს ახლა კი გაელიმა, თითქოს გაუხარდა კიდეც:

– ლაშქრობა მზადდება, იმასაც მოსწონს იქ ყოფნა.

და უცებ მოიწყინა:

– მონასტერში რომ დარჩეს...

გურანდუხტმა დამაბულად შეხედა:

– ნუ ფიქრობ ამდენს ამაზე.

– არ ვიცი, ვფიქრობ. მე აღარ ვიქნები. რას იზამთ შენ და პატარა? დემეტრე რას იზამს?

– ნუ ფიქრობ ამაზე, მე მოვერევი ყველაფერს, – გურანდუხტმა ეს ბოლო ფრაზა ისე მტკიცედ თქვა, რომ მეფეს გაელიმა კიდეც...

დიდგორი

სულთნის გრანდიოზულ სასახლეს ძალიან უცნაური დე-ლეგაცია უახლოვდება – რამდენიმე ადამიანს მდიდრული, მაგრამ ჩამოხეული ტანსაცმელი ეცვა, სახეები გამურული ჰქონდათ. თავზე კი, რაც მეტად უახლოვდებოდნენ სულთნის სასახლეს, უფრო მეტი მონდომებით იყრიდნენ ნაცარს. სულთნის დაცვა და სასახლის მსახურები გაკვირვებით ადევნებდნენ თვალს ამ უცნაურ პროცესიას. ყველაზე გაოცებული სახეები კი მაინც სულთნის მისაღებ დარბაზში ჰქონდათ, როცა გაიგეს, რომ ეს დელეგაცია სხვადასხვა ქვეყნის ამირებისაგან შედგებოდა. დელეგაციის ყველა წევრმა თავისდაკვრით სცა თაყვანი ტახტზე დაბრძანებულ სულთანს, სიტყვით კი მხოლოდ ერთ-ერთმა მათგანმა მიმართა:

– უპირველესად მადლობას ვწირავთ ალაჰს, რომ ძალასა და მფარველობას, ბედნიერებასა და სიხარულს არ აკლებს დიდ სულთანს, თუმცა ჩვენი აქ მოსვლა არა სიხარულმა, არამედ მწუხარებამ განაპირობა. ჭირი და მწუხარება თავს არ დამალავს,



მაგრამ ამირებს გვსურდა, ჩვენგან მოესმინა დიდ სულთანს იმ განსაცდელის შესახებ, რაც მის სამფლობელო მიწებსა და ხალხებს მოელით ქართველებისაგან: ქართველთა მეფე დავითი იმდენად გათავხედდა, რომ სულ მალე არათუ ჩვენი ქალაქების კლიტეებს დაეპატრონება, ჩვენი ხალხის დახარკვასაც მოინდომებს. ჩვენ კი, თქვენი მზისა და ბრწყინვალეების მორჩილნი და ქვეშევრდომნი, დიდი სულთნისაგან მოველით ხსნასა და შველას. მხოლოდ თქვენი ძალა და მახვილი თუ დასჯის გათავხედებულ ქართველებს.

დიდ სულთანს საპასუხოდ დიდხანს არ უფიქრია:

– ჩვენ ომში ვდგავართ დასავლეთით და სამხრეთით. ჩემი მხედრები ანტიოქიისა და იერუსალიმისაკენ მიიწევენ, მე არ შემძლია უარი ვთქვა საღვთო ომზე, რომელსაც ალაჰის სახელით ვაწარმოებ ურჯულოების წინააღმდეგ – ჯვაროსნებს უნდა დავატოვებინოთ მიწები და ქალაქები, რომლებიც უსამართლოდ დაიკავეს.

ერთხანს დუმილი ჩამოწვა, რომელიც ერთ-ერთმა ამირამ დაარღვია:

– მაგრამ ამასობაში ქართველები შენს საბრძანებელს დაეპატრონებიან ჯერ თავიანთ ქვეყანაში და მერე კი – მთელ კავკასიაში...

– მგონი ძალიან გადაჭარბებულად აფასებთ ქარ-თველების შესაძლებლობებს და ამიტომაც შეუ-შინებიხართ ასე ძლიერ მათ მეფეს, – სიტყვა გააწყვეტინა დიდმა სულთანმა ამირას და მერე თვითონვე დართო სიტყვის გაგრძელების უფლება. ამირამაც გააგრძელა:

– ქართველების მეფე დავითი უშიშარიც არის და ჭკვია-ნიც – სადაც ხმალი არ მიუწვდება, იქ გონებითა სჭრის და თუ თქვენი ბრწყინვალეობა დიდი სულთანი, თავისი ერთგული და თავდადებული მეომრების გაგზავნას არ ინებებს საქართველოსკენ, ქართველების უტიფრობა ჯერ თბილისს მოადგება და მერე კი ამ საზღვრებს ცეცხლითა და მახვილით გადმოლახავს...

– თუ ქართველების მეფე მართლაც ასეთი ჭკვიანია, იმასაც მიხვდება, რომ სულთანი მუჰამედი არ უნდა განარისხოს. ჩემი ჯარები კი ახლა დიდი ქალაქებისაკენ მიიწევენ და პატარა ქართული სოფლებისთვის არა სცალიათ, – სულთანმა კიდევ ერთხელ გააწყვეტინა სიტყვა ამირას, მერე კვლავ დართო ნება, სათქმელი დაესრულებინა.

– თბილისი სოფელი არ არის, უდიდესი ქალაქია კავკასიისა და აღმოსავლეთის. თბილისი, მგონი ერთადერთი ქალაქია მთელ დუნიაზე, სადაც შიიტები და სუნიტები ერთად ვლოცულობთ. ნუ დაუთმობთ თბილისს ქართველების თავხედ მეფეს...

სულთანი ფეხზე წამოდგა.

თავზე ნაცარწაყრილი ამირებისათვის ნათელი გახდა, რომ დიდი სულთნისთვის საქართველოში ჯარების გაგზავნა არც დროული იყო და არც მიზანშეწონილი. მათთვის ისიც ცხადი იყო, რომ აუდიენცია სულთან მუჰამედთან უკვე დამთავრებული გახლდათ...

დავითი და მისი ამალა, ცხენებზე ამხედრებულები, ზღვის-კენ მიიწევდნენ და მათ უკან გზას ასევე ამხედრებული, ტალავარებში ჩამსხდარი ხევსურები მიჰყვებოდნენ.

– ხევსურები რომელმა წამოიყვანეთ? – შულიასა და ბივრიტელს ჰკითხა მეფემ, მაგრამ პასუხის გაცემა შულიამ დაასწრო.

– თვითონ მოინდომეს, მეფეს ჩვენზე უკეთ ვინ დაიცავსო.

– არ უთხარით, რომ საომრად არ მივდივართ?

– ვუთხარით, მაგრამ აღარ ვაწყენინეთ – რამდენჯერ მეფესთან ერთად ომში ყოფილვართ, ერთხელ მშვიდობაშიც რომ ვახლდეთ, ვითომ რა დამავდებო.

დავითს გულით გაეღიმა. საუბარში ბივრიტე-ლიც ჩაერთო:

– შენი ერთგულებისთვის თავისი სიცოცხლეც არად უღირთ და უარი ვერ ვუთხარით, აღარ ვაწყენინეთ. თანაც ზღვას ნახავენ, ხევსური და ზღვა, ხო კარგადა ჟღერს?..

– მათი ხუცებისაგან ვიცი, რომ ოდესღაც ხევსურები ზღვის შვილები ყოფილან, სანამ კავკასიონს მიადგებოდნენ.

– ეგ არ ვიცოდი. უკვე სიბერისკენ ვაპირებდი, ეს კი პირველად მესმის.

– ამიტომაც სწავლა სიკვდილამდე უნდა იყოს და არა – სიბერემდე.

ბივრიტელმა ღიმილით უკან, ხევსურებისკენ გაიხედა, რომლებსაც სახეებზე სწორედ ის ერთგულება და თავდადება ეწერათ, რომელზედაც წელან საუბრობდნენ.

– ალბათ ჯვაროსნებიც მრავლად ჩამოჰყვებიან იერუსალიმის მეფეს, – თქვა ღიშპანელმა მცირე პაუზის შემდეგ.

– აბა, ამოტოლა მეფეს მარტოკინას ხო არ გამოუშვებდნენ იერუშალიმიდან, – პასუხი თავის თავზე აიღო გორდომ, როგორც ამას უკვე ხშირად აკეთებდა ხოლმე დარუბანდის მერე.

– მაშ ჩემი ქვეყნიდანაც ვინმე იქნება ჯვაროსნებს შორის, – გაუხარდა ღიშპანელს, მაგრამ შულია ვის გაახარებდა დიდხანს:

– შენა ბიჭო, ღიშპანიელი ხარ და ეგენი კიდევ ფრანკები არიან.

– როგორმე უშენოდაც კარგად ვიცი, ვინა ვარ, შენ კი არა გცოდნია, რომ ჯვაროსნებს ფრანკებს კი ეძახიან, მაგრამ ფრანკების გარდა, ალემანებიც არიან ჯვაროსნებს შორის, საქსებიცა და ჰისპანიელებიც, გენუელებიცა და ლუზიტანებიც, და კიდევ ვინ მოსთვლის, რომელი გინდა ხალხები ევროპისა...

ალბათ კამათი კარგა ხანს გაგრძელდებოდა, მეფეს რომ ბივრიტელისთვის არ ეკითხა:

– საქართველოში ზღვით მოსვლა რატომ ისურვა იერუსალიმის მეფემ და არა ხმელეთით?

– ხმელეთით მოსვლა ჩვენს ქვეყნამდე ბალდუინისთვის ფრიად საშიში იქნებოდა, სულთან მუჰამედის სახელოვანი სარდალი ედ-დინ ილლაზი ყველა იმ მიწას აკონტროლებს, სადაც ბალდუინის ამაღლას უნდა გამოეველო. ილლაზი კი ჯვაროსნების რისხვას, დაუძინებელი მტერია ქრისტიანი მხედრებისა.

– მაგრამ სულთანი მუჰამედი უკვე ზღვასაც ისევე აკონტროლებს, როგორც ხმელეთს, ბალდუინ მეფის ხომალდსაც დაემუქრებოდა საფრთხე.

– ჩვენ ეს საფრთხე გავითვალისწინეთ და ჯვაროსანთა გემს ლაზების ხომალდი მოაცილებს. ლაზები კი, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ყველა ზღვის ბატონები არიან...

ქართველებს შორის დიალოგი დროებით შეწყდა, მაგრამ ისევ გაგრძელდა ზღვის პირას, სადაც ისინი იმ ორი ხომალდის შემოსვლას ელოდნენ, რომელთა გამოც თითქმის მთელი ქვეყანა გამოიარეს.

– როგორც ჩანს, იერუსალიმის მეფე მართლაც ძლიერ ესწრაფვის საქართველოს მეფის ხილვას და მასთან შეხვედრას, – ზღვისპირა დიალოგი ბივრიტელმა განაახლა და მას დავითის ამაღლის დანარჩენი წევრებიც აჰყვნენ.

– როგორც ჩანს, მართლა ძლიერ შეუწუხებიათ სარკინოზებს ბალდუინი, რადგან ჯვაროსნების მეფემ პირადად ისურვა საქართველოში ჩამობრძანება.

– ნეტა რა უნდა სთხოვოს ჩვენს მეფეს...

– ალბათ შენს თავს თუ სთხოვს მეფეს თავის მრჩევლად...

ზოგიერთებს, ალბათ სხვაგან და სხვა დროს ხმამაღლაც კი გაეცინებოდათ, მაგრამ ახლა ეს უხერხული იყო, რადგან იერუსალიმის მეფე უკვე გემიდან ჩამოდიოდა.

პირველად იგი, რასაკვირველია, დავითს მიე-სალ-მა, შემდეგ კი ბივრიტელს, რომელიც ახსოვდა კიდევ იერუსალიმიდან. სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთმანეთი მოურიდებლად შეა-თვალიერეს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარემ იცოდა, ეს მხოლოდ სამშვიდობო მოლაპარაკება იყო და მათი პატრონები კი – მეკავშირეები, მაინც იგრძნობოდა ორ განსხვავებულ ამაღლას შორის ერთგვარი დაძაბული

ურთიერთობა. უფრო სწორად, ეს ურთიერთშეფასება იყო. როცა მეფეები სასახლეში მოსალაპარაკებლად განმარტოვდნენ, სასახლის ეზოში ერთმანეთის პირისპირ დარჩენილი ხევსურები და ჯვაროსნები უფრო გულმოდგინე მზერით შეეცადნენ ერთმანეთის შესწავლას. ევროპელ ჯვაროსნებს დიდი და მძიმე საჭურველი აშკარად განასხვავებდა უფრო მსუბუქად ჩაცმული ქართველებისაგან, მაგრამ ის, რაც ჯვაროსნების ყველაზე დიდ გაკვირვებას იწვევდა, ხევსურების ჯვრებით გაწყობილი ტალავარი იყო. ერთ-ერთმა ჯვაროსანმა ცნობისმოყვარეობა ვეღარ დამალა და რომელიღაც ხევსურს პირდაპირ ჰკითხა:

– ჯვაროსნები ხართ?

– ხევსურები ვართ.

ჯვაროსანი აშკარად არ დააკმაყოფილა ხევსურის პასუხმა, ყოველ შემთხვევაში, სახეზე აშკარად ეტყობოდა გაკვირვება იმის გამო, რომ თუ ესენი ჯვაროსნები არ იყვნენ, მაშინ რატომ ჰქონდათ სამოსზე ამოქარგული ამდენი ჯვარი.

ღიშპანელიც ჯვაროსნებს მიუახლოვდა მალე და ხმამაღლა იკითხა:

– ჰისპანიიდან თუ არის ვინმე თქვენში?

ჯვაროსნებს ერთი მათგანი გამოეყო და ღიშპანელის წინ დადგა:

– მე ვარ ჰისპანიიდან.

ღიშპანელმა ხელი მაგრად ჩამოართვა მას, გულითადად გაუღიმა და თავისი სახელი უთხრა:

– ალეხანდრო მიგელ გარსია დე კორდობა.

ჯვაროსანსაც თვალები გაუბრწყინდა:

– პაბლო ხიმენეს როჩა დე ტალავერა დე ლა რენა...

დავითი და ბალდუინი სასახლის ეზოში განმარტოებით საუბრობდნენ. მათი პირადი დაცვაც იქვე, არცთუ მოშორებით იდგა, მაგრამ ისინი თავიანთი მოვალეობის აღსრულებით იყვნენ დაკავებული და მეფეების დიალოგს მხოლოდ ზედაპირულად უსმენდნენ. სათქმელი ჯერ სტუმარმა ბრძანა:

– ეს მხოლოდ ჩემი თხოვნა არ არის, მე აქ სხვა ევროპიელი მეფეების სახელითაც ჩამოვედი, რადგან თუ დღეს სარკინოზები ანტიოქიასა და იერუსალიმს აიღებენ, ხვალ მათ ევროპისაკენ ვეღარაფერი შეაჩერებთ. და თუ დღეს ძლიერი ქართველები სხვა ქრისტიანთა სახლებსა და ქალაქებს დაიცავენ, ხვალ სხვა ევროპელები იქნებიან მოვალენი თქვენი შთამომავლების წინაშე...

– თუ ჩვენი დახმარების სანაცვლოდ სხვა ევროპიელთა მხრიდან მადლობას დავულოდებით, მაშინ ეს დახმარება აღარ იქნება. თუ ჩვენ ანგარებაზე ვიფიქრებთ და არა დახმარებაზე, ვერასოდეს გავიმარჯვებთ...

– მოჰამედიანთა ურდოები ყველასა და ყველაფერს წალეკვით ემუქრებიან და ისლამის წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ქრისტიანის ვალია.

– ქრისტიანის ვალი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაა და არა – ისლამის. ჩვენ ჩვენი ქვეყნის დამპყრობლებს ვებრძვით და არა მოჰამედიანებს.

– უკვე გითხარით, რომ მე აქ ევროპის მმართველთა სახელით ჩამოვედი თქვენი დახმარების სათხოვნელად. ჩვენს ქვეყნებში დარწმუნებულები არიან, რომ ჩვენ საერთო მტერი გვყავს და ქართველები თავიანთ ვალად მიიჩნევენ იერუსალიმისა და ევროპის გადარჩენას.

– იმედია, ევროპის მმართველთა ჩამომავლებსაც ემახ-სოვ-რებათ ჩვენი ჩამომავლების ვალი...

თავის სასახლეში სულთან ილლაზი თავის სიძესთან, ბაღდადის მმართველ დურბეზთან ერთად, მუსიკოსებს უსმენდა, როცა მსახური შემოვიდა უხმაუროდ და პატრონს რაღაც უჩურობდა. ილლაზმა უხალისოდ გამოართვა მსახურს გრაგნილი, უყურადღებოდ გადაავლო თვალი წერილს და იქვე მიაგდო.

– ის კაცი მაჩვენეთ, – უთხრა მსახურს და მაშინვე შემოი-ყვანეს ვიღაც ქართველი, რომელიც მეტად თამამად დაუდგა ილლაზს.

ილლაზს ამაზე გაეღიმა და ასე, ღიმილით ჰკითხა ქართველ შიკრიკს:

– ვინ არის შენი ბატონი, კეთილო კაცო?

– მეფეთ მეფე დავითი.

– ელჩი ხარ?

– არა, მალემსრბოლი ვარ.

– შენი მეფე მწერს, რომ საჩუქარი გამომიგზავნა.

ქართველმა თავი დაუქნია და ილლაზმაც განაგრძო:

– ასე ვატყობ, რომ საჩუქარი ან ძალიან დიდია, ან ძალიან პატარა.

ქართველმა უბიდან ტილოში გახვეული საგანი ამოიღო და მოწიწებით დაუდო წინ სულთან ილლაზს.

ილლაზმა ორი თითით გახსნა ტილო. შიგნით ოთხი ნალი აღმოჩნდა.

სულთანს გაეცინა:

– წერილში არ მწერს, რატომ მჩუქნის ამ საჭირო ნივთებს. სიტყვით რა დაგაბარა?

– მე არ ვიცნობ მეფეს. მე მხოლოდ მალემსრბოლი ვარ.

ილლაზმა მიმოიხედა ირგვლივ და იქვე ერთ-ერთი ლამაზი ლარნაკი შეარჩია. აიღო და ქართველს გაუწოდა.

– მე წერილების წერა არ მიყვარს, ლექსის წერის გუნება კი შენმა ბატონმა წამართვა. ამიტომ ეს საჩუქარი წაუღე ჩემგან, ოღონდაც, რომ მიუტან, ფერხთით დაუდე და წიხლი ჩასცხე. რომ დაიმსხვრევა, სწორედ ის იქნება ჩემი საჩუქარი.

ქართველმა შიკრიკმა ლარნაკი გამოართვა სულთანს.

– გაბედავ ასე მოქცევას? – ჰკითხა მალემსრბოლს. ქართველმა პასუხი შეჰპყდა:

– მგონი თვითონ დამასწრებს წიხლის ჩარტყმას.

– ის მაინც უთხარი, ან ჩემგან გადასცენ, რომ მივხვდი, რასაც ნიშნავს მისი საჩუქარი.

ქართველმა საჩუქრით ხელში, თავი დაუკრა სულთანს და წასვლის ნებართვა ითხოვა. როცა შიკრიკი წავიდა, ილლაზმა ნალები შეათამამა ხელში და დურბეზს მიუბრუნდა:

– მე ამომირჩია ტყეების მეფემ – ცხენი დაჭედე და წამოდიო.

– მტერმა ნალები გამოგიგზავნა? სიკვდილი ერჩივნოს შენს რისხვას, – დურბეზმა სულთანი შეაქო, მაგრამ სულთანი არ აჰყვა.

– მე მაგასთან მეგობრობა მირჩევნია. ვიოცნებებდი ასეთ მეგობარზე. ვერაგობაც კი ხმამაღალი გამოსდის, – თქვა ილლაზმა და ერთი ძველი სპარსული ლექსი გაახსენდა. მერე დურ-ბეზს ჰკითხა, თუ იცოდა ეს ლექსი და პასუხს აღარ დაელოდა:

– მან კი იცის. ვეტყვი ამ ლექსს და გამიგებს. ეგ არის კიდევ სხვაობა თქვენ შორის. მან შეიძლება თქვენზე უკეთ გამიგოს...

დურბეზმა ნაძალადევად გაიღიმა და სხვებს გადახედა, ილლაზმა კი ფიალა ბოლომდე დაცალა და მაშინვე თავიდან შეუვსეს.

– ოღონდ სასაცილო აღარ დარჩა, კარავი არ დატოვა წაუქ-ცეველი. მე ვხვდები: ეს მისი ქვეყანაა, მამამისის და პაპამისის, მაგრამ ეკუთვნის ქვეყანა ისეთ კაცს, რომელიც ნადირობისას წიგნს კითხულობდა, ჩაეძინა და დათვმა გამოაღვიძა?

ახლა ყველას გაეცინა. ილლაზმა კი განაგრძო:

– საერთოდ არ არის სასაცილო, იმიტომ რომ ეგ ქვეყანა მას ეკუთვნის და შენი ქვეყანაც, დურბეზ, და ამისიც და ჩემიც. იმიტომაა, რომ მოდის.

– ეგ ტყეების მეფეა, მამამისიც ტყეების მეფე იყო და მამამისივით ველზე ვერც ეგ გამოვა. ტყისპირებიდან იცის მოსვლა, – თქვა დურბეზმა.

– ამ ტყისპირებიდან წითელ ზღვამდე ჩამოვა, დამიჯერე. ეგ გამოვა ველზე. თუ წამომყვები, გამოვიყვან ველზე. შენ იცნობ ამ კაცს?

– ტყეების მეფეს?

– სულელური სახელია... მე უკვე ბევრი დავლიე, მაგრამ ის ჩვენ გვიწვევს. აუცილებლად უნდა, მის ქვეყანაში მივიდეთ. რასაც ის იერუსალიმში აკეთებს, იმას ნიშნავს, რომ სურს, ერთხელ და სამუდამოდ მოგვსპოს.

– არ მგონია, არ მგონია, ამხელა ძალისა იყოს.

– თქვენ თვლემთ, დურბეზ, თქვენ ყველანი თვლემთ.

– არ მივალთ და მორჩა. თვითონ მოვიდეს. ოღონდ ეგ არ გამოვა თავისი ტყეებიდან.

– არც იმდენი ტყეა იქ, როგორც ამბობენ. იქნებოდა, მაგრამ გაკაფავდა.

– ნუ მივალთ.

– რომ მიგვიყვანოს? ხომ იცი, დურბეზ, რომ მე არ მეშინია არავისი. შიში სასაცილოა საერთოდ. მე უბრალოდ მიკვირს. ჩვენ – ათი სულთანნი და ის, ერთი, რომელსაც ოქრო არა აქვს...

დიდსულთან მუჰამედის სასახლე, რასაკვირველია, გაცილებით გრანდიოზული იყო, ვიდრე სულთან ილლაზისა, რომლის მისაღებ დარბაზში ტახტრევანზე დაბრძანებულ დიდ სულთანს პირადმა ვაზირმა ომახიანად, აღმოსავლური ტრადიციისამებრ მოახსენა მისი ბრძანების თანახმად გამოცხადებული სტუმრის ვინაობა:

– ნეჯმ ად-დინ ილ-ლაზი, გამგებელი ბაღდადისა და მაიაფარიკინისა, მფლობელი ალეპოსი, რისხვა ყოველთა ჯვაროსანთა და მსახური თქვენი დიდებისა და ბრწყინვალეებისა!

ილლაზი მიესალმა დიდ სულთანს და თავის დაკვრით გამოხატა მზადყოფნა მბრძანებლის მოსმენისა და მისი ბრძანებების შესრულებისა.

– თუმცა კი მთხოვეს ქართველთა მეფისაგან შევიწროებულმა ამირებმა საქართველოზე გალა-შქრება, მაინც არ ვაპირებდი, რადგან ჩვენ ანტიოქიისა და იერუსალიმისკენ მივიწვევთ წმინდა ვალის აღსასრულებლად და ვიდაც ქართველთა მეფის დასამარცხებლად არა გვცალია. ასეთი იყო ჩემი გადაწყვეტილება, მაგრამ ქართველების მეფე დავითი მართლაც სანიმუშო თავხედი ყოფილა და სანიმუშოდ

უნდა დაისაჯოს. ის ჩვენ არად ჩავაგდეთ, მან კი ჩვენი მიწები მოარბია, დამასკოზე წასვლაც დაიქადნა და სულთნის სიმშვიდესაც დაემუქრა, – დიდმა სულთანმა აშკარად ვერ დამალა წყენა და გაბრაზება.

– მხოლოდ თქვენი ბრძანება, და მიწასთან გავასწორებ ქართველების ქვეყანას. მათ გათავხედებულ მეფეს კი ტყვედ მოგგვრით, – ილაზმა ის თქვა, რისი რწმენაც ჰქონდა.

– ვიცი, რომ მზადა გყავს ძლევამოსილი არმია იერუსალიმის ასაღებად, მაგრამ რაც ქართველებმა გააკეთეს, ამის პატიება არ შეიძლება. შენთვის, ვისაც არაერთხელ დაუმარცხებია ჯვაროსანთა არმიები, საქართველოში გალაშქრება მხოლოდ გასეირნება იქნება. თბილისისკენ გასეირნებ და მერე კი იერუსალიმისკენ წახვალ...

– არცთუ მრავალრიცხოვანი ლაშქრითაც კი შემიძლია ქართველების დასჯა, მაგრამ იმდენ მეომარს ვიახლებ თან, რამდენსაც თქვენი ბრწყინვალება ინებებს.

– მინდა, რომ ჩემი არმია, რომელსაც შენ უსარდლებ საქართველოსკენ, ისეთი დიდი და თავზარდამცემი იყოს, რომ სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილმა ქართველმაც კი არასოდეს იფიქროს თავისუფლებაზე.

– ყველას და ყველაფერს მიწასთან გავასწორებ!

– თბილისთან არის დიდგორნი – ადგილი, სადაც ქართველების მეფეს სადგომი აქვს თავის ლაშქართან ერთად და მინდა, პირდაპირ იქით წახვიდეთ. ჯერ მათ მოსპობთ და მერე კი – მთელ ქართველების ქვეყანას დიდიან-პატარიანად, ძირიანად ააოხრებთ! ეს ჩემი ბრძანებაა!

– დიდ სულთანს შეუძლია ჩათვალოს, რომ დღეიდან ქართველების ქვეყანა აღარ არსებობს!..

ილაზი დაემშვიდობა დიდ სულთანს და მთავარსარდლის დამადასტურებელი მედალიონი მოწიწებით გამოართვა მას. სასახლის ეზოში გამოსულმა კი მომლოდინე ხელქვეითებს მიმართა:

– დიდი სულთნის სახელით ქართველების ქვეყანაში სა-ლაშქროდ ჯარების გამოყვანა და არზრუმს შეკრება ებრძანათ:

ღურბუზ სადაყას ძეს – ჰილას პატრონსა და არაბეთის მეფეს;

მელიქ თოდრულ მოჰამედის ძეს – ყაზვინის, ზენჯანისა და გილანის გამგებელს და არანის სულთანს;

თულან არსლანს – არზანისა და ბითლისის პატრონს და დვინის ამირას;

ქენ-თოდდის – განძის ათაბაგს;



ყოველთა სომხეთისა ამირათა და გამგებელთა;

ელმ-ად-დინ იბნ-ჯაბრის – ბაღდადის ყადის;

აბულ ფათხის – მარდინის ყადის.

დიდი სულთნის ბრძანებასა და მოწოდებას სასახლის მისადგომებთან მდგარი ბრძოლის მომლოდინე ლაშქარი სიხარულის ყიჟინით შეხვდა.

ილლაზმა კი განაგრძო:

– აკი ამას მოხვდა თვითონ ქართველების მე-ფეც და ბევრ ლექსებს ვეტყვი, როცა ჩემს აივანზე მეყოლება დაბმული და მთელი ქვეყნის ოქროს საფასურად არ გავყიდი. პირადად ჩემი იქნება და ამ ტყვეს არავის დაგიტომობთ.

პატარა მეცხვარე ბიჭი ციხის გალავნის კედელ-ზე იყო მიყრდნობილი, მისი ფარა კი იქვე, შორიახ-ლოს ბალახს ძოვდა. ბიჭი არხეინად უკრავდა სალამურზე. უკან დიდი, გაშლილი სივრცე იყო. ბიჭი მანამ უკრავდა სალამურზე, სანამ უკნიდან რაღაც ხმაური არ შემოესმა. უფრო სწორად კი იგრძნო, რომ უკან რაღაც ხდებოდა, და ფეხზე წამოდგა. მიბრუნდა თუ არა, სალამურის ხმაც შეწყდა. ბიჭი გაოგნებული სახით დააკვირდა გაშლილ სივრცეს და თვალებს არ დაუჯერა – მისთვის უცნობი აურაცხელი ლაშქარი ზღვასავით მოდიოდა.

ბიჭს ასეთი რამ არასოდეს ენახა და არც ის იცოდა, რა უნდა ექნა. რამდენიმე წამს გაუნძრევლად იდგა პირდაღებული და უცებ ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე. ცრემლის სისველემ გამოაფხიზლა, სალამური უბეში შეინახა და ყვირილით დაეშვა ციხის ქონგურიდან...

დავითი, თავის უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად, იმ მონასტრის შესასვლელთან ჩამოქვეითდა, სადაც ფიცის ბერები ცხოვრობდნენ. ფიცის ბერები იმ საბრძოლო ილეთებს ფლობდნენ, რომლებიც მათ გარდა არავინ იცოდა.

ისინი მოწიწებით, მუხლის მოდრეკით მიესალმნენ მეფეს და ასეთივე მდგომარეობაში მოისმინეს მისი სათქმელი:

– სამშობლოსათვის სიცოცხლე უფრო ძნელია, ვიდრე სიკვდილი, მაგრამ სამშობლოსათვის ზოგჯერ სიკვდილი უფრო ფასეულია, ვიდრე სიცოცხლე. მტერი ძალიან ახლოსაა და ეს არ იქნება ომი, როგორც გვინახავს, ეს იქნება ომი, რომელიც ამ მიწამ ჯერ არ იცის.

თქვენ მთელი სიცოცხლე სიკვდილისათვის ემზადებით, მაგ-რამ ამ ომში სიკვდილი ამ ქვეყნის სიცოცხლეს ნიშნავს, იმ სულების გადარჩენას ნიშნავს, რომელთათვისაც მუდამ ლოცულობდით...

საპასუხო სიტყვა ფიცის ბერების წინამძღოლმა თქვა:

– ჩვენ მუდამ მზად ვართ, მხოლოდ მეფის ბრძანებას და-ველოდებით. ჩვენი სიცოცხლეც და სიკვდილიც მას ეკუთვნის...

დავითმა მადლობა გადაუხადა ბერებს და მონასტერი დატოვა.

სწორედ იმ დღეს ხევისბერმა ბოცო წიკლაურმა მთიუ-ლეთ-გუდამაყრისა და ფხოველთა მუხლმოდრეკილი ლაშქარი დალოცა:

– ღმერთო, გაუმარჯვე ფუძის ანგელოზსა, დიდ პირიმზესა, იალბუზზე ბრძანებულსა, უყმო ყმის მეშველსა, ორი წყლის ბატონ-პატრონსა. ღმერთო, გაუმარჯვე მკლავსა იმისასა და ლახტსა იმისასა, გმირსა კოპალასა – ფუძის ანგელოზის მოძმე-მომხრესა. სამართალო ღვთისაო, უშველე სრულ ქართველთა და ღმერთო, დიდება შენს მადლსა, ხელი მოუმართე დავით მეფესა – შენს ყმასა, შენსა მახვილსა, მტრის უწყალოდ შემმუსვრელსა!..

ფხოველები ადგნენ, აბჯარ-იარაღი აისხეს და, სანამ ამხედ-რდე-ბოდნენ, აღვირებით დაძრეს ცხენები. შინ დარჩენილები კი ციხე-კოშკებისა და სახლების ბანებიდან, მდუმარედ და თვა-ლებით მიაცილებდნენ ომში მიმავალ ქმრებს, ძმებსა და შვილებს.

ფხოველთა ლაშქარს თვითონ ხუცეს-ხევისბერი ბოცო წიკლაური წარუძღვა მცხეთისკენ, სადაც ისინი დანარჩენ ქართველ მოლაშქრეებს უნდა შეერთებოდნენ.

დავითის ლაშქარი სვეტიცხოვლის გალავანთან ელოდა მეფეს, რომელიც ტაძარში ლოცულობდა. დავითი ვახტანგ გორგასლის საფლავთან შეყოვნდა, ტაძრიდან გასვლის წინ მარჯვენა ხელის ორ თითი ჯერ ტუჩებთან მიიტანა და მერე გორგასალის საფლავს დაადო. ტაძრის გარეთ, ქართული ლაშქრის გარდა, ხალხიც იყო შეკრებილი და ხალხი დუმდა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის, დიდი განსაცდელის მოლოდინში.

ამიტომაც ეს ხალხი – ქალები, ბავშვები და მოხუცები, ვინც თვითონ ვერ იომებდა, ცოტა ხანში მდუმარედ მიაცილებდნენ მეფესა და მის ლაშქარს ყველაზე გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. ქალები თვალებზე მომდგარ ცრემლებს მალულად იმშრალავდნენ, მოხუცები კი მეფესა და მოლაშქრეებს ხმამაღლა ლოცავდნენ. როცა დავითის ჯარი დიდგორისაკენ მიმავალ აღმართს შეუყვავა, მხოლოდ ბავშვები გაეკიდნენ ხის ხმლებითა და პატარა ფარებით, მაგრამ მათ ბუღმამ შეუბღვირა და ისინიც დარჩნენ ნაწყენი, გაბუტული სახეებით...

ღამის წყვილიაღმში ქართველები უხმაუროდ თხრიდ-ნენ მიწას. იმ უზარმაზარი ორმოების დანიშნულება ჯერ მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა იცოდა.

კარავში კი მეფე დავითი, დემეტრესა და უახლოეს გარემოცვასთან ერთად, მომავალი ბრძოლის გეგმებზე საუბრობდა გადაშლილ ნახაზებზე დაყრდნობილი.

– საომარი მხოლოდ აქ გვექნება, სხვაგან არსად, – თითი დაადო მეფემ, – თქვენ მეტყვით, რომ ისინი შეიცვლებიან და შეიცვლებიან. ვერ შეიცვლებიან, თუ ჩვენ უფრო ადრე დავიწყებთ, სანამ ისინი მოემზადებიან. მაშინ უკუქცევას ვაიძულებთ. გაიქცევიან და მერე მიჰყევი, ბივრიტელო, და კაფე. კალიასავით კი არიან, მაგრამ გამოსასვლელი ვიწროა. გეუბნებით, რომ მათი ურიცხვობა მათთვისვეა დამლუპველი. უთვალავი რომ მოვიდნენ, მათთვის უარესია. ეს უთვალავობა გაქცევაშიც შეუშლით ხელს და წინ წამოსვლაშიც. ტყეებიდან ჯარად ვერ გამოვლენ. ერთი თავი აქვს, ათასი კი არა. ერთს მოჭრი, იმის ნაცვლად ახალი ვერ ამოვა. ასეთი მხოლოდ დევია.

– და გველემპი, – ჩაერია შულია. ბივრიტელმა შულიას ხუმრობას ყურადღება არ მიაქცია და მეფეს მიმართა:

– შენ წინდაწინ იცი ყველაფერი.

– ამ საქმის წაგება მარტო სულელს შეუძლია. ძლივს მოვიტყუე აქ, აქვე ჩავხარშავთ ჯოჯოხეთში.

– ადრე როგორ დავიწყებთ? – დემეტრემ მამას პირდაპირ ჰკითხა.

– გეტყვით, ოღონდ ერთიც იცოდეთ: მთელ მაგ უამრავ ხალხში კაცი ერთია – ილლაზი. ილლაზი კაცია. უნდა მოკვდეს.

– როდის?

– მაშინვე, როგორც კი დავიწყებთ. გეტყვით, რასაც ვფიქრობ. ოღონდ ბერის ასი ჯვალო მოიტანეთ. ასი ბერი მყავს მეწინავეებში და კიდევ ასი ხელი ბერის სამოსი ყველაზე მამაცებისათვის მჭირდება...

ბანაკში მზადების პროცესში მეფემ მერამდენედ შემოუარა ყველას დემეტრესთან ერთად. ბანაკის უკან ხერგილებს აგებდნენ. უცებ მშენებლებს ნაცარქექია გამოეყო და პირდაპირ დემეტრეს მიადგა.

– გამარჯობა, მეფის კაცო, ვერ მიცანი?

დემეტრეს გაეცინა.

– გიცანი. პურს რო წაატეხე, შენ არ იყავი?

– რა გახსოვს იმდენი ხნისა. შენა, ვერ შემახვედრებ მეფეს?

დემეტრემ უკვე ხმამაღლა გაიცინა.

– შენა, ლამაზი კი ხარ, მარა არ უნდა დამცინო. დაბერდები და შენც დაიჯღანები.

– რა გინდა მეფისგან? – უცებ ჰკითხა მეფემ.

– აბა უყურე, რა მინდა და, აზრები უნდა ვუთხრა. ეს კარგა კი მოუფიქრებია, რო ჩახერგა. ამას იქით გზა არ უნდა გვქონდეს. საშიშარი შესახედია სიკვდილზე, მაგრამ ეგრეა. ან გავივლით, ანაც ჩავწყდებით. ეგრე უფიქრია.

– ვეტყვი, რო შეაქე, – დავითს არ გასცინებია.

– კიდე მაქ აზრები.

– ეხლა არ ეცლება...

– ჩემთვის მოიცლიდა. ერთხელ არ მანახეთ. ორი სოფელიც არა ჰქონდა და ეხლა ქვეყანა ააშენა. აზრი მაქ, რო წინდაწინ გაუშვათ ფიცის ბერები, რო იმათ ზავის მთხოვნელები ეგონოთ. რო შევლენ კიდე, დასცხონ და იმათ შეეშინდებათ. ამასობაში ჩვენც წამოვეშველებით. გადავრეკამთ ნახირვითა.

დემეტრემ გაოცებულმა გადახედა მამამისს.

– ჰო, რა გაგიკვირდა. ხერხი სჯობიან. კიდე ეს აზრი მაქ, რო ყივჩაყი უკან დადგეს, ქართველობა კიდე წინა. მაინც ჩვენი საომარია. ყივჩაყი, თუ ჩვენ ჩავწყდით, მაშინ წამოვიდეს. ჩქარი ხელი აქვთ და ჩქარი ხელი მოშველებაში ჯობია.

დემეტრემ ისევ გადახედა მეფეს.

– ეგეთია კი, ყველაფერი იცის, – ახლა დავითსაც გაეღიმა.

სხვები კი ალბათ ხმამაღლაც გაიცინებდნენ, რომ არა მხლე-ბელი, რომელმაც მეფეს მოახსენა:

– მეფეო, ერთი ქალი მოვიდა, ვერ გავაკავეთ. ქალები მოიყვანა.

დავითმა მოხედა.

– საბედო, – თქვა დემეტრემ.

– შენ რაღა იცი საბედო, – გაოცდა მეფე და დემეტრეს დააკვირდა.

თუმცა პასუხი ვეღარ მოისმინა, რადგან დავითის აღმოჩენით აღფრთოვანებულმა ნაცარქექიამ ყივილი დაიწყო...

სხვებიც იქ იყვნენ, მაგრამ დავითმა ჯერ ბივრიტელებს შორის უფროს ძმას მიმართა:

– მე ვერ დაგიშლი, ოღონდ ჩემთან უფრო მჭირდები.

– ჩვენ მოვკლავთ ილღაზს.

ბივრიტელის ძმებმა პირჯვარი გადაიწერეს, უფროსმა ძმამ კი განაგრძო:

– მე გავუძღვები მათ.

– შულია დაგცინებს, წინამძღვარი შეიქნაო, – გაელიმა მეფეს.

ბივრიტელმა უმცროს ძმებს ანიშნა და ისინი გავიდნენ.

– ნუ აკეთებ ამას. აღარ გეტყვი. ვინც თავისით გაბედავს. ასე ვთქვი.

– ჩვენ ვბედავთ, შენი ძმები.

დავითმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– ეს ცხოვრება ისე გავიდა... დამავალე ეს საქმე შენთვის.

დავითი საპასუხოდ დუმდა.

– რას დაიღუპე. ყველა ძმას არ მოხვდება. წესი არ იცი?

უცებ დავითმა დემეტრეს მიმართა:

– შენ იქნები ფრთაზე. ცალ ფრთაზე მე, მეორეზე – შენ. იქ ბივრიტელი უნდა ყოფილიყო.

დემეტრემ თავი დაუქნია...

იმ ღამეს, ბანაკის კიდეზე, ხერგილთან ახლოს, შულიას ერთი ბებო შეეხმიანა და ამანაც მაშინვე უპასუხა:

– აქა ვარ, დედი.

ხერგილის მეორე მხრიდან მოხუცმა გლეხის ქალმა ტიკჭორა გადმოუგდო შულიას.

– იხარე, დედი, ოღონდ ეხლა კომბალი დაიმარჯვე, რო მგლებმა არ შეგჭამონ, ღამეა უკვე, – შულიამ ტკბილი ბებო დაარიგა და მადლობაც გადაუხადა.

– მგელს თავს აღარ შევაჭმევინებ, შვილო. აგე, როგორ ბებრობამდე მოვსულვარ.

– იხარე, დედი.

– გაუმაგრდით, შვილო. ეგა ღვინო არც არი, წამალია ეხლა.

შულიამ ტიკჭორა მოსასხამის ქვეშ გადამალა და ბებოს და-შორდა.

დავითის კარვის კალთა გადაიწია. შულიამ თავი შემოყო:

– ერთ ამოსუნთქვაზე ჩამოვჯდები.

შემოვიდა, დავითთან ჩამოჯდა ახლოს და მოსასხამიდან ტიკჭორა გამოაძვრინა.

– ეხლა ჩემი თავი არ გააროზგვინო. ესა წამალია. ყველამ დალია თითო ყლუპი. ისეთი ბებოს მოტანილია.

დავითს საპასუხოდ გაეღიმა.

– ერთი ყლუპი უნდა დავლიოთ. აჰა, გამომართვი.

დავითმა გამოართვა ტიკჭორა... ესეც თქვა:

– რამდენი დრო გავიდა...

– და ვამთავრებთ?

– ყველას გვიმარჯვოს ხვალ.

ტიკჭორა მოიყუდა უცებ, ისევ შულიას გაუწოდა. შულიამ ღვინოს სიტყვაც დააყოლა:

– ღმერთმა გიმარჯვოს, ეგრე ვიცი, რომ ხვალ ვეღარ გნახავ სალაპარაკოდ.

– ჩაჩუმდი ეხლა, შულია ერისთავო.

– ერისთავობა კი კარგათ მიბოძე, დამწვარი ციხისა.

ორივეს გაეცინა.

შულიამ ტიკჭორა მოიყუდა ისევ და მერე ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– მენანება, მაინც ტკბილი ყოფილა, – დაენანა სიცოცხლე შულისა. მეფეს აღარ გასცინებია.

– სულელი არ იყო. ვაინახები უკვე აქ არიან?

– უკვე აქ არიან.

– აფხაზები?

– მოვლენ, ბოლოს მაინც მოვლენ.

შულია წამოდგა და სანამ გარეთ გავიდოდა, მეფისკენ მოიხედა:

– ხვალ თუ ცოცხალი დავრჩი, დედაჩემი უნდა მოვინახულო, ჩემს მოლოდინში ალბათ ზის და გზას გაჰყურებს.

– ერთად მოვინახულოთ დედა...

შულია გარეთ გავიდა, სადაც ისევ თხრიდნენ დიდ ორმოს. იმ ღამეს კი, გათენებამდე, დავით მეფემ ბრძოლისწინა ძველი რიტუალი შეასრულა – თვითონ დაბანა ფეხები ქართული ჯარის სარდლებს...

გამთენიისას კი დიდგორის ველზე ორი ლაშქარი ერთმანეთის პირისპირ იდგა. ილღაზის არმიაში ბრძოლისწინა, მხიარული ყიჟინა ისმოდა. ისინი ხმაურით ემზადებოდნენ შეტაკებისათვის და მათ ხალისიან სახეებზე იმის ამოკითხვაც

შეიძლება, რომ დარწმუნებულები იყვნენ გამარჯვებაში. ამის საფუძველს მათ, უპირველესად, რიცხობრივი უპირატესობა აძლევდა – ილღაზის კოალიციური არმია თითქმის შვიდჯერ აღემატებოდა ქართველების ლაშქარს და ეს აშკარად საგრძნობი იყო. ილღაზის არმიისაგან განსხვავებით, ქართველები უხმაუროდ, გარინდებულები იდგნენ და მათ სა-ხეებზე ეტყობოდათ, რომ ეს ბრძოლა მათი ქვეყნისათვის გადამწყვეტი იყო. ამიტომაც ქართულ ლაშქარში ყველა ქართული ტომისა და კუთხის წარმომადგენლები იყვნენ და მათი ამოცნობა და გარჩევა სამოსითაც შეიძლებოდა.

დავითიც, დანარჩენი ქართველებივით, მდუმარედ გასცქეროდა მტრის ლაშქარს, როცა მოულოდნელად, საიდანღაც გაჩენილი მხედარი გვერდით ამოუდგა მას. ზოგიერთებმა მერე თქვეს კიდევ, რომ ეს ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი იყო თავისი გრძელი შუბით. ბივრიტელმა კი გაკვირვებულმა გადახედა ჯერ მეფეს და მერე იქით – მინდობაი არაბიძეს. წმინდა გიორგის მსგავსი მხედარი კი იდგა დავითსა და მინდობაი არაბიძეს შორის. ბივრიტელი სიტუაციის გასარკვევად ქართული ლაშქრის წინა რიგებს აკვირდებოდა. მოლაშქრე ქართველებს ჩურჩულის ხმამ გადაუარა, რადგან ყველანი ვერც კი ხედავდნენ, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში... მეფის ხელაღმართულ ნიშანზე ქართველებს შორის ისევ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

მერე დავითის იმავე ნიშანზე ქართული ლაშქარი უცებ გაიხსნა, შუაგულიდან რამდენიმე ათეული ბერი გამოვიდა და მოწინააღმდეგისაკენ დაიძრა. უიარალო ბერებმა, გულზე ჯვრებით, გეზი იმ მიმართულებით აიღეს, სადაც ილღაზის კარავი იყო გაშლილი და მთავარსარდალი თავის დანარჩენ სარდლებთან ერთად იდგა. მისკენ მომავალი ქართველი ბერების დანახვაზე ხმამაღლა გაეცინა. გაიცინეს დანარჩენმა სარდლებმაც თითის გაშვერით, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქართველებმა იგრძნეს გარდაუვალი მარცხი და ეს ანაფორიანი ბერებიც ზავის სათხოვნელად გამოაგზავნეს უძლეველ სარდალთან. თვითონ ილღაზიც იმდენად დარწმუნებული იყო ზემოთქმულში, რომ ყოველი შემთხვევისათვის შემართული მშვილდები და მახვილები ზედმეტ სიფრთხილედ მიიჩნია და ხელის აწევით დააშვებინა კიდევ მით უმეტეს, რომ ქართველი ბერების წინამძღოლი საკმაოდ ასაკოვანი ჩანდა და სიარულისას ჯოხს ეყრდნობოდა.

როცა ბერები იმდენად მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგის უმთავრეს კარავს, რომ კარავშიც კი მათი წინამძღოლის გახშირებული სუნთქვის ხმა ესმოდათ, კარვის წინ მდგარმა ილღაზმა ხმამაღლა და დამცინავად მიმართა ბერებს:

– რაო, თქვენმა სახელოვანმა მეფემ – ომი ხომ არ გადაიფიქრა?

მერე თავის სარდლებს გადახედა:

– თავს არ ღალატობს ჩემი მეგობარი ტყეების მეფე... ახლა თუ მშვიდობა მთხოვა ამ მლოცველების პირით, ამ ზარალს ვერასდროს ავინაზდაურებთ. რიგები მოამზადეთ. ეს მლოცველები კი პატივით მიიღეთ და ტყვეობაში მიმყოფეთ.

ილღაზმა თავისსავე სიტყვებზე გულიანად გაიცინა, მაგრამ მისმა ხელქვეითებმა უფრო მეტად მოინდომეს. მათი ხარხარი მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა მიხვდნენ, რომ ქართველი წინამძღოლის საბერო ჯოხი ხის ქარქაშში ჩამალული წვრილი ხვესურული ხმალი აღმოჩნდა. ეს ხმალი წინამძღოლმა უცებ გაუყარა ერთ-ერთ სარდალს. ასევე უცებ, ბერებს შორის ზოგიერთებმა კისრებიდან იშიშვლეს ანაფორის ქვეშ, ზურგზე დამაგრებული ხმლები, ზოგიერთებმა კი წელზე შემოხვეული დრეკადი მახვილები შეიხსნეს და ისეთი თავგანწირვით შეუტიეს მტერს, რომ უეცარმა თავდასხმამ საშინელი პანიკა და არეულობა გამოიწვია მოწინააღმდეგის ბანაკში.

იმ საშინელ ღრიალსა და ჩეხაში, ბერის სამოსში ჩაცმული ბივრიტელი თვალით ილღაზს ეძებდა, მაგრამ ატეხილ ბრძოლაში ხან ხედავდა მას, ხან კი ეკარგებოდა. თავად ილღაზი ცხენზე იჯდა გაოგნებული და გარს უვლიდა ბრძოლის ადგილს. ბერები ბრძოლის ველის გაწელვას ცდილობდნენ, მტრის ჯარში კი მზადყოფნის გადაძახილები ისმოდა, თუმცა ილღაზის ლაშქრის ზურგში მალე არეულობა დაიწყო, რასაც მტრის ბანაკების უბრძოლველად დაშლა მოჰყვა. ზოგიერთებმა გაქცევა დაიწყეს. ამასობაში კი ბივრიტელმა კვლავ დალანდა ილღაზი, რომელიც რაღაც უცნაური ცნობისმოყვარეობით უყურებდა ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდებოდა. ბივრიტელმა სატევარი ესროლა ილღაზს, რომელიც მას მკერდს მალა, მხარ-ში მოხვდა. ილღაზი ცხენიდან გადმოვარდა, ქართველებმა კი ხმამაღლა და მონდომებით, თურქულად და არაბულად ატეხეს ყვირილი:

– სულთანნი მოკლეს! სულთანნი ილღაზი მოკლეს!

მიწაზე დაცემული ილღაზი კი ბუტბუტებდა:

– არა, ცოცხალი ვარ...

თავისიანებმა სასწრაფოდ ხელი წამოავლეს ილღაზს და ცხენ-დაცხენ გააქანეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო, რადგან მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანობაზე ყველაზე უარყოფითად მთავარსარდალ ილღაზის დაჭრამ იმოქმედა. თანაც ეს მოხდა ბრძოლის დასაწყისშივე. ფერდობზე მდგარმა დავით მეფემ ხელის აწევით კიდევ ერთი ბრძანება გასცა. ამ ნიშანზე რამდენიმე ადამიანმა უცებ ააბრიალა წინა ღამით გათხრილი და საწვავით ამოვსებული უზარმაზარი ორმო. ეს გრანდიოზული ორმო სწორედ ქართული ლაშქრის ზურგსუკან იყო, იმიტომ, რომ ქართველებს უკან დასახვევი გზა მოჭრილი ჰქონოდათ. ცეცხლი ელვისებური სისწრაფით საშინელ სიმაღლეზე აიჭრა და მეფე დავითმაც ყველაზე მთავარი, ბრძოლისწინა მოწოდება გააკეთა:



– ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ დმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ჩვენ უკან ცეცხლია, ისეთივე ცეცხლი, როგორც ჯოჯოხეთში გველოდება, თუ ჩვენს რწმენასა და მიწას მტერს დავუთმობთ.

ჩვენ უკან ჯოჯოხეთია, წინ კი სამოთხე, რომელიც ჩვენი სამშობლოა და ჩვენგან მხოლოდ გამარჯვებას ელის!

ეჰა, ქართველნო მეომარნო ქრისტესანო – ეჰა, არჩევანი!

დავითმა ხმალი შემართა და ილღაზის ბანაკისკენ გაიშვირა, რასაც ქართული ლაშქრის ყიჟინა მოჰყვა. თვითონ მეფემ ისეთი ჟინით მოზიდა აღვირი, რომ მისი ცხენი ჯერ ყალყზე შედგა და მხოლოდ მერე გაჭენდა მტრის ბანაკისკენ. დავითს ყიჟინით მიჰყვა ქართული მხედრობა და მეფის წინამძღოლობით ქართველები ხმაურით შეიჭრნენ მოწინააღმდეგეთა რიგებში.

შეტაკება იყო დაუნდობელი და სასტიკი, მაგრამ მიუხედავად მრავალრიცხოვნობისა, მტერი მაინც გატყდა. თუმცა იმ ადამიანების, იმ ბერების უმრავლესობა, რომელთაც განაპირობეს ამ ომში ქართველების გამარჯვება, დაიღუპნენ. ბრძოლის დასრულებისთანავე დავითმა სწორედ მათი მოძებნა დაიწყო. როცა მეფემ ბერების მხცოვანი წინამძღოლის დაჩეხილი ცხედარი იპოვა, დაიჩოქა და ეამბორა. დახოცილები კი დამარცხებულების მხარეს უფრო მეტნი იყვნენ. მრავლად იყვნენ ტყვეებიც, რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს. თანამებრძოლების დაღუპვის გამო გამწარებული ქართველები გაქცეულებს კიდევ დიდხანს მისდევდნენ, დავითი კი გაუნძრევლად იდგა ცხედრებს შორის და ვერც კი ამჩნევდა, თუ როგორ ცვლიდა ამ ისტორიულ დღეს საღამოს მწუხრი.

მწუხრის სიჩუმეს მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნის არღვევდა იმ ღამეს და მტრის დახოცილ მეომრებს სწორედ იმ ცეცხლში ყრიდნენ, რომელიც ბრძოლის დაწყების წინ ქართველებმა ააგიზგიზეს.

დილით კი ქართველი დაღუპულების ცხედრები ერთად შეაგროვეს და ყველამ მუჭებით მიაყარა მიწა, რომელმაც ნელ-ნელა დაფარა მათი გვამები და მათი სამძო სამარხი გორად გადაიქცა, უფრო სწორად კი – დიდგორად...

ნაალაფარი ოქროსა და ძვირფასეულობის მეორე, არანაკლებ მოზრდილი გორა მოწინააღმდეგისთვის ართმეული ან გაქცეულების მიერ დატოვებული ნივთებისა და აბჯრებისაგანაც წარმოიშვა და ეს გორა ყოველ წუთს კიდევ უფრო იზრდებოდა.

ხელებში თავჩარგული დავითი ამ გორებს შორის იჯდა, როცა მინდობაის ფეხები დაინახა და მძიმედ ახედა.

მინდობაის არაფერი უთქვამს, მხოლოდ გრძელი დუმილის შემდეგ ჰკითხა მეფემ:

– ვინ აღარ მყავს?

არაბიძემ ძლივს ამოთქვა:

– ბივრიტელები.

დავითი მიწას ჩაებლაუჭა ხელებით და მოთხრილ მიწას დააცქერდა.

მინდობაი კი უცებ ატირდა.

დავითმა ჯერ უაზროდ შეხედა არაბიძეს, მერე წამოდგა და ბრძანება გასცა:

– ალაფი გელათის მონასტერს.

ცხენის ფლოქვების ხმა უკვე ახლოს გაისმა და როგორც კი გაჩერდა, დავითმა დემეტრე ცხენიდან გადმოათრია, ძირს დააგდო, მოურიდებლად მოეხვია და აკოცა. უფლისწული დემეტრეც ატირდა...

ბივრიტელების, და რაც მთავარია, იმ ბივრიტელის დაკარგვამ, რომელსაც დავითი ძმად მიიჩნევდა, მეფეზე იმდენად იმოქმედა, რომ კარგა ხანს დუმდა. არავის ელაპარაკებოდა დღეების განმავლობაში და ერთადერთი, რასაც ცდილობდა, ტყეში განმარტობა იყო. სწორედ იმ პერიოდში, ერთხელაც, როცა დავითი ტყეში ჩამოქვეითდა, იქვე, შორიახლოს, ხეებს შორის რაღაცამ გაიშლიგინა. მეფემ მშვილდი შემოიხსნა, სწრაფად მომართა და დამიზნებაც დააპირა, მაგრამ უცებ აღმოაჩინა, რომ ეს თეთრწვერა, თმაგაწეწილი და ფართხუნა ტანსაცმელში გამოხვეული ადამიანი იყო. თუმცა, მიუხედავად ასაკისა, ძალიან მოქნილად და სწრაფად მოძრაობდა. დავითი უკან მიჰყვა, დაუმახა კიდეც, მოიცადეო, მაგრამ უცნობი მოხუცი კვლავ მიშლიგინებდა, ხან ხეებს ეფარებოდა, ხანაც ბუჩქებში დამალვას ცდილობდა. მეფემ ისევ შემართა მშვილდი. უცნობი წამით შედგა.

– არ მომკლა, ბერიკაცი ვარ, – უთხრა დავითს ძალიან სევდიანად და მეფეს მოეჩვენა, რომ ეს მოხუცი კაცი მამამისი, გიორგი იყო. დავითმა მშვილდი მიაგდო, რომ უფრო ადვილად გაჰკიდებოდა მას, მაგრამ მოხუცი დაუჯერებელი სისწრაფით გარბოდა და თითქოს არც კი ესმოდა მეფის ხმა, რომელიც მამას ემახდა. დავითმა ვერ მოიხელთა მოხუცი მამა. ერთადერთი, რაც გაიგონა, მისი ხარხარის ხმა იყო:

– ტყეებისა და ჯოჯოხეთის ხელმწიფე! მე ვერ მომკლავ, ყველას მოკლავ, მაგრამ მე ვერასოდეს!

დავითმა შეწყვიტა დევნა. გახევებული იდგა.

მერე მუხლი მოეკვეთა და ჩაიკეცა.

მინდობაი არაბიძემ იმ ტყეში სატევრით გაკაფა ტოტები და ასე გრძნობადაკარგული იპოვა კიდევ საქართველოს მეფე დავით ბაგრატიონი...

კარნუ

რამდენიმე დღის შემდეგ სწორედ მინდობაი არაბიძემ აცნობა დავითს იერუსალიმის მეფის დატყვევების ამბავი და ისიც უთხრა, რომ ტყვე კარნუ-ქალაქის კლდეებთან ჰყავდათ ციხე-სიმაგრეში.

– ჯვაროსნები ვერ დაიხსნიან? – ჰკითხა დავითმა.

– ციხესიმაგრე, სადაც ტყვედ ჰყავთ, მათთვის მიუვალია და თანაც, იერუსალიმის მეფე ჩვენი გამარჯვების საპასუხოდ დაატყვევეს.

– ჩვენ რა შეგვიძლია?

– გამოსყიდვა ფუჭი მცდელობა იქნება, არარა ფასად არ დაგვითმობენ.

– არდახმარებაც იერუსალიმის მეფისა ჩვენგან არ ეგების.

– საქრისტიანოს სახელით დახმარებაც შენ გთხოვეს.

– სახიფათო იქნება.

– რისკი იქნება, მაგრამ თუ ფხოველებს გაგზავნი, ჩემი ხალხი თუხარისიდან უმეგზურებს მათ და ციხის ძირამდეც მიიყვანს, ციხის გაღავანზე გადავლებას კი თუშებზე უკეთ სხვა ვინღა შეძლებს. შულიას კი, თუ თავისი ფშავლების წყყვანასაც უბრძანებ, მათი სიმკვირცხლეც შეემატებათ და ხმალსა და მშვილდს ლექსსაც მიაშველებენ.

დავითი წამით ჩაფიქრდა, მერე გაელიმა და შულიას დამიძახეთო, – ღიმილითვე ბრძანა.

შულია, ღიშპანელი და მათსა გორდოს მშობლიურ სოფელ ხალიბაურთაში კლდეებში გამოკვეთილ რკინის სამჭედლოებს ათვალიერებდნენ. იმ გამოქვაბულებს შორის გაყვანილ გვირაბებში გორდო ამაყად დააბიჯებდა. გამოქვაბულებში რკინაზე მუშაობისა და სამჭედლოებისათვის დამახასიათებელი ხმები ისმოდა. გორდომ დანარჩენები გამოქვაბულის კიდესთან მიიყვანა, ხმაურს გამოარიდა ისინი, მაგრამ მაინც ყვირილით გაიშვირა ხელი მთებზე შეფენილი სოფლებისკენ:

– აი, ეს ორი სოფელიდა დავრჩით ძველი ხალიბები, ჩვენ გარდა კიდევ მხოლოდ კახეთში იციან, მარტო ერთ სოფელში, რკინის მიღება, და სულ ეს არის.

სათქმელი რომ დაამთავრა, გორდომ ხელი მოიჩრდილა, რადგან ქვემოდან ამომავალ ბილიკზე სამეფო კარის მხედარი დაინახა, რომელიც საშინელი სისწრაფით მოაჭენებდა ცხენს გამოქვაბულებისაკენ.

– მშვიდობაა? – გადასძახა მაისამ.

– მეფე შულიას უხმობს! – მეტი არც არაფერი უთქვამს დავითის შიკრიკს.

რა დრო დასჭირდებოდა შულიას მეფემდე მისაღწევად, ადვილი გასარკვევია – რასაკვირველია, წამები. შულია ლამის გაფრინდა.

დავითი სასახლის ეზოში დახვდა და შულიას დანახვისთანავე გაეღიმა. მერე პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

– იერუსალიმის მეფე დაატყვევეს და მინდობაი არაბიძემ შენი გაგზავნა მირჩია მის გამოსახსნელად.

– პირდაპირ ეგრე გითხრა, შულია გააგზავნეო?

– კი, ეგრე მითხრა, მაგ საქმეში მაგაზე უკეთესი არც არავინ მეგულებათ...

– მაისას და ღიშპანელს წავიყვან.

– უკანა გზაზე ის ციბუკა წამომიყვანეთ, ჩემს ცვატას უკვე სჭირდება კარგი მეგობარი, ხომ გახსოვს ციბუკა, ქართლში რომ გვიმასპინძლეს პურით და თევზით.

– ცვატა გაგვეგზავნა იქით, სასახლესაც მომორდებოდა ცოტა ხნით და სოფლის ბავშვებთანაც გაიზრდებოდა.

– ჯერ აქეთ წამოიყვანეთ და ცოტა ხანში ორივეს ერთად ციბუკას დედასთან გავგზავნი.

– ჩვენც ასე არ გავიზარდეთ?

– ჩვენც ასე ვიზრდებოდით.

– ბავშვობა გენატრება ხოლმე?

– კარგ მეფეს ბავშვობის მოსანატრებლად დრო არ უნდა ჰქონდეს.

უცებ მეფე ძველქართულად, მხარზე ამბორით დაემშვიდობა შულიას. შულიას გაუკვირდა მისგან ასეთი დამშვიდობება, რადგან გულაჩუყებული დავითი მანამდე არასოდეს უნახავს.

თუხარისთან, ვიწრო და ძალიან ლამაზ ხეობაში, შულიას, ღიშპანელსა და მაისას, რომლებსაც ერთგული რაზმიც ახლდათ თან, არაბიდის მსტოვრები ელოდნენ. ისინი ჯერ ერთმანეთს მიესალმნენ, მერე კი ერთად გააგრძელეს გზა, რომელიც კიდეც უფრო ლამაზი გახდა. თუმცა ბუნებით ტკობის დრო მათ არ ჰქონდათ, რადგან ძალიან სწრაფად მიდიოდნენ და როცა მეორე დღის ბოლოს ჩამავალი მზის ფონზე კლდეზე გადმოკიდებული ციხესიმაგრე გამოჩნდა, მხოლოდ მაშინ შეჩერდნენ. მინდობაი არაბიდის მსტოვრებმა უკან გაბრუნებამდე ხელები გაიშვირეს ციხესიმაგრისაკენ და რჩევა მისცეს შულიასა და მისი რაზმის წევრებს:

– დღისით ვერ მიუახლოვდებით, ღამით უნდა იაროთ, ყველგან ხალხი ჰყავთ დაყენებული.

– რა ხალხია? – იკითხა მაისამ.

– თავისი.

– თვითონ რა ხალხია?

– თვითონ ქაჯებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ადამიანებს, და ამიტომაც მიპარვას უფრო გირჩევთ, ვიდრე ხმალდახმალ მისვლას.

მინდობაის ხალხს თავისი მისია უკვე შესრულებული ჰქონდა. შულიასა და სხვებსაც მშვიდობა და გამარჯვება უსურვეს, გატრიალდნენ და წავიდნენ. შულიამ მიაძახა:

– მაშ, ეგ დაგავალათ არაბიდემ, რო შულია ქაჯებს შეატოვეთ და მაშინვე უკან გამობრუნდითო?!..

მთვარის შუქზე მხოლოდ ძალიან დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა მცირერიცხოვან ქართულ რაზმს, რომელიც ვიწრო ხეობებში ფრთხილად მიიკვლევდა გზას. ქართველები განსაკუთრებით იმ ადგილების გავლისას ფრთხილობდნენ, სადაც შესაძლოა ჩასაფრებულები ყოფილიყვნენ.

მზის ამოსვლისას კი კლდეზე აშენებული ციხესიმაგრე მართლაც ულამაზესი, მაგრამ იმდენად მიუვალი ჩანდა, რომ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, თუ როგორ უნდა გამოეხსნათ ამ ციხეში დატყვევებული იერუსალიმის მეფე, სამი ქართველი სათათბიროდ დადგა. მათი სათათბირო, ძალიან ჰგავდა `ვეფხისტყაოსნის` პერსონაჟების სათათბიროს ქაჯეთის ციხის აღების წინ, მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი ჯერ დაწერილიც არ იყო.

გადაწყვეტილების მიღებისთანავე ყველამ თავისი ფუნქციის შესრულება დაიწყო და ვისაც ეს ევალებოდა, ისე სწრაფად დაიწყეს იმ ციხის ციცაბო კედლებზე აცოცება, შულიამ გალიმებაც კი ვერ მოასწრო. ციხის მცველ მეციხოვნეებზეც ქართველებმა ისე სწრაფად განახორციელეს თავდასხმები, რომ კაცი ძლივს მოასწრებდა დაკვირვებას იმ ილეთებსა და იარაღებზე, რომლებიც შტურმის დროს გამოიყენეს. ქართველები

ლაღად და გაბედულად მოქმედებდნენ, ძალიან მალე სწორედ იმ დილეგის კარიც გააღეს, სადაც ბალდუინ მეორე ჰყავდათ დატყვევებული. შულია ომახიანად, ქართულად მიესალმა იერუსალიმის მეფეს:

– მეფეს გაუმარჯოს!

გამხდარი და საკმაოდ შეცვლილი იერუსალიმის მეფე ძალიან გაკვირვებული ჩანდა იმით, რაც ხდებოდა, მით უმეტეს რომ გამათავისუფლებლები არ ეცნობოდა. შულია, ამ გაკვირვების საპასუხოდ, ხუმრობდა:

– ვერ გამიხსენე? საქართველოში რომ ბრძანდებოდი, ჩურჩხელა პირველად მე არ გაგასინჯე? დავით მეფეც არ გახსოვს?

დავითის ხსენებაზე ბალდუინის თვალეში სიხარულის ნაპერწკლებმა გაიელვეს და ჯვაროსანთა მეფემ პირის გაღებაც დააპირა მადლობის სათქმელად, მაგრამ მადლობის დრო აღარ იყო, რადგან გარეთ ბრძოლები ჯერ ისევ მიმდინარეობდა და ახლა მთავარი მეფის სამშვიდობომდე გაყვანა იყო. თუმცა მას მოძრაობაც კი უჭირდა ტყვეობის გამო და შულიამ და მაისამ იგი ხელით გაიყვანეს ციხის გაღვანამდე, საიდანაც ჯვაროსნების მეფე საკაცით ჩაუშვეს ქვევით, კლდეზე გადმოკიდებული თოკებით. ფხოველები მაისას მითითებებს ზუსტად და სწრაფად ასრულებდნენ და ციხის კედელზე ისე ეშვებოდნენ, რომ მეფე ისრებისაგან ფარებით დაეცვათ. ქვემოთ გამზადებული ცხენებიდან ერთ-ერთზე მაისამ თავად შემოისვა ღონემიხდილი ბალდუინი.

ციხესიმაგრიდან ყველაზე ბოლოს შულია ეშვებოდა და როცა მიწამდე სულ რამდენიმე მეტრი რჩებოდა, სწორედ მაშინ დაჭრეს. მას საკმაოდ შორიდან ნასროლი ისარი მოხვდა, საპასუხოდ ქართველებმა მსროლელი მაშინვე ისრებით დაცხრილეს. შულია კი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ცხენისკენ და მათრახიც მოიმარჯვა, მაგრამ ძალა აღარ ეყო და მუხლი მოეკვეთა.

მტერი კი ამასობაში კლდეს ჩამოუყვია და რამდენიმე მათგანმა ალყაში მოაქცია დაჭრილი შულია, რომლის გარშემოც წრე ნელ-ნელა დაპატარავდა. თუმცა შულიამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ზურგსუკან ჯვარედინად ჩადებული ორი ხანჯალი ამოაძრო და მუხლებით წრეზე ისე დატრიალდა, როგორც ამას ქართული ცეკვებისას ასრულებენ. თანაც ეს ისე სწრაფად გააკეთა, რომ მისი ხანჯლებით ფეხებგადაჭრილმა მოწინააღმდეგეებმა გონს მოსვლაც კი ვერ მოასწრეს. სწორედ ამით ისარგებლა დასახმარებლად მობრუნებულმა მაისამ, რომელმაც შულია ცხენზე შემოისვა და სამშვიდობოს გაიყვანა.

როცა საკმაო მანძილით დაშორდნენ ციხესიმაგრეს, შეჩერდნენ, რათა შულიას ჭრილობა ენახათ. მაგრამ შულია უკვე ძალიან მძიმედ იყო და მაისას რაღაცის სათქმელად ხელით მოუხმო. მაისა დაიხარა, რომ შულიას ჩურჩხელისთვის ყური დაეგდო.

– მაგას რო თავისიანებს ჩააბარებთ, პატარა ციბუკა დაიმგზავრე სასახლისკენ და ჩემი ხმალი დედამისს გადაეცი, რომ ციბუკას შეუნახოს, სანამ ის და უფლისწული გაიზრდებიან. მეფეს რო ნახავ, ჩემგან მაღლობა უთხარი ყველაფრისათვის და გულზე აკოცე. დედაჩემს რა უნდა უთხრა, ისედაც იცი...

მაისამ აღარ დაამთავრებინა შულისას სათქმელი და მაშინვე ბრძანა გზის გაგრძელება, რომ პირველივე ქართულ სოფელში დაჭრილისთვის მკურნალი მოეთხოვათ. თუმცა შულიამ ალბათ მხოლოდ დანახვა თუ მოასწრო იმ ქართული სოფლის კონტურებისა, რადგან როცა მოლაშქრეები სოფელში შევიდნენ, იგი უკვე გარდაცვლილი იყო. მზეც გარდაცვლილს ჰგავდა იმ დღეს, ისე ნელა და სევდიანად ჩავიდა სადღაც ჰორიზონტს იქით და ქართულ სოფლებს დაბინდული ქლიავის ფერი დაედო...

შულისას მშობლიურ სოფელში, ბანიანი სახლების სახურავებზე, შავად შემოსილი ადამიანები იდგნენ და მეფესა და მის ამალას მდუმარედ ელოდნენ. დავითს სიკვდილი მოჰქონდა მათთვის – მეფე სხვებთან ერთად შულისას ცხედარს მოასვენებდა მის მშობლიურ სოფელში და შულისას დედაც მომლოდინეთა შორის გაუნძრევლად იდგა. ის მაშინაც არ განძრეულა, როცა დავითი გადაეხვია მას.

– მაპატიე, დედა, შვილი დაგიბრუნე, – ჩასჩურჩულა დავითმა შულისას დედას და მეტი არც არაფერი უთქვამს...

შულისას გარდაცვალებიდან ძალიან მალე დავითმა იმ ბერის ნახვა მოინდომა, რომელსაც ფილიპე ერქვა და მაისასთან ერთად სენაკში ესტუმრა კიდეც. მეფის დანახვისთანავე ფილიპე ბერი ჯერ ფეხზე წამოდგა და მერე დაიჩოქა.

– ადექი, ფილიპე, დღე არ ითმენს, – უთხრა მეფემ და ოთახში მიმოიხედა, – ერთი ის რკინის ყუთი მაჩვენე.

ფილიპემ მაგიდა გამოსწია, იატაკიდან ორი ფილა ამოიღო და მერე რაღაც ფიცრებიც ამოალაგა. დიდი მუხის ზანდუკი გამოჩნდა, რომელიც დავითმა გასაღებით გახსნა. შიგნით კიდეც ერთი რკინით შექედილი ყუთი იდო და მეფემ ისიც გახსნა გასაღებით. იქ კიდეც ერთი რკინის პატარა ყუთი აღმოჩნდა. სწორედ იქ ჩადო დავითმა უბიდან ამოღებული გრაგნილი. სწრაფად ჩადო და სწრაფადვე ჩაკეტა. მერე მაისაც მიეშველა ფილიპეს და ყუთი ყუთში მოათავსა, ის ყუთი – უფრო დიდ ყუთში და ფიცრები და ფილებიც უკანვე, თავის ადგილას დააბრუნეს.

– ეგ რა მძიმე ყუთი გქონია, – თქვა გახვითქულმა მაისამ.

– პირველად ნახე? – ჰკითხა მეფემ.

– ხო.

დავითმა ფილიპეს შეხედა, ფილიპემ კი პირჯვარი გადაიწერა იმის დასტურად, რომ ამის შესახებ სიტყვაც კი არავისთან დასცდენია.

მეფე ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა გარეთ და მაისაც ჩქარი ნაბიჯით მიჰყვა უკან. წინ კი, პირველსავე შემოსახვევში, მინდობაი შემოხვდათ. აშკარა იყო, არაბიძე სწორედ მათ ელოდა. დავითიც თითქოს შეცბა:

– აქ ხარ...

– აქ ვარ.

– უშენოდ კაცს ასო ვერ გამოუყვანია.

– მერამდენედ.

მერე მინდობაი მაისას მიუბრუნდა:

– იცი, რომ მეფემ ანდერძი დაწერა?

მაისამ თავი გააქნია:

– მეც არა ვთქვი, რა ხდება...

– ჰო, მეხუთედ დაწერე, – თქვა მეფემ, უცებ მიტრიალდა და იმ ოთახში შებრუნდა, სადაც ფილიპე სიგელ-გუჯრებს წერდა და საიდანაც სულ რამდენიმე წუთის წინ გამოვიდა მაისასთან ერთად. მაისა და მინდობაიც უკანვე მიჰყვნენ დავითს და მათ ის გაიმეორეს, რაც რამდენიმე წუთის წინ გააკეთეს. ის ზანდუკიც ისევ გახსნეს და გრაგნილიც ამოიღეს. მეფემ ქალაქი უბეში შეინახა და კვლავ ჩქარი ნაბიჯით გავიდა გარეთ.

– რა ოფლი გადინდა დღეს ფილიპე ბერს! – თქვა მაისამ და მეფე დავითს მიჰყვა, რომელსაც დერეფანში მსახურები და სეფექალები თავის დაკვრით ეგებებოდნენ, ის კი ხელის აწევით ესალმებოდა ყველას. მერე აივანზე გავიდა, საიდანაც ეზოსკენ ჩამავალ კიბეს დაუყვა და ეზო გადაკვეთა. მოპირდაპირე მხარეს ჩარიგებული სახელოსნოებისკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯით და იქითა მხრიდან საქმიანი იერით მომავალი დემეტრე დაინახა თანმხლებთან ერთად. ისინი შედგნენ და მეფეს თავის დაკვრით მიესალმნენ, დავითმა კი გზა განაგრძო, თან ხელი აუწია შვილს:

– სიცოცხლე უფლისწულს, უფლისწულს სიცოცხლე!..

მაისამ მხრები აიჩეჩა გაკვირვებული დემეტრეს დასანახად და მეფეს სამჭედლოში შეჰყვა, სადაც მათ არავინ დახვდათ. თუმცა შიგნით ცეცხლი ენთო.

დავითმა უბიდან გრაგნილი ამოიღო, სწრაფად დახია და ცეცხლში შეყარა. დაელოდა, სანამ ბოლომდე დაიწვებოდა ანდერძის ტექსტი და ფერფლიც საგულდაგულოდ გადაურია ჯოხით, მერე გაღიმებული მოტრიალდა და ამოიოხრა, უფრო სწორად, ამოისუნთქა...

პატარა, მზით განათებულ ოთახში ვახტანგი იჯდა მაგიდასთან და ხატავდა.



დედოფალმა შემოსვლისთანავე ახარა შვილს:

– აი, ვინ დაბრუნდა.

კარში ბუღმამ შემოიჭყიტა, მერე კი ხმაურითა და სიცილ-ხარხარით შემოვარდა ოთახში, პატარა ვახტანგი ხელში აიტაცა და მოეხვია. ბავშვის კოცნით რომ გული იჯერა, უბიდან ამოღებული რაღაც უცნაური ავგაროზი ვახტანგს მაჯაზე შეაბა.

– ეს პაპამ გამოგიგზავნა. რაც უნდა რა ცუდი შეგხვდეს, დაამარცხებს, – უთხრა პატარა ვახტანგს, რომელმაც ავგაროზი დიდი ინტერესით შეათვალიერა. თვითონ ბუღმამ კი მის ნახატებს დახედა:

– ეს რაები დაგიხატია. სახედარი დაგიხატია.

– იერუსალიმში შესვლაა, ეს ზეთისხილის რტოებია.

– ამას უყურე, უკვე დიდი სწავლული კაცი ხარ. ოღონდაც, გაისად მაინც წაგიყვან ყივჩაყეთში. ვინავარდებთ, ვიმხიარულებთ, შენი ტოლები ისე მოგელიან...

– ეგ მეფეს არ უთხრა, – შეაწყვეტინა უცებ გურანდუხტმა.

– რატომ?

– თვითონაც სულ მაგას ამბობს – ყივჩაყეთში უნდა წახვიდეთო.

ბუღმამ გაოცებული სახით შეხედა დედოფალს, გურანდუხტმა კი თავი გააქნია უკმაყოფილოდ.

– მეფე კი არ მინახავს ჯერ, – თქვა ბუღმამ და დედოფლის პასუხს დაელოდა.

– არც არის სასახლეში.

– სად არის?

– ლაშქარი ემზადება. მგონი ანისზე წავლენ.

გახარებულმა ბუღმამ ტაში შემოჰკრა და ვახტანგს მიმართა:

– არწივო, მამ ვილაშქროთ ანისს?

ვახტანგმა მხრები აიჩეჩა.

ლაშქარი კი მართლაც ანისისთვის ემზადებოდა, მაგრამ საბრძოლო წვრთნების გარდა თვალშისაცემი იყო მრგვლად დათლილი ბევრი, ერთად დახვავებული ქვა. იქვე, კლდეებთან, ამ ქვების მთლელებიც მუშაობდნენ. დემეტრემ მამამისს საქმიანი იერით მიმართა:

– ურმები გვინდა, კიდევ სამასი ურემი გვინდა ქვების საზიდრად.

დავითი თითქოს არ უსმენდა, ისე უპასუხა:

– სხვანაირი ხალხია ქვის მთლელები – ვითომ უბრალოდ ქვას თლიან, სინამდვილეში კი სიკვდილს თლიან.

– მჭედლებიც სიკვდილს თლიან, ასე რომ, წაჰყე.

– ცხოვრებაც სიკვდილის თლა გამოდის, არა?

დავითმა ჯიქურ შეხედა დემეტრეს. დემეტრემ კი ღიშპანელს გადახედა.

– აგე, იქედან, – დავითმა ჯერ ერთი მთისკენ გაიშვირა ხელი, მერე – მეორე მთისკენ, – აი, აქამდე, ბანაკი გვაქვს გაშლილი. აბა, რამდენი ბიჭი იქნება იქედან აქამდე?

– გავაზომინებ, თუ საჭიროა, – თქვა მაისამ.

დავითს კი გაეცინა:

– რომ გააზომინებ, გული გაგისკდება, რამხელა ადგილი ყოფილაო. მთელ ამხელა ადგილზე სიკვდილსა ვთლით. სიკვდილისთვის ვამზადებთ.

დემეტრე დუმდა, დავითმა კი განაგრძო:

– მამაჩემ გიორგის ამდენი ქვა რომ ენახა, სიხარულისგან მღერას დაიწყებდა. არა ჰქონდა ქვა, სამაგიეროდ, სიკვდილს არ თლიდა. ვერ თლიდა. აღარ ვიცი, ღონი არ მოსდევდა ამის, ქისა არ ჰქონდა, თუ არ უნდოდა.

მერე დავითმა ცოტა ხანს იყუჩა და როცა სამჭედლოთა რიგს მიუახლოვდნენ, ერთ-ერთ სამჭედლოსთან შეჩერდა, იქვე ერთი ხმალი აიღო და მჭედლებს გახედა.

მჭედლებმა დაიჩოქეს. მათ შორის ყველაზე ასაკოვანს დავითმა მაშინვე ხელი შეაშველა:

– ადე, პეპიავ, კიდე დაჩოქება გაკლია?

მეფემ ხმალი შეათამაშა, უცებ ხელი გაუშვა და დემეტრეს მიუბრუნდა:

– რაღაცა უნდა მეჩუქნა შენთვის. ეხლა აღარ ვიცი, გაჩუქო, თუ არა.

დავითმა ალექსანდრეს მონეტა ამოიღო და შვილს აჩვენა. დემეტრე ყურადღებით დააკვირდა.

– ძველია ესა, ალექსანდრე დიდია.

მეფემ ისევ შეინახა მონეტა და დემეტრეს მხრებზე ხელები დაადო. მერე თვალებში ჩახედა:

– ანისზე მივდივართ...

არსენ ბერს კი მანამ ესტუმრა, სანამ ანისისკენ დაიძრებოდნენ. ბერი თავის სენაკში იჯდა, როცა უცებ კარი გაიღო და მეფე შევიდა. არსენ ბერი წამოდგა და თავდახრილი იდგა, სანამ დავითმა არ ანიშნა, დაჯექიო და მეფეც დაჯდა. დავითმა მხოლოდ ამის შემდეგ ჰკითხა:

– არსენ ბერო, რას იტყვი ჩემს უმცროს ვაჟზე?

არსენ ბერი დაიბნა.

– ის კი არა სთქვა, რასაც მაგ გუჯრებში წერ, პირმშვენიერიაო.

არსენ ბერმა ისევ თავი დახარა.

– მანდ რასაც სწერ, არსენ ბერო, იმით მე ვერ დამარწმუნებ. ვილაცისთვის წერ, ვისაც ვერც შენ დაინახავ და ვერც მე. ისინი ჩვენ ვერ დაგვინახავენ და შენი ბრძნული სიცრუე შერჩებათ ხელში. რატომ არ დაწერ იმას, რასაც იმ დღეს გელაპარაკებოდი?

– მატთანე ჩვენთვის არ არის. მატთანე...

– კარგი, – გააწყვეტინა ძლივს ალაპარაკებულ არსენ ბერს, – ამის გამოსარკვევად არ მოვსულვარ. თუ დამჭირდა, მე თვითონ დავწერ მატთანეს. ცვატაზე რას იტყვი?

– მოწაფეობით განთქმულია...

დავითმა გაიცინა:

– ვისი მოსახელეა, თუ იცი?

არსენ ბერმა თავი დაუქნია.

– ვახტანგ გორგასლის მოსახელეა, – თვითონვე უპასუხა მეფემ, – მაგ მატთანეებში რა წერია ვახტანგ გორგასალზე, რა დაუწერიათ? გოლიათი ყოფილაო და მაინც უკნიდან მოუკლავთ. ილლიის ქვეშ გაუტარებიათ ისარი. შენ თუ გიფიქრია, არსენ ბერო, რომ მეფეს აი, ეს ხმალი არ ეხას წელზე, იყოს კეთილი, მოსვენებული, სიგელ-გუჯრითა და ანაბანით მართავდეს ქვეყანას და ცოდვათ კი არ ინანიებდეს, არამედ – არ სჩადიოდეს?

არსენ ბერი პირდაღებული შესცქეროდა მეფეს.

– ბერი იყოს, ოღონდაც მეფე.

– არ მიფიქრია.

– ვახტანგს შეეძლება ესა, ოღონდაც უნდა დააცალონ.

არსენ ბერი კიდევ უფრო გაოცებული უყურებდა დავითს, რომელიც აგრძელებდა:

– ეს იცოდე, არსენ ბერო. ანდერძი დავწერე და ცეცხლს მივეცი, დემეტრეს შემდეგ რომ ვახტანგმა იმეფოს. უაზრო იყო. ასე ეგონებათ, რომ საომარს ვტოვებ. იმიტომ, რომ სულ სიკვდილი და სიძულვილია ქვეყანაზე.

– ნუ გაიხედავ ასე შორს, – სთხოვა უცებ მეფეს არსენ ბერმა, – ეს ძალიან შორს არის, ფიქრი ვერ სწვდება.

– მამაჩემი... – მხოლოდ ეს თქვა საპასუხოდ დავითმა და კერიიდან ნახშირი აიღო, კედელს მიუტრიალდა, ნახშირით რამდენიმე ხაზი ჩამოუსვა და ჩაფიქრდა. მერე კიდევ რამდენიმე ხაზი ჩამოუსვა კედელს, კიდევ ცოტა ხანს შეყოვნდა ისევ ჩაფიქრებული და წავიდა...

ქართული ჯარისა და ტვირთის უზარმაზარი მასა უკვე დაძრული იყო ანისისკენ, როცა დედოფალმა პირჯვარი გადაწერა საბრძოლოდ ჩაცმულ დავითს და შუბლზე აკოცა მას. მეფემ ხელებზე ხელები მოუჭირა დედოფალს და ვახტანგი დაინახა, რომელიც დიდ ყუთს მოათრევდა. ყუთი წიგნებით იყო სავსე.

დავითმა მძიმედ აიყვანა ვახტანგი და პირდაპირ ჰკითხა:

– შენ იცი, სწავლულო, რას იტყოდა პლატონი?

შვილმაც პირდაპირ უპასუხა:

– პლატონი იტყოდა, რომ ფილოსოფოსმა...

ყველას გაეცინა. მეფემ ვახტანგი ძირს ჩამოსვა, დედოფალს დაემშვიდობა.

– მე და შენ...

– მე და შენ.

დავითი ამხედრდა, ცხენიდანვე თანმხლებ ბერს მოუხმო და ყუთიდან ერთ წიგნი ამოაძრობინა. ღიშპანელი იქვე, ცხენდაცხენ უტრიალებდა მეფეს გარშემო. ღიმილით უთხრა მას:

– ამის კითხვაში თუ გასცდები ადგილს.

– შულისასავით იხუმრე, – თქვა დავითმა და უცებ ორივეს გაეცინა. თუმცა სიცილი უცებვე მოსხიპეს, ცხენები გააჭენეს და უკვე დაძრული ლაშქრის სამეფო მწკრივს შეუერთდნენ...

ანისის კედლების ალყისას, როცა ქართველები ლოდსატყორცნებით ესროდნენ უზარმაზარ ქვებს ქალაქის კედლებს, დემეტრე უფლისწული ძალიან აქტიური და გამორჩეული იყო. მამამისსაც ეს არ გამორჩენია. დაინახა კიდევ შტურმის დროს შვილი, როცა ის ერთ ადგილას კედლის შენგრევას ხელმძღვანელობდა. ამის მერე ბრძოლებმა უკვე ანისის ქუჩებში გადაინაცვლეს. იქაც გამორჩეული იყო დემეტრე და

როგორც კი ბრძოლები დასრულდა, უფლისწულმა ქალაქის მოსახლეობისთვისაც მოიცალა – მაშინვე მკვიდრ მოსახლეობასთან გააბა საუბარი. მოხუცებს ისე ეხვეოდა, რომ არც ეს გამორჩენია მამამისს. უცებ ვიღაც ანისელმა დავითი იცნო და ყველას გასაგონად დაიყვირა:

– მეფე, ქართველების მეფე!

ხალხი ორად გაიყო. დავითი მაშინვე ცხენიდან ჩამოქვეითდა და თავისი ამაღლის თანხლებით ეკლესიისკენ წავიდა, კარებთან დაემხო და ეკლესიის ზღურბლს ეამბორა. ცოტა ხანს ასე დამხობილი დარჩა და იქ მყოფმა ხალხმაც დაიჩოქა. როცა დავითი წამოდგა და ეკლესიაში შევიდა, სომეხი მღვდლები გამოეგებნენ. დავითმა თვალებით რაღაცას დაუწყო ძებნა. საფლავის ქვებს დააცქერდა, მერე ერთ-ერთისკენ გაეშურა, სწრაფად დაიჩოქა ცალ მუხლზე და საფლავის ქვას ჩასძახა:

– გიხაროდეს, დედოფალო, ქრისტეანები ისევ დაბრუნდნენ!..

მერე წამოდგა და დემეტრეს შეხედა სევდიანად.

მინდობაიმ კი ღიშპანელს გადახედა.

ღიშპანელმა ხმადაბლა იკითხა:

– უფლისწულს ებოდისშება?

მინდობაიმ მხრები აიჩეჩა.

ანისის სასახლის ერთ-ერთი ოთახში დავითს თავისი მეწამლე ბერი დასტრიალებდა თავს და იმ პროცედურისთვის ამზადებდა, რომელიც არაერთხელ გაეკეთებინა მისთვის. დავითი მექანიკურად ასრულებდა ბერის მითითებებს. მერე ტანზე დიდ, წამლით გაჯერებულ დოღბანდს ახვევდა მეფეს.

გარედან მხიარულების ხმა მოისმოდა – ქართველები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

სამკურნალო პროცედურის გასრულების შემდეგ მკურნალი ბერი ჩაცმაშიც დაეხმარა დავითს, რომელიც ფრთხილად წამოდგა და მოსასხამი მოიხურა. გარეთ გავიდა უხმაუროდ და აივნიდან ღამის ცას ახედა. ერთხანს ასე იდგა, მერე აივანს გაუყვა და მოსასხამი თავზე წამოიფარა. დაბლა ჩავიდა იმ ადგილის მოსამებნად, სადაც დემეტრე და მისი მეგობრები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

როცა მათ კოცონს მიუახლოვდა, დემეტრეს დაუძახა. მეფის დანახვისთანავე სიცილ-ხარხარი და ხალისი იმ წამსვე მოისხიპა და ყველამ ცალ მუხლზე დაიჩოქა.

დავითი მებრძოლებს ერთხანს მშვიდად დააკვირდა და მერე ყველაზე ახლოს მდგომი წამოაყენა.

– ისეთები ხართ, ჩვენ რო ვიყავით ადრე. ოღონდ ჩვენ დაჩოქება არ გამოგვდიოდა. ძლივს ვისწავლეთ. მეფე არ გვაწუხებდა და იმიტომ, – თქვა დავითმა დანარჩენების გასაგონადაც.

მერე დემეტრეს დაუძახა, რომელიც თავი-სიანებს გამოეყო. მეფემ შვილს მხარზე ხელი მოხვია. გაინაპირეს. დემეტრეს აღელვება შეეტყო.

– უკვე მეფე ხარ, – უთხრა უცებ დავითმა, – ყოველთვის მეფე იყავი. იქაც, დიდგორშიც. ახლა კი ნამდვილი მეფე ხარ.

დემეტრემ თავი ჩაღუნა. დავითმა კი განაგრძო:

– შეგიძლია ხვალვე შეიქნე მეფე, ოღონდ უჩემოდ არ გააკეთო.

დემეტრემ დაბნეულობისგან არც კი იცოდა, რა ეპასუხა.

– ის გააკეთე, რასაც გული გეტყვის, – გააგრძელა დავითმა, – ჩემი თქმის დროა და იმას გეუბნები, რაც მამაჩემს არ უთქვამს ჩემთვის.

ერთხანს ჩუმად იყვნენ. მერე ისევ მამამ თქვა:

– როცა მე აღარ ვიქნები, ეცადე შეიტკბო და შეიფერო დედოფალი და შენი ძმა. შენი ძმა მონასტრისთვის არის გაჩენილი. ეს დაიმახსოვრე. მეფეები თვალებს სთხრიან ძმებს. მე არასდროს მყოლია ძმა. ალბათ მინდობაი ამოთხრიდა თვალებს. შენი ძმა ივარგებს მეფედ. სულ სხვანაირი მეფე იქნება. ისეთი არა, როგორც მე და შენ.

დემეტრემ ცალ მუხლზე დაიჩოქა და მხოლოდ ასე უპასუხა დავითს:

– ამაზე არ მიფიქრია...

დავითმაც ჩაიმუხლა და ისე გააწყვეტინა შვილს სათქმელი:

– გიფიქრია. არ გეტყოდი, რომ არ გეფიქრა. ეს იყოს ჩემი ანდერძი. მოძებნონ დედაშენი. მე გავგზავნი ხალხს იერუსალიმში.

დემეტრემ თავი გააქნია და მამას თვალეებში შეხედა:

– უკვე მოვძებნე. საფლავია დედაჩემი. მონასტრის ეზოში.

დავითს უცებ ძალიან მოუნდა, კისერზე მოევლო ხელი დემეტრესთვის და შვილი გულში ჩაეკრა, მაგრამ თითქოს ხელი ჰაერში გაუშეშდა...

სენაკში არსენ ბერმა დავითის დუმილით ისარგებლა და სიტყვა შეაპარა:

– გემუდარები, მეფეო, ნუ იყურები ასე შორს.

– ძალიან ახლოს ვიყურები, – უპასუხა დავითმა მშვიდად, – ამ ქვეყანას აღარაფერი სჭირდება, მეც არ ვჭირდები..

– მონასტერი არ არის ის ადგილი, სადაც შენ დაეტევი.

– მამაჩემიც ასე ამბობდა, მონასტერი არ არის ის ადგილი, სადაც მონადირე დიდხანს გაძლებსო. ამიტომაც წავიდა ტყეში.

არსენ ბერი კედელთან მიყრილ ნახშირებს დააკვირდა. მერე კედელს ააყოლა თვალი და აღმოაჩინა, რომ ხაზების რიცხვი გაზრდილიყო. მეფემ კი დაიჭირა მისი მზერა, მაგრამ არაფერი უთხრა და სათქმელი განაგრძო:

– მამაჩემს სულზე ზრუნვისა რცხვენოდა. მეუბნებოდა, რომ ჭუჭყსა და სკინტლში ჩაიმარხა გული. ალბათ უზიარებლად მოკვდა. ერთ დღესაც მოვალ აქ და ცეცხლს მივცემ შენს მატთანებს, არსენ ბერო!

ბერი შეცბა და ფრთხილად შეხედა მეფეს.

– ჩემი გულის რა ჩაგიწერია მანდ... შემტვრეული ჭიშკრებისას რომ წერ?

– ნუ განურისხდები ასე საკუთარ თავს.

– არსენ ბერო, ტყუილისა და მართლის საზღვარზე ვდგავარ. ჯოჯოხეთის ცეცხლი მედება. ვიცი, როგორია ჯოჯოხეთის ცეცხლი და სიმართლის მეტი მას ვერაფერი ჩააქრობს.

– ღმერთია სიმართლე.

– ეგ თხუთმეტი წლისამ ვიცოდი. სიმართლე კი, აი, აქ არის, ჩემი ყველაზე დიდი სიმართლე...

დავითი ადგა და თითი კედლისკენ გაიშვირა.

დავითს სათათბირო დარბაზში საკმაოდ ბევრი ხალხი დახვდა. თავისი სავარძელი დაიკავა თუ არა, დემეტრეს ხალისიანად მიმართა:

– ბჭობთ, უფლისწულო?

– ვბჭობთ, თბილისისას ვბჭობთ, – უფლისწულმაც საკმაოდ ხალისიანად უპასუხა მეფეს.

– თბილისისას? თბილისი ხარკს იხდის. თბილისი ჩვენს ვაჭრებს მეოთხედ ბაჟს დასჯერდა. თბილისის კარი ღიაა. რამე სხვა ხდება თბილისში?

– არ ვიცი. მე თბილისში ფეხი არ დამიდგამს, არც ჩემს მამას სჭერია და არც ჩემს პაპას. სპარსეთში ციხეები გვიჭირავს, ბიზანტიაში ბაჟს არ ვიხდით, იერუსალიმში გვიჩოქებენ და მეფურად გვხვდებიან, შენი გვირგვინისა კი თბილისში არაფერი იციან.

– მე არ მივალ თბილისზე. არც შენ, არც ვინმე ჩვენგან. – მხოლოდ ვაჭრები მივლენ.

– რატომ?

დავითმა ერთხანს არ უპასუხა შვილს და მერე კი პირდაპირ უთხრა:

– ახალი ომი გინდათ.

დემეტრემ მინდობაის გადახედა, რომ მას აეხსნა დავითისთვის, რატომ აპირებდნენ თბილისზე წასვლას.

– თბილისს სულ ყურის გდება უნდა. ათასი ყური და ორიათასი თვალი გვყავს თბილისში, მაგრამ ჩვენ ვერ ვმართავთ. დევს გზაზე და ვისაც არ დაეზარება, ტფილისის მმართველებს უჩურჩულებს რაღაცეებს. იქ არ უხარიათ, რომ ჩვენს ვაჭრებს იაფად იღებენ. იქ არ უხარიათ, რომ...

– ეს ვიცი, – შეაწყვეტინა დავითმა მინდობაის, – თბილისი დიდხანს იყო სხვაგან. ძალიან დიდხანს იყო.

მეფემ ღიშპანელის მზერა იგრძნო, უფლისწულმა კი არაბიდის სიტყვა გააგრძელა:

– იქ ქრისტიანებს ხალხად არ აგდებენ. ურჯულოთა ქუჩებზე არ უშვებენ.

– სადაც ქალაქია, იქ ქრისტიანიც არის და ურჯულოც.

– ყველაფერი მზადაა, მოსახდენიც სწრაფად იქნება, თბი-ლისი ისედაც ალყაშია. გასაღებებს ჩაგვაბარებენ. შევალთ და ვილოცებთ.

დავითმა თავი გააქნია.

– არ გცოდნია, რას ნიშნავს, როცა არავის ყმა არ ყოფილხარ. თბილისს ბატონი არა ჰყავს, ისინი თვითონ მართავენ ქალაქს, უკვე ორმოცი წელია.

– მაგრამ ორმოცი წელია, თბილისის დაბრუნებაზე ოცნებობ და ორმოცი წელია, შენი ხალხი აღთქმული დედაქალაქისკენ მიგყავს.

– მე მელოდებით?

დემეტრემ თავი დაუქნია.

დავითი ერთხანს ჩუმად იყო. მერე წამოდგა და სათათბირო დარბაზიდან გავიდა.

– მელოდეთ. დრო მოვა, თანხმობას ვიტყვი, – გასვლამდე მხოლოდ ეს თქვა. ბუღმა მეფეს მიჰყვა. დარბაზში დარჩენილმა მინდობაიმ დანარჩენებს გადახედა:

– არ უნდა.

– რატომ? – იკითხა დემეტრემ, – თბილისი ისედაც ალყაშია, გარშემო სულ ქართლია.

მინდობაიმ თავი დაუქნია. დემეტრემ კი მხრები აიჩეჩა.



– ეგ არ იფიქრო, უფლისწულო, – უთხრა არაბიძემ გასვლისას და არავის დამშვიდობებია, დარბაზი ისე დატოვა...

დავითი და ბუღმა, მხოლოდ ეს ორნი ისხდნენ მწუხრისას აივანზე, მაგრამ დავითმა ჯერ მაინც მიმოიხედა ირგვლივ და მხოლოდ ამის შემდეგ მიუტრიალდა ბუღმას:

– ძმა, ერთი რამე მინდა დაიმახსოვრო.

– ჰო, ძმა.

– თუ მოგიწევს, ყივჩაყეთში უნდა წაიყვანო შენი დისშვილი.

– ისედაც მე მინდოდა მეთხოვნა.

– არა, როცა დრო მოაწევს. თუ გაჭირდა. თუნდაც დედოფალმა იუაროს და ბრძოლა ბრძანოს. შემოისვი უკან და გა-ქუსლე.

– რისას ამბობ ამას, ძმა?

– მერმისისას. გულში დაიმარხე.

დავითი წამოდგა. ბუღმაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალიან, ძალიან ჩაფიქრებული სახით.

ამ საუბრის მერე იყო, როცა გურანდუხტი, დავითი და ვახტანგი ცხენებზე ამხედრებულები ტყისპირს მიუყვებოდნენ, მეფემ რომ უმცროს ვაჟს უთხრა:

– გავაჭენოთ, ტყეში შევიდეთ. პაპაშენი ტყეს თავის სახლს ეძახდა. მე იცი, რას მემახიან ურჯულოები? ტყეების მეფეს.

დავითმა ეს თქვა და ხუმრობით ქარქაში უჩხვლიტა ვახტანგს ფერდში. უცებ მეფე მოიკუნტა და მუცელზე წაივლო ხელი. ცხენზე თავის შემაგრებას კი შეეცადა, მაგრამ გურანდუხტი მიხვდა, რომ სახუმარო არაფერი იყო და მეუღლესთან ცხენდაცხენ მიიჭრა. შეუძახა კიდევ დავითს, მაგრამ უნაგირზე მოკუნტულმა მეფემ ვერაფერი უპასუხა და გურანდუხტმაც ლოცვა დაიწყო. მერე მიხვდა, დავითს სხვა დახმარებაც სჭირდებოდა და ვახტანგს დაუყვირა:

– გააჭენე და ციხიდან მოიყვანე ვინმე! გააჭენე!

ვახტანგმა ცხენი გააჭენა. გურანდუხტი კი ჩამოქვეითდა, დავითს მოეფერა და მისი ცხენიდან გადმოყვანა სცადა. უზანგიდან ფეხები გამოაყოფინა, მიიხუტა და ფრთხილად ჩამოიყვანა ცხენიდან. ბალახზე დააწვინა და თავთან დაუჯდა მეფეს. მერე კისერში შეუყო ხელი გაოფლილ დავითს. მეფემ კი უცებ, აშკარად ნაძალადევი ღიმილით თქვა:

– რა ღონიერი ხარ, ყივჩაყის ქალო.

– გაჩუმდი, – უთხრა დედოფალმა და ისევ ლოცვა გააგრძელა.

დავითი კი უკეთესად გახდა მალე და მართლა გაეღიმა:

– ასე მონდომებულად მლოცველი ყივჩაყი არც მინახავს.

გურანდუხტი დავითს მოეხვია.

– იყურე, – სთხოვა მეფეს.

დავითი კი მაინც არ გაჩუმდა:

– მე და შენ, მეტი არავინ...

სასახლეში მიყვანილ დავითს მარტო ვინღა დატოვებდა ოთახში. როცა მკლავიდან სისხლი გამოუშვეს, სისხლს რამდენიმე ადამიანი შეაგება ჯამი.

– აღარ მოგკვდი, დედოფალო. უფლისწულები სად არიან? – მიმართა ცოლს, რომელიც ყველაზე ახლოს ედგა და ყველაზე ბედნიერი იყო.

– შენმა უფლისწულმა გიშველა, ისე გააჭენა ცხენი.

დავითმა კი უცებ უფროს უფლისწულთან განმარტოება მოითხოვა და როცა დანარჩენები ოთახიდან გავიდნენ, დემეტრეს პირდაპირ უთხრა:

– ყველამ უნდა დაადგას ჩემს საფლავს ფეხი, ეს დაიმახსოვრე. ყველამ უნდა დაადგას ფეხი. მონამ, მაწანწალამ, მპარავმა, ქალწულმა. როცა სადარბაზოდ ჩამოსხდებიან და იტყვიან, სად დავმარხოთ მეფეო, ეს გახსოვდეს. მონასტრის კარში დამმარხე. ზედ ალაყაფში, რომ ყოველმა სულიერმა ფეხი დამადგას გულზე...

დავითი წამოიჭდა. გადახვეულ ხელს დახედა. დემეტრე კი მის შიშველ, ჭრილობებით დახუნძლულ ზურგს დააკვირდა.

– ეგ აღარ გაგიკვირდება, მიდი, აბა, შენი მაჩვენე.

დემეტრემ ზურგი მოიშიშვლა და აღმოჩნდა, რომ მასაც ჰქონდა უკვე რამდენიმე ჭრილობა. დავითმაც ღიმილით უთხრა:

– სიბერეში აღარ მოგემატება. სიბერეში სხვაგან გემატება.

ერთხანს ორივენი ჩუმად იყვნენ. დავითმა შულია გაიხსენა:

– შულია რას შვებოდა თუ იცი, ბიჭობაში. დაისვამდა ხმალს თვითონ, ისე ეშმაკურად, ვითომ ბრძოლაში ეკაფათ. მერე გაიხდიდა მდინარეზე და მოგვადებდა ცხვირზე თავის ნახმლევებს. როგორ მოგვიკვდა შულია...

კიდევ ცოტა ხანს დუმდა მეფე და ბოლოს თქვა:

– პირველმა შენ დამადგი ფეხი, სხვებს რომ გაუადვილო...

სასახლეში უკვე ღამე იდგა, როცა არსენ ბერი მეფის პალატებში ჩირაღდნით ხელში შევიდა. ჩირაღდანი კედელში ჩაამაგრა და ფეხაკრეფით გაუყვა ტალანს. ბოლოსკენ მრუმე სინათლე შეამჩნია და კიდევ უფრო ფრთხილად გააგრძელა გზა და კედელსაც აეკრო. ასე იარა იმ ოთახამდე, სადაც დავითი იჯდა თავდახრილი და წერდა. შეიჭყიტა. არსენ ბერს მეფე ძალიან დაპატარავებული და მოკუნტული მოეჩვენა.

უცებ ბერი შეხტა და მოიხედა. მის უკან გურანდუხტი იდგა სანთლით ხელში და შესცქეროდა. ბერმა დაჩოქება დააპირა დედოფლის წინაშე, გურანდუხტმა კი არ დაანება და ხელით ანიშნა, მომყევით. ორივემ ჩუმად იარეს ტალანში და ბოლოსკენ, ერთ-ერთ მოსახვევში, როცა არსენ ბერმა ჩათვალა, რომ უკვე სამშვიდობოს იყვნენ, მაინც დაუჩოქა დედოფალს.

– მსტოვრობად ნუ ჩამითვლი, დედოფალო.

– ჩვენ ორივენი მსტოვრები ვართ. ადექი, არსენ ბერო...

– არც პირველია ღამით ჩემი აქ მოსვლა. ის წერს და ლოცულობს.

– წერს. ოღონდ არ ვიცი, რას... მეც არ მოვსულვარ პირველად.

– მინდა, რაღაც გაჩვენო, დედოფალო.

გურანდუხტმა სანთელი გაუწოდა ბერს და წინ გაუშვა. არსენ ბერმა თავის ოთახთან მიიყვანა დედოფალი და შიგ შესვლისთანავე ჰკითხა:

– ამ კედლისა თუ გსმენია, დედოფალო?

გურანდუხტი კედელზე ნახშირით გაკეთებულ ხაზებს დააკვირდა. ჯერ დათვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

– არაფერი, – უთხრა არსენ ბერს.

– მეფე მოდის ხოლმე აქ. აიღებს ნახშირს და აი, ამ ნიშნებს ტოვებს კედელზე. ვერ შემიბედავს, ვკითხო. ჩემთვის უთქვამს, რომ ყველაზე დიდი და ავი სიმართლეაო აქ.

გურანდუხტი ისევ დააკვირდა ხაზებიან კედელს:

– რა უნდა იყოს?

– არ ვიცი, დედოფალო. ოღონდ კი ასე ვხედავ, რომ ეს იმის ნიშანია, რასაც მეფე წერს...

სათათბირო დარბაზში კვლავ ბევრი ხალხი იყო შეკრებილი, მაგიდეებზე კი ნაირგვარი რუკა და მოწყობილობა იყო გაშლილი.

დავითის შემოსვლისას ყველანი ფეხზე წამოდგნენ. დემეტრემ მაშინვე უთხრა:

– ყველაფერი მზადაა.

მერე მაგიდასთან მივიდა მეფესთან ერთად და იქ გაშლილი თბილისის რუკა აჩვენა.

– ნახევარ დღეში. აი, აქ, აქ და აქ, კედელს გავიტანთ, – უთხრა ომახიანად და დაამატა, – მინდობაი ამბობს, რომ მოქალაქეების ნახევარი არ იბრძოლებს. ნახევარ დღეში გავიტანთ ამ კედლებს. აქედან და აქედან ყველაზე მოსახერხებელია შესვლა.

– მანდ სახლებია. ხალხი ცხოვრობს, – შეაწყვეტინა დავითმა, დემეტრემაც მაშინვე უპასუხა:

– ამიტომაც არის ადვილი. აქ ციხიონი ნაკლებია. ციხიონი ყოველთვის ალაყაფებზეა. აქ ხალხი უნდა ჩააყენონ, ციხიონი ვერ გასწვდება. უბრალო ხალხს დაურიგებენ იარაღს. ვინც ამ ქუჩაზე ცხოვრობს, იმათ დაურიგებენ.

– შენ გინდა, ხელოსნები და ვაჭრები ვზოცო? – ისევ გააწყვეტინა დავითმა, – ეგ არც არასდროს მიქნია.

– ქრისტიანები არ იბრძოლებენ ჩვენ წინააღმდეგ, – ჩაერია უცებ მინდობაი.

– იარაღს ბავშვებსაც დაურიგებენ და ქალებსაც, და ისინიც იბრძოლებენ, – არ დაეთანხმა არაბიძეს მეფე, – ერთი ეს მით-ხარით, რამ გაგამხეცათ. ზურგზე მოიკიდებენ ამ თბილისს და წაიღებენ?

ხმა არავის ამოუღია. მერე ისევ დავითმა თქვა:

– ეგებ წერილი გავუგზავნოთ ქალაქს. კედლებს არ დაგანგრევიან. ის კედლები ისევ ჩვენი ასაშენებელია. კლიტეები, მეტი არაფერი გვინდა.

– თბილისში ასეთ წერილებს დახედავენ და განზე გადადებენ, – დემეტრეს ნათქვამში სიმართლე იყო და მეფეც არ შეკამათებია მას, რუკას დახედა. უფლისწული ამას მიხვდა და განაგრძო:

– ალყითაც ვაშიმშილებთ, თუ შეტევას არ გვიბრძანებ. ქარავანი არ შევა და არ გამოვა. ათი დღე ეყოფა. საჭმელი და წყალი საუკუნისაც ექნებათ, მაგრამ საჭმელი და წყალი მაშინ არი სამყოფი, როცა მეტი არაფერი გინახავს. თბილისში კიდევ, დარიჩინი რომ გაწყდეს, სადილად აღარ დაჯდებათ, სიმსუქნემ იცის.

– ყველაფერი გცოდნია. აშენებულის დანგრევა კიდევ ძნელია. გარშემო ქართლია, – დავითმა რუკაზე მოატარა ხელი, – გარშემო სულ ჩვენ ვართ. რა უნდა ქნან?

– სხვანაირად მესმოდა შენგან თბილისის ამბავი: როგორ დაიფიცეთ, რომ ხმლით ხელში შეხვალთ იქ და სხვაგვარად არა. ორმოცი წელი ხომ ამაზე ოცნებობდით, ამისთვის არ ემზადებოდით?

დავითმა ჩაიცინა და აღარაფერი თქვა, ისე გავიდა. ყველაზე სევდიანი სახე ღიშპანელს ჰქონდა. ერთხანს შეყოვნდა თითქოს და მერე მეფეს მიჰყვა. დემეტრემაც დატოვა სათათბირო ოთახი, მინდობაიმ კი თავისთვის ჩაილაპარაკა:

– არ უნდა, მაგრამ ალყას დათანხმდება, ოღონდ თუ ჯერ წერილს გავუგზავნით და იმ წერილზე პასუხი არ იქნება...

იმ დღეს კოკისპირულად წვიმდა, მაგრამ იმ თავსხმის მიუხედავად, საკმაოდ სწრაფად იარეს დავითმა, მასამ და ღიშპანელმა. დავითს სურდა, სასამართლოს დაწყებამდე შესულიყო შენობაში და ამიტომაც ჩქარობდა. მოასწრეს კიდეც. კაპიუშონიანი მეფისთვისაც არავის მიუქცევია ყურადღება, ისე აღმოჩნდა სასამართლო დარბაზში. დავითი თავის ჩვეულ ადგილას, მოსამართლეთა შორიახლოს დაჯდა, თუმცა სველი კაპიუშონი არ მოუხსნია და ისე მოემზადა საქმეების მოსასმენად. დარბაზში მალე ერთ ვაჭარს შემოუძღვნენ, ორმა მცველმა კი შავებში ჩაცმული, დოლბანდიანი ქალი შემოიყვანა. მეფეს საბედოს ცნობა, რასაკვირველია, არ გასჭირვებია, მით უმეტეს, რომ მის გამო ჩქარობდა.

ვაჭარმა დაიჩოქა.

მოსამართლეებმა ანიშნეს, დაიწყეთ. იმანაც ეგრევე დაიწყო:

– ყაჩაღია, შენი ჭირიმე. იმ გზებზე ყველამ იცის მაგის ამბავი. რაც დაიბადა, მეკობრეობს. ამხნის ქალი გზაზე დგას და გვმარცვავს.

– რა გქვია, ქალო? – ჰკითხა მოსამართლემ და საბედომაც მშვიდად უპასუხა:

– საბედო.

დავითმა კაპიუშონს ქვემოდან გახედა ქალს, ვაჭარმა კი დაამატა:

– ხვედიას ციხის ალქაჯს ეძახიან.

– შენ ქმარს რა ჰქვია? – ახლა მეორე მოსამართლემ ჰკითხა საბედოს.

– ქვრივი ვარ.

– მეკობრი ყოფილხარ. მართალია, რასაც ეს კაცი ამბობს?

– რას ამბობს? გზაზე დგასო.

– აგრე არ მითქვამს, ბატონო, – ჩაერია ისევ ვაჭარი, – ქისა ამაჭრა, კაბა გამხადა, დამცინა და ერთი პანღურიც მომაყოლა.

დარბაზში გაეცინათ. მეფე უფრო მეტად გაეხვია კაპიუშონში.

– მართალია, რასაც ეს კაცი ამბობს? – ახლა უკვე ერთდროულად ჰკითხეს მოსამართლეებმა საბედოს.

– ჯანი აღარ არი ბატონო, ვბერდები.

– ეგ რას ნიშნავს?

– მე ჩემს თავზე სხვა ფიქრი მაქვს: მეფემ გამასამართლოს.

– ეს მეფის კარია, ჩვენ მეფისგან ვართ ხელდასხმული.

– შენ არაფერი იცი ჩემი, ბატონო. მეფემ კიდევ იცის, რომ თუ მეკობრი ვყოფილვარ, რატომ და როგორ.

დარბაზს ჩურჩულმა გადაურბინა. მოსამართლეებმა კი დავითისკენ გააპარეს თვალი, მაგრამ ისევ ბრალდებულს მიუბრუნდნენ:

– ქვრივო, მართლა აართვი ქისა ამ პატიოსან კაცს?

– მხოლოდ მეფეს, სხვას არ დაველაპარაკები, გინდაც თავდაყირა დამკიდოთ მუხის ხეზე და შოლტი მირტყათ.

– თუ შენ მეკობრი ხარ, დიდი წვალემა გელის. მუხის ხე სანატრელი გექნება.

– მეფეს ვეტყოდი ყოველივეს.

– გვითხარი და ჩვენ ვეტყვით მეფეს.

– მეფეს თქმაც არ დასჭირდება, იმან იცის, ვინ ვარ. ისა, რომ ქვრივობაში დავბერდი და ისა რომ, ვინც მიყვარს, მართლა მიყვარს და ვინც აი, ეგეთი პატიოსანია, როგორც ესა, ყოველთვისაც არ მომწონდა.

საბედომ ვაჭრისკენ გაიშვირა ხელი, მოსამარ-თლეებმა კი კვლავ დავითისკენ გააპარეს თვალი, თუმცა მეფე ისევ გაუნძრევლად იჯდა, მოსამარ-თლეც კვლავ საბედოს მიუბრუნდა:

– მითხარი ყველაფერი, ქვრივო, მეკობრეებს მუსრიო, თვითონ მეფემ არ ბრძანა? სანამ დაგატუსადეს, ორ კაცს ისარი ჰკარი და ერთიც ხანჯლით გაკაფე.

– ძველ დროს მეტსაც გავკაფავდი. არც არაფერს ვიტყვი, მსაჯულო. თქვენი საღვთო საქმე აღასრულეთ.

მოსამართლეებმა კვლავ დავითისკენ გააპარეს თვალი. საბედომ ბოლოს და ბოლოს დაიჭირა ეს მზერა და მანაც კაპიუშონში გამოხვეული მეფისკენ გაიხედა. დააკვირდა მეფეს, რომელიც არ განძრეულა და მხოლოდ კბილებში გამოსცრა მოსამართლეების გასაგონად:

– კანონი ყველასთვის კანონია..

საბედოს უცებ მოეჩვენა, რომ მიხვდა, ვინც იჯდა კაპიუშონში და რაღაცის თქმაც დააპირა; იფიქრა კიდევ, რომ მასთან მუხლისჩოქით მივიდოდა, მაგრამ უცებ დავითი წამოდგა და თავჩახრილი დაიდრა გასასვლელისკენ.

მოსამართლევ თითქოს მიხვდა, რაშიც იყო საქმე, და საბედოს მიმართა:

– აქეთ მომხედე, ქვრივო საბედო, რამდენი კაცი მოგიკლავს იმის ჩაუთვლელად, რაიც ახლა მოახდინე?

საბედომ არაფერი უპასუხა მოსამართლეს და კარში გამავალი დავითის ზურგს გახედა. მეფეც უთქმელად და უსიტყვოდ აღმოჩნდა ისევ გარეთ, თავსხმა წვიმაში და უკან ღიშპანელი და მაისა მიჰყვნენ. დავითმა აჩქარებით ჩაუარა ყველას და ყველაფერს, და მხოლოდ კარგა ხნის სიარულის შემდეგ მოხედა ამ ორს, ნიაღვარს რომ მიაპობდნენ მეფესთან ერთად, და ჰკითხა:

– რისთვის მოვიგონეთ კანონები, ყველაფერი რომ მოვკლათ აქ?

მაისას და ღიშპანელს არც ახლა ამოუღიათ ხმა, მეფემ კი სიმწრისაგან გულზე დაირტყა მარჯვენა ხელი და ისინიც ველარ მიხვდნენ, დავითს წვიმისაგან ჰქონდა სახე ასეთი სველი თუ – ცრემლებისაგან...

თავის ოთახში დაბრუნებულმა არსენ ბერმა კვლავ კედელ-თან მდგომი დავითი აღმოაჩინა ნახშირით ხელში. მეფე მღელვარედ ხაზავდა კედელზე, ხაზები კი უკვე ძალიან ბევრი იყო.

არსენ ბერმა თავი დახარა და გაირინდა.

მეფემ გამოხედა ბერს, კედელს მიადო ნახშირით გასვრილი ხელი და ჰკითხა:

– თუ დაგითვლია, რამდენი მომკვდარა ჩემთვის? მე რამდენი მომიკლავს, ანდა ჩემი ბრძანებით რამდენი მოუკლავთ?

არსენ ბერმა კედლისკენ გააპარა თვალი.

– ჰოდა, აწი ითვალე, არსენ ბერო. თანაც ყველა კი არ არის აქ. მარტო ვინც დამინახავს და ვინც ვიცი, რომ მოკვდა. მიემატება და მიემატება. ჩემგან მოტაცებული სულების კედელია. შენი კედელი ამოვირჩიე. შენ წერ ამ ამბებს და სულ უნდა უყურო ამ კედელს.

არსენ ბერმა ხმადაბლა, ძალიან გაუბედავად შეაპარა მეფეს თავისი სათქმელი:

– ის თუ დაგითვლია, რამდენი გადაარჩინე.

დავითი ერთხანს დუმდა. მერე გააგრძელა:

– გადარჩენა ვალია. ვინ გადამირჩენია, არსენ ბერო?! ვინც მომ-ყვებოდა, ჩემთვის კვდებოდა, ისინი გადამარჩენდნენ ხოლმე.

– ასე ნუ უყურებ სიკვდილს. სხვანაირად უყურებ სიკვდილს.

– უყურე, არსენ ბერო, ამ კედელს და ისე იფიქრე მატთანზე. ჩემი მატანე დაწერე. მე კიდევ, გადავარჩენ...

მერე ადგა და წავიდა.

გადადებაც არ შეიძლებოდა ამ საქმის და რადგან მას გარდაუვალი სიკვდილით დასჯა ელოდა, საბედოს გათავისუფლება იმ ღამესვე გადაწყდა. თვითონ წავიდნენ სამნი და ვახტანგიც დაიმატეს. მცველები ნიღბებაფარებულებმა მოხსნეს დერეფანში და ერთი მოკლე შეტაკებაც მოუხდათ, მაგრამ ყველაფერი კარგად და უხმაუროდ გააკეთეს. ხმა მხოლოდ ვახტანგმა ამოიღო, როცა იკითხა, აქ რა სუნიაო და მამამისმაც მაშინვე განუმარტა:

– დილეგის სუნია, შვილო.

ერთ-ერთ დილეგს წამოადგნენ თავზე და ღიშპა-ნელმა ჩურჩულით ჩასძახა საბედოს. მერე თოკი ჩაუშვეს და გაოცებული საბედო თოკს მოეჭიდა. როცა ზემოთ ამოიყვანეს, დავითმა ხანჯალი ჩაუდო ხელში.

– ვინა ხართ? – იკითხა საბედომ. მაისამ გააჩუმა:

– იყუჩე!

ფრთხილად და უხმაუროდ გაიარეს დერეფნები, მერე – ბნელი ეზო და გალავანზე გადახობდნენ. ვახტანგს ყველანი დაეხმარნენ გადამრომაში.

გალავანთან ცხენები იდგნენ. მეფემ ერთი ცხენის აღვირი გაუწოდა საბედოს.

– გაქუსლე, – უთხრა დავითმა და უბიდან ქისა ამოიღო.

– შენ ხარ, – თქვა საბედომ.

მეფემ კი გააგრძელა:

– სულ სამხრეთით იარე, ტრაპეზუნამდე უკან არ მოიხედო. ამ ფულით ფუნდუკს გახსნი.

– შენ ხარ, იქ იყავი, – ისევ გაიმეორა საბედომ და მეფეს ნიღაბზე წაეტანა.

– წადი, – უთხრა დავითმა.

– რამდენი რამის თქმა მინდოდა. რატომ ამომიყვანე?..

დავითმა მაჯებზე წაავლო ხელი საბედოს და გაუმეორა:



– წადი.

– ეს უფლისწულია? – საბედომ მუხლებზე დაიჩოქა, მოეხვია მას და უცებ ტირილი დაიწყო. დავითმა წამოაყენა, ცხენზე ასვლაშიც დაეხმარა და თავისი ჯვარიც მოიხსნა ყელიდან. საბედოს გაუკეთა და გაუღიმა.

– ისევ ისეთი სუნი აქვს, – თქვა საბედომ. მეფემ კი ცხენს ხელისგული დაარტყა და ცხენი დაიდრა...

– ჩვენი მოცდაც არ ივარგებს, – თქვა ღიშპანელმა. მაისამ ნილაბი მოიხსნა. ვახტანგმაც მას მიბაძა.

როცა ყველანი ამხედრდნენ, ღიშპანელმა ვახტანგს ხმა-დაბლა უთხრა:

– ასე იყო, უფლისწულო, ჩვენს ბიჭობაში. ასეთები ჩა-გვიდენია?

ცხენები დაძრეს. ვახტანგი კი აღტაცებული უყურებდა ჯერ დავითს, მერე ღიშპანელსა და მაისას.

მეფემაც უთხრა ცვატას:

– ასე გამომიყვანეს ამათ თბილისიდან.

და ღიშპანელმა უცებ ცხენი შეაყენა. დავითმაც. ვახტანგი ვერ მიხვდა, რატომ, და გაკვირვებულმა შეხედა მათ.

ღიშპანელმა არაფერი თქვა, მხოლოდ ამოიხვნეშა.

დავითმა კი დაბეჯითებით უთხრა მას.

– მალე მიხვალ თბილისში...

დედაქალაქი

მეფის სიტყვა `მალე~, მართლა მალე აღმოჩნდა. ღიშპანელი იდგა და თბილისის კედელს ისე კოცნიდა, როგორც ქართველები კოცნიან ხოლმე ტაძრების ქვეებს, და სიყვარულით რაღაცას ბუტბუტებდა.

მერე ნელ-ნელა დაშორდა ქალაქის გალავანს, ჭენებ-ჭენე-ბით გამოსცილდა კედელს და შორიდან ბრაზიანად შესძახა:

– ეშმაკეულნო, მოვიდა ქრისტეს მხედრობა!

გალავნიდან მაშინვე დააყარეს ისრები და ქვები. ღიშპანელი მოხერხებულად კი იცდენდა ნასროლს, მაგრამ ამხედრებულმა მაისამ და კიდევ ორმა ცხენოსანმა მაინც გაიყვანეს ის გალავნიდან მოშორებით.

– მოერიდე, ღიშპანელო. მოერიდე, მოესწრები. ცოტაც, და შევალთ.

თბილისის გალავნის გარშემო, გარკვეულ მანძილზე ქართული ჯარი და სამხედრო ტექნიკა იყო განლაგებული. მოშორებულ ადგილას კი ბანაკი იყო გაშლილი, სადაც ჯარისკაცთა მოძრაობა და ფუსფუსი არ წყდებოდა. ერთი მხრიდან გზაზე მოემართებოდა მოზრდილი ალალი, რომელიც ნელ-ნელა შემო-დიოდა ბანაკში. აქ წყალიც ბევრი იყო რუმბებით და საკვებიც.

ერთ-ერთი მეწინავე სანგრიდან, სადაც საბრძოლო მოწყობილობები იყო დალაგებული, ალალს თვალს ადევნებდნენ დემეტრე და მისი თანმხლები პირები. მინდობაიც იქვე იყო.

– ყველაფერი მშვიდობიანად მოიტანეს, – უთხრა არაბიმემ დემეტრეს, მაგრამ მან თავი გააქნია იმედგაცრუების ნიშნად და მინდობაის ჰკითხა:

– მერამდენაა ამ ორ თვეში?

– მეხუთე.

– ამ ალყაში პაპაც შევიქნები.

სხვებს კი გაეცინათ, მაგრამ არა მინდობაის, რომელმაც მხრები აიჩეჩა.

– ეგენი ქვას შეჭამენ და უომრად არ დაგვნებდებიან, – თქვა დემეტრემ, სანგარი დატოვა და ბანაკისკენ წავიდა. დიდ კარავს მიუახლოვდა, კარვის კალთა გადასწია და შიგნით შევიდა. კარვის კუთხეში დავითი იჯდა, წიგნს კითხულობდა თავჩარგული და ხელები და სახე თითქოს შესიებული ჰქონდა. უფლისწულს არაფერი მოსჩვენებია, რადგან მეფეს უკვე ერთი თვე იყო, ავადმყოფის იერიც ედო.

დემეტრე რომ დაინახა, წიგნი გადადო და პაუზის შემდეგ ჰკითხა:

– საკვები მოვიდა?

– მოვიდა. წყალიც.

– ქარავანი გაუძარცვავთ, ვინ იყო?

– უკვე დასჯილია, ოღონდ ხვალაც გამარცვავენ ქარავანს, ზეგაც. სადაც დაინახავენ, იქ გამარცვავენ. ყველამ მოიწყინა.

– ღვინო არის?

– არა.

დავითმა მხრები აიჩეჩა.

– ძნელია, ძალიან გაიწელა, – უსაყვედურასავით შვილმა დავითს და მეფემაც ის უთხრა დემეტრეს, რისი მოსმენაც მას ყველაზე მეტად სურდა:

– შეტევა გინდა.

– შენ რომ არ გინდა?

დავითი ერთხანს დუმდა, მერე კი ხელი ჩაიქნია:

– შეუტე. შენ შეუტე. ანახე ყველას, როგორ იღებ ქალაქებს.

იმის ნაცვლად, რომ მამისაგან იერიშის ნებართვა გახარებოდა, დემეტრე ნირწამხდარს ჰგავდა. მეფემაც შეატყო ყოყმანი შვილს და კიდევ ერთხელ გაუმეორა:

– შეუტე, მე ნუ მიყურებ. შეუტე!..

თუმცა დემეტრემ ვერაფრის თქმა მოასწრო, რადგან კარავში უცებ მინდობაი შემოვიდა, რომელმაც ორივეს მიმართა:

– თბილისი მოლაპარაკებას ითხოვს. კაცი მოვიდა. ყადის უნდა მეფესთან ლაპარაკი.

დემეტრემ კარვიდან გასვლა დააპირა, მაგრამ დავითმა შეაჩერა:

– მობრძანდეს ყადი...

თბილისის ერთ-ერთი ალაყაფიდან ტახტრევანი გამოვიდა, რომელიც ქართველების ბანაკისკენ დაიძრა.

ასისთავებმა ჯარისაგან სიმშვიდე მოითხოვეს.

ტახტრევანში თეთრწვერა, მოხუცი ყადი იჯდა, რომელსაც გზამკვლევემა იმ კარავზე მიუთითა, სადაც მას დავით მეფე ელოდა. მსახურები ყადის ტახტრევანიდან გადმოსვლაში მიეხმარნენ და ყადი კარავში შევიდა.

დავითი ისევ კუთხეში იჯდა, წიგნით ხელში და ამიტომაც კარავში შესული ყადი მუხლებზე დემეტრეს წინ დაეცა. აშკარა იყო, რომ მას დემეტრე ეგონა მეფე. დემეტრემ დავითს გადახედა, მაგრამ დავითმა თვალებით ანიშნა, სიმართლე ჯერჯერობით არ წამოსცდენოდა. ყადიმ დემეტრეს მიმართა:

– მეფეთ მეფევ, ქალაქის ხალხმა გამომგზავნა თქვენთან, ჩემი ასაკის კაცს ტყუილიც დაეჯერება.

დემეტრე წამოდგომაში მიეშველა ყადის და ბალიშებზე მიანიშნა, დაჯექიო. ყადი აშკარად ცუდად ხედავდა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს მოათვალისწინებდა იქაურობა და მანინც ადგილზევე დარჩა. ადგილიდანვე განაგრძო:

– ჩემი ხნის კაცს თვალებიც კი აღარ სჭირდება. ყველაფერი, რაც სანახავი იყო, ადრევე ვნახე. დიდი სიკეთე ტრიალებს ამ კარავში.

უფლისწული უცებ პატივისცემით განიმსჭვალა ყადის მიმართ და მოწიწებით ჰკითხა მას:

– რას ითხოვს თბილისი?

– ქალაქს შეუძლია, მთელ წელიწადს იდგეს ასე. ოღონდაც ქალაქს არ უღირს ასე დგომა. ჩვენ ფულს ვკარგავთ. ტფილისი სთხოვს მეფეს, თავისი ციხიონი ჩააყენოს თბილისის დამცველად, მიიღოს ქალაქის გასაღებები და ყოველგვარი შეღავათი და შემოსავალი.

დემეტრემ დავითს შეხედა, მაგრამ მეფემ არ შეიმჩნია შვილის მზერა და წიგნის კითხვა არ შეუწყვეტია. ყადიმ კი სათქმელი განაგრძო:

– ქალაქი სთხოვს მეფეს, შეიქნეს მისი პატრონი და მისი ქონების დამცველი. ეს არის, რაც ქალაქს უნდა. ქალაქი ხედავს, რომ მეფეს არ უნდა სისხლისღვრა. არც ქალაქს უნდა სისხლისღვრა.

– სანაცვლოდ რაღას ითხოვს? – ჰკითხა დემეტრემ.

ყადიმ გაიღიმა:

– სულ ერთ მისხალს, ერთ მარცვალ ხორბალს.

დემეტრემ გაკვირვება ვერ დამალა:

– რა არის ეს ერთი მარცვალი?

– ქალაქს მოქალაქენი მართავენ და არა მეფის დანიშნული კაცი. ასე ყოფილა და ასე სურს ქალაქს. სხვანაირად ის ვეღარ იქნება ქალაქი. ქალაქი მეფეს ემორჩილება, მაგრამ თვითონ მართავს საკუთარ საქმეს.

დემეტრემ ისევ დავითისკენ გააპარა თვალი. მეფეს კვლავ არაფერი უთქვამს.

დემეტრეც დუმდა, თბილისის ყადიმ კი კვლავ განაგრძო:

– ყველა მოგებული დარჩება. ეს არის ჩემი სიტყვა. მე ყადი ვარ. ჩემი სჯერა ყველას. თუ მეფე ამას გადაწყვეტს, მზის ჩასვლამდე მოვართმევთ ქალაქის გასაღებებს და ხალიჩებს გაუფუგებთ ალაყაფთან, მობრძანდეს და მიიღოს ის, რაც მის წინაპრებს ეკუთვნოდათ.

დემეტრეს უკვე აშკარად დაეტყო მღელვარება და კვლავ გადახედა მეფეს, რომელიც არც ახლა განძრეულა.

ყადი თვალბმილულული და თავდახრილი იდგა, როცა დემეტრემ უცებ თქვა:

– არა.

– მეფე უარზეა? – მართლა გულწრფელად გაუკვირდა ყადის.

– არა, თქვენ ვეღარ მართავთ ქალაქს, – თქვა უკვე აღელვებულმა დემეტრემ. ყადიმ მას მოწიწებით დაუკრა თავი, ფრთხილ-ლი ნაბიჯით გავიდა კარვიდან თეთრწვერა მოხუცი, მხოლოდ ამის შემდეგ ასწია თავი დავითმა და დემეტრეს მშვი-დად უთხრა:

– ახლა გაჩერება აღარ შეიძლება.

მერე ისევ წიგნს ჩახედა ჩაკირკიტებით და დემეტრესკენ აღარც გაუხედავს. თუმცა დემეტრე უკვე გარეთ იყო.

უკან, თბილისის კედლებისკენ მიმავალ ყადის ტახტრე-ვანს კი ქართველი ცხენოსნები წამოეწივნენ, მისი მსახურები დახოცეს და ყადი ტახტრევიდან გადმოიყვანეს.

ბანაკშიც დიდი მოძრაობა ატყდა და ქართველებმა აჩქარებით გაამზადეს ქვები და კუპრი, აანთეს ბევრი კოცონი და ქალაქისკენ ჯარი ყოველი მხრიდან დაიძრა. აბჯარასხმული და ამხედრებული დემეტრე თანმხლებ პირებთან ერთად შეუსვენებლად მიმოდიოდა გალავნის გარშემო, მეფე კი ისევ იქ, კარავში იჯდა წიგნით ხელში.

მერე ყადიც მოკლეს. მეტიც, ქალაქის აღების შემდეგ ისიც თქვეს, მისი გვამი სასროლი მანქანით გადაუგდეს თბილისის დამცველებს გალავანს იქით, ჯერ კიდევ შტურმის დაწყებამდეო. შტურმი კი იმ შემახილით დაიწყო, რომელიც უკვე ქართველების ყველა შეტევის თანამდევი იყო:

– იე-სო! იე-სო!

თუმცა ბრძოლა ძალიან მძიმე და სისხლიანი იყო, დემეტრე კი ძალიან ჰგავდა ახალგაზრდა დავითს, სამოსითაც კი; მასზე მონდომებული ქართველების მხრიდან ღიმპანელი იყო, რომელიც უკვე მერამდენე წელია, თბილისში დაბრუნებას ელოდა.

მონდომებამ თავისი ქნა და მოალყეებმა ქალაქის შერღვე-ული კედლებიდან თბილისში შეღწევა მალე შეძლეს. ბრძოლებმაც ქალაქის ქუჩებში გადაინაცვლა.

დავითი კი ისევ კარავში იჯდა ხელებში თავჩარ-გული და სა-ხე-ზე ეწერა, ყურების დახშობასაც სიამოვნებით შეეცდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ხმა შორიდან მოისმოდა.

უკვე ქალაქში შესულ ქართველებს კი თბილისე-ლები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. დემეტრემ, თავისიანებთან ერთად, იმ ქუჩისკენ გაიკაფა ბრძოლით გზა, საიდანაც ეკლესიის გუმბათი მოჩანდა.

– იესო! – კიდევ ერთხელ იღრიალა დემეტრემ და იმ ეკლესიაში შეკეტილი ქრისტიანების გამხნეება სცადა. საპასუხოდ კი მათ კარი გაუღეს გასისხლიანებულ დემეტრეს, რომელიც გიჟივით შევარდა ეკლესიაში და ხატებთან დაემხო. გარეთ კი უკვე მომხდარიყო გარდატეხა და ქართველები თბილისის არაბი მმართველების სასახლესა და მთავარ მეჩეთს უტევდნენ. მინარეთსაც ცეცხლი ეკიდა.

ღიშპანელი გვამებით სავსე ქუჩაში მირ-ბოდა, მაგრამ ცდილობდა, სახლების კარებ-სა და აივნებს დაკვირვებოდა. ეს ქუჩა, თითქოს ჰგავდა სწორედ იმას, რომელიც მას ახ-სოვ-და – ქუჩას, რომელზეც ოდესღაც მისი მიჯნური ლეი-ლი ცხოვრობდა. მაისაც ფეხდაფეხ მისდევდა ღიშპა-ნელს და ქუჩის კიდევ ორივემ დაინახა კიდევ გვამთან ჩამუხლული ქალი. ხმალამოწვდილები თავს წამოადგნენ ქალს, რომელიც მოკლულ ჭაბუკს დასტიროდა. ღიშპანელი შედგა. ქალმა ეს იგრძნო და ამოხედა ღიშპანელს. ეს ქალი უკვე დაბერებული ლეილი იყო. ღიშპანელი გახევდა, ისევე, როგორც ქალი, რომელიც მიაშტერდა მას. ღიშპანელმა ქალისკენ ნაბიჯი გადადგა, შეშინებულმა ლეილმა კი განზე გაიწია და სახეზე ხელი აიფარა.

ღიშპანელმა რაღაცის თქმა დააპირა მისთვის, მაგრამ ვერაფერი თქვა, უეცრად ადგილს მოსწყდა, ქუჩის სხვა მხარეს გაიქცა შემლილივით და მაისაც მას მიჰყვა.

როცა ყველაფერი მორჩა, თბილისის უკვე დადუმებულ ქუჩებზე ურმებით გვამები ჩამოატარეს და გალავანს გარეთ გაიტანეს, სადაც ცხედრები დიდ, წინასწარ გათხრილ ორმოებში ჩაყარეს.

ჯარისკაცების ნაწილი კი ნადავლის გადანაწი-ლებით იყო დაკავებული. ზოგი მოპოვებულ ია-რადს სინჯავდა საგულდაგულოდ, ზოგიერთები კი სამკაულებსაც ირგებდნენ ცოლების, დებისა თუ დედებისათვის. თულუხჩები წყალს ეზიდებოდნენ, რადგან რამდენიმე ადგილას ჯერ ისევ არ იყო ჩამქრალი ცეცხლი. ცხენზე ამხედრებული დემეტრე ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. ერთ ქუჩაზე მას მინდობაი და მისი ამაღა წამოეწია. უფლისწულმა ცხენი შეაყენა.

– მოდის, – უთხრა არაბიმემ და დემეტრეც დაიბნა.

– სად შევეგებო, რომელი მხრიდან მოდის, კლიტენი უნდა მივართვათ, – ჰკითხა გამოფხიზლებულმა დემეტრემ.

– არ გამოგართმევს...

ქართველების ბანაკი დაცარიელებული იყო, დავითი კი თავისი კარვიდან ჯვალოში ჩაცმული, ფეხშიშველი, გამხდარი და გადაფითრებული გამოვიდა. ნელა დაიძრა ქალაქისკენ.

თბილისის ალაყაფთან ბევრი ხალხი ირეოდა, მაგრამ მეფე ჯერ ჯარისკაცებმა იცნეს, გაიწ-გამოიწიეს და ჩურჩულით დაიჩოქეს:

– მეფე, მეფე...

დანარჩენი ხალხიც გააშეშა ამ ხმამ, ყველანი დადუმდნენ და ჩაიმუხლეს.

დავითი დიდი ალაყაფიდან შევიდა ქალაქში. გაშეშებულმა თბილისელებმა თვალი გააყოლეს მათ ქუჩებში მიმავალ ქართველების მეფეს.

თვითონ დავითი კი არავის უყურებდა, თითქოს არაფერი ესმოდა ამ ქალაქში. ცხენების ფლოქვების ხმა გაისმა. დემეტრემ და მისმა ამაღამ იმ ქუჩაზე შემოუხვიეს, რომელსაც მეფე მიუყვებოდა.

დემეტრემ შეშფოთება ვერ დამალა დავითის იერის გამო. მინდობაი მაშინვე ჩამოქვეითდა და გაშეშდა. დემეტრემაც მას მიბაძა და მისმა მხლებლებმაც.

დავითმა ისე ჩაუარა მათ, თითქოს ვერც ამჩნევსო. მინდობაი უკან გაჰყვა დავითს, დემეტრეც და სხვებიც. მათ კი უკან აედევნენ თბილისელები.

მეფეს გვარიანი ოდენობის ბრბო მისდევდა უკან სრულ სიჩუმეში. დავითმა ერთ ქუჩაზე შეუხვია და მეჩეთისკენ წავიდა. დემეტრემ გაკვირვებულმა გადახედა მინდობაის.

დავითი იმ მეჩეთში შევიდა, რომლის გარშემოც უამრავ ხალხს მოეყარა თავი და შიგნითაც ხალხით იყო სავსე. შეშინებული მუსლიმები დამხობილი ლოცულობდნენ.

დავითის სიტყვების გარჩევა ძნელი იყო ჩურჩულის გამო, მხოლოდ აქა-იქ ისმოდა მისი სიტყვები, არადა, მას სურდა, ეს ყველასთვის აეხსნა:

– მე სხვების რწმენას არ ვებრძვი, მე ჩემი დედაქალაქი დავიბრუნე...

გარეთ კვლავ სრული სიჩუმე იდგა.

მერე დავითი წამოდგა და მეჩეთის გასასვლელისკენ დაიძრა.

ზღურბლიდან დაინახა იქ შეყრილი უამრავი ხალხი და გარეთ გამოსვლისთანავე დაიჩოქა, თბილისის მიწას ჯერ შუბლი შეახო, მერე ეამბორა.

ხალხმაც თანდათან დაიწყო დაჩოქება და როცა დავითი წამოდგა, უკვე ყველანი დამხობილები იყვნენ. დავითმაც უსიტყვოდ, დაჩოქილთა შორის გაიარა. რამდენიმე მათგანი ხელით შეხებასაც შეეცადა. მალე დავითისკენ გამოწვდილი ხელების ნამდვილი ტყე გაჩნდა და მეფეც ცდილობდა, ყველა გამოწვდილ ხელს მისწვდენოდა. დავითი ხელებზე კოცნიდა თბილისელებს და იმავე ქუჩებით იმავე დიდი ალაყაფისკენ მიდიოდა.

როცა თბილისიდან გავიდა, ალაყაფთან ისევ დაი-ნახა ადამიანები, რომლებიც მკვდრებს ტვირთავდნენ. მეფე შედგა, ძალიან ახლოს მივიდა ერთ ურემთან და ცხედრებს შორის ღიშპანელი და მაისა ამოიცნო.

დავითს ქვითინი აუვარდა, გულში ჩაიკრა ღიშპა-ნელი და მოთქმით ტირილზე გადავიდა. მინდობასაც კი, რომელიც მეფის ზურგსუკან იდგა, თვალები აუწყლიანდა. ბუღმამ განზე გაიხედა, რომ იგივე არ დამართნოდა. მერე ბუღმაც და მინდობაიც გონზე მოვიდნენ და შეეცადნენ, დავითი ღიშპანელის ცხედრისთვის მოეშორებინათ. მონოტონურად იმეორებდა:

– ძმა, ძმა!..

ბოლოს, როგორც იქნა, შეძლეს და მეფე იქაურობას გამოარიდეს. ქალაქის რომელიღაც შენობაში შეიყვანეს. მინდობაიმ სკამზე დასვა დავითი და მის წინ დაიჩოქა. მეფეს საშინელი სიმწარე ეხატა სახეზე. ბუღმამ მაინც, უსაფრთხოებისა და ყოველი შემთხვევისათვის, ოთახში მიმოიხედა. რაღაც კარიც დაინახა და მაშინვე დაეჯაჯგურა. კარი გაიღო და იქედან ხმაურითა და წკრიალით უამრავი მონეტა წამოვიდა.

დავითმა ამ ხმაზე გაიხედა.

– ზარაფხანაა, – თქვა მინდობაიმ.

დავითი წამოდგა და მონეტების ზვინისკენ წავიდა.

არაბიძეც მიჰყვა. დავითმა ფეხით გაქექა მონეტები და დააკვირდა.

მინდობაი დაიხარა და პეშვით აიღო ძირს დაყრილი მონეტებიდან რამდენიმე.

– შენა ხარ, – უთხრა ბუღმამ მეფეს. მინდობაიც დაეთანხმა ნაყივჩაყარს:

– ხო, ჩვენი ფულია.

მინდობაიმ მონეტები ახლოდან აჩვენა დავითს, რომელმაც თავის გამოსახულებას დახედა ფულზე და ორივეს გასაგონად თქვა:

– მოჰამედიანთა უბანში ღორის დაკვლა აუკრძალეთ ქრისტიანებს.

– კიდევ რას გვიბრძანებს მეფე?

– წამიყვანეთ აქედან.

მონეტები იქვე მიყარეს და მეფის შემდეგ ბრძანებას დაელოდნენ. კარისკენ უკვე დაძრული დავითი უცებ შედგა, ალექსანდრეს მონეტა ამოიღო, დახედა, გადაატრიალა და მონეტების ზვინისკენ მოისროლა.

იქ საქმე აღარაფერი ჰქონდათ...

თბილისი რომ დატოვეს, მალე წვიმაც დაიწყო. ნელ-ნელა ისე მოუმატა, რომ გადაადგილება შეუძლებელი გახდა. თავსხმა წვიმას დავითის გალუმპული ამაღლა ერთ გზისპირა, ღარიბულ ფუნდუკში დაემალა. უფრო სწორად კი, ჩამოქვეითებულმა



მხედრებმა ფუნდუკის წინ მიშენებულ გადახურულ სადგომს შეაფარეს თავი და სანამ დავითის ამაღლის დანარჩენი წევრები წვიმისაგან დამძიმებულ აბჯარს იხსნიდნენ, შიგნით შესულმა ბუღმამ პირდაპირ მეფუნდუკეს მიმართა:

– ცეცხლი გააჩაღე მასპინძელო, მეფე გეწვია.

მეფუნდუკემ დაბნეულობისგან ჯერ დაიჩოქა, მერე წამოხტა და მინავლულ შუაცეცხლს შეშა დაუმატა. ამ ფაციფუცსა და ცხენების დაბინავებაში დავითი დროებით ყველას გადაავიწყდა და მეფეც ფუნდუკის უკან, სხვების შეუმჩნეველად, ფრთხილად გავიდა.

ფუნდუკის უკან, გადახურულის ქვეშ, თონე იყო და იქ ქალი ტრიალებდა. დავითი ნელა მიუახლოვდა. უკანა კარიდან კი უცებ მეფუნდუკე გამოვარდა, რომელმაც ქალს ხმამაღლა მიმართა:

– მეფე გვეწვია, მეფე!

ქალს ვარცლი გაუვარდა ხელიდან, ჯერ ფუნდუკისკენ გაიქცა, მერე შუა გზიდან მობრუნდა დაბნეული სახით და თონეში ჩაეკიდა, იქიდან პურები ამოყარა და გაიქცა. დავითი თონეს მიუახლოვდა ფრთხილად და პურებს დახედა. მერე ერთი პური აიღო, ჯერ დააკვირდა, მერე უსუნა და ეს რამდენჯერმე, მთელი გრძნობით გააკეთა. იქვე ჩამოჯდა პურით ხელში და პურს ხელი მოუთათუნა.

უცებ ფუნდუკიდან მინდობაი გამოვიდა ჩქარი ნაბიჯით, მაგრამ დავითის დანახვისთანავე შედგა და მეფეს აღელვებული ხმით უთხრა:

– მე ვიფიქრე, რომ...

– შენ ვინ გაგეპარება, – დაამშვიდა დავითმა.

– ცეცხლი დაანთეს, უნდა გავაშროთ ყველაფერი.

– აგე, მოდი, ჩაიხედე, ჯოჯოხეთის ცეცხლი აქ არის, – თქვა დავითმა და ბოლო ნაწილი უფრო თავისთვის.

– ეგ მოსასხამი მაინც მომეცი, გავაშროთ. ყველა-ფერი გაგიშზადეს.

– ცეცხლი ჯოჯოხეთისა არი, მაგრამ შიგ პურს აცხოვენ, პური კი ასეთი გემრიელია.

მინდობაიმ თავი გააქნია და არაფერი უთქვამს, თუმცა ერთი კი გაიფიქრა, ნეტავ რა ჯოჯოხეთის ცეცხლი აუტყდაო. მეფემ ის პური სხვა პურების გვერდით დადო.

როცა ფუნდუკში შებრუნებული დავითი და მინდობაი ტაბლას შემოუსხდნენ, მეფემ კედლისკენ ხელი გაიშვირა:

– რამხელა ტყეებია უკან.

– მანდ კარგი ნადირი იცის, – დაუდასტურა მინდობაიმ, – წამოვიდეთ გაზაფხულზე.

– ტყეების მეფე, გახსოვს? – გაელმა დავითს.

ოთახში მეფუნდუკე შემოვიდა ცოლთან ერთად და დაიჩოქა. ცოლმაც იგივე გაიმეორა.

– რა იყო? – ჰკითხა მეფუნდუკეს მინდობაიმ.

– ადექი, კაცო, – ხელითაც ანიშნა დავითმა.

მეფუნდუკე არ განძრეულა, მისი ცოლი კი აქვითინდა.

– რა გატირებს, გლეხის ქალო? – ჰკითხა დავითმა მეფუნდუკის ცოლს და მის წამოყენებასაც შეეცადა. ქალი ისევ ტიროდა, მხოლოდ მისმა ქმარმა თქვა გაუბედავად:

– ლოცვას არ ვაკლებთ და ვედრებას, შვილი კი მაინც არ მოგვცა ღმერთმა.

– ღვთის ნებაა, – ორივე გაამხნევა დავითმა. მეფუნდუკე ფეხებზე მოეხვია მეფეს:

– დაგვლოცე, შენი ჭირიმე. შენს ლოცვას უკეთ გაიგებს და წყალობის თვალით გადმოგვხედავს. დაგვლოცე, მეფეო.

დავითმა მაინც წამოაყენა მეფუნდუკის ქალი:

– ასეთ პურს აცხობ, ასეთი გული გაქვს. გადმოგხედავს ღმერთი.

– ეს რა დღე გამითენდა, მართლაც ღვთის წყალობაა, – ხმა ამოიღო მეფუნდუკის ცოლმაც, – ასეთ წვიმებში ერთი ბავშვის ხმა, ერთი ბავშვის ტირილი...

– ჩემისთანა ცოდვიანი კაცის სიტყვამ ეგებ სულაც განარისხოს ღმერთი, – გულწრფელად თქვა დავითმა და მეფუნდუკემ ამის გაგონებაზე ხელები გაასავსავა. ქალმა ისევ დაჩოქება დააპირა, მაგრამ დავითმა აღარ დაანება, ყელიდან საკიდი ხატი მოიხსნა და მეფუნდუკის ქალს ჩამოჰკიდა ყელზე.

– ეს დაგიცავს და მოგეხმარება. მე დამიცვა და მომეხმარა...

მეფუნდუკემ და მისმა ცოლმა პირჯვარი გადაიწერეს. ქალმა მაინც დაიჩოქა და ისევ აქვითინდა. დავითმა სულ ცოტა ხანს უყურა მათ, მერე ტაბლისკენ შეტრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შებარბაცდა. ჩაიკეცებოდა კიდეც, მაგრამ ბულმამ და მინდობაიმ მოასწრეს, ხელი შეაშველეს და მეფე იქვე დააწვინეს...

მინდობაიმ სამ კაცს მისცა თავ-თავისი წილი დავალება ფუნდუკის გარეთ:

– შენ თბილისს გააჭენე, უფლისწულს უთხარი, რომ მეფე ავად შეიქნა, აქეთ დაიძრას. შენ, სასახლეში წადი, დედოფალს გააგებინე. არ ჩაიმუხლოთ. შენ კი პირველივე

სოფლიდან მღვდელი მომიყვანე – პირველი ორისაგან განსხვავებით, მესამე დავალება ძალიან ჩუმად მისცა სანდო კაცს.

დავითი გულაღმა იწვა და იქვე, გვერდით მჯდომ ბუღმას ნაძალადევი ღიმილით მიმართავდა:

– წვიმებში მოვყევით, ყივჩაყო.

– მეწამლეები არ უნდა დაგეტოვებინა, – ინანა ბუღმამ.

დავითი უცებ წამოიწია და ლოგინში წამოიხდა:

– რა იქნება, ამ მეფუნდუკის ქალს მართლა შეეძინოს შვილი.

– თანაც ბიჭი, რომ დავითი დაარქვან.

– გლეხები არ არქმევენ ასეთ სახელებს, დავითი, გიორგი, ვახტანგი...

მეფემ თვალეში შეხედა ბუღმას. ბუღმამ კი თავი დაუქნია. დავითმაც განაგრძო:

– ვახტანგი შენ ხელშია. შენ გადაარჩენ. არავის მოუსმენს.

– რა დროს ეგენია, ძმა?

მინდობაი ოთახში შემოვიდა ისევ და ფრთხილად, თითქოს ეშმაკურად შეხედა მეფეს.

– მღვდელი მოეხეტა ამ წვიმაში. მთლად გალუმპული. გაიგო, მეფე აქ არისო, – თქვა კიდევ უფრო შეპარვით მინდობაიმ, მაგრამ დავითი მაინც ყველაფერს მიუხვდა.

– ეგეც ჩემი ბედი, არა?

– ასე ნუ იტყვი, გამთენიას უფლისწული მოვა ჩემი ანგარიშით...

– არაბიძე მინდობაი, შენა გგონია, ვკვდები? – ახლა კი დავითმა ისე გაიღიმა, რომ ყველას გაუკვირდა, თუმცა მეფე მხოლოდ ღიმილით არ დაკმაყოფილებულა და უცებ წამოდგა კიდევ ძალიან ყოჩაღად. მოსასხამიც მოირგო.

– ღვინო დაგვალევინოს მასპინძელმა. მღვდელიც აქა ყოფილა და გავიგებთ ქვეყნის ამბებს, – თქვა დავითმა და ოთახიდან გავიდა.

ბუღმა და მინდობაი გაოცებულები მიჰყვნენ უკან უცებ გამოჯანმრთელებულ მეფეს, რომელმაც იმ საღამოს ღვინოც დალია და ბევრიც იხუმრა...

თუმცა იმ ღამით კარგა ხანს არ დაძინებია დავითს და კარგა ხანს ჩუმად, გაუნძრევლად იწვა გულაღმა, სანამ იქვე მორიგედ მჯდარ ბუღმას არ ჩაეძინა. იქვე ჭრაქიც ენთო და მეფე ჭერს ახედავდა ხოლმე. თავის წუთისოფელზე ფიქრობდა. მერე გაახსენდა, რომ დემეტრე გალობათა წერაში დაოსტატდა. გაახსენდა გურანდუხტის

კისკისის ხმაც და მიხვდა, რომ ეს ხმა მოენატრა. მოენატრა თუ მოენატრებოდა ყივჩაყური, გულიანი კისკისი...

მერე საწოლიდან ადგა და ძალიან ფრთხილად მოსასხამი მოიგდო მხრებზე. ძველი ყივჩაყური, ქამარში გარჭობილი ხანჯალი საწოლზე დატოვა და ფეხაკრეფით ჩაუარა მძინარე ბუღმას. ფრთხილად გაიარა დარჩენილი მანძილიც და ეზოში გავიდა. უკვე აღარ წვიმდა.

დავითი ფუნდუკის უკან, იმ მხარეს გავიდა, სადაც ცხენები ეგულეობდა. თავის ცხენს მიეფერა და ახსნა. ჩუმად წაიყვანა ფუნდუკის მეორე მხარეს, მაგრამ უცებ აღმოაჩინა, რომ ფუნდუკის უკანა კართან სანთლით ხელში მეფუნდუკის ცოლი იდგა.

დავითმა ტუჩებზე მიიღო თითი და შეეცადა, სწრაფად ამხედრებულიყო, მაგრამ ეს არა სწრაფად, არამედ ძალიან მძიმედ გამოუვიდა. როცა ამხედრდა, მეფუნდუკის ცოლს ხელით ანიშნა, მომიახლოვდიო. ქალი სირბილით მივიდა მასთან, შეშინებულმა შეხედა მეფის დასიებულ და დაღლილ სახეს, დავითმა კი ჩურჩულით უთხრა:

– ღმერთი გიშველის, მეფუნდუკის ქალო. შენ კი გიშველის. არავის უთხრა ეს ამბავი.

დავითმა თავზე დაადო ხელი ქალს, ის კი ფეხზე წაეტანა მეფეს და აკოცა. სწორედ ამ დროს სანთელი გაუვარდა ხელიდან ქალს და ირგვლივ სიბნელემ დაისადგურა. დავითმა ცხენი დაძრა და სიბნელესა და სიჩუმეში მხოლოდ მისი ფლოქვების ხმა გაისმა...

სწორედ იმ ღამეს დავითის ოთახში ფეხაკრეფით შესულმა არსენ ბერმა მაგიდის უჯრებში იმ ქალაღებებს მიაგნო, რომელთა წაკითხვაც ყველაზე მეტად უნდოდა. ეს იყო დავით მეფის სინანულის გალობანი და არსენ ბერი სწორედ ამ ტექსტს ეძებდა; მაგრამ როგორც კი მისი კითხვა დაიწყო, ხმა აუკანკალდა. თვალზე ცრემლიც მოადგა და ისე აღელდა, რომ ქალაღები უკან, თავის ადგილას დააბრუნა. თუმცა დავითის ოთახიდან გამოსვლისას აშკარად მოესმა საიდანღაც მეფის ხმა და შეშინებულმა ისე გაიარა დერეფანი, უკან არც ერთხელ არ მოუხედავს. სიჩქარეში, სანთელიც ჩაუქრა. ჩაბნელებულ დერეფანში დავითის ხმა კიდევ უფრო შიშისმომგვრელად ჟღერდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ ღამეს მეფე აქედან ძალიან შორს იყო...

იმ ღამეს არც დედოფალი გურანდუხტი ყოფილა მშვიდად, რადგან ვიღაცამ კარის ეკლესიის ზარს სწორედ შუადამისას შემოჰკრა და ამ ხმამ სავარძელშივე ჩაძინებული დედოფალი გააღვიძა.

გურანდუხტი ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე უცებ წამოდგა და ტალანი გაიარა მეფის ოთახამდე მისასვლელად. დედოფალი დავითის ოთახში შევიდა, მეფის ცარიელ საწოლს დახედა და მალევე უკან გამობრუნდა. მერე ვახტანგის ოთახში

შეიხედა, მღელვარედ, მაგრამ უსიტყვოდ დახედა მძინარე შვილს და კვლავ ტალანში გავიდა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგა ძალიან ჩაფიქრებული.

დავითი ცხენით მიდიოდა, მაგრამ უნაგირზე თავის შემა-გრებას ძლივს ახერხებდა. გზა მთას მიუყვებოდა აღმართში და გარიჟრაჟი კი ახლოვდებოდა.

უცებ მამლის ყვილი მოესმა დავითს და მიხვდა, რომ საიდანღაც ნაცარქექია ეძახდა მეფეს.

– არ მძინავს, ბებერო, – თქვა დავითმა ჩუმად და გაიღიმა. მერე ისევ დეზი ჰკრა ცხენს და გზა გააგრძელა. თუმცა, როგორც კი მონასტერი გამოჩნდა მთაზე, ცხენი მაშინვე შეაყენა. ჩამოქვეითებასაც შეეცადა, მაგრამ ეს უფრო ცხენიდან ჩამოვარდნას ჰგავდა, ვიდრე ჩამოსვლას. ხმლის ჩამოღება მაინც შეძლო და იმ ხმალზე დაყრდნობით წამოდგა კიდევ. ასევე განაგრძო გზა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის მერე შედგა და ხმალი მოისროლა. დარწმუნებული იყო, რომ ამ უკანასკნელ, მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე მას ხმალი აღარ სჭირ-დებოდა – ყველა ბრძოლა უკვე წარსული იყო და წინ მხოლოდ მონასტერი ელოდა.

მზეც უკვე ამოსულიყო...

## ბოლოთქმა

მგონი ათი წლის ამბავია, დავით აღმაშენებლის შესახებ ფილმის გადაღების თაობაზე ხმაური რომ ატყდა და ტურიკა და მე რომ ამ ფილმისთვის დიალოგებს ვწერდით. ხმამაღალი ლაპარაკი იყო და იმდენი ჭორიც იყო, რომ დიდი ხალისი ამ საქმეში არ დაგვიტოვებს, და გარემო კი, როგორც აკაკი იტყოდა, სრულიად ჩვენებური გამოვიდა. მერე ამ დიალოგების წერა მოვამთავრეთ და თანდათან გაირკვა, რომ ეს, ტელევიზორებს და გაზეთებს საკამათოდ მოდებული ამბავი, წაუკითხველად აღარ აინტერესებთ. ტურიკაც ადგა და იმ სცენარისთვის მოგროვილი მასალების მიხედვით ეს წიგნი დაწერა. ყველას თავისი ჟინი აქვს და ყველა თავისებურად უყურებს რაიმე ამბავს და ტურიკა ასე უყურებს. და მგონია, რომ ხანდახან სწორია, როცა ადამიანს თავისი ნაშრომი დაენანება. მგონი, ეს უფრო სიყვარულის ბრალია და სიყვარულით დაწერილ რომანში კი მთავარი მაინც სიყვარულია...

აკა მორჩილაძე

*<https://www.facebook.com/groups/ELLIB>*